


დავით მიხელის ძე

# საქართველოს არქეოლოგია

I

ადრეული ჟურნალი



ბათუმის პოლი რესტავრაციის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით მინდონიაშვილი

## საქართველოს არქოლოგია

|

აღმართვა  
გუასაკაცები

(სახელმძღვანელო)

ბათუმი 2014

იბეჭდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (№123. 23. 10. 2013)

წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც გაერთიანებულია გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან ბოლო ხანების ჩათვლით შესწავლილი საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლები, სახელმძღვანელოა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. მასში თავმოყრილია შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტების მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. წიგნში წარმოდგენილია საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია; განხილულია ნაქალაქარები და ნასოფლარები; ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები; სამაროვნები, სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები; ხელოსნური ნაწარმი – კერამიკა, მინა და სხვ. სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც სტუდენტებისთვის, ისე არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორები:** ისტორიის დოქტორი ვახტანგ ნიკოლაიშვილი  
ისტორიის დოქტორი მერაბ ზალვაში

**რეცენზენტები:** ისტორიის დოქტორი ნინო ინაიშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გიორგი გაგოშიძე

**გარეკანზე** – ამფორები ნოქალაქევიდან (პ. ზაქარაიას მიწედვით)

**ISBN 978-9941-0-5710-6** (ორივე ნაწილის)

**ISBN 978-9941-0-5711-3** (პირველი ნაწილის)

## ნინასიტყვაობა

განუზომლად დიდია ქართველ არქეოლოგთა ღვაწლი ჩვენი ქვეფნის ტერიტორიაზე შემორჩენილი სხვადასხვა პერიოდის ძეგლების გამოგლენა-შესწავლის საქმეში. დმანისის აღმოჩენებს, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ე. წ. „მტკვარ-არაქსის კულტურის“ ძეგლებს, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის „დიდი ყორდანების ბრწყინვალე კულტურას“, გვიანბრინჯაოს ხანის „ცენტრალურ ამიერკავკასიურ“ თუ „კოლხურ კულტურას“, ანტიკური პერიოდის ბრწყინვალე ძეგლებს, დიდი ხანია მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კავკასია – წინა აზიის არქეოლოგიურ კულტურათა შორის და ცხოველ ინტერესს იწვევენ როგორც ჩვენში, ისე უცხოელ მკვლევართა შორის.

მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით 1936 წ. ლ. მუსხელიშვილმა დაიწყო დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრა, მყარი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას. იმ ხანიდან მოყოლებული, დღემდე გამოვლენილი და შესწავლილია შუასაუკუნეების არაერთი ნაქალაქარი, ნასოფლარი, ციხესიმაგრე, ეკლესია-მონასტერი, საწარმოო კერა, სამაროვანი და ა. შ.

1959 წ. ავტორთა კოლექტივის (ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ოთ. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია) მიერ გამოიცა „საქართველოს არქეოლოგია“ – პირველი ქართული სახელმძღვანელო, სადაც თავმოყრილი და განზოგადებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური კულტურები, ქვის ხანიდან მოყოლებული ვიდრე შუასაუკუნეების ჩათვლით. თუმცა, მასში შუასაუკუნეების ძეგლებს ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები გ. ლომთათიძის ცალკეული სტატიების სახითაა წარმოდგენილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II (1973) და III (1979) ტომში. აღნიშნული სტატიები 1977 წელს დაიბეჭდა მონოგრაფიის სახით – „საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს“. მასში თავმოყრილია გასული საუკუნის 70-ან წლებამდე შესწავლილი შუასაუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლები. ფაქტობრივად, დღემდე ამით ამოიწურება საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების განზოგადებული სახით წარმოდგენის მცდელობა. გასული საუკუნის 70-ანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში შესწავლილი შუასაუკუნეების ძეგლების რაოდენობა. დაგროვდა დიდალი ლიტერატურა, რომელიც უცილობლად მოითხოვდა მათ თავმოყრასა და მწყობრად დალაგებას.

წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც გაერთიანებულია გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან ბოლო ხანების ჩათვლით შესწავლილი შუასაუკუნეების სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლები, არის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ამასთან ერთად, შევეცადე ნაშრომს დაეკმაყოფილებინა საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველის მოთხოვნებიც. სახელმძღვანელოში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი არტეფაქტების დეტალურ აღწერებს; მსჯელობებს პარალელურ მასალებზე; ძეგლების დათარიღებაზე და ა. შ. ცალკეულ ძეგლებზე საუბრისას,

თითქმის უცვლელადაა გადმოცემული მათ შემსწავლელთა შეხედულებები და დასკვნები ამა თუ იმ საკითხზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ახალი აღმოჩენებისა და გამოკვლევების შუქზე მათ მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციები და თარიღები უკვე მოძველებულად ან მცდარად მიმაჩნია. საილუსტრაციო მასალა მთლიანად აღებულია სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებიდან, ზოგჯერ გარკვეული ცვლილებებით (ზოგიერთი ტაბულა გაერთიანებულია ან ტაბულებიდან ამოღებულია ცალკეული არტეფაქტები, რომელთაც არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა ამა თუ იმ ძეგლის შესწავლისთვის).

როგორც აღინიშნა, სახელმძღვანელოში თავმოყრილია საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის მნიშვნელოვანი მიღწევები ამ ბოლო 80 წლის მანძილზე. ამიტომ, წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი უფრო მისი შემდგენელია, ვიდრე ავტორი. თუმცა, სახელმძღვანელოში ის ძეგლებიცაა შესული, რომელთა გათხრა-შესწავლაში თვითონაც მონაწილეობდა – უფლისციხე, დარიალისა და ხიხანის ციხეები, გონიო-აფსაროსი, კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა, „თეთრი გზისა“ და თისელის ნასოფლარი, გველეთის, ბეთანის, გლდანის სამაროვნები, ძველი თბილისის არქეოლოგიური ძეგლები (ქარვასლა, სინაგოგა), გრემის ნაქალაქარი (2011), ღალიას ქართული მონასტერი კვიპროსზე და სხვ.

საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის ქრონოლოგია განსაზღვრულია საქართველოს ისტორიის დღემდე გაზიარებული ჩარჩოებით – IV-XVIII სს. სახელმძღვანელოში შესული ძეგლები სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყო – IV-X, XI-XIV და XV-XVIII სს. ძეგლების ქრონოლოგიური დაჯგუფებისას იქმნებოდა გარკვეული სიძნელეები იმასთან დაკავშირებით, რომ ესა თუ ის ქალაქი, ციხესიმაგრე, ეკლესია თუ სხვ. მეტნაკლები ინტენსივობით თითქმის მთელი შუასაუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა. ასეთ შემთხვევაში ეს ძეგლები შესაბამისი არქეოლოგიური მასალით განიხილება იმ პერიოდისათვის, როცა ის ყველაზე უფრო აქტიურ როლს თამაშობდა ქვეყნის ისტორიაში. თუმცა, სირთულეები აქაც იჩენდა თავს. მაგ. IX-X სს-ის საქართველოს პოლიტიკური მოვლენები, როგორც ამას წერილობითი წყაროები გვაუწყებს, ყველაზე მეტად უფლისციხეში იყო ფოკუსირებული, მაგრამ სწორედ იმ პერიოდის მასალაა უფლისციხიდან ყველაზე ნაკლებად ცნობილი. საკმაოდ რთული გამოდგა ძეგლების თემატური დალაგება. მაგ. VI თავში, რომელიც ეკლესია-მონასტრებს ეხება, არ შესულა ბიჭვინთის, ნოქალაქევის, ნეკრესის, ჭერემის და სხვ. პუნქტების ეკლესიები. მათზე საუბარი ვამჯობინე ბიჭვინთაზე, ნოქალაქევზე, ნეკრესზე, ჭერემზე და სხვ. ძეგლებზე მსჯელობისას. მცხეთის (სამთავროს), ურბნისისა და ჭერემის სამაროვნები განხილულია არა სამაროვნებისადმი მიძღვნილ თავში, არამედ მათ შესაბამის ქალაქებთან. ვფიქრობ, მკითხველს ასე უფრო შეექმნება ერთიანი და ნათელი წარმოდგენა ამა თუ იმ ძეგლის შესახებ.

სახელმძღვანელოში თავმოყრილია გამოქვეყნებული არქეოლოგიური მასალები და მხოლოდ მცირეოდენი გამოუქვეყნებელი არტეფაქტები, რომელთა მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა მოხდა სათანადო ექსპედიციების ხელმძღვანელთა დასტურით. სამწუხაროდ, შუასაუკუნეების საკმაოდ მოზრდილი, ზოგ შემთხვევაში კი ძალზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და მათ შესახებ ინფორმაცია, ისიც

ზოგადი ხასიათისა, მხოლოდ წინასწარულ ანგარიშებშია დაცული. ბუნებრივია, სახელმძღვანელოში ასახვა ვერ ჰქოვა ყველა ნასოფლარმა, ციხესიმაგრემ, ეკლესია-მონასტერმა, სამაროვანმა და სხვ. ძეგლებმა, სადაც არქეოლოგიური გათხრები ჩატარებულა და, რომელთა მასალები შემოსულია მეცნიერულ მიმოქცევაში. რადგან, ჯერ ერთი, შეუძლებელი იქნებოდა მათი სრულად თავმოყრა მოცულობით შეზღუდულ ნაშრომში და მეორეც, ძეგლების დიდი ნაწილი მხოლოდ სადაზვერვო თხრილებითაა შესწავლილი, რაც ყოველთვის არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას ძეგლის ისტორიის შესახებ. რა თქმა უნდა, სახელმძღვნელოში წარმოდგენილი ყველა ძეგლი დაწვრილებით არაა განხილული. შედარებით ზოგადადაა მიმოხილული ის ძეგლები, რომელთაც საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ქართული ხუროთმოძღვრებისადმი მიძლვნილ ნაშრომებში. ძირითადად, ესენია ეკლესიები. ზოგიერთი პრობლემა ნაკლულად, ზოგად ხაზებშია წარმოდგენილი იმის გამო, რომ თვით საკითხები არაა მთლიანობაში შესწავლილი ან პრობლემების გასაშუქრებლად უბრალოდ მასალების სიმცირეს განვიცდით. სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ცალკეული სტატიების გარდა, დღემდე განზოგადებულად არაა შესწავლილი ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მაგ. „მცხეთა ადრეულ შუასაუკუნეებში“, „თბილისი ადრეულ შუასაუკუნეებში“ და სხვ. ამ მხრივ დიდად დაწინაურებულია ურბნისის, ნეკრესის, ჭერემის, ნოქალაქევის, ქუთაისისა თუ სხვ. ქალაქების შესწავლის საქმე. ამის გამოა, რომ ნაშრომში რიგი ძეგლების შესახებ მკითხველი უფრო მეტ ინფორმაციას იღებს, ზოგიერთ ძეგლთან დაკავშირებით კი ამის საშუალებას მოკლებულია.

სახელმძღვნელოს პუბლიკაცია გამიზნულია ორ ნაწილად. I ნაწილში თავმოყრილია ადრეული შუასაუკუნეების ძეგლები (IV-X სს.). II ნაწილში გაერთიანდება განვითარებული (XI-XIV სს.) და გვიანდელი შუასაუკუნეების (XV-XVIII სს.) ძეგლები. ამჯერად მკითხველს ვთავაზობ სახელმძღვანელოს პირველ ნაწილს – „საქართველოს არქეოლოგია I, ადრეული შუასაუკუნეები“.

საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის სახელმძღვანელო პირველად ქვეყნდება და ბუნებრივია, მას ხარვეზებიც უქნება. სიამოვნებით მივიღებ ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადაღებას, რომელიც გამოთქმული იქნება წინამდებარე ნაშრომის მიმართ.

## თავი I

# საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესრულების ისტორია

არქეოლოგია ისტორიული მეცნიერების დარგია, რომელიც საზოგადოების ისტორიას (მეურნეობა, კულტურა, სოციალური ყოფა) შეისწავლის მიწის ქვეშ მოქცეული მატერიალური კულტურის ძეგლთა მოძიების, მათი გათხრისა და განათხარი მასალის გაანალიზების გზით. თანამედროვე არქეოლოგია, როგორც საველე, ასევე ლაბორატორიული სამუშაოების დროს, აქტიურად იყენებს ისეთი დარგების მიღწევებს, როგორიცაა ეთნოლოგია, პალეოგრაფია, ნუმიზმატიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ანთროპოლოგია, პალეოზოოლოგია, პალეობოტანიკა, პალინოლოგია, ფიზიკა, ქიმია და სხვ.

დამწერლობამდელი ეპოქების საზოგადოების ისტორიის აღსადგენად არქეოლოგია ფაქტობრივად ერთადერთი დარგია. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამწერლობის დროინდელი ეპოქის შესწავლისთვისაც. მართალია, მოგვიანო ეპოქისათვის ჩვენ გვაქვს წერილობითი წყაროები, მაგრამ, როგორც წესი, ეს წყაროები არაა სრული და ხშირად ბევრ ბუნდოვან ან დასაზუსტებელ ცნობას შეიცავენ. ასეთ პირობებში არქეოლოგის მიერ მოპოვებულ დამატებით ინფორმაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

შუასაუკუნეების საქართველოში შეიქმნა არაერთი პირველხარისხოვანი ისტორიული თუ ფილოლოგიური ხასიათის წერილობითი ძეგლი, შემორჩენილია სიგელ-გუჯრებისა და ისტორიული ხასიათის სხვა საბუთების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მათში ყოველთვის ვერ ამოვიკითხავთ პასუხებს ჩვენთვის საჭირო კითხვებზე, რადგან ისინი ხშირად მშრალი და ნაკლულია. შუასაუკუნეების ძეგლების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გათხრების დაწყებამდე, ძალზე მწირი წარმოდგენა გვქონდა იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებაზე, მის ყოფაცხოვრებაზე და სხვ. შუასაუკუნეების ძეგლების გათხრებმა უზარმაზარი ინფორმაცია შეგვძინა. გამოვლინდა ბევრი სრულიად უცნობი და მნიშვნელოვანი მასალა. ახალი აღმოჩენების საფუძველზე ახლებურად დაისვა და გადაწყდა ქართველი ერის ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები.

ჩვენი ინტერესის საგანი ამჯერად შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიაა და შესაბამისად, მხოლოდ იმ პერიოდის ძეგლების შესწავლის ისტორიას შევეხებით. საქართველოში გათხრით არქეოლოგიას 150 წელზე მეტი წელი ისტორია აქვს თუმცა, მიწაში დაფლული არქეოლოგიური ძეგლებისადმი ინტერესი ჩვენში XVIII ს-ის დასაწყისიდან დოკუ-მენტურადაა დადასტურებული. სულხან-საბა ორბელიანი რომის მუზეუმის დათვალიერებისას იხსენებდა, რომ ამგვარი ნივთების საცავი მას უნახავს ვახტანგ VI-ის კარზე. თემურაზ ბაგრატიონი ნაშრომში – „ისტორია ივერიისა“ (სპბ 1848), აღნიშნავდა, რომ ივერიის მიწაზე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას პოულობდნენ კერპთმსახურების დროს დაფლულ მიცვალებულებს, რომელთაც ზოგჯერ პირში მონეტა ედოთ; ზოგიერთს რკინის იარაღ-საჭურველი ახლდა. ეს ნივთები ინახებოდა ტფილისში, მეფე ერეკლე II-ს საგანმურში

(სალაროში), რომელიც გაიძარცვა 1795 წელს ტფილისზე აღა მაპმად ხანის თავდასხმის დროს.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, XIX ს-ის პირველ ნახევარში, ჩვენში სიძველეთა შესწავლას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. „არქეოლოგია“ მაშინ გულისხმობდა ყოველგვარი სიძველის (ხელნაწერები, ეკლესია-მონასტრები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.) აღწერა-შესწავლას, ხოლო მიწისქვეშა ძეგლების გათხრას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ერთ-ერთი პირველი საზოგადოება, რომელმაც რამდენადმე მიაქცია ყურადღება საქართველოს სიძველეებს, იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება (აქტიური წევრები: რ. ერისთავი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვ. სოლოგუბი, ა. ბერეე, პ. უსლარი, მ. ჭილაშვილი), რომლის განყოფილება თბილისში 1850 წელს გაიხსნა. პირველსავე სხდომაზე აღინიშნა, რომ საზოგადოებამ უნდა შექმნას მუზეუმი და არქივი. საზოგადოების წევრებს დაუვალათ მუზეუმისთვის ექსპონატების შეგროვება-კატალოგიზაცია და საკვლევ ექსპედიციებში მონაწილეობა. თუმცა, ეს ექსპედიციები მაინცადამაინც გათხრებს არ გულისხმობდა.

1852 წლის ზაფხულში გაიხსნა კავკასიის მუზეუმი, რომელიც ახლანდელი აღ. ჭავჭავაძისა და აღ. გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში მდგარი შენობა იყო. 1854 წელს მუზეუმი უკვე 3300 ექსპონატს ითვლიდა.<sup>1</sup> მათ შორის იყო მიწის წიაღში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, რომელთაგან ბევრი შუასაუკუნეებს განეკუთვნებოდა.

1852 წლის ზაფხულში დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილმა (1815-1878) პირველი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა უფლისციხეში – ქართული კულტურის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლზე. დ. მელვინეთუხუცესიშვილი იყო თავის დროისთვის საკმაოდ განსწავლული, ნიჭიერი და ქართული სიძველეების დაცვისათვის თავდადებული ადამიანი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ფრანგ ქართველოლოგ მარი ბროსესთან, რომელსაც სისტემატურად უგზავნიდა კორესპონდენციებს მის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგებზე, და საერთოდ, მარი ბროსესათვის საინტერესო ყველა საკითხზე, რაც საქართველოს წარსულს შეეხებოდა. ამ საქმეში აქტიური მოღვაწეობისთვის 1849 წელს ის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქების სიგელითაც დააჯილდოვეს. დ. მელვინეთუხუცესიშვილი მსახურობდა გორის სასამართლოში, რაც არ აძლევდა მას საშუალებას სამეცნიერო მუშაობა ფართოდ გაეშალა. ის 1851 წელს გადავიდა თბილისში მთავარმართებლის კანცელარიაში, რითაც საგრძნობლად გაიუმჯობესა მატერიალური მდგომარეობა. აქ მას, სხვა საქმიანობასთან ერთად, დაავალეს მოწყობით ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა აღწერა და შეესწავლა ისტორიული სიძველეები. თუმცა, ამ ექსპედიციებს მთავრობისგან დაფინანსება მალე შეუწყდა. დ. მელვინეთუხუცესიშვილი სამუშაოდ ისევ გორის სასამართლოს კანცელარიაში დაბრუნდა.

<sup>1</sup> 1863 წელს გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი დაიშალა და მისი ექსპონატები გადაეცა ახლად გახსნილ კავკასიის მუზეუმს. მას სათავეში ჩაუდგა გუსტავ რადდე.

1852 წლის ზაფხულში დ. მელვინეთუხუცესიშვილმა მთავრობისგან მიიღო გარკვეული თანხა და შეუდგა უფლისციხის გათხრას. საინტერესოა, რომ მკვლევარმა ბრმად კი არ დაიწყო გათხრები, არამედ საგანგებოდ მოემზადა ძეგლზე სამუშაოდ. შეისწავლა უფლისციხის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები (ვახუშტი ბაგრატიონი) და სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები (დიუბუა დე მონპერე), ხალხში შემორჩენილი გადმოცემები. გათხრებამდე მან ჯერ დაზვერა უფლისციხის მიდამოები და შეარჩია გასათხრელი ობიექტი – თავისი ფორმებითა და ზომით გამორჩეული ე. წ. „თამარის დარბაზი“. თბილისიდან მოიწვია მხატვარი და შეიძინა საჭირო აღჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისთვის. გათხრების დროს ის აწარმოებდა საველე დღიურს. იმ დროის კვალობაზე, როცა ჩვენში სრულიად უცხო იყო არქეოლოგიური ძეგლის გათხრის მეთოდები და საშუალებები, დ. მელვინეთუხუცესიშვილის მიერ ჩატარებული სამუშაოები საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო შესრულებული.

უფლისციხეში მან გათხარა ორსვეტიანი ე. წ. „თამარის დარბაზი“, როგორც შემდგომ დადგინდა, თავისი აღნაგობა-გაფორმებით გვიანანტიკური ხანის ნაგებობაა, მაგრამ შუასაუკუნეებშიც ინტენსიურად ყოფილა გამოყენებული. გათხრებისას მას აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეზები. დარბაზის გვერდით ოთახში მიუკვლევია ქვევრებისთვის. გამოხატულის აზრით, დარბაზი მიმდებარე ნაგებობებით, წარჩინებული პირის სასახლე იყო. არსებობს ცნობა, რომ დ. მელვინეთუხუცესიშვილს უფლისციხეში სამარხებიც შეუსწავლია. როგორც ჩანს, მას განხრახული ჰქონდა გათხრების შედეგების გამოქვეყნება, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. დაიკარგა მისი საგლე დღიურები და განათხარი მასალა. ამდენად, უფლისციხეში მის მიერ ჩატარებულ გათხრებზე წარმოდგენას მხოლოდ გაზეთში „კავკაზ“ დაბეჭდილი მოკლე ინფორმაციები გვიქმნის. უფლისციხე ანტიკური ხანის ძეგლია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის შუასაუკუნეებშიც ფუნქციონირებდა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დ. მელვინეთუხუცესიშვილი არა მარტო პირველი ქართველი არქეოლოგი და ქართული არქეოლოგის ფუძემდებელია, ის საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგის ფუძემდებელიცაა.

1873 წელს შეიქმნა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890). ერთ-ერთ საპროგრამო სტატიაში მას „საზოგადოების“ საქმიანობის ძირითად მიზნად მიაჩნდა ძეგლთა დაცვა, აღწერა-ფიქსაცია, შემთხვევით მონაპოვართა შესყიდვა და გათხრითი სამუშაოები. საზოგადოება შემოწირულობის ხარჯზე არსებობდა და დიდ ხელმოკლებას განიცდიდა. ამიტომ მას არქეოლოგიური გათხრები ფაქტობრივად არ უწარმოებია და მხოლოდ მიწისზედა ძეგლების აღწერა-ფიქსაციით კმაყოფილდებოდა.

1874 წელს დ. ბაქრაძეს გურიაში სოფ. ვაშნართან ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები და მცირე მასშტაბის გათხრები, რომლის შედეგად მოუპოვებია კერამიკა, მინის, რკინისა და ბრინჯაოს ნივთების ნატეზები. უნახავს ნაგებობათა ნაშთები, აგური, კრამიტი და სხვ.

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას“ დ. ბაქრაძის აქტიური მონაწილეობით აღურიცხავს კავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალის შემთხვევითი აღმოჩენის თითქმის ყველა ფაქტი. მათ შორისაა შუასაუკუნეების ნივთებიც: მაგ. არტანუჯის ციხესთან აღმოჩენილი ბრინჯაოს ზარი, რომელზეც ასომთავრული წარწერა ყოფილა და თიხის ქოთანი. სოფ. საგურამოში და ურბნისთან აღმოჩენილი თიხის უინვენტარო სარკოფაგები და სხვ. 1880-ან წლებში ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით უნახავთ დარღვეული სამარხის ნაშთი. თვით ბაგრატის ტაძარზე კი მცირე გათხრები ჩაუტარებია ა. სტოიანოვს.

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ“ რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წინაშე, რომელსაც ხელმძღვანელობდა გრაფი ალექსი უვაროვი, წამოჭრა საკითხი თბილისში V არქეოლოგიური ყრილობის მოწყობის შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც 1881 წლის 8-21 სექტემბერს. 81 მოხსენებიდან საქართველოს არქეოლოგიას ეხებოდა მხოლოდ მოხსენება ყაზბეგში, მდ. რიონის გაყოლებით არსებულ ძეგლებსა და ქუთაისში ჩატარებული გათხრების შესახებ. ასე რომ, არქეოლოგიურ ყრილობაზე არქეოლოგია ფაქტობრივად არ ყოფილა წარმოდგენილი. ექ. თაყაიშვილი იხსენებდა, რომ ყრილობაზე რატომდაც არც ფრიდრიხ ბაიერნი გამოჩენილა და არც მისი მცხეთაში ნამუშევარი და არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგებით. ყრილობის შემდეგ „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ უსახსრობის გამო დაიშალა და მისი წევრები გაერთიანდნენ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებაში“.

XIX ს-ის ბოლოს, როცა საგრძნობლად გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მთავრობამ ყველა საზოგადოება, რომელიც ეროვნულ კულტურასთან იყო დაკავშირებული გააუქმა. 1887 წელს, როცა ექ. თაყაიშვილი პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა, ჩვენში ისედაც თავის დროზე სუსტი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩამკდარი დახვდა. მდგომარეობა რამდენადმე გამოცოცხლდა 1889 წელს, როცა ბაგინეთთან აღმოჩნდა ძველი ნივთები. ამ ფაქტს ყურადღება მიაქციეს ილ. ჭავჭავაძემ და დ. ბაქრაძემ. ამ უკანასკნელს ხანდაზმულობის გამო აღარ შეეძლო საველე სამუშაოებისთვის თვალყურის დევნება, ამიტომ ეს საქმე დაევალა ექ. თაყაიშვილსა და დ. ქუთათელაძეს. გათხრებმა სულ სამ კვირას გასტანა და უსახსრობის გამო შეწყდა. ექ. თაყაიშვილმა აღმოჩენილი მასალა I-VIII სს-ით დაათარიღა. აქედან მოყოლებული, საქართველოში არქეოლოგიურ გათხრებს უკვე ძირითადად ექ. თაყაიშვილი ატარებდა.

ასეთია საქართველოში XIX ს-ში წარმოებული შუასაუკუნეების ძეგლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია. მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში არ ჩატარებულა და ვერც ჩატარდებოდა შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების – ნაქალაქარების, ციხესიმაგრეების, ნასოფლარების, ეკლესია-მონასტრებისა თუ სხვათა სისტემური და გეგმაზომიერი კვლევა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ რუსეთი ნაკლებად ან საერთოდაც არ იყო დაინტერესებული მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული კულტურის წარმოჩენით. ამ მხრივ ინტერესს იჩენდნენ მხოლოდ ქართველი ისტორიკოსები და ზოგიერთი რუსი და უცხოელი მკვლევარი. ამიტომ, რუსეთის მთავრობა უხალისოდ დებდა

ფულს საქართველოს სიძეველეთა კვლევა-ძიებაში. არქეოლოგია კი ძვირად ღირებული მეცნიერებაა, რომელიც სათანადო ფინანსების გარეშე ვერ იარსებებს.

1901 წელს თბილისში გაიხსნა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის მოთავე იყო რუსი არქეოლოგის – ალ. უვაროვის ქვრივი, პრასკოვია უვაროვა. განყოფილების ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლდათ ექ. თაყაიშვილი, რომელიც ამ განყოფილების მდივანი იყო 1905-18 წლებში. არც ეს საზოგადოება აწარმოებდა გათხრით სამუშაოებს და ძირითადად უკვე ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების ან მიწისზედა ძეგლების (ეკლესიები, წარწერები) გამოქვეყნებით კმაყოფილდებოდა.

1921 წელს საქართველოს მძიმე დრო დაუდგა. რუსეთმა მეორედ დაიპყრო საქართველო. იმ დროისთვის თავდაპირველად რესპუბლიკაში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მოვლა-შენახვა დაევალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს მუზეუმსა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. შემდგომ მას შეუერთდა ახლად შექმნილი განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც უფრო ხელოვნებათმცოდნეობითი საკითხებით იყო დაკავებული. იმ პერიოდშიც არქეოლოგიურ აღმოჩენებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და დაგეგმილი, წინასწარ მომზადებული გათხრები არ ტარდებოდა.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ახალი ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გიორგი ნიორაძე. მას საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და გათხრების მეთოდიკასაც კარგად ფლობდა. 1925 წელს ის დაბრუნდა გერმანიიდან და ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით დაინიშნა საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად. ამასთან ერთად, ის თბილისის სახ. უნივერსიტეტში აგრძელებდა ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილის მიერ დაწყებული არქეოლოგიის კურსის კითხვას. მან საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების გადახალისების მიზნით, შემოიკრიბა ძველი და ახალი თაობის სამეცნიერო ძალები.

1925-31 წლებში გ. ნიორაძე გათხრებს აწარმოებდა სხვადასხვა ეპოქის ძეგლებზე: ზემო ავჭალაში, სასირეთში, დევისხვრელში, საკაუიაში. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა მის მიერ მცხეთაში – კარსნისხევში ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანზე ჩატარებული გათხრები.

იმ დროიდან მოკიდებული, თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა ხდება ის წამყვანი ორგანიზაცია, სადაც აღიზარდა XX ს-ში მოღვაწე არქეოლოგთა არაერთი თაობა. ხოლო საქართველოს სახ. მუზეუმი (ყოფილი კავკასიის მუზეუმი) წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითად საცავს. ამ ორივე ორგანიზაციას ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

1930-31 წლებში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის თაოსნობით დაიწყო ლაზეთის ისტორიაში კარგად ცნობილი ციხე-ქალაქის ნოქალაქევის (ბიზანტიულ ავტორთა მიხედვით არქეოპოლისის) გათხრა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი და გ. ნიორაძე. გათხრებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა გერმანელი მეცნიერი ალფონს მარია შნაიდერი. გათხრებზე

მივლინებულ იქნენ დოცენტები: ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი. კომისიის დადგენილებით, უნდა გამოსულიყო „არქეოპოლისის არქეოლოგიური გათხრების ბიულეტენი“. გათხრების პირველი კამპანია სამწუხაროდ უკანასკნელიც გამოდგა. არც ბიულეტენი გამოსულა და არც გათხრების წინასწარი ანგარიში. ეს უკანასკნელი მხოლოდ 1948 წელს დაბეჭდა ს. ყაუხეჩიშვილმა<sup>2</sup> თავისი ლექციების („ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“) დამატების სახით. შნაიდერის ანგარიში კი გამოქვეყნდა კრებულის – „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“ I ტომში, 1981 წელს. აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. თითქმის ყველა უცხოელი მეცნიერი საქართველოში აღმოჩენილ ყველა ნივთს შემოტანილად მიიჩნევდა. ამ აზრზე იდგა შნაიდერიც. თუმცა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი დაბეჭითებით უმტკიცებდნენ მკვლევარს, რომ ნივთების დიდი ნაწილი სწორედ ადგილობრივაა დამზადებული. მაშინ ამ დებულების მტკიცება და უცხოელ მკვლევართა ამაში დარწმუნება არც ისე ადგილი იყო.

საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული შესწავლა დაკავშირებულია შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს აღნიშვნასთან, რომლის მომზადება 1936 წელს დაიწყო და თითქმის ორი წელი გრძელდებოდა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, იუბილესთან დაკავშირებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, უნდა მოწყობილიყო დიდი გამოფენა. საამისოდ შეიქმნა „შოთა რუსთაველისა და მისი პეოქის მუზეუმი“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი. მან თავი მოუყარა ახალგაზრდა ენთუზიასტ მუშაკებს, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუზეუმის სწავლული მდივანი ლ. მუსხელიშვილი. მუზეუმის სამოქმედო სარბიელი შემოიფარგლა XI-XIII სს-ით. მაგრამ გამოირკვა, რომ თუ იმ პერიოდის მიწისზედა ძეგლებით, ხელნაწერებითა და სხვა სახის მასალით მდიდარი იყო საქართველო, ფაქტობრივად არაფერი იყო ცნობილი იმ დროის განათხარ ძეგლებზე: ქალაქების გარევნულ სახესა და გეგმარებაზე, მრავალფეროვან ნივთიერ კულტურაზე, ხელოსნობის დარგებზე და სხვ. ეს ხავეზი სასწრაფოდ იყო გამოსასწორებელი. ამიტომ, საიუბილეო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში ივ. ჯავახიშვილიც შედიოდა, გადაწყვიტა დაწყებულიყო გათხრა ნაქალაქარ დმანისისა, რომელიც XI-XIII სს-ში წარმოადგენდა საკმაოდ დაწინაურებულ ქალაქს. საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით დაწყებულმა და შეძღვებ შოთა რუსთაველის მუზეუმის მიერ გაგრძელებულმა გათხრებმა არა თუ გაამართლა, არამედ მოსალოდნელზე მეტი შედეგი გამოიღო. გათხრებს გ. ჩუბინაშვილის კონსულტანტობით უშუალოდ აწარმოებდა ლ. მუსხელიშვილი. ამიერიდან საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შუასაუკუნეების ძეგლების მეცნიერულ და გეგმაზომიერ კვლევა-ძიებას.

გათხრებმა გამოამზეურა შუასაუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართულ-მუსლიმური ქალაქი, ქალაქობისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით. 1936-37 წლების კამპანიები სულ სამ თვეზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა. დროის ამ მცირე

<sup>2</sup> ს. ყაუხეჩიშვილს, თავის დროზე, დავალებული ჰქონდა ნოქალაქევის გათხრების ბიულეტენის რედაქტორობა. საკუთრივ ანგარიშის ავტორი დანამდვილებით არა ცნობილი.

მონაკვეთში შესწავლილ იქნა ქალაქის ზედა ნაწილი – ციტადელი; გაითხარა ციტადელის აბანი; ქალაქის ერთ-ერთ უბანზე არსებული მარნიანი შენობა; მეჩეთი; ქალაქის ჭიშკარი; განსაზღვრულ მონაკვეთზე (20 მ სიგრძეზე) შესწავლილ იქნა ქალაქის კარიბჭიდან ციტადელისაკენ მიმავალი ქვით მოკირწყლული ქუჩა; გაითხარა გარეუბნის 3 დიდი აბანი მდ. ფინეზაურზე და სხვ. აიზომა სიონის ეკლესია, სამრეკლო და სხვა ნაგებობები. ექსპედიციამ მოაწყო 9 ექსკურსია დმანისის რ-ნის ძეგლების შესასწავლად. ექსკურსიების დროს შესწავლილი ძეგლები გამოქვეყნდა ლ. მუსხელიშვილის ნაშრომში – არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში, თბილისი, 1941.

1936 წელს დმანისში ექსპედიციის დაწყებამდე შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტისა და „ენიმკი“-ს დავალებით ლ. მუსხელიშვილი მუშაობდა ბოლნისში. ექსპედიციის მიზანი იყო თითქმის სანახევროდ მიწაში ჩაფლული ბოლნისის სახელგანთქმული ტაძრის გაწმენდა-გარშემოთხრა, მისთვის თავდაპირველი სახის დაბრუნება და გალავანს შიგნით არსებული სამარხების გათხრა. განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა აღმოჩენა დიდი სამშენებლო წარწერისა, რომელიც დღეისათვის ქართული დამწერლობის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად ითვლება. თავის დროზე წარწერა 493-494 წლებით დათარიღდა. ბოლნისის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში ლ. მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა სტატიაში „ბოლნისი“, რომელიც დაიბეჭდა „ენიმკი“-ს მოამბის III ტომში (1938).

საიუბილეო კომიტეტი არ დასჯერდა მარტო ბოლნისისა და დმანისის კვლევას. თუ დმანისმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეგვძინა საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების სახით, კომისიას იქ სასახლეების თუ სამეფო დარბაზების აღმოჩენის იმედი აღარ ჰქონდა. ერთადერთი ადგილი, სადაც კომისიას რუსთაველის ეპოქის დროინდელი, გიორგი III-ის მიერ აგებული და შემდგომში მრავალგზის გადაკეთებული სამეფო სასახლე ეგულებოდა – იყო გეგუთი. ამიტომ, ივ. ჯავახიშვილმა გეგუთის სამეფო სასახლის გათხრაც შეიტანა გეგმაში. მისი შესწავლა განხორციელდა ლ. მუსხელიშვილისა და ლ. წილოსანის მიერ 1937 წელს.<sup>3</sup>

საქართველოს ნივთიერი კულტურის შესწავლის ერთ-ერთ საყურადღებო ამოცანად ივ. ჯავახიშვილს წყალსადენებისა და სარწყავი არხების კვლევა მიაჩნდა. ისტორიული წყაროები მიუთითებდნენ კიდეც სათანადო ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე, კერძოდ, თამარ მეფის მწიგნობართუხუცესის ანტონ ჭიფონდიდელის მიერ 1202 წელს სოფელ სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში გაყვანილ წყალსადენსა და იმავდროულ აღაზნისა და სამგორის არხებზე. ეს სამუშაოები 1937 წელს განხორციელდა შოთა რუსთაველის მუზეუმის თანამშრომლის – შ. ხიდაშელის მიერ შიომღვიმეში, სადაც აღმოჩნდა თიხის მილებით შედგენილი წყალმომარაგების სამი ტრასა. ერთ-ერთი ტრასა, რომელიც 2 კმ-ზე დაფიქსირდა, გაყვანილი ყოფილა ურთულეს რელიეფზე, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ პერიოდის საქართველოში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობათა მაღალ კულტურაზე.

<sup>3</sup> გეგუთის გათხრას, ისევე, როგორც ლეჩემში მურის ციხის გათხრას (მაქსიმე აღმსარებლის საფლავთან და-კავშირებით) აპირებდა ნ. მარი. მას ხარჯთაღრიცხვაც შეუდგენა, მაგრამ 1914 წლისათვის დაგეგმილი გათხრები ჩაიშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო.

რუსთაველის გამოფენის მზადებასთან დაკავშირებული ძეგლების გათხრების ანგარიშები გამოქვეყნდა კრებულში – „მოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ (თბილისი, 1938). მასში დაიბეჭდა დმანისის ნაქალაქარის, გეგუთის სასახლის, შიომღვიმის წყალსადენის გათხრების ვრცელი ანგარიშები.

უკანასკნელი დღიდი სამუშაო შუასაუკუნეების ძეგლზე რუსთაველის მუზეუმმა ჩატარა 1938-39 წლებში უკვე ოუბილეს დასრულების შემდეგ. ეს იყო ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით თეთრიწყაროს რ-ში, გუდარეხის XIII ს-ის სამონასტრო კომპლექსში ჩატარებული გათხრები, რომლის ანგარიში მოგვიანებით გამოქვეყნდა (მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ. – გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წლები) არქეოლოგიური კომპანიის ანგარიში, თბილისი, 1954).

„რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის“ გაუქმების შემდეგ მისი ექსპონატები გადანაწილდა ორ დაწესებულებას შორის. მიწისზედა ძეგლები მოხვდა ხელოვნების ინსტიტუტში, არქეოლოგიური მასალა გადაუცა „ენიმკი“-ს და შემდგომში მის ერთ-ერთ მემკვიდრეს – ისტორიის ინსტიტუტს.

1937-38 წლებში მცხეთაში არმაზისხევის მტკვართან შეერთების ადგილას გაითხარა გვიანანტიკური ხანის აბანო, ადრეული შუასაუკუნეების სამარხები. იქვე გამოვლინდა ქართლის დიდებულთა გვიანანტიკური ხანის მდიდრული აკლდამები, რომელთაც უბრწყინვალესი არქეოლოგიური მასალა მოგვცეს. აქედან (1938) ჩატარა საფუძველი მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

1938 წელს სამთავროს მინდვრის დასასახლებლად ათვისების გამო, დაიწყო ამ ტერიტორიის ინტენსიური შესწავლა (შემდგომში მთავრობამ აქ მოსახლეობისთვის სახლების მშენებლობაზე ხელი აიღო). მუშაობა მიმდინარეობდა ორ – ჩრდილოეთ და სამხრეთ უბანზე (ალ. კალანდაძე, მ. ივაშჩენკო). ბრინჯაოს, რკინის, ანტიკური და გვიანანტიკური ხანის სამარხებთან ერთად, იქ გამოვლინდა IV-VIII სს-ის ქვის სამარხებიც, სადაც აღმოჩნდა საკმაოდ საინტერესო და მრავლისმეტყველი ნივთები.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ბუნებრივია, არქეოლოგიისათვის არავის ეცალა. მიუხედავდ ამისა, ომის ბოლო წლებში მაინც განხორციელდა რამდენიმე ექსპედიცია, რომლებიც დაკავშირებული იყო დიდ ახალმშენებლობებთან. მაგ. 1945 წელს რუსთავში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩატარდა მცირე მასშტაბის, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები, რომელმაც სრულიად ახლებურად წარმოაჩინა შუასაუკუნეების ქალაქ რუსთავის მთელი რიგი საინტერესო და მანამდე უცნობი საკითხები. გათხრებს იქ სხვადასხვა დროს აწარმოებდნენ მ. ივაშჩენკო და გ. ლომთათიძე. რუსთავში გამოვლინდა შუასაუკუნეების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სამაროვნები და ტაძრის ნაშთები. გაირკვა, რომ შენობები აგებული ყოფილა რიყის ქვით. წყობა ე. წ. „თევზიფხურია“. კედლებში მაკავშირებლად თიხამიწა გამოეყენებინათ. ერთ-ერთი ნაგებობის ქვეშ აღმოჩნდა ახალგაზრდა მამაკაცის თავმოკვეთილი ჩონჩხი. გ. ლომთათიძის აზრით, ეს პიროვნება ქალაქის დაცვას უნდა შესწირვოდა. რუსთავის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქვი

კერამიკის ნიმუშები. სამაროვანზე გამოვლენილ ქვის სამარხებში დაკრძალული ყოფილა 4-დან 12 მიცვალებულამდე. როგორც წესი, ამ ქრისტიანულ სამარხებში ცოტა იყო სამარხეული ინვენტარი.

ომის დამთავრებისთანავე, ისტორიის ინსტიტუტის 1946-50 წლების სამუშაო გეგმაში უკვე დიდი ადგილი დაეთმო შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიებას. 1947 წელს თრიალეთში ხრამპესის მშენებლობასთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ წყლით უნდა დაფარულიყო რამდენიმე ათასი ჰართობი, სოფ. ღუნია-ყალასთან გ. გობეჯიშვილმა შეისწავლა ეკლესია, რომლის თარიღი განისაზღვრა VIII-X სს-ით. ეკლესია ნაგები ყოფილა კარგად გათლილი ტუფის ქვით. ეკლესიის გარშემო გაითხარა სამარხები. ზოგიერთ მათგანში გამოვლენილა თიხის ჭრაქი და მოჭიქული ჭურჭელი.

1948 წელს თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობისას გამოვლინდა განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკის დიდი სახელოსნო, სადაც აღმოჩნდა თბილისისა და საერთოდ ქართული მატერიალური კულტურის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალები. სახელოსნოს გათხრები დაიწყო ოთ. ჯაფარიძემ, შემდგომ მისი შესწავლა გააგრძელა გ. ლომთათიძემ.

1949 წელს გათხრები დაიწყო ვაშნარში (ოზურგეთის რ-ნი), რომელიც ეგრის-ლაზიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო (გ. გობეჯიშვილი). გათხრები დაკავშირებული იყო ვაშნარის ტერიტორიაზე ჩაის ფარიკის მშენებლობასთან. ძეგლი დაცული იყო მაღალფლატეებიანი მდინარეებით, დამატებით ყველა მხრიდან კიდევ პქონია ქვითკირის ორ-ორი ზღუდე. შიდა ზღუდის კედლებში ყოველ 40 მ-ში კოშკია, ფართობით 5x5 მ. შესწავლილ იქნა რამდენიმე ნაგებობა და დიდი სამნავიანი ეკლესია. აგრეთვე, ე. წ. „სამლოცველო“, რომელიც ოთხსენაკიანი ნაგებობა ყოფილა. მისი ჭერი ეყრდნობოდა ქვის 6 სვეტს. ვაშნარს პქონია თიხის მილებით შედგენილი წყალსადენი, რომელიც საკმაოდ შორიდან ყოფილა გამოყვანილი. უცნობია, რა ერქვა ამ ძეგლს წერილობით წყაროებში, თუმცა ცხადია, რომ თავისი გარეგნული იერსახით ის ეგრისის მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო.

6. ბერძნიშვილის ხელმძღვანელობით 1948 წლიდან დაწყებული რამდენიმე სეზონის განმავლობაში ქვემო ქართლში წარმოებდა ფართომასშტაბიანი დაზვერვითი სამუშაოები, რომლის დროს გამოვლინდა ასობით მანამდე უცნობი ძეგლი, მათ შორის, შუასაუკუნეების ნასოფლარები, სამაროვნები, ეკლესიები და სხვ. ზოგიერთ მათგანს არქეოლოგიური გათხრებიც შეეხო. ესენია: თამარ მეფის საზაფხულო სასახლის ნანგრევები თეთრიწყაროს რ-ში, ნასოფლარი „ნაჭივჭავები“ და სხვ.

1950 წელს ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (გ. ლომთათიძე) დაიწყო უჯარმის ციხესიმაგრის თხრა, რომელიც რამდენიმე სეზონი გაგრძელდა. თითქმის მთლიანად იქნა შესწავლილი ციხის ტერიტორია და იქ არსებული ეკლესიები. უჯარმის ნაქალაქარის მისაკვლევად გულდასმით დაზვერა ციხის მიმდებარე ტერიტორიები, თუმცა საკუთრივ ნაქალაქარს ექსპედიციამ ვერ მიაკვლია და გამოითქვა მოსაზრება, რომ ქალაქი უნდა

ყოფილიყო დღევანდელი სოფ. უჯარმის მიდამოებში. ექსპედიციამ მოიპოვა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა, რომლის დიდ ნაწილს მოჭიქული კერამიკა შეაღენდა.

შუასაუკუნეების ქალაქებისა და ციხესიმაგრეების შესწავლის საქმეში გ. ლომთათიძის გარდა დიდი წვლილი მოუძღვის პ. ზაქარაიას. მისი დამსახურებაა ურბნისის, გრემის, ნოქალაქევისა და მრავალრიცხოვანი ციხესიმაგრეების, თავდაცვითი ნაგებობების, ეკლესია-მონასტრების, ქარვასლებისა და სხვა ნაგებობათა არქეოლოგიურ-არქიტექტურული თვალსაზრისით შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

1968 წელს გ. ლომთათიძის საერთო და რ. რამიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ნაწილობრივ გაითხარა კვეტერის საერთო ცენტრი – კვეტერის ციხესიმაგრე, რომელმაც საინტერესო მასალები მოგვცა აღმ. საქართველოს მთანეთის ციხესიმაგრეთა შესასწავლად.

ციხესიმაგრეების შესწავლის პარალელურად გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ნასოფლარების გამოვლენასა და კარტოგრაფირებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თუმცა გამოვლენილ ნასოფლართაგან მხოლოდ მცირე ნაწილია არქეოლოგიურად გათხრილი. უფრო დიდი რაოდენობით გაითხარა ნასოფლარების ცალკეული ელემენტები – ეკლესიები და სამაროვნები.

ადრეული შუასაუკუნეების ქალაქების კვლევა-ძიების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ურბნისის, რომლის გათხრა 1954 წელს დაიწყო აკად. ნ. ბერძენიშვილის საერთო ხელმძღვანელობით.

1966, 1968-69 წლებში სამი დიდი არქეოლოგიური კამპანია მიეძღვნა თბილისის დედაციხის – ნარიყალას შესწავლას (გ. ლომთათიძე, ოთ. ტყეშელაშვილი), სადაც გამოვლინდა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, ძირითადად, გვიანდელი შუასაუკუნეებისა. განათხარი მასალები 1974 წელს გამოქვეყნდა კრებულში „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“ (II ტომი).

60-ან წლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა კახეთის სამეცნის დედაქალაქების – გრემისა (პ. ზაქარაია, ლ. ჭილაშვილი) და თელავის (ც. ჩიკოიძე) გათხრები. რამდენიმე ექსპედიცია განხორციელდა ჯავახეთის ახალქალაქის შესასწავლად (ე. ჯანდიერი). იმავე წანებში სისტემური ხასიათი მიეცა რუსთავის ნაქალაქარის შესწავლასაც (ნ. უგრელიძე, ც. ჩიკოიძე, მ. მიწიშვილი, ო. არჩვაძე, მ. ჩხატარაშვილი).

შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ერწო-თანანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა რ. რამიშვილი. ამ ექსპედიციამ 60-ან წლებში ივრის ხეობაში ჩაატარა ფართომასშტაბიანი სადაზვერვო სამუშაოები. აღწერა ასობით არქეოლოგიური ძეგლი და მათგან რამდენიმე ნასოფლარი და სამაროვანი გათხარა კიდეც.<sup>4</sup>

<sup>4</sup> XX ს-ის 60-70-ანი წლებიდან საქართველოში გათხრებს და მათ შორის, შუასაუკუნეების ძეგლების გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორი. 1977 წელს ინსტიტუტს ცალკე გამოეყო არქეოლოგიის კვლევის ცენტრი, რომელიც გახდა საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების წარმმართველი ძირითადი კერა (ხელმძღ. ოთ. ლორთქიფანიძე). გათხრებს აწარმოებდა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა; ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; საქართველოს ხელოგნების სახელმწიფო

1971 წელს დაიწყო ფართომასშტაბიანი გათხრები მთის ქალაქის – უინვალის შესასწავლად, რომელიც უინვალჰესის მშენებლობის ზონაში იყო მოქცეული. ათ წელზე მეტი გრძელდებოდა უინვალისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა (რ. რამიშვილი). ექსპედიციის ინტერესების სფეროში, საკუთრივ უინვალის გარდა, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოექცა, რის შედეგადაც გამოვლინდა არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა შუასაუკუნეების ქალაქებზე, ციხესიმაგრებზე, სოფლებზე, სამაროვნებზე, ეკლესია-მონასტრებზე და სხვა ძეგლებზე.

იმავე წლებში იწყება დასავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების ქალაქების – ვარდციხისა და ნოქალაქევ-არქეოპოლისის საფუძვლიანი შესწავლა. ვარდციხეში გამოვლინდა ადრეული შუასაუკუნეების მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობები და საინტერესო არქეოლოგიური მასალის შემცველი კულტურული ფენები (ვ. ჯაფარიძე). ნოქალაქევში გაითხარა სასიმაგრო კედლები და კოშკები, აბანო, მონუმენტური ბაზილიკა და სხვ. (პ. ზაქარაია).

70-80-ან წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით ინტენსიურ სამუშაოებს აწარმოებდა კახეთის შუასაუკუნეების ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორიცაა: გავაზი, არეში და ნეკროსი. განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა ნეკროსის არქეოლოგიური მასალა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ.

უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში მდებარე ძეგლების შესწავლას. 1952 წელს დაიწყო ბიჭვინთის გათხრები (ა. აფაქიძე). გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ციხესიმაგრის ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებთან ერთად, გაითხარა საქართველოში ერთ-ერთი უადრესი ბაზილიკა, რომლის იატაკი მოზაიკით ყოფილა შემკული. ციხესიმაგრის ტერიტორიაზე გაითხარა აბანოები, წყალსადენთა სისტემები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ქუჩები და სხვ. იმავე წელს დაიწყო დიოსკურია-სებასტოპოლისის გათხრები. სამუშაოები ტარდებოდა სოხუმის ციხეზეც (მ. თრაფში). 1957-58 წლებში მ. თრაფშის ხელმძღვანელობით მოწყობი კომპლექსური ექსპედიცია ანაკოფიაში, სადაც გამოვლენილ იქნა შუასაუკუნეების სამი კულტურული ფენა VII, VIII-IX და X-XII სს-ის. 1975 წელს გამოვიდა მ. თრაფშის შრომების IV ტომი, სადაც აღწერილია მის მიერ 50-60-ან წლებში ჩატარებული დაზვერვები და გათხრები აფხაზეთის შუასაუკუნეების ძეგლებზე. 1972 წელს ო. ბლაჟბამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მიძღვნილი აფხაზეთის VI-XIII სს-ის ძეგლებისადმი. 60-ან და 70-ანი წლების პირველ ნახევარში აფხაზეთის შუასაუკუნეების ძეგლების, განსაკუთრებით, ეკლესიების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ლ. შერვაშიძეს, რომელმაც იქ ათამდე

მუზეუმი; თბილისის ი. გრიშაშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; აგრეთვე რეგიონალური სამუნიციურო ცენტრები – ბათუმის, ცხინვალისა და სოხუმის კვლევითი ინსტიტუტები.

ეკლესია გათხარა. აფხაზეთის გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ციხესიმაგრეების შესახებ მნიშვნელოვანი გამოქვლევები აქვს ვ. ლექვინაძეს. აფხაზეთის ადრეული შუასაუკუნეების განათხარი ძეგლებიდან აღსანიშნავია ე. წ. „წებელდის კულტურის“ სამაროვნები და ციხე-ქალაქი გუდაგუში, რომელიც ბიზანტიური წყაროების ზიგინისთანაა გაიგივებული.

\* \* \*

კლდის ძეგლებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს 1948 წელს ბეთლემის გამოქაბულში მოწყობილი ექსპედიცია ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ ბეთლემის გამოქაბულში მიაკვლია ამჟამად ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ვერცხლის ხატს, ბრინჯაოს შანდლის ძირს, XV-XVIII სს-ის მონეტებს. ცოტა მოგვიანებით, იქიდან ჩამოიტანეს რკინით მოჭედილი კარი, ჯაჭვი და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჩვენში მღვიმეთა და ქვაბ-საცხოვრისთა არქეოლოგია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გასული საუკუნის 50-60-ან წლებში სპელეოლოგმა პ. ჯავრიშვილმა. მან ქვემო ქართლის მდინარეთა ხეობებში გამოავლინა ასობით ქვაბ-საცხოვრისი. მდ. ხრამის ხეობაში დააფიქსირა ქვაბ-საცხოვრისთა 27 ჯგუფი. შემდგომში ეს საქმე გააგრძელა გ. გაფრინდაშვილმა. მან ქარელის რ-ში, თრეხვის მღვიმეში 1957 წელს აღმოჩინა ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ავტორის ლეონტი მროველის წარწერა, რომელიც იუწყებოდა, რომ ეს ქვაბი აღმარცხული მროველმა ღვთაების ხატისა და რუისის საყდრისშვილთათვის ჭირის ნავთსაყუდელად, ალფ-არსლანის მიერ საქართველოს აოხრების დროს. ქორონიკონი იყო სპე ანუ 1066 წელი.

გ. გაფრინდაშვილმა 1965 წელს ვანის ქვაბებში აღმოჩინა კიდევ ერთი საყურადღებო წარწერა ვინმე იჩქით გურგენიძისა. წარწერის მიხედვით, მას თამარის მეფობის დროს აუშენებია კედელი (იგულისხმება მღვიმე) და დაუსვენებია იქ მაცხოვრის, ღვთისმშობლის, ნათლისმცემლის ხატები. აგრეთვე, წმინდა ჯვარი წარწერით - „ვინც ილოცვიდეთ მეც მომისხენიეთ“. წარწერების აღმოჩენებმა განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოაქციეს მღვიმე-გამოქვაბულები. ამიტომ, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა სპელეისტიკური ლაბორატორია, რომელთა წევრები ძირითადად შუასაუკუნეების კლდეში ნაკვეთი მიუდგომელი ძეგლების შესწავლაზე მუშაობდნენ. შემდგომში ეს საქმიანობა წარმატებით გააგრძელა 6. ბახტაძემ, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს შუასაუკუნეების კლდის ძეგლები და მათ ორი მონოგრაფიაც მიუძღვნა.

გასული საუკუნის 70-ან წლებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლების კვლევა-ძიებამ. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა ინგუშეთში არსებული თხაბა-ერდის ეკლესია (რ. რამიშვილი, გ. ლამბაშიძე).

70-ან წლებში გ. პატარაძემ და ვ. ჯაფარიძემ ასტრახანის მიძინების ტაძარში შეისწავლეს ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის საფლავები. მართალია, სამარხებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ნივთიერი მასალა არ აღმოჩენილა, სპილენძის ერთი პატარა

ჯვრისა და ფაიფურის ფინჯნის გარდა, მაგრამ ამ გათხრებს გარკვეული მნიშვნელობა პქნდა ქართველ მეფეთა განსასვენებლების ადგილმდებარეობის დაფიქსირებისათვის.

გარდა საკუთრივ არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლისა, გასული საუკუნის 50-ანი წლებიდან მოყოლებული საფუძვლიანი ყურადღება მიექცა გათხრებით გამოვლენილი არტეფაქტების მიხედვით ხელოსნობის ცალკეული დარგების შესწავლას. მნიშვნელოვნად წაიწია წინ შუასაუკუნეების ხელოსნობის ისეთი დარგების შესწავლამ, როგორიცაა კერამიკული წარმოება. ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა: ვ. ჯაფარიძემ, ზ. მაისურაძემ, მ. მიწიშვილმა, ც. ჩიკოძემ, თ. არჩვაძემ და სხვ. გაირკვა, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში ჩვენში დიდად ყოფილა დაწინაურებული მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის წარმოება. ქართული მხატვრული კერამიკა ხასიათდება თავისი თვითმყოფადობით, რომელიც გამოარჩევს მას ყველა სხვა ქვეყნის მხატვრული კერამიკისაგან. წარმატებულად მიმდინარეობდა შუასაუკუნეების მინის ნაწარმის კვლევა ნ. უგრელიძის, მ. ჩხატარაშვილისა და რ. დოლაბერიძის მიერ. ნ. უგრელიძის მიერ გაითხარა ორბეთისა (VIII-IX სს.) და ნატბეურის მინის საწარმოები (XIII-XIV სს.). სათანადო დონეზე იქნა შესწავლილი ჩვენში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფაინსის ნიმუშები (ნ. მამაიაშვილი). სამშენებლო კერამიკის წარმოებაზე მუშაობდა ვ. ჯლამაია. შუასაუკუნეების მეღვინეობა-მევენახეობას მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი ნაშრომი ალ. ბოხოჩაძემ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების ნივთიერი კულტურის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ნ. აფხაზავას.

გასულ საუკუნეში აჭარის ტერიტორიაზე შუასაუკუნეების ძეგლების გათხრების ანგარიშები ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემაში – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების ნაციხეების, ნასახლარებისა და სამაროვნების შესწავლის შედეგები შეჯამებულია შ. მამულაძის ნაშრომებში. გონიო-აფხაროსის ციხესიმაგრის გათხრების შედეგები იბეჭდება კრებულებში – „გონიო-აფხაროსი“ და „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები“ (შ. მამულაძე, ა. კახიძე, მ. ხალვაძი, ტ. ებრალიძე, თ. შალიკაძე და სხვ.). საფუძვლიანადაა შესწავლილი ციხისძირის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ნ. ინაშვილის მიერ.

ამრიგად, XX ს-ის 50-ანი წლებიდან მოყოლებული, 80-ანი წლების დასასრულამდე, არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, მათ შორის, შუასაუკუნეების ძეგლების შესწავლამ მართლაც ფართო და გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო.

მძიმე ვითარება დაუდგა ქართულ არქეოლოგიას 90-ანი წლებიდან ვიდრე ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე. ცნობილი მიზეზების გამო, არქეოლოგიური გათხრები უკვე იშვიათად ტარდებოდა და ძირითადი სამუშაოები მიმართული იყო უკვე მოპოვებული მასალის დასამუშავებლად. თუმცა, საერთო მძიმე მდგომარეობის გამო, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს სამუშაოებიც ვერ განხორციელდა დიდი წარმატებით. ვითარება თანდათან შეიცვალა XXI ს-ის პირველი წლებიდან, როცა საქართველოში არსებულმა მძიმე მდგომარეობამ ნელ-ნელა იწყო გამოსწორება. ცნობილმა ნავთობკომპანიამ - BP საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ფართო მასშტაბის ახალმშენებლობა – მილსადენის გაყვანა. ახალმშენებლობამ მოიცვა

უზარმაზარი ტერიტორიები, სადაც გამოვლინდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძეგლები. მათ შორის იყო შუასაუკუნეების ძეგლებიც. აქედან მოყოლებული, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნელ-ნელა გამოცოცხლდა. თანდათან, სახელმწიფო თუ კერძო დაფინანსებების წყალობით, დაწყო შუასაუკუნეების სხვადასხვა ხასიათის ძეგლების შესწავლა. ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური სამუშაოები ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მათ რესტავრაციასთან დაკავშირებით. ასეთი სამუშაოები ჩატარდა: ნეკროსში, ალავერდში, იყალთოში, გრემში, დავით-გარეჯში, სამთავროში, ბებრისციხეზე, სამთავისში, ქუთაისში ბაგრატის ტაძარზე, მოწამეთაზე, გელათში, კაცხში და არაერთ სხვა ძეგლზე.

2004 წელს მოეწყო ისრაელ-საქართველოს ერთობლივი ექსპედიცია იერუსალიმის მახლობლად, სოფ. უმლეიზუნში მდებარე ქართული მონასტრის შესასწავლად. მასში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ: თ. მგალობლიშვილი, ი. გაგოშიძე და გ. გაგოშიძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია კუნძულ კვიპროსზე ღალიას ქართული მონასტრის არქეოლოგიური კვლევა-ძიება (ი. გაგოშიძე, გ. გაგოშიძე, დ. მინდორაშვილი), რომელიც 2006-10 წლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს ერთობლივი ძალისწევით.

ბოლო წლებში მზარდი ახალმშენებლობის კვალობაზე კიდევ უფრო გააქტიურდა სხვადასხვა პერიოდის, მათ შორის, შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის პროცესი. ზოგადად, ასეთია საქართველოს შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია XIX ს-დან მოყოლებული დღემდე.

### ძირითადი ლიტერატურა

**აფაქიძე ა.** ქართული საბჭოთა არქეოლოგის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბილისი, 1972.

**გამყრელიძე გ.** საქართველოს არქეოლოგის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბილისი, 1991, გვ. 12-45.

**გამყრელიძე გ.** ქართული არქეოლოგის ისტორიიდან, თბილისი, 1996.

**გამყრელიძე გ.** ქართული არქეოლოგის კვალდაკვალ, თბილისი, 2009.

**გობეჯიშვილი გ.** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952.

**ლომთათიძე გ.** ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, მიმომხილველი, ტ. II, 1951.

**ლორთქიფანიძე ოთ.** საქართველოს არქეოლოგია საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავზე, მაცნე, ისტორიის სერია, №1, 1981, გვ. 162-182.

**მუმლაძე გ.** არქეოლოგია ქართულ პერიოდიკაში, თბილისი, 2007.

**Бгажба О., Воронов Ю.** История изучения археологии Абхазии, Тбилиси, 1982.

**Лордкипаниძე О.** Археология в Грузинской ССР, Тбилиси, 1982.

**Трапиш М.М.** Основные результаты археологического исследования Абхазии за годы Советской власти, Труды, т. 1, Сухуми, 1970, გვ. 30-51.



## თავი II

### ქართლის სახეობის ენაქები

**შესავალი.** ქართლში IV ს-ში ძლიერდება ფეოდალიზაციის ჯერ კიდევ ადრე დაწყებული პროცესი და ქვეყანა დგება თავისი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნებისა და განვითარების ახალ გზაზე. IV-VI სს-ში აშკარად შეიმჩნევა აზნაურთა გაძლიერებისა და საზოგადოებაში ქონებრივი დიფერენციაციის მკვეთრი ზრდის პროცესი. მეფის ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევს მემამულეთათვის (ფეოდალთათვის) ნაწყალობები მიწების მისაკუთრების ტენდენციებს. მიუხედავად ამისა, მიწების მიტაცების პროცესი სულ უფრო ძლიერდება და ბოლოს მიწების მირითადი ფონდი თავს იყრის აზნაურთა ხელში. ეს პროცესი VI ს-ში მთავრდება აზნაურთა გამარჯვებით და მეფის ხელისუფლების გაუქმებით, რასაც ხელს უწყობდა მტრულად განწყობილი გარეშე ძალებიც.

სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლში ქრისტიანული რელიგიის გამოცხადებას 326 წელს. ახალი რელიგიის მიღებასა და განმტკიცებაში დაინტერესებული იყო როგორც სამეფო ხელისუფლება, ისე აზნაურები. ისინი ზოგჯერ სამხედრო ძალასაც კი იყენებდნენ მათ წინააღმდეგ, ვინც ახალი რელიგიის მიღებას ეწინააღმდეგებოდა (წმ. ნინოს მიერ წობენში ჩატარებული ნათლობა). ქრისტიანობა ხელს უწყობდა ერთი მხრივ, ფეოდალიზაციის პროცესის წინსვლას, მეორე მხრივ – ქვეყნის ცენტრალიზაციასა და კონსოლიდაციას, ასევე, დასავლეთის კულტურულ სამყაროსთან კავშირების განმტკიცებას.

IV ს-ის 30-ანი წლებიდან კვლავ იწყება საომარი მოქმედებები ირანსა და ბიზანტიას შორის ამიერკავკასიაში გასაბატონებლად. მათი ბრძოლის უშუალო ასპარეზი ხშირად ქართლისა და ეგრისის სამეფოები იყო. ამიტომ ქართლისა და ეგრისის მესვეურებს ბევრჯერ ორ ცეცხლს შუა უწევდათ ყოფნა. ზოგჯერ კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე ერთ-ერთი ქვეყნის მხარეს იჭერდნენ მეორის წინააღმდეგ.

IV ს-ის 70-ან წლებში ირანი ახერხებს ქართლის მთლიანად დამორჩილებას. ისინი განსაკუთრებით გააფთრებით ებრძვიან ქრისტიანობას. იყენებენ სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს და უხეშად ერევიან ეკლესიის საქმეებში. გადასახადების გადახდას ეკლესიისგანაც მოითხოვენ. იეზიდიგერდ II კატეგორიულად მოითხოვდა ქართველებისაგან მაზდეანობის მიღებას და ამასთან ასობით მოგვს აგზავნიდა ქართლში, იმისათვის, რომ მათ აქ ცეცხლთაყვანისმცემლობა გაევრცელებინათ. ირანის ასეთ პოლიტიკას მოჰყვა დიდი წინააღმდეგობა ადგილობრივ მოსახლეობაში. ამიტომ ირანელები იძულებული გახდნენ შემდგომში რამდენადმე შეერბილებინათ თავიანთი აგრესიული ქმედებები.

ქართლში ვითარება მნიშვნელოვნად იცვლება V ს-ის მეორე ნახევარში, როცა ქვეყანას სათავეში უდგება ვახტანგ გორგასალი. მისი მეფობის დასაწყისში ქართლში უაღრესად მძიმე მდგომარეობა იყო. იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მოთარეშე ჰუნები ადვილად ახერხებდნენ კავკასიის გადმოსასვლელების გადმოლახვას და იწყებდნენ თარეშს ქართლსა და სომხეთში. როული მდგომარეობა იყო ქვეყნის შიგნითაც. ირანი მოითხოვდა ქართლის მესვეურთაგან

სამხედრო ბეგარის გადახდას. თვით ვახტანგსაც მოუწია ირანელების მხარეზე რამდენჯერმე ბრძოლა ჯერ შუა აზიაში, შემდეგ ინდოეთსა და ბოლოს ბიზანტიაში.

ბრძოლებიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგი იწყებს სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას, ურჩი ფეოდალების აღაგმვას, ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებას. გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ვახტანგმა 482 წელს მოაკვლევინა ვარსექნ პიტიახში, რომელმაც მაზდეანობა მიიღო და წამებით მოკლა თავისი მეუღლე შუშანიკი. ეს ვახტანგის მხრიდან ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, იყო ბრძოლა ირანის სარწმუნოების – მაზდეანობის წინააღმდეგ.

ვახტანგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის გასასვლელებზე კონტროლის დაწესება, რასაც მოჰყვა მისი ძლევამოსილი ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის შემდეგ ქართლის მეფის ნებართვის გარეშე ვერავინ ბედავდა ქართლისა და საერთოდ, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გადმოსვლას. საჭიროების შემთხვევაში კი თვითონ მეფეს შეეძლო ამ გადმოსასვლელებით გადმოეყვანა ქართლში ჩრდილო კავკასიელთა დაქირავებული რაზმები.

ვახტანგმა მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა საეკლესიო სფეროშიც. მან ქართლის ეკლესიის სათავეში დააყენა მის მიერ არჩეული კათალიკოსი. ქართლის ეკლესიას მოუპოვა ავტოკეფალია. მანვე დააარსა არაერთი ახალი საეპისკოპოსო.

განსაკუთრებით იღვწოდა ვახტანგი ახალი ქალაქების დაარსებაზე, რომლებიც სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია დედაქალაქის გადმოტანა მცხეთიდან თბილისში – თბილისის მშენებლობის დაწყება, რომლის დასრულება მას აღარ დასცალდა და ეს საქმე მისმა მემკვიდრემ – დაჩიმ გააგრძელა. მანვე გააფართოვა ციხე-ქალაქი უჯარმა, რომელიც თავის რეზიდენციადაც აქცია. დიდად შეუწყო ხელი ქალაქ ჭერემის დაწინაურებას.

ვახტანგის ირანელებთან დამარცხებისა და მისი გარდაცვალების შემდეგ, ირანელები აღარ დასჯერდნენ ქართლის, სომხეთის, ალბანეთის ვასალურ დამოკიდებულებას და შეეცადნენ ეს ქვეყნები თავის პროვინციებად ექციათ. ამიტომ ირანელებმა 428 წელს სომხეთში, 510 წელს ალბანეთში, ხოლო 523 წელს ქართლში მეფობა გააუქმეს.

ამიერიდან ირანელებმა დაიკავეს კავკასიის ყველა მნიშვნელოვანი გადმოსასვლელი, ქართლში დანიშნეს თავისი მოხელე მარზპანი, თავისი ჯარი ჩააყენეს ქართლის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში. მოისყიდეს და დაიახლოვეს ერისთავები და ეკლესია-მონასტრების მესვეურთა ნაწილი. ამრიგად, ხანგრძლივი ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და აზნაურებს შორის ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. რა თქმა უნდა, მათ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა გარეშე ძალებმაც.

ქვეყანაში მომზდარმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურმა ძვრებმა თავისი დაღი დაასვა IV-VI სს-ის საქალაქო ცხოვრებასაც. გვიანანტიკურ ხანასთან შედარებით მნიშვნელოვნად შესუსტდა უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობა. ამას ხელს უწყობდა გამუდმებული ბრძოლები ირანსა და ბიზანტიას შორის, აგრეთვე ირანსა და ქართლს შორის. მოიშალა ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, შესუსტდა ფულის მიმოქცევა

და სხვ. მიუხედავად ამისა, IV-VI სს-ში მაინც შეინიშნება კავშირ-ურთიერთობები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ბიზანტიასთან. ამაზე მიუთითებს როგორც ჩვენში აღმოჩენილი ბიზანტიური და სასანური ირანის მონეტები, ისე განათხარი სამკაულები, რომლებიც შემკულია უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ძვირფასი და ნახევრადჭეირფასი ქვებით. მინის ჭურჭლის ერთი ნაწილი იმ ზანებში შემოტანილი ჩანს სირიიდან.

იმ პერიოდში სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება ბერძნული დამწერლობის ნიმუშები. ქართული დამწერლობა, ქართული ენა უკვე განუყოფლად ბატონობს არა მარტო ქართლსა და ეგრისში, არამედ უცხოეთში არსებულ ქართული კულტურის ცენტრებშიც.

VI ს-ის ბოლოს ირანში იწყება ტახტისათვის ბრძოლა. ხოსრო II-მ დახმარებისათვის მიმართა ბიზანტიას და მისი საშუალებით შეინარჩუნა ტახტი. სამაგიეროდ, ირანმა ბიზანტიას დაუთმო სომხეთი და ქართლის ნაწილი. ქართლი გათავისუფლდა ირანელთა ბატონობისგან. ქართველ აზნაურთა და წარჩინებულთა ნებით, ქართლის სათავეში დგება ერისმთავარი გუარამი, რომელსაც ეს თანამდებობა მეტკიდრეობით არ ჰქონია. ბიზანტიის იმპერატორისგან ის იღებს კურაპალატის ტიტულს. მალე ქართლში იჭრება მონეტა გუარამის სახელით (მონოგრამა), მაგრამ იმავე მონეტაზე ვხვდებით ირანის შაპის გამოსახულებასაც და მაზდეანურ სიმბოლოს – წმინდა ცეცხლს. თუმცა იქვე გამოსახულია პატარა ჯვარი – ქრისტიანობის სიმბოლო. ეს ხდება VI ს-ის 80-ან წლებში. ირანი იძულებულია შეეგუოს ქართლის ამგვარ დამოუკიდებელ პოლიტიკას. უკვე სტეფანოს II თავისი სახელის აღმნიშვნელ ქართულ წარწერას ათავსებს მონეტის ცენტრში, ხოლო მონეტის ზურგზე ღვთაებრივი ცეცხლის ნაცვლად გამოსახულია ჯვარი.

ქართლი ბიზანტიის გავლენის ქვეშ დიდხანს არ დარჩენილა. ისევ განახლდა ირან-ბიზანტიის ომი და ქართლი ისევ ირანმა დაიპყრო. ხოსრო II მოითხოვდა ქართველებს მონოფიზიტური სარწმუნოება მიეღოთ, ანუ ისეთივე ქრისტიანები გამხდარიყვნენ, როგორიც სომხები იყვნენ. დაიწყო ქალკედონისტთა შევიწროება და დევნა ქართლში.

მალე კვლავ იცვლება პოლიტიკური ვითარება და ბიზანტიის იმპერატორი პერაკლე 628 წელს ხაზარების დახმარებით იღებს ქართლის დედაქალაქ თბილისს. ქართლი ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა.

VII ს-ის 30-ანი წლებიდან ასპარეზზე გამოდიან არაბები, რომლებიც ზედიზედ ამარცხებენ ბიზანტიასა და ირანს. ამის შემდეგ მათ გზა ეხსნებათ ამიერკავკასიისკენ.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ქვეყანაში მიმდინარეობდა შეუჩერებელი აღმშენებლობითი მუშაობა, მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარება. ამის დასტურია მიწის წიაღში შემორჩენილი მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლი.

\* \* \*

**§1. მცხეთის დაწინაურებას და მის ქართლის სამეფოს დედაქალაქად ქცევას დიდად შეუწყო ხელი მისმა შინაგანმა ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა. მცხეთაზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები: ე. წ. „აბრეშუმის გზა“, „აქლემის გზა“, „ცხვრის გზა“ და ა. შ. ისევე როგორც ანტიკურ ხანაში, ადრეული შუასაუკუნეების მცხეთაც**

შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან – „არმაზით კერძი ქალაქისა (მტკვრის მარჯვენა ნაპირი) და მუხნარით კერძი (მტკვრის მარცხენა ნაპირი) ქალაქისაგან“ (ტაბ. I). გარდა ამ ორი ძირითადი უბნისა, ქალაქი მცხეთა თავის ფარგლებში აერთიანებდა კიდევ რამდენიმე უბანს.

მცხეთის შიდა ციხე – არმაზციხე მდებარეობს დღევანდელი ქალაქ მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის გადაღმა, ბაგინეთის მთაზე. იქ გამოვლენილია საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პერიოდის (ძვ. წ. IV-III სს-დან ახ. წ. V-VI სს-ის ჩათვლით) თავდაცვით კედლებს. მცხეთის მეორე დიდი უბანი განლაგებული იყო მტკვრისა და არაგვის შესართავს შორის. ქალაქის ცალკე უბანი უნდა ყოფილიყო წიწამურის სერზე არსებული დასახლება. მცხეთის საერისთავო უბანს წარმოადგენდა არმაზისხევის უბანი – იგივე საერისთავოს უბანი. უფრო მოშორებითაა მცხეთის ერთ-ერთი უბანი – სარკინე, რომელიც გაშლილი იყო შიომღვიმის მისადგომებთან. მცხეთის ცალკე უბანი ყოფილა ნაქულბაქევისა (ურიათუბანი) და კოდმან-კალუბნის მიდამოები და ა. შ. ქალაქის ცალკეული უბნები ერთმანეთთან ხიდებით იყო დაკავშირებული. წყაროებში ცნობილია ორი ზიდი – ერთი მტკვარზე, მეორე არაგვზე.

წერილობითი წყაროები და გათხრების დროს აღმოჩენილი ეპიგრაფიკული მასალა<sup>5</sup> მიუთითებს იმაზე, რომ მცხეთაში უცხოტომელებიც საკმაო რაოდენობით სახლობდნენ. მათ შორის იყვნენ ბერძნ-რომაელები, სპარსელები, ებრაელები და სხვ. ამგვარი ეთნიკური სიჭრელე ჩვეულებრივ დამახასიათებელი მოვლენაა დედაქალაქებისა და საერთოდ, ძლიერი და დაწინაურებული დიდი ქალაქებისთვის.

რაც შეეხადა ქალაქის თავდაცვის სისტემას, ჩრდილოეთიდან მას იცავდა ღართისკარ-ბებრისციხის სიმაგრეები, დასავლეთიდან სარკინე-სავანე, ხოლო აღმოსავლეთიდან ნაქულბაქევის ზღუდე. ეს სიმაგრეები მთლიანობაში წარმოადგენდნენ მცხეთის ერთიან სასიმაგრო სისტემას. გარდა ამისა, მცხეთას იცავდა ზღუდის საკმაოდ მძლავრი კედელი, რომელიც წერილობით წყაროშიცაა მოხსენიებული – ვახტანგ გორგასალის დროს სპარსელებმა „მოაოჭრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო მოაოჭრეს“ [ქც 1955:202<sub>19-20</sub>].

ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით IV ს-ის პირველი ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მცხეთაში, ამჟამინდელი სვეტიცხოვლის ადგილას „ქვემო ეკლესიის“ – პირველი ოფიციალური ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა, რამაც ასახვა პპოვა წერილობით წყაროებშიც. 1968-72 წლებში სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისას (ვ. ცინცაძე), ინტერიერში სამხრეთ შესასვლელთან იატაკის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ხის ნაგებობის ნაშთი (საერთო ზომები 12x6 მ) (ტაბ. II<sub>1</sub>). ეს ნაგებობა მიჩნეულ იქნა მირიან მეფისა და წმინდა ნინოს მიერ IV ს-ის პირველ ნახევარში აგებული „ქვემო ეკლესიის“ ნაშთად.

<sup>5</sup> ამ წარწერებიდან აღსანიშნავია მცხეთის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის – ავრელი აქოლოსის ეპიტაფია, რომელიც IV ს-ით თარიღდება; IV-V სს-ით დათარიღებული ებრაული ეპიტაფია იოსებ ბარ ჰაზანისა და სხვ.

წაგრძელებული, ჩრდილო-სამხრეთ ღერძზე დამხრობილი ოთხკუთხა ნაგებობა (ტაბ. II<sub>1</sub>) შედგება ორი არათანაბარი ნაწილისაგან – სამხრეთი შედარებით მომცრო და ჩრდილოეთი უფრო მოზრდილი სათავსისგან. სამხრეთ სათავსს აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან გააჩნდა ერთმანეთის მოპირდაპირე შესასვლელი. იატაკი ამ სათავსში მოგებული იყო თიხის ფილებით, რომელიც აღმოსავლეთი შესასვლელის გარეთა მხარესაც გრძელდებოდა. შენობის კედლები ხის ძელებით უნდა ყოფილიყო ნაგები. ნაგებობის სათავსები გამიჯნული ყოფილა ხის დაბალი კედლით. სამხრეთ სათავსში აღმართული ყოფილა სვეტი (შემორჩენილ სვეტის ბუდეში ჩარჩენილი იყო ხის ნაშთები), რომელიც ვ. ცინცაძის აზრით, სვეტიცხოვლად იწოდებოდა. თავდაპირველად სათავსი გახსნილი უნდა ყოფილიყო, რადგან წერილობითი წყაროს ცნობით: მირიან „მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა სუეტსა მას და დაფარა ხედვისაგან“.

„ქვემო ეკლესიის“ ნაშთებს არაფერი აქვთ საერთო ბაზილიკური ტიპის ნაგებობებთან. ის თავისი გეგმარებით, სტრუქტურით, საშენი მასალით, აშკარად უმსგავსება ბიბლიურ სადღესასწაულო კარავს, სავანეს – „წმიდამ წმიდათავ“-ს. ნიშანდობლივია, რომ მირიანის ანდერძის თანახმადაც „ქვემო ეკლესიას“ სწორედ „წმიდამ წმიდათავ“ ეწოდება.

„წმიდამ წმიდათავ“ ეს არის ერთი ნაწილი ძველაღთქმისეული სამგზავრო ტაძრის, სავანის, სადღესასწაულო კარვისა, რომელიც აგებული იყო ღვთის ბრძანებით, მოსეს მიერ სინას მთაზე ნანახი კარვის მაგალითზე. ბიბლიური აღწერილობით ის წარმოადგენდა ოთხკუთხა შენობას, რომელიც ნაგები იყო ხისაგან. შიდა სივრცე ფარდით გაყოფილი იყო ორ არათანაბარ ნაწილად. მოზრდილ სათავსს ეწოდებოდა „წმიდა“ ან „საწმიდარი“, მცირე სათავსს – „წმიდათაწმიდა“. ნაგებობას აღმოსავლეთიდან ჰქონდა ღია შესასვლელი, რომელსაც ქსოვილის ფარდა ეკიდა. ძველი აღთქმის თანახმად, კარავში (სავანეში) შესვლის უფლება ჰქონდა მოსეს, მღვდლად კურთხეულ აარონსა და მის შთამომავლობას.

„ქვემო ეკლესია“ ძალზე წააგავს კოპტურ ქსოვილებზე გამოსახულ ნაგებობებს, რომელთა ერთი მხარე მსგავსად „ქვემო ეკლესიისა“ და ბიბლიური კარავისა, გახსნილია. ამ ღიობში ერთ შემთხვევაში აღმართულია ჯვარი (შეად. ქვემო ეკლესიაში აღმართულ სვეტს), მეორე შემთხვევაში ღიობზე ფარდა ჩამოფარებული (ტაბ. II<sub>2</sub>).

პირველი ეკლესია „წმიდამ წმიდათავ“ მართლაც ძალზე პატარაა და მასში, როგორც ჩანს, მხოლოდ სასულიერო პირები ლოცულობდნენ. ეს კონკრეტული მოვლენა განზოგადებულ იქნა ყველა აღრეულ ეკლესიზე და სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს ბატონობდა აზრი, თითქოს პირველი ქართული ეკლესიები მხოლოდ პატარა ზომისანი იგებოდა და ისინი ფართო მრევლის სალოცავად არ იყო განკუთვნილი. თუმცა, ბოლო ხანებში ეს შეხედულება მნიშვნელოვანწილად შეიცვალა ახალი გამოკვლევებითა და არქეოლოგიური აღმოჩენებით.<sup>6</sup>

<sup>6</sup> მაგ. გადათარიღდა ბოლნისის ეკლესიის სამშენებლო წარწერა და ტაბარი მიჩნეულ იქნა 356/357 წლებში აგებულ ძეგლად; ნეკრესთან გათხარა „ჭაბუკაურის ბაზილიკა“ (IV ს.), რომელიც საკმაოდ ღიდი (39x15 მ)

„ქვემო ეკლესია“ – „წმიდად წმიდათად“ თავისი ზომებით და ფუნქციური დატვირთვით, კერძოდ იმით, რომ მასში, როგორც ბიბლიურ კარავში, მხოლოდ მღვდელმსახურები შედიოდნენ, არ ყოფილა ფართო მრევლისათვის გათვალისწინებული. ჩანს, იმთავითვე დადგა აუცილებლობა, რომ თანდათან მომრავლებული ქრისტიანებისათვის აეგოთ ახალი ეკლესია, უფრო მოზრდილი და კონსტრუქციულად უფრო მყარი. ამიტომ, მირიან მეფემ „ერისა სიმრავლისათვის აღაშენა ზემოდ ეკლესიად“ – სამთავროს ტაძარი. ეს უკანასნელი უკვე ქვით ყოფილა ნაგები.

2002 წელს მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის (ხელმძღ. ა. აფაქიძე) მიერ სამთავროს XI ს-ის ფერიცვალების გუმბათოვანი ტაძრის ინტერიერში გამოვლინდა ნაგებობა, დანაწევრებული სამი წყვილი ბურჯით (ტაბ. II<sub>3-6,9,10</sub>). ადრეული ნაგებობის – ბაზილიკის იატაკის დონე, რომელიც კირხსნარის თხელი (1,5 სმ) ფენაა, 17-18 სმ-ით დაბლა იყო გუმბათოვანი ტაძრის იატაკის დონესთან შედარებით. XI ს-ის ტაძრის საკურთხევლის აბსიდის სივრცეში გამოიკვეთა წინამორბედი ტაძრის აბსიდა მრავალკუთხა გარე კონტურით (ტაბ. II<sub>5</sub>). ძველი ტაძრის აბსიდას ჰქონდა ორსაფეხურიანი ცოკოლი. გაირკვა, რომ გუმბათოვანი ტაძარი უშუალოდ იყო დაფუძნებული ბაზილიკის ნანგრევებზე. XI ს-ის ხუროთმოძღვარს უცვლელად დაუტოვებია წინამორბედი ეკლესიის სიგანე. ახალი სტრუქტურა უშუალოდ ძველ კედლებს დაფუძნა და ერთი მეტრით დააგრძელა იგი აღმოსავლეთით (ტაბ. II<sub>8</sub>). ამრიგად, მიღებულ იქნა მარტივი სქემა – სამი წყვილი სვეტით დანაწევრებული სივრცე (სიგრძე 24 მ, სიგანე 17 მ) შვერილი მრავალკუთხა აბსიდით (ტაბ. II<sub>9-10</sub>). სამკვეთლოსა და ძირითადი სივრცის გამმიჯნავი კედელი ასევე ძველი ეკლესიის ნაშთზეა გამართული და ჩანს, სამკვეთლოს მასებიც, გარდა მისი ღრმა აბსიდისა, წინამორბედი ეკლესიის სათავს ემთხვეოდა.

ფიქრობენ, რომ XI ს-ის ტაძრის ქვეშ გამოვლენილი ბაზილიკა უნდა იყოს ქართულ წყაროებში (მოქცევად ქართლისად, ქართლის ცხოვრება) მოხსენიებული, პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მიერ აგებული „ზემო ეკლესია“, სადაც თვითონ და მისი მეუღლე ნანა დედოფალი დაუკრძალავთ.<sup>7</sup> ბაზილიკა დანგრეული უნდა იყოს ვახტანგ გორგასალის მეფობის ბოლო პერიოდში საპარასელების მიერ. მხოლოდ XI ს-ში აღუმართავთ ბაზილიკის ნანგრევებზე გუმბათოვანი ტაძარი (გ. ყიფიანი).<sup>8</sup>

გათხრების შედეგად მცხეთაში ადრეული შუასაუკუნეების არაერთი არქეოლოგიური ძეგლია გამოვლენილი. მათ შორის უნდა აღინიშნოს სვეტიცხოვლის გალავნის გარშემო

<sup>7</sup> ზომებით ხასიათდება; ასევე დიდი ზომებით გამოირჩევა ყვარელთან შესწავლით, V ს-ის შუა ხანებისათვის აგებული ტაძარი (36x18,35 მ), რომელიც დურუჯისპირა ბაზილიკის სახელითაა ცნობილი და სხვ.

<sup>8</sup> მირიანისა და ნანას ნეშთები, როგორც ჩანს, სხვაგან უნდა გადასვენებინათ XI ს-ის ტაძრის მშენებლობის დროს.

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ბაზილიკის ქვეშ გამოვლინდა წარმართული ნაგებობის ნაშთი. გეგმით ის მრგვალი ნაგებობაა, რომლის რადიუსი 15 მ-ს აღწევს (ტაბ. II<sub>3</sub>). მრგვალი ნაგებობის ცოკოლი ნაგებია ქვიშაქვის კვდრებით. ზოგიერთზე თითქოს იკითხება პორიზონტალური გადაბმისათვის შექმნილი მერცხლისკუდისებური სამაგრის ბუდეები. მრგვალი ნაგებობის ფუნქცია ძნელი გასარევევია. შესაძლოა, ის საკულტო შენობა იყოს.

აღმოჩენილი ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარები. მაგ. ნამოსახლარი სვეტიცხოველი I მდებარეობს ტაძრის დასავლეთით, 30-40 მ-ის მანძილზე. ძეგლის ქვედა III ფენა თარიღდება IV-V სს-ით. აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა: ფლეთილი ქვისგან ნაგები კედლის ფრაგმენტები, თხელკედლიანი მინისა და წითლად თუ ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები (ქოთანი, ჭრაქი და სხვ.); ბრინჯაოს ზარაკი, ოქროს ბეჭედი სარდიონის თვლით, ქვის ხელსაფეხვავები და სხვ.

ნამოსახლარი სვეტიცხოველი II მდებარეობს ტაძრიდან დასავლეთით 50-60 მ-ზე. ნამოსახლარის ერთ-ერთი ფენა თარიღდება IV-VI სს-ით. კულტურულ ფენაში დაფიქსირდა რიყის ქვითა და თიხით ნაგები კედლები. არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია ქვევრები, რომელთა ნაწილი შემკულია რელიეფური სარტყლებით, ნაწილი კი სადაა. სუფრის კერამიკა მოწითალო-მოჩალისფროდაა გამომწვარი. ფორმები დაგრძელებულია – ყელყელა. ზოგიერთი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. ადრეული შუასაუკუნეების საინტერესო მასალებია გამოვლენილი სვეტიცხოველ VI (ტაბ. II<sub>11</sub>) და VIII უბნებზე. ამ უკანასკნელზე, III-V სს-ის ფენაში 14 მ სიგრძეზე აღმოჩნდილია 3,5-4 მ სიგანის მოხრეშილი ქუჩა, რომლის ორივე მხარეს 6 სახლი და მასთან დაკავშირებული კომპლექსებია. სახლები ნაგებია ქვითა და თიხით. ნაგებობები დახურული ყოფილა კრამიტით. შენობათა იატაკზე მრავლად დაფიქსირდა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მცხეთას პქნდა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რამდენიმე სამაროვანი, რომელთაგან ამჯერად სამთავროს სამაროვანს განვიხილავთ. 1871 წელს საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებისას, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთაში, სამთავროს მონასტრის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით აღმოჩნდა სამარხები (შემდგომში „სამთავროს სამაროვანი“). მის შესასწავლად „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ“ გაგზავნა თავისი წევრი ფ. ბაიერნი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა 1871-77 წლებში. შემდგომში იქ არაერთხელ აღმოჩნდილა ცალკეული სამარხები. სამაროვანზე დიდი სამუშაოები ჩატარდა 1938-41 წლებში. ხოლო 1946 წლიდან მოყოლებული, მეტ-ნაკლები ინტენსივობით სამაროვნის შესწავლა დღემდე გრძელდება. სამთავროს სამაროვანი მრავალფენიანია. იქ გვხვდება სამარხები შუა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ვიდრე ახ. წ. VIII ს-ის ჩათვლით.

სამთავროს სამაროვანზე IV-VIII სს-ის სამარხების რაოდენობა 2000 ერთეულამდეა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქვის სამარხებია. IV ს-დან ისინი თითქმის მთლიანად აძევებენ სხვა ტიპის სამარხებს. მათი გრძივი და განივი კედლები ქვის ფილებითაა შედგენილი და ასეთივე ფილებითაა გადახურული ბანურად. სამარხების იატაკი მიწატკებნილია ან ზოგჯერ ქვის ფილებითა თუ კრამიტის ნატეხებით მოგებული.

მცირე რაოდენობითაა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. დაკრძალვის წესისა და ინვენტარის მიხედვით ქვის სამარხებსა და ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებს შორის სხვაობა არ შეინიშნება.

ქვის სამარხთა უმეტეს ნაწილში ერთზე მეტი ჩონჩხია აღმოჩნდილი. ზოგიერთ მათგანში დაკრძალულთა რაოდენობა 10-15-ს აღწევს. ადრეული შუასაუკუნეების სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი. დაკრძალულთა ნაწილს თავი

დასავლეთით უდევს, ნაწილს – აღმოსავლეთით. არის მცირეოდენი გადახრები ამ ძირითადი მიმართულებიდან. ბევრი მათგანის ძვლები არეულია, ამიტომ დაკრძალვის პოზის დადგენა ჭირს. აღარ გვხვდება მიცვალებულების დაკრძალვა მოხრილი კიდურებით მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ჩონჩხების უმრავლესობას ზედა და ქვედა კიდურები სხეულის გასწვრივ აქვთ დალაგებული. მიცვალებულთა ნაწილს მარჯვენა ან მარცხენა ხელის მტევანი მოთავსებული აქვთ მერჯის ან მუცლის არეში. უფრო მცირე ნაწილს ხელები მუცელზე ან მკერდზე ულაგია. მიცვალებულთა მცირე ნაწილს ფეხები კოჭთან აქვს ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, ნაწილს კი მუხლის არეში მოხრილი. საოჯახო-საგვარეულო სამარხებში, სადაც რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული, როგორც წესი ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის კედლებთან ან კუთხებშია მიხვეტილი.

სამარხები, როგორც ეს ქრისტიანული ეპოქისთვისაა დამახასიათებელი, არ გამოირჩევიან ინვენტარის სიუხვით. ნივთების უმეტესობა სამკაულებია ან ტანსაცმელთანაა დაკავშირებული. მინის ნივთებში გამოირჩევა სანელსაცხებლები. იშვიათად გვხვდება მონეტები. მათი უმრავლესობა გახვრეტილია და სამკაულადაა ქცეული.

სამარხეული მასალიდან თავისი სიმრავლით გამოირჩევა ბრინჯაოს, რკინისა და ვერცხლის მუხლზამბარიანი და მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძები. ტიპოლოგიურად ისინი საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება: ბუდეაბმულები, „ჯვრისებურები“, ჭვინტიანები, ბუდემთლიანები, „T“-სებრი, „ცხოველურსახიანი“, მინანქრიანი და სხვ. (ტაბ. III, IV) განსხვავებულია მათი ზომებიც. მოხრდილი მშვილდსაკინძები უხეში ქსოვილების, ხოლო პატარები, ნაზი ქსოვილების შესაკრავად გამოიყენებოდა.

სამარხებში მრავლად გვხვდება აბზინდები და ბალთები. მათ შორის ორწილადი და ერთწილადი აბზინდები, ე. წ. „ჰერალდიკური ტიპის“ აბზინდები და სხვ. ბალთებიდან აღსანიშნავია: „ნიღბისებურები“, ქართული ასომთავრული „O“-ს მაგვარი, ქნარისებურჩარჩოიანები, ოვალურჩარჩოიანები, ფიგურულფარაკიანები და სხვ. (ტაბ. V<sub>1-50</sub>). საყურები ძირითადად იყოფა ერთწილად და ორწილად ნიმუშებად (ტაბ. V<sub>51-55</sub>). სამარხებში ხშირად ჩნდება სხვადასხვა ტიპის საკიდი ამულეტები (ტაბ. V<sub>56-59</sub>). სამაჯურებს შორის გამოირჩევა: ცხოველსახიანები, თავებგადაწული, ქედშესქელებული, ბრტყელრკალიანები შესაკრავით, ხატისუღლისებურები და სხვ. (ტაბ. V<sub>60-80</sub>). მრავალრიცხოვანია საკინძები (ქინძისთავები). მასალის მიხედვით ისინი ორ ჯგუფად იყოფა: საკინძები, რომლებიც მთლიანად ერთი მასალისგანაა დამზადებული და საკინძები, რომელთა თავები შემკულია სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივებით – მარჯნის, სარდიონის, გიშრის, მინის და სხვ. (ტაბ. VI). საკინძები მიჩნეულია ადრეული შუასაუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის დამახასიათებელ ნივთებად. ჩრდილოეთ კავკასიაში (დაღესტანი - აღაჩყალას სამაროვანი) თუ სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდილი ანალოგიური ნივთები ქართლის სამეფოს ტერიტორიიდანაა გატანილი. საკინძების თავები ზოგჯერ შემკულია ისეთი მძივებით, რომლებიც ჩვენში არ მოიპოვება (მაგ. მარჯანი), მაგრამ თვით საკინძების ადგილობრივი წარმოება არავთარ ეჭვს არ იწვევს. სამთავროს სამაროვანზე ამგვარი ნივთების სიმრავლე მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ მათი დამზადების ერთ-ერთი დიდი

ცენტრი მცხეთაში უნდა ყოფილიყო. ბეჭდებს შორის გვხვდება ბრინჯაოს, რკინისა და ვერცხლის ფარაგიანი და ოვალბუდიანი ნიმუშები (ტაბ. V<sub>81</sub>). ოვალბუდები ხშირად სასანური წარმოშობის გემებითაა შემკული. ლითონის ბეჭდების გარდა, სამარხებში ზოგჯერ მინის ბეჭდებიც ჩნდება. მძივები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ისინი ფორმისა და მასალის მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. გვხვდება გიშრისა და სარდიონის მძივები. განსაკუთრებით მრავლადაა მინის სხვადასხვა ფერისა და ფორმის მძივები (ტაბ. VII<sub>1-35</sub>). სამარხებში თითქმის აღარ გვხვდება თიხის ჭურჭელი. მათი რაოდენობა ძალზე მცირეა და ძირითადად პატარა დოქების სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. VII<sub>37</sub>).

სამთავროს სამაროვნის IV-VIII სს-ის სამარხებში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მინის ჭურჭელი, განსაკუთრებით სანელსაცხებლები (ტაბ. VIII). მაგ. ერთ სამარხში 39 სანელსაცხებლება აღმოჩენილი და ფიქრობენ, რომ სამარხი ეკუთვნოდა მენელსაცხებლეს ან მინის ოსტატს. სანელსაცხებლები გამოვლენილია სამარხის სხვადასხვა ნაწილში. ისინი ჩნდება როგორც ბავშვების, ისე ქალებისა და კაცების სამარხებში. სანელსაცხებლები დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ნივთებია. მათში არსებული სურნელოვანი ზეთები და სიონები ეპკურებოდა მიცვალებულებს. თვით ჭურჭელს კი სამარხშივე ატანდნენ. ქრონოლოგიურად სამთავროს სამაროვნის მინის ჭურჭელი იყოფა ორ ჯგუფად – IV-V სს-ის და VI-VIII სს-ის ჭურჭელი. ადრეული მინის ნაწარმიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფარშეგანგის გამოსახულებიანი ფიალა ბერძნული წარწერით – „შესვი იცოცხლე“. IV-V სს-ის მინის ჭურჭლის თავისებურებაა მათი მრავალფეროვნება. იმ პერიოდის მასალაში 22 ტიპია გამოყოფილი და მათი აბსოლუტური უმრავლესობა სანელსაცხებლებია (ტაბ. VIII<sub>1-22</sub>). ჭურჭლის უმეტესობა ნაკეთებია მომწვანო-მოყვითალო მინისაგან. იშვიათად გვხვდება ფერადი (ლურჯი, იოდისფერი და სხვ.) ჭურჭელი.

VI-VIII სს-ის მინის ჭურჭელი რაოდენობრივად ბევრად აღემატება IV-V სს-ის მასალას. ამ პერიოდის სამარხებშიც ძირითადად სანელსაცხებლებს ვხვდებით, მაგრამ ისინი აღარ გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით (ტაბ. VIII<sub>23-38</sub>). მინის ჭურჭელი იმ პერიოდში თითქმის უკლებლივ ღია მწვანეა. როგორც IV-V, ისე VI-VIII სს-ის ნაწარმი ყველა ჩაბერვითაა მიღებული. მზატვრული შემკობისათვის გამოყენებულია როგორც ცივი (ამოხერხვა-ამოკაწვრა გამზადებულ მინის ნაწარმზე), ისე ცხელი დამუშავების (ფერადი ხალების დასმა, ძაფებით შემკობა, ყურის მიბმა და სხვ.) ტექნიკური ხერხები. ჭურჭელზე ხორკლები ჩნდება V ს-ის ბოლოდან და შემდგომში ამგვარი შემკობა ჩვეული და დამახასიათებელი ხდება სამთავროს მინის ჭურჭლისათვის. სამთავროს სამაროვანი კავკასიაში არსებულ სამაროვანთა შორის მინის ჭურჭლის განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ გაძარცულ სამარხებში მინის ჭურჭელი ხელუხლებელია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მინა იმ პერიოდში მასობრივად მზადდებოდა და არ წარმოადგენდა ფუფუნების საგანს. მიაჩნიათ, რომ მცხეთაში უნდა არსებულიყო მინის ადგილობრივი წარმოება, რაზედაც, მინის ჭურჭლის მრავალრიცხოვნობის გარდა, მეტყველებს ისიც, რომ მცხეთის მიდამოებში საკმაოდ მოიპოვება მინის დასამზადებელი ნედლეული, უპირველესად კი კვარცის ქვიშა.

მცხეთა მნიშვნელოვნად დაკნინდა მას შემდეგ, როდესაც ვახტანგ გორგასალის მემკვიდრე დაჩიმ ტახტი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. ამის შემდეგ მცხეთა საეკლესიო-რელიგიურ ცენტრად რჩება. მურვან-ყრუს ლაშქრობის შემდეგ მცხეთა ქალაქად აღარ იხსენიება.<sup>9</sup>

\* \* \*

**§2.** IV ს-ის მეორე ნახევრის საგზაო რუკაზე, რომელიც შედგენილია რომაელი ავტორის კასტორიუსის მიერ, გზის ერთ მონაკვეთზე, კერძოდ რუსთავსა და არმაზციხეს შორის აღნიშნულია სადგური, რომლის სახელწოდება რუკის სხვადასხვა ხელნაწერებსა და ვარიანტებში მოცემულია გადამწერის მიერ დამახინჯებული ფორმით „ფილადო“, „ტილიდა“. თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო „ტფილადო“ ან „ტფილიდა“, რაც ტფილის უნდა გულისხმობდეს.

ქართულ წყაროებში ტფილისი პირველად იხსენიება „მოქცევად ქართლისად“-ში IV ს-ის მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით. „მაშინ მოვიდა ხუარ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისს და კუალად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა“ [ქ] 1963:924-5]. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ოცდამეშვიდე მეფის – ვარაზბაკურის დროს ტფილის, რომელიც მანამდე დაბა იყო, სპარსელებმა ააშენეს მცხეთის „შურის ციხედ“, მის გასაკონტროლებლად. სპარსელებმა აქ შექმნეს პლაცდარმი ქართლზე პოლიტიკური ბატონობისთვის. შემდგომში ქართლის მეფე უთმობს სპარსელებს რანსა და მოვაკანს, ხოლო „ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წავიდა“ [ქ] 1955:136<sub>20-21</sub>]. არსებობის მოკლე პერიოდში გამოჩნდა თბილისის, როგორც ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო-ეკონომიკური პუნქტის დიდი უპირატესობა მცხეთასთან შედარებით. როგორც კი თბილისში სპარსთა ბატონობა მოისპო, V ს-ის მეორე ნახევარში აქ ქალაქის მშენებლობას საფუძველი დაუდო ვახტანგ გორგასალმა. მართალია, ვახტანგი ვერ მოესწრო მიზნის განხორციელებას, მაგრამ დაჩი ვახტანგის ძემ დაასრულა ქალაქის ზღუდის მშენებლობა და ტფილისი ქართლის სახელმწიფოს დედაქალაქად აქცია. თუ მანამდე ტფილისის ფლობით სპარსელებს ჰქონდათ მძლავრი ბერკეტი ქართლის სამეფოზე ბატონობისა, ქვემო ქართლისა და კახეთის გაკონტროლებისა, ამიერიდან მათ ხელიდან გამოეცალათ ეს დიდი უპირატესობა. დედაქალაქის ზრდა-განვითარების ტენდენციას კარგად გადმოგვცემს „მოქცევად ქართლისად“ – „მაშინ მცხეთად ათხელდებოდეს და ტფილისი ეშენებოდეს. არმაზნი შემცირდებოდეს და კალად განდიდებოდეს“. 628 წ. ტფილისი სასტიკად ააოხრა ჰერაკლე კეისრისა და მისი მოკავშირე ხაზართა ჯარმა. VII ს-ის შუა ხანებში ტფილისი დაიპყრეს არაბებმა და ქალაქი საამიროს ცენტრად აქციეს. 853 წელს ტფილისი გადაწვა არაბთა სარდალმა ბუღა თურქმა. ბაგრატ IV-მ (1027-1072) მოახერხა ქალაქის დაბრუნება, მაგრამ მაღლე იძულებული გახდა

<sup>9</sup> მჭიდროდ დასახლების გამო მცხეთის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება და შესაბამისად, ქალაქის გარეგნული სახის სრულად წარმოდგენა საკმაოდ რთულია. ამას ისიც ემატება, რომ ფაქტობრივად დღემდე არ მოგვეპოვება განმაზოგადებელი ნაშრომი ადრული შუასაუკუნეების მცხეთის შესახებ, რაც კიდევ უფრო ართულებს იმ პერიოდის მცხეთის ისტორიის პრობლემების ნათლად წარმოსახვას.

ტფილისი ისევ მაპმადიანი მმართველებისათვის დაეთმო. 1122 წელს ტფილისი გაათავისუფლა დავით აღმაშენებელმა (1089-1125), რომელმაც საქართველოს სამეფო ტახტი კვლავ ტფილისში გადმოიტანა.

ადრეული თუ მოგვიანო წერილობითი წყაროებით შესაძლებელია ქალაქის გარეგანი სახისა და გეგმარების სისტემის მეტ-ნაკლებად წარმოდგენა.

დღევანდელ თბილისთან შედარებით, შუასაუკუნეების ტფილისის ტერიტორია, ბუნებრივია, გაცილებით მცირე იყო. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი... პირველ იყო დაბა“ [ქც 1973:333<sub>28-29</sub>, 334<sub>5</sub>]. თემურაზ ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ „ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი... სოფლი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა, სეიდაბადის ბაღები რომ არის იქ, ტფილს წყლებს ახლო. და იმ სოფელს ტფილისი რქმევია“. თავდაპირველად ტფილისი მოიცავდა აბანოების უბანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას იმ ადგილებამდე, სადაც დღეს სამასი არაგველის ძეგლია.<sup>10</sup> ქალაქის ზრდა-განვითარებასთან ერთად, სახელი ტფილისი მთელ ქალაქზე გავრცელდა.<sup>11</sup> როგორც ვხედავთ, ადრეული შუასაუკუნეების ტფილისი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: I. ქალაქის ციტადელი – კალა (ნარიყალა), ტფილისის გადედაქალაქების შემდეგ სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ის ჯერ ქართლის მეფეების, შემდეგ ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია იყო (ტაბ. IX<sub>1</sub>); II. მის ქვემოთ, ტფილისის ტერიტორიაზე, საკუთრივ ქალაქი ყოფილა გაშენებული; III. მტკვრის მარცხნა ნაპირზე კი, კალა-ტფილისის მოპირდაპირედ, თანამედროვე მეტეხ-ავლაბრის მიდამოებში, ქალაქის მესამე ნაწილი – ისანი ყოფილა განლაგებული. ამავე მხარეს ყოფილა სასაფლაო, რომელიც ზოგიერთ წყაროში „საგოდებლადა“ მოხსენიებული.<sup>12</sup> გაღმა-გამოღმა მდებარე ქალაქის ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებოდა მეტეხთან არსებული ხიდით.

გორგასლის მიერ დაწყებული ქალაქის ზღუდის მშენებლობა დაასრულა დაჩიმ. ზღუდე უნდა ყოფილიყო ქვითკირის, რომელიც 628 წელს ჯიბლუ ხაკანმა და პერაკლე კეისარმა დაანგრიეს. ამის შემდეგ ტფილისისათვის ახალი გალავანი შემოუვლიათ და ეს ახალი გალავანი ხისა ყოფილა. 853 წელს ბუღა თურქის ლაშქრობასთან დაკავშირებით, სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი გადმოგვცემს, რომ ბუღამ გასცა ბრძანება „დასცემოდნენ ტფილისად წოდებულ ქალაქს“, რომელსაც წინათ ფაითაკარანს ეძახდნენ. ეს ქალაქი ხისგან იყო ნაგები, მისი ზღუდეები და კედლები, სახლები, ქალაქის მცხოვრებთა ყველა სახლი, საერთოდ მთელი სახლ-კარი ხისა იყო.“

შემდგომში ტფილისი კვლავ გაუმაგრებიათ. X ს-ის არაბი გეოგრაფის ალ-ისთახრის ცნობით, თბილისს უკვე ალიზის ორი სასიმაგრო კედელი ჰქონია.

<sup>10</sup> ლ. ჭილაშვილის აზრით, თბილისის პირველ მოსახლეობას აბანოუბანში კი არა, უშუალოდ თბილისის ციხეში (ნარიყალაში) უნდა ეცხოვოდა [ჭილაშვილი 1970:59].

<sup>11</sup> საკუთრივ ტფილისმა, რომელიც დროთა განმავლობაში დედაქალაქის ერთ-ერთ უბნად იქცა, XVII ს-ში მიიღო სეიდაბადის სახელწოდება [ქც 1973:334<sub>15</sub>]. შემდეგ ამ უბანს შეერქვა ხარფუხი. გვიანდელ შუასაუკუნეებში „ტფილისის ანუ სეიდაბადის“ ტერიტორია წარმოადგენდა ქალაქის გარეუბანს თავისი ცნობილი ბაღებით.

<sup>12</sup> ითანა საბანისძის ცნობით – „ადგილსა, რომელსა საგოდებულ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“.

უწყვეტი ცხოვრებისა და მჭიდროდ დასახლების გამო, დედაქალაქის ტერიტორიაზე გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამდენად, ადრეული შუასაუკუნეების თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით.<sup>13</sup> ტფილისის ადრეული შუასაუკუნეების მცირერიცხოვანი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია ერეკლე II-ის მოედანზე 1956-57 წლებში გათხრებისას აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი აბზინდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვალბუდიანი ბეჭედი, აქატის ქვის გემით, რომელზეც „შტრიხული მანერით“ შესრულებულია მამაკაცის პორტრეტი (ტაბ. IX<sub>3</sub>). გემები, რომლებზეც გამოსახულებები „შტრიხული მანერითაა“ გადმოცემული, ძირითადად ირანის სახელოსნო ცენტრებში მზადდებოდა და მასობრივად ვრცელდებოდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, მთელ კავკასიაშიც. ძეგლის გამთხრელების (ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი) აზრით, ამ გემის თარიღი V ს-ის აქეთ აღარ გადმოდის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „შტრიხული მანერით“ შემკული გემები ყველაზე უფრო ფართოდ VI-VII სს-ში ვრცელდება.

გვიანანტიკური ხანისაა ერეკლე II-ის მოედანზე აღმოჩენილი ჭრაქი (ტაბ. IX<sub>2</sub>).<sup>14</sup> ადრეულ შუასაუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს ტუჩიანი ბადიები (ტაბ. IX<sub>7-9</sub>) და მინის რამდენიმე ჭურჭელი (ტაბ. IX<sub>4-6</sub>), გამოვლენილი იმავე ერეკლე II-ის მოედანზე.

საინტერესო მასალებია აღმოჩენილი აბანოუბანში, წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთას ეკლესიის ტერიტორიის გათხრებისას (ო. ტყეშელაშვილი, მ. მნელაძე) (ტაბ. X<sub>1</sub>).<sup>15</sup> იქ აღმოჩნდა თბილისის არსებობის ყველა ეტაპის ამსახველი არქეოლოგიური მასალა. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა განვითარებული და გვიანდელი შუასაუკუნეების არტეფაქტები. ამ მცირე ფართობზე მიკვლეულ იქნა: I-III სს-ის აბანო; IV ს-ის მარანი; V-VI სს-ის გალავნის კედელი; სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა ნაშთები; ადგილობრივი და იმპორტული წარმოშობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აბანო (ტაბ. X<sub>2,26-27</sub>). აბანოს 4 ნაგებობის ნაშთიდან, 3 წყლის აუზს წარმოადგენს. გაიწმინდა, აგრეთვე, კერამიკული მილები, რომლითაც აუზში ცხელი წყალი (გოგირდოვანი?) ჩაედინებოდა. აუზების კედლები სხვადასხვა ზომის ქვებითაა ამოყვანილი და ჰიდრავლიკური ხსნარითაა შელესილი, შემაკავშირებელ მასალად საკმაოდ ძლიერი და მკვრივი კირხსნარის დუღაბია გამოყენებული. აუზებს აქვს ჩასასვლელი კიბეები და ერთმანეთთან დამაკავშირებელი წყლის მილები და სადინარები. აბანოს განყოფილებები შევსებული იყო ნაყარი მიწითა და ქვებით, კერამიკული ნაწარმითა (ტაბ. X<sub>3-8,10-13</sub>) და კრამიტების ნატეხებით. კრამიტები ორი სახისაა: წითლად შეღებილი ბრტყელი და მორგვზე

<sup>13</sup> ერეკლე II-ის მოედანზე აღმოჩენილი ნივთების გარკვეულ ნაწილს, ძირითადად კერამიკას, ძეგლის გათხრელები ადრეული შუასაუკუნეებით ათარიღებდნენ [იხ. გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961]. განათხარ მასალაში ნივთების გარკვეული ჯგუფი მართლაც ადრეული შუასაუკუნეებისაა, მაგრამ არტეფაქტების უმეტესობა განვითარებულ და გვიანდელ შუასაუკუნეებს განეკუთვნება.

<sup>14</sup> ერთი II-III სს-ის ჭრაქი, აღმოჩენილი ძველი თბილისის ტერიტორიაზე, ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ქარვასლა). საინვ. № 577.

<sup>15</sup> გაღესის ტერიტორიაზე გათხრები წარმოებდა 1998, 2001, 2003, 2006, 2011 წლებში.

დამზადებული ქიმიანი, რომელთა ნაწილზე ამოღარული ნიშნებია დატანილი (ტაბ. X<sub>9,14-21</sub>). აუზებში ჩაცვენილი კრამიტები და სხვა კერამიკული ნაწარმი I-III სს-ით თარიღდება.

გათხრებისას გამოვლინდა მარნის ნაწილი, რომელიც შედარებით მოგვიანო კულტურული ფენებისგანაა დაზიანებული. დაფიქსირდა შენობის გადახურვის ნაშთი (კრამიტყრილის, დანახშირებული და ნაცეცხლარი მიწის ფენები). მარნის კედლები ნატეხი ქვებით თიხის ხსნარზეა აშენებული. მარანში 5 მოზრდილი ქვევრი აღმოჩნდა. ქვევრები თხელკეციანია. დამზადებულია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. გამომწვარია მოწითალო-მოჩალისფროდ. აქვთ სქელი დაბრტყელებული ბაკო და მკაფიოდ გამოყვანილი ყელი. ძირები ბრტყელია. ტანზე შემოუყვათ სადა ან დაკეჭილი რელიეფური სარტყლები. ქვევრების სიმაღლე 90-170 სმ-ია, ღმ 80-130 სმ (ტაბ. X<sub>22-23</sub>). ჰურჭელი დახურული ყოფილა ქვის სარქველებით. ერთი მათგანი შუაში გახვრეტილია. ქვევრებს გახვრეტილ სარქველებს ტკბილის დუღილის დროს აფარებდნენ. საინტერესოა, რომ №5 ქვევრში აღმოჩნდა IV-V სს-ის სინოპური ამფორა (ტაბ. X<sub>24</sub>), რაც იძროონდელი თბილისის დასავლეთის ქვეყნებთან ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების უტყუარი ნიშანია. მარანი IV ს-ით თარიღდება.

გალავნის კედელი გაითხარა ეკლესიის აღმოსავლეთით, ლელვთახევში მომდინარე წავკისის წყლის მარცხნა ნაპირის გასწვრივ. კედელი 26 მ სიგრძეზეა გამოჩენილი (სისქე 2,40 მ, შემორჩენილი სიმაღლე 3 მ). კედლის პერანგები თარაზულ-პოლიგონალურად დაწყობილი ოთხკუთხა ფორმისა და დაახ. ერთი ზომის კლდის ნატეხი ქვებითაა ამოყვანილი. მათ შორის არსებული სივრცე რიყის ქვებითაა შეგვიძლი. შემაკავშირებელი მასალა კირხსნარია. კედლის წყობა წააგავს ე. წ. „უჯარმულ წყობას“. კედლის ზედა, სამხრეთი მხარე ფერდის აყოლებით ნარიყალასკენ მიემართება, ჩრდილოეთი ნაწილი – მდ. მტკვრისკენ. კედლის ძირი ეყრდნობა ნაყარი ქვებისგან შემდგარ და კირხსნარით შედგენილ ფუნდამენტს, რომელიც თავის მხრივ, ადრეულ, 1 მ-ით უფრო განიერ აღიზოვან თიხნარზეა გამართული. გალავნის კედელს V-VI სს-ით ათარიღებენ.<sup>16</sup>

აბანოთუბანში ამ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა კიდევ ერთხელ განამტკიცა ადრე მრავალგზის გამოთქმული მოსაზრება, რომ დედაქალაქობამდეც თბილისი საგრძნობლად დაწინაურებული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი უნდა ყოფილიყო.<sup>17</sup>

<sup>16</sup> ქველი ტფილისის ტერიტორიიდან მონეტების უმრავლესობა შემთხვევითი აღმოჩენებითაა წარმოდგენილი. 1904 წელს მაიდანთან ქარვასლის მშენებლობისას აღმოჩნდა 700-800 ცალი სასანური და ბიზანტიური მონეტებისგან შემდგარი განძი. სასანური მონეტები უპირატესად შედგებოდა ხოსრო II-ის (590-628) დრაქმებისგან. განძში იყო ჰორმიზდ IV-ის (579-590) დრაქმაც. ბიზანტიური მონეტების უმრავლესობა ეგვიპტოდა პერაკლე კეისარს (610-641), ნაწილი პერაკლე-კონსტანტინეს. განძის დიდი ნაწილი გაიფანტა.

<sup>17</sup> აბანოთუბანის მასალების პუბლიკაციისას, ავტორები (მ. მნელაძე, ვ. ჩიხლაძე) აღნიშნავენ, რომ „მცხეთიდნ თბილისში დედაქალაქის გაღმოტანის მთავარი მიზეზი სვეტიცხოველში დავანებული ქრისტეს კვართის დაცვაში უნდა ვეძიოთ. შესაბამისად, მტრის პირველი გამანადგურებელი დარტყმა თავის თავზე ახალ დედაქალაქს – თბილისს უნდა მიეღო. ისტორიული მონაცემები ადასტურებენ მეუე ვახტანგ გორგასლის მიერ ამ გადაწყვეტილების მართებულობას“ [მნელაძე, ჩიხლაძე 2012:96]. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. თბილისის გადედაქალაქებას პეტრე თავისი სრულიად განსხვავებული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მიზეზები, რაც არაერთხელ აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მიზეზების შესახებ ჩვენ ნაწილობრივ უკვე ვისუბრთოთ.

\* \* \*

§3. ურბნისის ნაქალაქარი მდებარეობს ქარელის რ-ში, მდ. მტკვრის მარცხნა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე. ის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ურბნისი აუშენებია უფლოს, ქართლოსის ძეს. ელინისტურ ხანაში ურბნისი ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია, რასაც წერილობით წყაროებთან ერთად ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩნდილი არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. ახ. წ. IV ს-ში ურბნისში ჩასულა ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო და ერთი თვის შემდეგ სავაჭროდ მიმავალ ურბნისელებს მცხეთაში გაჰყოლია [მქ 1963:81]. V ს-ის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა დააარსა ურბნისის საეპისკოპოსო და იქ აიგო საკათედრო ტაძარი.

ურბნისის ტერიტორიაზე 1953-63 წლებში გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია (ხელმძღ. 1953-56 წლებში გ. ლომთათიძე; 1957-63 წლებში ნ. ბერძნიშვილი).<sup>18</sup> ურბნისა და მის მიდამოებში გაითხარა რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი – ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ზანის, ანტიკური პერიოდის, აგრეთვე საკუთრივ ადრეული შუასაუკუნეების ურბნისის ნაქალაქარი.

ნაქალაქარს ირგვლივ გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გათხრებმა გამოავლინა ქალაქის გამაგრების სისტემის სამი პერიოდი. ძვ. წ. IV-III სს-ში ქალაქს გარს უვლიდა რიყის ქვით ნაშენი ზღუდე (სიგანე 4 მ), რომელიც ძლიერი ხანძრის გამო განადგურებულა. ახ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში აგებენ ალიზის გალავანს (ალიზის ზომები  $0,52 \times 0,52 \times 0,12$  მ, კედლის სისქე 4,5 მ, პერიმეტრი 2 კმ, შემოსაზღვრულია 23 ჰა) (ტაბ. XI<sub>1</sub>). ქალაქს სამხრეთიდან, მდ. მტკვრის ნაპირის გასწვრივ, მხოლოდ კედლი გასდევდა. დანარჩენი სამი მხრიდან გალავანი გამაგრებული იყო ერთმანეთისგან საშუალოდ 60 მ-ით დაშორებული, გეგმით ნახევარწრიული ფორმის კოშკებით (18 ერთეული). მათში ორ-ორი სათავსი იყო მოწყობილი. კედლებში რადიალურად დატანებული სამზერები ტერიტორიას მაქსიმალურად აკონტროლებდა (ტაბ. XI<sub>2-3</sub>). კოშკს ერთი კარი ჰქონდა ქალაქის მხრიდან. კარის მარცხნივ არსებული კიბე ადიოდა კოშკის ბანურ სახურავზე და გალავნის თავზე არსებულ საბრძოლო ბილიკზე. კოშკები გარედან და შიგნიდან თიხითაა შელესილი. კოშკებისა და ზღუდის სიმაღლე არ აღემატებოდა 3,5 მ-ს. კოშკები განკუთვნილი ყოფილა გარნიზონის სადგომად და საზერავად. საბრძოლველად ისინი მოუხერხებელი იყო. თავდაცვა და მტრის მოგერიება ხდებოდა ბანიდან და კედლების საკმაოდ ფართო საბრძოლო ბილიკებიდან, რომლებიც გალავანს მთელ სიგრძეზე გასდევდა. მურვან ყრუს შემოსევის დროს (736-738) დანგრეული ალიზის გალავნის ირგვლივ VIII ს-ის მეორე ნახევარში შემოუვლიათ თხრილი (სიღრმე 8-10 მ, სიგანე 30-40 მ) და აქედან ამოღებული მიწით დანგრეული ალიზის ზღუდე დაუფარავთ.

<sup>18</sup> 1893 წელს ურბნისის სიძველეებით დაინტერესებულა პ. უვაროვა და სოფლის ტერიტორიაზე სასინჯი თხრილები გაუვლია. აღმოჩნდილი არქეოლოგიური მასალა დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. იქვე მოხვდა ურბნისში აღმოჩნდილი რამდენიმე ნივთი პ. შჩუკინის კოლექციიდან. იხ. უვაрова П. Христианские памятники, МАК, IV, Москва, 1894, გვ. 141-142.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე ახ. წ. I-III სს-ის ნაგებობების მცირერიცხოვანი ნაშთებია შემორჩენილი.<sup>19</sup> IV ს-ის მეორე ნახევრიდან ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩნდება მასიური დასახლებები. ურბნისის ადრეული შუასაუკუნეების ნაგებობები ერთმანეთზეა მიჯრილი, რაც იქ მოსახლეობის დიდ სიმჭიდროვეზე მიუთითებს. ნაგებობები საცხოვრებელი და სამურნეო დანიშნულებისაა. შენობები ნაგებია ალიზის აგურებით. ალიზის კედლები ეფუძნება ქვის საძირკველს. კედლებში იშვიათად ვწვდებით გამომწვარ აგურებს. ისინი ყველა ანტიკური ხანის ნაგებობებიდანაა აღებული და მეორედ გამოყენებული. ნაგებობებში სახურავის საყრდენად კედლებთან ერთად ხის სვეტები გამოიყენებოდა. გადახურვა ძირითადად ბანურია. ზოგიერთი შენობა კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული. საცხოვრებელ ოთახებში ვწვდებით პატარა თონეებსა და კერებს.

IV-V სს-ში ქალაქის ნაგებობები ძლიერი ხანძრითაა განადგურებული. საინტერესოა ამ ფენაში აღმოჩენილი ოთხოთახიანი დამწვარი ნაგებობა. ოთახები გეგმით სწორკუთხაა. ნაგებობის მესამე ოთახი განსაკუთრებით უხვინვენტარიანი გამოდგა. ოთახში აღმოჩნდა დიდი ზომის ორყურა დერგები (ტაბ. XII<sub>7-9</sub>). ისინი ძირებით იატაკში ყოფილან ჩადგმული. იქვეა აღმოჩენილი ორყურა და ცალყურა ჩაფები (ტაბ. XII<sub>10-11</sub>), სქელკედლიანი ჯამი (ტაბ. XII<sub>15</sub>). მესამე ოთახიდანაა რკინის მახვილის ფრაგმენტი და ჯაჭვის პერანგის ნაწილები (ტაბ. XII<sub>1-4</sub>). დამწვარი ნაგებობიდან მომდინარეობს მრგვალპირიანი და სამტუჩა დოქები (ტაბ. XII<sub>16-19</sub>), კონუსურმირიანი ჭურჭელი (ტაბ. XII<sub>12-13</sub>), ძვლის აბზინდა (ტაბ. XII<sub>6</sub>) და სხვ. დამწვარი ნაგებობის გვერდით გამოვლინდა ქსოვილში შეხვეული ლითონის ნივთების განძი: რკინის გარცლი და მახვილი, სპილენძის ორი ქვა და ორი თევზი (ტაბ. XII<sub>29-31</sub>). ჩანს, განძი საშიშროების დროს გადაუმალავთ, მაგრამ მტრის შემოსევას განძის პატრონიც შესწირვია. დამწვარი ნაგებობა თარიღდება V ს-ის მიწურულით ან შესაძლოა VI ს-ის დასაწყისით. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდის ნაგებობები ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე ყველგან დამწვარი და განადგურებულია.

V ს-ის გადამწვარ ნაგებობათა შორის გამოირჩევა ერთ-ერთი თითქმის მიწასთან გასწორებული სამურნეო დანიშნულების შენობა (XX-3 უბანი). ის მარცვლეულის შესანახი ბეღელია, რომელშიც ხორბლის დიდი მარაგი ჰქონიათ. დაახლ. 25-30 მ<sup>2</sup> ფართობის თიხატკეპნილ იატაკზე მოფენილი იყო დამწვარ-დანახშირებული ხორბლის მარცვლები. ზოგ ადგილებში დამწვარი ხორბლის სისქე 50 სმ-ს აღწევდა. ნაქალაქარის ამ ფენების შესწავლამ ცხადყო, რომ ქალაქს მტრის სასტიკი შემოსევა განუცდა V ს-ის ბოლოს. თუმცა, მოსახლეობას შემდგომში მაინც მოუხერხებია ქალაქის აღდგენა.

ნაქალაქარის ზედა კულტურული ფენა თარიღდება VI ს-ის 30-ანი წლებიდან VIII ს-ის 30-ანი წლების ჩათვლით. იმ პერიოდის შენობები წარმოდგენილია საცხოვრებელი, სამურნეო და თავდაცვითი ნაგებობების სახით. განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი მარნები, რომლებიც საცხოვრებელ კომპლექსებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი მარანი (XV-1 უბანი)

<sup>19</sup> ამ ფენაში გაითხარა III ს-ის აბანო (18,2x11,4 მ), რომელიც ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. შედგება ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებისგან. იატაკის ქვეშ კალორიფერების სისტემა იყო მოწყობილი. აბანოს კამაროვანი გადახურვა ჰქონდა.

მთლიანად ქვევრებით იყო შევსებული. მასში 16 ქვევრი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ქვევრების პირი ყოველთვის არ უსწორდებოდა იატაკის დონეს. საფიქრებელია, რომ ის ქვევრები, რომელთა პირი იატაკის დონეზე მაღლა იყო, გამოიყენებოდა მარცვლეულის შესანახ ჭურჭლად. მითუმეტეს, რომ მარანში აღმოჩნდილ ერთ-ერთ პატარა ქვევრს, რომელიც სანახევროდ იყო მიწაში ჩადგმული, ძირში დატანებული ჰქონდა საპარო ზვრელი. მარცვლეულის შესანახად ურბნისში გამოიყენებდნენ ხაროებსაც, რომელთა კედლები და ძირი თიხა-მიწით იყო შეღესილი. გვხვდება როგორც ვერტიკალურკედლებიანი (დმ 1,3 მ), ისე ოვალურკედლებიანი, ფართოძირიანი (დმ 2,3 მ) ხაროები.

ნაქალაქარის VI-VIII სს-ის არქეოლოგიური მასალის უმრავლესობას წარმოადგენს კერამიკა, რომელთა შორის გამოიყოფა სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი. ქვევრები ძირითადად დიდი ზომისაა, თუმცა გვხვდება შედარებით პატარა ქვევრებიც. მათი საშუალო სიმაღლეა 1,5 მ, პირის დმ 0,4-0,55 მ, მუცლის გარშემოწერილობა 3-3,6 მ. ჭურჭელს აქვს მომაღლო ყელი და გამობერილი მუცელი. მხრიდან ძირამდე მთელი ტანი დაფარულია რელიეფური სარტყელებით. ძირი ვიწროა და ბრტყელი. ქვევრებს ეფარათ ხელსაფქვავის ქვები ან ქვიშაქვის ბრტყელი ფილები. ქვევრების გარკვეულ ნაწილს ყელზე ჯვარი აქვთ გამოსახული (ტაბ. XII<sub>33</sub>). ჯვრები ერთი ტიპისაა – არათანაბარი მკლავების ბოლოები მთავრდება მრგვალი, დაბალი ღრმულებით. როგორც წესი, ქვევრებს ჯვრები უკეთდებოდათ ყელზე – გვირგვინის ძირში. ურბნისის ქვევრებზე გამოსახული ჯვრები საკუთრების სიმბოლო უნდა იყოს. ისინი ან საზედაშე ქვევრებია, ან მათში ეკლესიისათვის შესაწირი თუ გადასახდელი ღვინო ინახებოდა. ანდა სულაც ამგვარი ქვევრები და იქნებ მთელი მარნებიც საკუთრებას წარმოადგენდა. ერთ-ერთ ქვევრზე კი ორსტრიქონიანი წარწერაა. ზედა სტრიქონზე გამოსახულია ასო „ქ“, ქვედაზე – „ჭე.“ წარწერისგან აზრის გამოტანა მნელია (ტაბ. XII<sub>34</sub>). საღვინე კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება ორი ჭურჭელი, რომელთაგან ერთი ქოთნისებური ფორმისაა. მუცელზე დაძერწილი აქვს ზონარის ჩასაბმელი მორჩები (ტაბ. XII<sub>20</sub>). მეორე ჭურჭელი ჯამისებურია. ცენტრში და მხრებზე ასევე დაძერწილი აქვს მორჩები (ტაბ. XII<sub>21</sub>). ორივე ერთ ქვევრშია აღმოჩნდილი. ისინი ხაპებია და გამოიყენებოდა ქვევრის ძირზე დარჩენილი ღვინისა თუ ნარეცხი წყლის ამოსაღებად. ისინი ზონარით ებმოდა გრძელ ჯოხებს. ქოთნისებური ჭურჭელი ერთ ჯოხზე ებმებოდა, ჯამისებური – ორზე. გოგრისაგან თუ ხისგან დამზადებული ამგვარი ჭურჭელი დღესაც ფართოდ გამოიყენება მეღვინეობაში და თანამედროვე მარნების აუცილებელ ინვენტარს წარმოადგენს.

ქოთნები თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ყველა შებოლილია. აქვთ ფართო და გაშლილი ნაჭდევებით შემკული პირი. ზოგჯერ შემკულია ამოღარული სწორი თუ ტალღოვანი ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. XII<sub>22-23</sub>). ბადიებს ფართო პირზე აქვთ სითხის გადმოსაღვრელი ნისკარტი, რომლის ორივე მხარე შემკულია კოპებით. ჭურჭელს ტანზე შემოუყვება თოკისებური ორნამენტი. ძირი ფართოა და ბრტყელი (ტაბ. XII<sub>24,36</sub>).

განათხარ მასალაში საინტერესოა სხვადასხვა ზომის დოქები, რომელთა დიდი ნაწილი საღვინე ჭურჭელი ჩანს. გვხვდება როგორც წრიულპირიანი (ტაბ. XII<sub>32</sub>), ისე სამტუჩა

ნიმუშები (ტაბ. XII<sub>25</sub>, ტაბ. XII<sub>40-43</sub>). ყურიანი დოქტის გვერდით ზოგჯერ უყურო ნიმუშებიც გამოერევა (ტაბ. XII<sub>46</sub>). ერთ-ერთ დოქტე ამოკაწრულია დაქარაგმებული წარწერა – „სე“ (ტაბ. XII<sub>32</sub>). წარწერა აზრობრივად ძნელად გასაგებია. შესაძლოა ის მფლობელის სახელს გადმოსცემდეს. ურბნისის თიხის ჭურჭელზე ზოგჯერ გამოსახულია ხელოსნის ნიშნები და დამდა (ტაბ. XII<sub>26</sub>). ისინი სველ თიხაზეა დატანილი. გარდა ამისა, თიხის ნაწარმზე გვხვდება სხვადასხვაგვარად ამოკაწრული ნიშნები (ტაბ. XII<sub>27</sub>), რომლებიც მფლობელთა ნახელავი უნდა იყოს.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებში გამოირჩევა ხელით ნაძერწი, უხეშკეციანი, წელში გამოყვანილი ჭრაქები, რომელთა ზედა ნაწილი ფინჯნისებური მოყვანილობისაა (ტაბ. XII<sub>37</sub>).

ურბნისის VI-VIII სს-ის მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარშს შორის აღსანიშნავია წითლად გამომწვარი შორენგეცი, რომელზეც დამღის საშუალებით გამოყვანილია ფარშევანგის გამოსახულება (ტაბ. XII<sub>28</sub>). ფარშევანგი კარგადაა ცნობილი საქართველოს ადრექრისტიანულ ხელოვნებაში. ვაზის, მტევნებისა და სხვ. სიმბოლურ გამოსახულებებთან ერთად, ფარშევანგები წარმოდგენილია ქვის სტელებზე, ეკლესიების ორნამენტებზე. ფარშევანგი მიჩნეულია „უკვდავებისა და გაზაფხულის ძველ ქრისტიანულ სიმბოლოდ.“

განათხარ მასალაში მინის ნივთები შედარებით ცოტაა. მათგან უნდა აღინიშნოს ფაცეტებიანი მინის ჭურჭლის ნატეხები, რომელთა ფორმის დადგენა შესაძლებელია. ჭურჭელი სქელყედლიანია. აქვთ ფართო, მოყრილი პირი და ოვალური მოყვანილობის ტანი. ძირი შედრეკილია. ტანი დაფარულია წრიული ფაცეტებით (ტაბ. XIII<sub>1</sub>). მინის სამკაულებიდან გვხვდება ბეჭედი, დამზადებული მრგვალგანიველიანი ღეროსაგან. ღეროს შეერთების ადგილას პატარა მრგვალი ფარაკი აქვს (ტაბ. XIII<sub>12</sub>). მინის ღილები კვირისტავისებური ფორმისაა (ტაბ. XIII<sub>13</sub>). ისინი აღმოჩენილია ძვლის სტილოსებთან და მინის ბეჭედთან ერთად.

ძვლის ნაკეთობას შორის გამოირჩევა საკინძის მსგავსი სამი ნივთი, რომლებიც ხელის გამოსახულებითაა შემკული (ტაბ. XIII<sub>2</sub>). ფიქრობენ, რომ ისინი საწერი სტილოსებია. ნაქალაქარის ზედა ფენაში აღმოჩენილია ძვლის ბალთაც (ტაბ. XIII<sub>7</sub>). ნაქალაქარის ზედა კულტურული ფენის ნივთებიდან საინტერესოა ცხოველის გამოსახულებით შემკული ძვლის საკინძი (ტაბ. XIII<sub>8</sub>).

რკინის საბრძოლო იარაღებიდან უმთავრესად ისრისპირები გვხვდება (ტაბ. XIII<sub>3</sub>). როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი ძირითადად ზღუდის მახლობლადაა ნაპოვნი. რამდენიმე ისრისპირი კედელში გარედან იყო შერჭობილი. ისრისპირებიდან თითქმის ყველა სამფრთიანია. ნაქალაქარზე აღმოჩნდა აგრეთვე რკინის ქეიბური და ბოძალი (ტაბ. XIII<sub>3ა-ბ</sub>). ნაქალაქარის ერთ-ერთი კოშკის მიწაყრილშია აღმოჩენილი რკინის შუბისპირი (ტაბ. XIII<sub>4</sub>).

ლითონის სხვა ნივთებიდან გათხრებისას ჩნდებოდა ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები – რკინისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები და აბზინდები (ტაბ. XIII<sub>5-6</sub>).

ქვის ნივთების დიდი ნაწილი სალესავები და ხელსაფქავის ქვებია. ქვის ნივთებს შორის აღსანიშნავია ჯვრის ნატეხი (ტაბ. XII<sub>35</sub>), აგრეთვე ქვიშაქვისაგან გამოთლილი კამათელი

(ტაბ. XIII<sub>10</sub>). ნაქალაქარის ზედა ფენებში გვხვდება ქვის ბირთვები – „ეუმბარები“, რომლებიც გულდასმითაა დამუშავებული (ტაბ. XII<sub>38</sub>). ისინი განკუთვნილი იყო საბრძოლო მანქანებისათვის – ფილაკავებისთვის. შედარებით პატარა ზომის ქვები შურდულის უნდა ყოფილიყო.

გათხრებისას ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ადრეული შუასაუკუნეების შემდეგი მონეტები: ბიზანტიის იმპერატორების თეოდოსი II-ის (408-450) ოქროს სოლიდი; იუსტინე I-ს (518-527) სპილენძის მონეტა; სასანიდური ირანის მეფეების: კავად I-ს (488-497) 4, ხოსრო I-ს (531-579) 3 და ხოსრო II-ს (590-628) 1 ვერცხლის მონეტა.

ნაქალაქარის გათხრებისას გარდა ადრეული სამარხებისა სხვადასხვა უბანზე გამოვლენილია IV და IV-V სი-ის სამარხები. ამ პერიოდის სამარხების სამი ტიპი გვხვდება: ორმოსამარხები, ხის ძელებით შეკრული „სარკოფაგები“ და ალიზის აგურით ნაგები სამარხები.

IV ს-ის ორმოსამარხებში როგორც წესი თითო მიცვალებული იყო დაკრძალული. თუმცა, რამდენიმე სამარხში ორ-ორი ჩონჩხიც აღმოჩნდა. ის სამარხები, რომლებშიც თითო მიცვალებული იყო დაკრძალული, დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამ სამარხში მიცვალებულს თავი დასავლეთით ედო, ორში – აღმოსავლეთით. ერთ შემთხვევაში მიცვალებული დაკრძალულია მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, სამ შემთხვევაში – ზურგზე გაშოტილი, ერთ სამარხში კი ზურგზე მწოდიარე მიცვალებული ფეხებმოკეცილია. რაც შეეხება ორმოსამარხებს, რომლებშიც ორ-ორი მიცვალებული იყო დაკრძალული, დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მათში მიცვალებულები დაკრძალულია თავით დასავლეთით, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე. ზოგ შემთხვევაში მიცვალებული გაშოტილია, თავით დასავლეთით (სამ. №10). არის შემთხვევა, როცა მიცვალებულებს თავი უდევთ აღმოსავლეთით. წვანან ზურგზე გაშოტილი. ხელები ულაგიათ მუცელზე. ფეხები მუხლის არეში რამდენადმე მოხრილი აქვთ (სამ. №26). სამარხებში კვლავ ძლიერია ნივთების, მათ შორის, თიხის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია.

სამარხეული ინვენტრიდან აღსანიშნავია გემა, რომელზეც ამოკვეთილია სამსხვერპლოს წინაშე მდგომი ცხენი. სამსხვერპლოზე ცეცხლი ანთია. ცხენზე, რომელსაც წინა მარჯვენა ფეხი აწეული აქვს, ზის გვირგვინოსანი მხედარი. ცხენის უკან ხეა აღმართული (ტაბ. XIII<sub>21</sub>). გამოსახულება ძალზე ახლო დგას არმაზისა და ბორის გვიანანტიკური ხანის ვერცხლის თასებზე წარმოდგენილ სიუჟეტებთან. ორმოსამარხებში აგრეთვე გვხვდება: წითლად გამომწვარი და ნაპრიალები ყელწიბოიანი დოქები. ზოგი მათგანი წითლად შეღებილ-ნაპრიალებია (ტაბ. XIII<sub>14-19</sub>). სამარხებში მიკვლეულია: ბრინჯაოს ბეჭდები და საყურები, ოქროს ბეჭდები და საყურები, მინის ჭურჭელი, სხვადასხვა მასალის ფერისა და ფორმის მძივები (ტაბ. XIII<sub>22-29</sub>).

ხის სარკოფაგები უფრო პირობითი სახელწოდებაა. საქმე გვაქვს ხის ძელებით მარტივად შეკრულ ყუთებთან, რომელთაც ზემოდან ხის ძელებივე ეწყო. ამგვარ სამარხებში ესვენა როგორც თითო, ისე ორი-ხუთი მიცვალებული. ხის სარკოფაგები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ზოგიერთში მიცვალებულები ესვენა თავით აღმოსავლეთით,

გულაღმა, მოხრილი ფეხებით (სამ. №11). ზოგიერთში მიცვალებული ესვენა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით, ხელები ელაგა მუცელზე (სამ. №39). იყო შემთხვევა, როცა მიცვალებულები იწვნენ თავით დასავლეთით, გაშოტილი და ხელები ელაგათ მუცლის არეში (სამ. №15). №38 სამარხში მიცვალებულები ესვენა თავით დასავლეთით, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე. №48 სამარხში სამი მიცვალებულიდან ორი ესვენა თავით დასავლეთით, ზურგზე გაშოტილი. მესამე მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში დაუკრძალავთ.

სამარხებში გამოვლინდა: თიხის დოქები, რომლებიც ფორმებით, შემკულობითა და თიხის დამუშავებით არ განსხვავდება ორმოსამარხებიდან მომდინარე თიხის ჭურჭლისაგან (ტაბ. XIII<sub>30,32,34-37,40,41</sub>). კერამიკული ნაწარმიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია №11 ხის სარკოფაგში აღმოჩენილი მწვნედ მოჭიქული პატარა ჭინჭილა (ტაბ. XIII<sub>32-ა</sub>). ხის სარკოფაგებიდან მომდინარეობს ოქროს ბეჭდები, საყურეები, მძივები, ღილები, ბრინჯაოს სარკები, სამაჯურები, საყურეები, მშვილდაკინძები, რკინის მშვილდაკინძები, მინის სანელსაცხებლები, სარდიონის, გიშრის, მინის მძივები (ტაბ. XIII<sub>30-41</sub>).

ალიზის აგურებით ნაგები სამარხები სულ ორი აღმოჩნდა. ისინი დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მათში ესვენა თითო მიცვალებული, ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ერთში აღმოჩნდა ძვლის საკინძი შემკული ცხოველის გამოსახულებით (ტაბ. XIII<sub>38</sub>).

IV-V სს-ის სამაროვანი ნაქალაქარის XXXIV უბანზეა დადასტურებული. IV ს-ის სამარხები გვიანანტიკური ხანის მასალებთან ამჟღავნებენ სიახლოვეს. V ს-ის სამარხები კი უფრო ქრისტიანული „ელფერისაა“. IV-V სს-ის სამარხებში ორი ტიპი გამოიყოფა: ორმოსამარხები და თიხის სარკოფაგები.

ორმოსამარხები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ერთი ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო დამხრობილი. მიცვალებულები დაკრძალულია თავით დასავლეთით, ზურგზე გაშოტილი, მოხრილი ფეხებით. მარცხენა ხელის სხივის ძვალი მუცელზე დევს, მარჯვენა მოხრილია და ხელის მტევანი ნიკაპთანაა მიტანილი. ფიქრობენ, რომ მიცვალებულთათვის ფეხების მოღუნვა წარმართობის ელემენტებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებშიც არ იქნებოდა დავიწყებული.

სამარხეული ინვენტარი ღარიბია. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება სხვადასხვა ქვებით თავშემკული საკინძები და ფიბულა (ტაბ. XIII<sub>42,43,47</sub>). სამკაულებიდან აღსანიშნავია რკინის ბეჭედი, ბრინჯაოს დისკოსებური სასაფეთქლე, ფარაკიანი ბეჭედი, შემკული კიბორჩალის გამოსახულებით (ტაბ. XIII<sub>46</sub>). სამარხებში აღმოჩნდა მინის ერთადერთი სანელსაცხებლე (ტაბ. XIII<sub>45</sub>).

თიხის სარკოფაგები ათამდეა მიკვლეული. მათ იყენებდნენ კოლექტიური დაკრძალვისთვის. სარკოფაგებს აქვთ აბაზანისებული მოყვანილობა. მათი სიგრძე 2,1 მ-ს აღწევს, სიგანე შუა ნაწილში 65-85 სმ-ია. სიმაღლე სახურავის გარეშე 22-35 სმ. სარკოფაგებს პირზე და გვერდებზე შემოუყვება ჭდეული ორნამენტების რიგი (ტაბ. XIII<sub>48</sub>).

ისინი წითლადაა გამომწვარი. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კედლები სქელი. სარკოფაგები დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან-დასავლეთით. გვხვდება ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე დამხრობილი სარკოფაგიც. მათში ძვლები არეული იყო. ზოგიერთ სარკოფაგში ორ-ორი მიცვალებული დაეკრძალათ. ინვენტარი აქც ძალზე დარიბულია და შემოიფარგლება მძივებით შემკული საკინძებით და რკინის ბეჭდით (ტაბ. XIII<sub>42-43</sub>). პარალელური მასალების მიხედვით, ნივთები IV-V სს-ით თარიღდება.

ნაქალაქარის ტერიტორია და მისი შემოგარენი ღარიბია სასმელი წყლით. მართალია, ურბნისს გვერდზე მტკვარი ჩამოუდის, მაგრამ ნაქალაქარი მდინარის დონიდან საკმაოდ მაღლაა, რაც ართულებდა ქალაქის მომარაგებას მტკვრის წყლით. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ მიუხედავად ამ სფეროში არსებული გარკვეული სირთულეებისა, ქალაქი მარაგდებოდა როგორც სასმელი, ისე სამეურნეო საჭიროების წყლით. გალავნის კედლების ქვეშ გამოვლინდა სამი წყალსადენი არხი-გვირაბი. სამივე ნაგებია კირხსნარზე, დიდი ზომის აგურებით; კარგად გათლილი ქვებით ან ქვითა და კრამიტით. გაურკვეული რჩება საიდან მარაგდებოდა ქალაქი სასმელი წყლით. სამეურნეო წყალს კი ქალაქი და მისი უბნები იღებდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მდ. ლიახვიდან გამოყვანილი არხით, რომლის სიგრძე ოციოდე კმ-ია და იმდენად მაღალი საინჟინრო ხელოვნებით იყო ნაგები, რომ გასული საუკუნის 60-ან წლებშიც კი მოქმედებდა და განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველები.

ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში დგას V ს-ის სამნავიანი ბაზილიკა – ურბნისის სიონი (32,1x22,4 მ) (ტაბ. XI<sub>4-7</sub>). ტაძარი თავდაპირველად აუგიათ თანაბარი სიდიდის თლილი ქვით. IX ს-ის მეორე ნახევარსა თუ X ს-ში შეუკეთებიათ სხვადასხვა ზომის ქვათლილებით. XVII-XVIII სს-ში ტაძრის ზედა ნაწილი, სვეტები და პილასტრები აგურით აღუდგენიათ. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი. ნავები ერთმანეთისგან გამოყოფილია ოთხი წყვილი, ჯვრისებური გეგმის სვეტით, რომელზეც ეყრდნობა ნახევარწრიული თაღები. გვერდითი ნავები აღმოსავლეთით ბოლოვდება სამკვეთლოთი და საღიაკვნეთი. ტაძარს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ჰქონდა მინაშენები. ტაძარზე სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე წარწერაა, რომელთა შორის ყველაზე ადრეული ჩრდილოეთ ფასადზე V ს-ის პირველი ნახევრის ასომთავრული წარწერაა: „უფალო იქსუ ქრისტე, კოსტანტი, მამაი მიქაელ შეიწყალენ, ამის სიონისა მაშენებელნი“. წარწერაში მოხსენიებულია ტაძრის მაშენებელი კონსტანტი და მიქაელი. IX ს-ის მეორე ნახევრის თუ X ს-ის უნდა იყოს ტაძრის სამხრეთი კარის თავზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერა: „უფალო ღმერთო, შეიწყალე თევდორე ებისკოპოსი, ძევ ლუკასი, მაშენებელი ამის სიონისად. ოდეს ღმერთმან ღირსმყო ამის სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძუელებულ უფროის ზომასა. ოთხნი კუთხენი და კონქი განპებულ იყუნეს სუეტნი ქტცი (?) დამპალ იყუნეს და მომმადლა ღმერთმან ამის ყოვლისად აშენებად, ყოველთა გაკეთებად“. წარწერიდან ჩანს, რომ ტაძარი მნიშვნელოვნად ყოფილა დაზიანებული. ტაძარს ამგვარი დაზიანება არაბთა შემოსევის დროს უნდა მიეღო. ეტყობა დიდი ხნის მანძილზე მისი აღდგენა ვეღარ მოუხერხებიათ – „დაძველებულ უფროის ზომასა“-ო. როცა ქვეყანა ცოტა მოღონიერდა, IX ს-ის მეორე ნახევარში ან X ს-ში ტაძრის აღდგენა ურბნისის უკისკოპოს თევდორეს უთავია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ირკვევა, რომ თუ ურბნისი ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ქართლის ერთ-ერთი ძლიერ ქალაქს, რომლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებული იყო ვაჭრობა-ზელოსნობით, ადრეულ შუასაუკუნეებში ქალაქის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო. წარმოების ფეოდალურმა ხასიათმა თავისი დაღი დასვა ქალაქს. მოხდა ქალაქების აგრარიზაცია. ფეოდალური ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, საქალაქო მეურნეობას ბზარი უჩნდება და სუსტდება. ქალაქის ეკონომიკაში წამყვან ადგილს იკავებს სოფლის მეურნეობა და მისი პროდუქციით ვაჭრობა. ყოველივე ეს თვალნათლივ აისახა არქეოლოგიურ მასალაშიც. როგორც აღვნიშნეთ, ნაქალაქარზე მიკვლეულია ბელელი, სადაც დიდი რაოდენობით ინახებოდა ე. წ. რბილი ჯიშის ხორბალი. მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა ხაროები და ქვევრები, რომელთაც ძირზე დატანებული ჰქონდათ საპაროები. მარცვლეულის წარმოება-მოხმარებაზე მეტყველებს ნაქალაქარზე აღმოჩნდილი ხელსაფქავები. ჩანს, ურბნისელთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი მარცვლეულის წარმოება იყო.

VI-VIII სს-ის ურბნისში ყველაზე თვალში საცემია მარნებისა და ცალკეული ქვევრების სიმრავლე. ნაქალაქარზე ათამდე მარანია აღმოჩნდილი. მათში ქვევრების რიცხვი საშუალოდ 13-15-ს აღწევდა, რაც საერთო ჯამში ქვევრების დიდ რაოდენობას იძლევა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნაქალაქარზე ცალკეული ქვევრები არქეოლოგიური გათხრების დროს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩნდებოდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ადგილი ეპავა ურბნისელთა მეურნეობაში მევნახეობა-მეღვინეობას. ურბნისის ქვევრებში ათევლ ათასი დეკალიტრი ღვინო ინახებოდა. ბუნებრივია, ღვინის ასეთი რაოდენობა დიდ ზორებსაც უნდა გულისხმობდეს. ამდენი ღვინო მხოლოდ საოჯახო მოხმარებისთვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. უეჭველია, რომ ურბნელთა სამეურნეო ყოფაში ღვინოს სასაქონლო ხასიათი ექნებოდა.

წიპრების ანალიზით გაირკვა ყურძნის ორი უძველესი ჯიში, რომელიც მოჰყავდათ ურბნისელებს – გორული მწვანე და ხარისთვალა. უეჭველია, ამ ორის გარდა, იქ ყურძნის სხვა ჯიშებსაც კარგად იცნობდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ურბნისი დაინგრა და განადგურდა VIII ს-ის 30-ან წლებში, მურვან ყრუს შემოსევის დროს – „იყო ქალაქი ყრუსადმდე“ [ქც 1973:373<sub>10-11</sub>].

\* \* \*

**§4. ჭერემის ნაქალაქარი მდებარეობს გურჯანის რ-ში, მდ. ჭერმისწყლის (მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ჭერემთან და მის დასავლეთით მდებარე მაღალ კლდოვან ბორცვებზე. ნაქალაქარი შედგებოდა ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად დაშორებული რამდენიმე უბნისგან.**

წერილობითი წყაროების მიხედვით (ჯუმშერი), ქალაქ ჭერემის დაარსება ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული. ვახტანგმა ერთი ეპისკოპოსი დასვა „ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი-იგი მანვე

აღაშენა“ [ქც 1955:199<sub>2-3</sub>]. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჭერემი ვახტანგამდე არსებული ქალაქია. ჭერემი „იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასუა ეპისკოპოზი“ [ქც 1973:5465-6]. ჭერემი წარმოადგენდა შიდა და გარეკახეთის მაკაგშირებელ უმნიშვნელოგანეს სტრატეგიულ პუნქტს. თბილისიდან გზა გადიოდა მანავ-კაკაბეთზე, ჭერემზე და აქედან აღაზნის ველზე – ველისციხესთან. გორგასლის გარდაცვალების შემდეგ (V ს-ის მიწურული) ჭერემი დაინგრა ირანელების შემოსევების შედეგად.

1880 წელს ჭერემის ნაქალაქარზე დაზვერვები და მცირემასშტაბიანი გათხრები ჩაუტარებიათ დ. ფურცელაძესა და ფრ. ბაიერნს. მათ იქ გაუთხრიათ რამდენიმე სამარხი, რომლებიც აღმოჩენილი მასალის მიხედვით ადრეულ შუასაუკუნეებს მიეკუთვნება. 1979 წლიდან სოფ. ჭერემში და მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის ექსპედიცია (ნ. მამაიაშვილი).

სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია რამდენიმე მიწისზედა ძეგლი. მდ. ჭერემისწყლის მარცხენა მაღალ ნაპირზე დგას ერთიანი გალავნით შემოზღუდული გუმბათიანი კვადრატული ნაგებობა, ტაძარი და ეპისკოპოსის სასახლე. გუმბათიანი კვადრატული ნაგებობა ტაძრიდან რამდენიმე ნაბიჯზე მდგარა (მისი დიდი ნაწილი დაუნგრევიათ 1924 წელს ანტირელიგიური მოძრაობის დროს). ეს იყო რიყის ქვით ნაშენი, ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი გუმბათოვანი ნაგებობა, რომლის ქვედა, მიწისქვეშა სართული საძვალეს წარმოადგენდა (ტაბ. XIV<sub>1</sub>).

საეპისკოპოსო ტაძარი (წმ. ნიკოლოზის ეკლესია) სამეცნიერო ბაზილიკაა, რომლის შუა, მთავარ ეკლესიას აღმოსავლეთი მხრიდან შიგნით ნალისებური, გარედან ხუთწახნაგა შეკრისა აპიდა აქვს. ჩრდილოეთი და სამხრეთი ეკლესიები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან ნართექსით, ნახევარწრიული აპიდებით ბოლოვდება (ტაბ. XIV<sub>2</sub>). შუა ეკლესია მოპირკეთებულია შირიმის ქვით, ხოლო ჩრდილოეთი და სამხრეთი ეკლესიები აგებულია რიყის ქვით. გ. ჩუბინაშვილი ეკლესიას X-XI სს-ით ათარიღებდა და ფიქრობდა, რომ იგი აგებულია უფრო ძველი ტაძრის ადგილას, რომლის პირველადი ფორმა იყო სამნავიანი ბაზილიკა. თარიღი გარკვეულწილად ეყრდნობოდა აგრეთვე ეკლესის ფასადში ჩაშენებულ ქვაზე ამოკეთილ წარწერას, რომელსაც ლ. მელიქეთ-ბეგი შემდეგნაირად კითხულობდა: „(კათალი) კოზი მელქისე(დეკ)“ და შესაძლებლად მიიჩნევდა მასში XI ს-ის კათალიკოსი მელქისედექი გვეგულისხმა. თ. ბარნაველის აზრით, წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: „ესე საფლავი მელქისედეკის“. გაირკვა, რომ ეს საფლავის ქვა მეორადი დანიშნულებითაა გამოყენებული და ბუნებრივია, მასში კათალიკოს მელქისედექს ვერ ვიგულისხმებთ. ნ. ჩუბინაშვილის აზრით კი ეკლესია VIII-IX სს-ის უნდა იყოს.

გალავნით შემოზღუდულ იმავე ტერიტორიაზე მდებარეობს ეპისკოპოსის სასახლის ერთი კედელი (ტაბ. XIV<sub>3</sub>). შენობა ორსართულიანი ყოფილა. ორივე სართული დანაწევრებულია თაღებით. ყველა თაღი ნალისებური მოყვანილობისაა. შენობის ზედა სართული მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე ქვედა. იატაკი და ჭერი ხისა ყოფილა, ძელებზე დაყრდნობილი. შენობა ნაგებია ფლეთილი ქვით. სასახლე VIII-IX სს-ით თარიღდება.

შესაძლოა ნაქალაქარის ცალკე უბანს შეადგენდა მამა დავითის ეკლესია მიმდებარე ტერიტორიით. ეკლესია დგას სოფლის სასაფლაოზე და წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას დასავლეთის გარშემოსავლელით (ტაბ. XIV<sub>4</sub>). აბსიდა ნალისებურია. საკურთხეველში მაღალი ჩამოსაჯდომია. ნაგებია საშუალო ზომის მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვებით. დუღაბი ძუნწადაა გამოყენებული. შენობის კონსტრუქციულ ადგილებში გამოყენებულია შირიმის ქვები. ეკლესია თარიღდება V ს-ის ბოლოთი და VI ს-ის დასაწყისით.

სოფლის დასავლეთით, 5 კმ-ის დაცილებით მდებარე ბორცვზე – წვეროდაბალზე გაითხარა ნაქალაქარის ციტადელი (10 ჰა), რომელსაც სწორკუთხა გეგმა უნდა ჰქონოდა. ციტადელში შესწავლილ იქნა ციხე-დარბაზი, სასახლე, სამეურნეო ეზო. გაიწმინდა წმ. ბარბარეს ეკლესია, საკათედრო ტაძარი. გამოვლინდა ციტადელის გალავანი, ქალაქის სამხრეთი კარიბჭე, ქვაფენილით მოგებული ნაგზაური და სხვ.

კლდოვან კონცხზე აღმართულია ციხე-დარბაზი. ამ დიდ ნაგებობაში (300 მ<sup>2</sup>) განლაგებულია 6 ოთახი, 2 დერეზანი და კოშკი. ყველა ოთახი გადის ერთიმეორეში და შიდა ეზოში (ტაბ. XIV<sub>5</sub>). 1,5 მ სიგანის კედლები ნაგებია დიდრონი, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის ქვათლილების პორიზონტული წყობით. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია წვრილი ქვითა და დუღაბით. ციხე-დარბაზის ზოგიერთი სათავსის ქვეშ სარდაფი ყოფილა გამართული. ციხე-დარბაზი გადაუხურავთ დიდი ზომის დარიანი და ბრტყელი კრამიტებით. ციხე-დარბაზში შესასვლელს იცავდა ოთხკუთხა კოშკი.

ციხე-დარბაზსა და წვეროდაბალის ეკლესიას შორის გაითხარა სასახლის კომპლექსში შემავალი ნაგებობა (30,50x15,70 მ), დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. გაითხარა 3 დარბაზი, რომელთაგან თითოეულს კარი სამხრეთიდან ჰქონდა (ტაბ. XIV<sub>6</sub>). ჩრდილოეთიდან დარბაზებს ესაზღვრებოდა გაურკვეველი დანიშნულების ვიწრო სათავსები. შენობა ისევეა ნაგები, როგორც ციხე-დარბაზი. ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა. ქვედა სართული სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ამაზე მიანიშნებდა თიხატკეპნილ იატაკში ჩაჭრილი ხაროები.

აღწერილი ნაგებობიდან დაახ. 150 მ-ის დაშორებით დგას წმ. ბარბარეს ეკლესია, რომელიც სასახლის კარის ეკლესია უნდა იყოს. ეკლესია დარბაზულია. აქვს ნალისებური ფორმის საკურთხეველი (ტაბ. XIV<sub>7</sub>). კამარა ეყრდნობა გრძივ კედლებს. ეკლესია ისეთივე წყობითაა ნაგები, როგორც ციხე-დარბაზი და დიდი ნაგებობა. ეკლესია თარიღდება V ს-ის ბოლო მესამედით.

წვეროდაბალის, იგივე წმ. გიორგის ეკლესია თავიდან დარბაზული იყო (10,27x3,74 მ, გარშემოსავლელის სიგანე 2,40 მ). აგებულია შირიმის თლილი ქვით. ადგილებში გამოყენებულია კირქვის ქვები. სამი მხრიდან აქვს გარშემოსავლელი. აბსიდა, თაღი და კონქი ნალისებურია. საკურთხეველში კედლის გასწვრივ ჩამოსაჯდომია. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ კედელთან მიღებულია ტრაპეზი. საკურთხევლის მახლობლად გაჭრილი კარით ეკლესია უკავშირდება გარშემოსავლელის ჩრდილოეთ ნაწილში არსებულ სწორკუთხა სათავსს, რომლის სამხრეთ კედელში ღრმა ნიშია. ნალისებრი ზედა ნაწილი აქვს აბსიდში გაჭრილ

სარკმელს, ეკლესიის დასავლეთ და სამხრეთ შესასვლელებს (ტაბ. XIV<sub>8-10</sub>). ეკლესია მოქლებულია დეკორს. ეს ეკლესიაც თარიღდება V ს-ის ბოლო მესამედით.

ციტადელის ნაგებობების თხრისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით. მათ შორის გვხვდება III-IV სს-ით დათარიღებული მასალა. განსაკუთრებით მრავლადაა V ს-ის ნიმუშები. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია: ქვევრები, დერგები, ქოთნები, ბადიები, ჯამები. დოქები და ხელადები დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისგან. ყელწიბოიანი დოქების უმრავლესობის ზედაპირი ჩარხისეული ხაზებითაა დაფარული ან შემკულია ამოკაწრული კონცენტრული ტალღოვანი ხაზებით. გვხვდება ზედაპირნაპრიალები მსხლისებური ფორმის ხელადები, სამტურა ხელადები და სხვ. (ტაბ. XV). სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია წერნაქით შეღებილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით.

მინის ნაწარმი უმეტესად ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ესაა ზალიანი მინის ჭურჭელი, ფეხიანი სასმისები თუ ჭრაქები, სანელსაცხებლები და სხვ. ლითონის ნივთებიდან უნდა აღინიშნოს: ბრინჯაოს 4 სმ სიმაღლის ფეხებიანი სადგარი; რკინის ასტამი; რკინის საბეჭდავი პირზე ბოლნური ჯვრის გამოსახულებით (ტაბ. XV<sub>2-3</sub>).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა იმის შესახებ, რომ ჭერემი ვახტანგ გორგასალამდე არსებული ქალაქია, მტკიცდება სოფლის ტერიტორიაზე (რომელიც ნაქალაქარის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა), სკოლის მშენებლობის დროს გამოვლენილი III-VII სს-ის სამაროვნის მასალებით.

სამაროვანი 4 უბნადაა განლაგებული. I უბანზე გამოვლენილი III-IV სს-ის სამარხები დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ან ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. მიცვალებულთა პოზის გარკვევა შესაძლებელია ბოლო მიცვალებულის მიხედვით, რომელიც წევს მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე თავით დასავლეთით ან ჩრდილოეთით, მოხრილი კიდურებით. დანარჩენების ძვლები მიხვეტილია. იმ პერიოდის სამარხებში საკმაოდ მდიდრული ინვენტარია წარმოდგენილი. ინვენტარის აუცილებელი ნაწილია თიხის ჭურჭელი (ერთი სამარხის გარდა). სამარხებში გვხვდება რკინის მოხრილი და სწორი დანები (ზოგ სამარხში 4 დანა); უხვადაა წარმოდგენილი სამკაული. ყველა სამარხშია ბეჭდები. არის გემიანებიც (6 ც.). გემები რომაულია. სამაჯურები ორი ტიპისაა: თავებგადახვეული და თავებგახსნილი. შედარებით მცირერიცხოვანია საყურები. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი კონუსური მოყვანილობის, როგორც სადა, ისე დაფარული ზარაკები (ტაბ. XVI<sub>1</sub>). სამარხებში განსაკუთრებით მრავლადაა მძივები. გვხვდება მონეტები: ავგუსტუსისა და გოტარზესი.

II უბნის ქვის სამარხებიც, რომლებიც IV და IV-V სს-ით თარიღდება, კოლექტიურია. დამხრობილებია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიცვალებულები დასვენებულია მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. ამ სამარხებში კერამიკა სამარხეული ინვენტარის აუცილებელი ატრიბუტი უკვე აღარ არის (გამონაკლისია №2, 3 სამარხები). გვხვდება ერთი მასალისგან დამზადებული საკინძები. მძივების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს. გვხვდება ოთხკუთხაფარაკიანი ბეჭდი, რომელიც III-IV სს-ის

სამარხებში არ ჩანდა. V-VI სს-ის დასაწყისის სამარხებში უფრო კლებულობს ინვენტარი. გვხვდება ორწილადი საყურები, სამაჯურები, მშვილდსაკინძები (ტაბ. XVI<sub>2</sub>).

III უბანზე კოლექტიური ქვის სამარხების გარდა 3 ორმოსამარხია (IV და IV-V სს.). სამარხები დამხრიბილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. მიცვალებულები დაკრძალულია მარცხნა ან მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. №9 ორმოსამარხში მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი თავით დასავლეთით. ამ სამარხებში ინვენტარი კიდევ უფრო კლებულობს. ძირითადად გვხვდება: ორწილადი საყურები; სამაჯურები; ფარაკიანი და გემიანი ბეჭდები (ისეთივე, როგორც II უბანზე); ერთი მასალისგან დამზადებული საკინძები; ყველაზე თვალშისაცემია რკინის მშვილდსაკინძები (ტაბ. XVI<sub>3-4</sub>).

IV უბანზე VI-VIII ს-ის დასაწყისის კოლექტიური ქვის სამარხები გვხვდება. სამარხები დამხრიბილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ზოგიერთ სამარხში მიცვალებულები დასვენებულია როგორც ზურგზე გაშოტილი, ისე მარცხნა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. იმ პერიოდის სამარხებში იცვლება ინვენტარის ტიპები. განსხვავებულია სამაჯურები. გვხვდება სამაჯური წვრილი ღეროთი და დაბრტყელებული, გახსნილი ბოლოებით; სამაჯური ოთხწახნაგა ღეროთი, რომელიც ბოლოებისკენ იკეცება და მთავრდება კონუსური თავებით. ჩნდება საკინძოა ახალი ტიპები – სხვადასხვა ფორმისა და მასალის (ქარვის, მარგალიტის, მინის და სხვ.) საკინძისთავებით. გვხვდება ერთი მასალისგან – ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ბირთვისებურთავიანი საკინძიც. მშვილდსაკინძიც უკვე სხვა სახისაა – ბუდემთლიანი, მუხლსახსრიანი, ჭვინტიანი. სხვაგვარია აბზინდებიც – ერთწილადი, ჰერალდიკურფარაკიანი, ოთხკუთხა საქამრე ჩარჩოთი. საყურის მავთულის თავგახსნილ რგოლზე უკვე მძივებისგან შედგენილი 2 საკიდია წამოცმული; ჩნდება ორწილადი სასაფეთქლე რგოლები. მძივები, ისევე როგორც V-VI სს-ის სამარხებში, ცოტაა (ტაბ. XVI<sub>5-6</sub>).

სამაროვნის მასალების მიხედვით თუ კიმსჯელებთ, უკვე III ს-ის მეორე ნახევრიდან მაინც, ჭერემში ქალაქი ან ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ვივარაუდოთ.

გათხრებმა ცხადყო, რომ ჭერემის სახით საქმე გვაქვს ჯერ კიდევ III ს-ის მეორე ნახევარში ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებულ ქალაქთან. ის მდებარეობდა აღმოსავლეთიდან ქართლში მომავალ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალზე, რომლის ცალკეულ პუნქტებს შეადგენდა: ხორნაბუჯი, ველისციხე, საკუთრივ ჭერემი, უჯარმა და შემდგომ მცხეთა-თბილისი. V ს-ის მეორე ნახევარში ეკონომიკურთან ერთად, მან სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც შეიძინა და დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის დაცვის ერთიან სისტემაში. გარდა თვით ჭერემისა, ამ თავდაცვითი ჯაჭვის შემადგენელი რგოლები იყო: ხორნაბუჯი, ველისციხე და უჯარმა.

სპარსელთა შემოსევისას (V ს-ის მიწურულს), რასაც ვახტანგ გორგასალის სიცოცხლეც შეეწირა, ჭერემი აოხრდა. VIII-IX სს-ში ის კვლავ განაგრძობდა არსებობას,

მაგრამ არა ქალაქის, არამედ უკვე საეპისკოპოსო ცენტრის სტატუსით. ჭერემში შენდება წმ. ნიკოლოზის ეკლესია, საეპისკოპოსო სასახლე და სხვ.<sup>20</sup>

\* \* \*

**§5. ნეკრესის ნაქალაქარი მდებარეობს ყვარლის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, ყვარელ-თელავის შარაგზის მარჯვენა მხარეს. ისტორიული წყაროების თანახმად მისი აშენება მიეწერება მეფე ფარნაჯომს ძვ. წ. II ს-ში [ქც 1955:29\_3-4]. ახ. წ. IV ს-ში ნეკრესის ზღუდე გაუმაგრებია მირიან მეფის მამამბუძეს მირვანოზს [ქც 1955:65\_15]. IV ს-ის ბოლოს მეფე თრდატს იქ ეკლესია აუშენებია [ქც 1955:137\_16; ქც 1963:91]. ჩანს, IV ს-ში ნეკრესში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე ქრისტიანობის მიმდევარი ყოფილა. ვახტანგ გორგასალს ქალაქი თავის მემკვიდრე დაჩისთვის მიუცია [ქც 1955:199\_15]. V ს-ის ბოლოს ნეკრესი სპარსელებმა დალაშქრეს. თუმცა, შემდგომში ქალაქში ცხოვრება კვლავ გამოცოცხლებულა. მეფობაგაუქმებულ ქართლში ირანელებმა მტკიცებ მოიკიდეს ფეხი. ნეკრესი კი აქციეს მათი რელიგიის – ცეცხლთაყვანისმცემლობის (მაზდეანობის) ერთ-ერთ ძლიერ კერად. ბუნებრივია, მაზდეანობის მომძლავრებას ქრისტიანები ვერ ეგუებოდნენ. VI ს-ში აბიბოს ნეკრესელმა ეპისკოპოსმა, რომელიც აქტიურად იბრძოდა ცეცხლთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ, ქალაქში მდგარ მაზდეანთა ტაძარში წყლის დასხმით ჩააქრო წმინდა ცეცხლი, რის გამოც ირანელებმა ის სიკვდილით დასაჯეს [ძქალბ 1963:245].<sup>21</sup>**

1984-2008 წლებში ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ჭილაშვილი, 2005 წლიდან – ნ. ბახტაძე).

ნაქალაქარს უკავია კავკასიონიდან გამომავალ ორ კონცხს შორის არსებული ვაკე და ნაწილობრივ ტყით დაფარული ფერდობი (ტაბ. XVII\_1-2). კონცხებს შორის მანძილი 1,2 კმ-ია. გათხრების შედეგად გამოიკვეთა ქალაქის სამხრეთი ზღუდის ნაწილი დაახ. 260 მ მანძილზე. ზღუდის მონაკვეთები გამოვლენილია დასავლეთ მონაკვეთში და აღმოსავლეთ მხარეს, ვიდრე „ნაზვრევ გორამდე“. ზღუდის საძირკველი მსხვილი ქვებით, მშრალი წყობითაა ნაშენი. შემორჩენილია ქვების ერთი ან ორი რიგი. კედლის სიგანეა 1,8 მ. ზღუდის გასწვრივ აღმოჩენილი წითელკეციანი კერამიკული ნატეხების მიხედვით, შეიძლება ზღუდე ძვ. წ. II ს-ით დათარიღდეს, რასაც წერილობითი წყაროებიც ადასტურებს [ქც 1955:29\_3-4].

<sup>20</sup> მეტ-ნაკლებად ინტენსიური ცხოვრება ჭერემში XIII ს-ის ბოლოდან – XIV ს-ის დასაწყისამდე შეინიშნება. ციტადელის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა განვითარებული შუასაუკუნეების მარანი და საწნახლები, სამურნეო ორმოები და სხვ. ამის შემდეგ ჭერემი უკვე მიტოვებული ჩანს.

<sup>21</sup> გვიანდელ შუასაუკუნეებში ნეკრესი კვლავ ფუნქციონირებდა, როგორც საეპისკოპოსო ცენტრი, რომელიც ფლობდა სასპასპეტო დროშას. სადროშობი შედიოდა გაღმა მხარე ელისენითურთ. ნეკრესის მონასტერში სამცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა XVIII ს-ის 40-50-ანი წლებიდან და არ შეწყვეტილა XIX ს-ის 10-ან წლებამდე. იმ პერიოდში ნეკრესში მოღვაწეობდნენ: ივანე ჯორჯაძე, ნიკოლოზ ნეკრესელი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ამბროსი მიქელაძე და სხვ.

ნაქალაქარის ტერიტორიის გარეთ, „ნაზვრევი გორის“ ქვეშ, გაშლილი ველის ცენტრში, რომელსაც მოსახლეობა „საკირევებს“ უწოდებს, აღმოჩნდა ცეცხლის ტაძარი (ტაბ. XVII<sub>3</sub>). ძეგლი საძირკვლის დონემდევა შემორჩენილი. ნაგებობაში გამოიყო თრი სამშენებლო ფენა. ზედა ფენა წარმოდგენილია ციხე-სასახლის სახით. ქვედა ფენა რთული გეგმარების ცეცხლის ტაძარია. ორივე ფენის ნაგებობების სამშენებლო მასალაა რიყის დიდორინი ქვები და ფლეთილი ლოდები კირხსნარზე. აგური გამოყენებულია მხოლოდ ზედა სამშენებლო ფენის ნაგებობაში.

ტაძრის გეგმა კვადრატულია (50x50 მ). აგებული ყოფილა დიდი ზომის შერჩეული ფლეთილი ქვით კირდულაბზე. ნაგებობის არქიტექტურული სივრცე ვითარდება ანსამბლის ცენტრში არსებული ოთხკუთხა სათავსის ირგვლივ. მის ოთხივე კედელს გარედან ებჯინება ვიწრო დერეფნით გამოყოფილი, ასევე ოთხკუთხა მოხაზულობის ნაგებობები, რომელთაგან თითოეული ცენტრისკენ მიმართული, ნახევარწრიული მოხაზულობის აბსიდით ბოლოვდება. აბსიდანი სათავსები და მათი მინაშენები გარე კედლებისგან გამოიყოფა ვიწრო დერეფნებით. ანსამბლის გარე კედლებს ოთხივე მხარეს, შუა ადგილებში აქვს ღიობები, რომლებიც აბსიდანი სათავსების შესასვლელებს უსწორდება. გარდა ცენტრალური ოთხკუთხა ნაგებობისა, არსად იატაკზე აგურფენილი არ შემორჩენილა (ტაბ. XVII<sub>3</sub>). ტაძარი უნდა იყოს მაზდენური სარწმუნოების მიმდევარი საზოგადოების სამლოცველო. ტაძარი ფუნქციონირებდა II-IV ს-ში. ის IV ს-ში ძალითაა დანგრეული, როგორც ჩანს, ქრისტიანების მიერ. შემდგომში ტაძრის ნანგრევებზე ციხე-სასახლე დაუშენებიათ.

მაზდენური ტაძრის გათხრებისას გამოვლენილი მცირერიცხოვანი არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია თიხის სამფეხა სასაკმევლე, რომელზეც აღბათ წმინდა ცეცხლი ენთო. სარიტუალო დანიშნულებისაა რკინის ორკაპი, რომელიც გამოიყენებოდა „წმინდა პურის“ განაწილებისას და ნალისებური მოყვანილობის ნივთი მოკაუჭებული ბოლოებით (ტაბ. XVII<sub>4-5</sub>). ამ უკანასკნელზე იკიდებოდა ორყურა საწურიანი დოქები, რომლებშიც მაზდეანთა წმინდა სითხე „ჰამა“ ესხა.

ზედა ფენის შენობა, ციხე-სასახლე აგებული უნდა იყოს IV ს-ის დასაწყისში. ციხე-სასახლე მტრის ხელითაა დანგრეული V ს-ის ბოლოს. დანგრევა შეიძლება სპარსელთა შემოსევას უკავშირდებოდეს.

ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში ადგილ „ნაგებებთან“, რომელსაც მეორენაირად „სამარხების სერსაც“ უწოდებენ, გაითხარა რამდენიმე ფენიანი ხუროთმოძღვრული კომპლექსი. მის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს მარანი. ის მოზრდილი 400 მ<sup>2</sup>-მდე ფართობის მართკუთხა გეგმის (დაახ. 20x20 მ) ნაგებობაა. ნაშენია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. დასავლეთიდან აქვს კარგად მოწყობილი თაღედიანი საფასადო შესასვლელი. სახურავი ეყრდნობოდა ქვით ნაგებ სვეტებს. მარნის კედლების შიდა პერიმეტრზე გარდა სამხრეთი კედლისა, ქვით ნაშენი 5 საწნახელი იყო მოწყობილი (ტაბ. XVII<sub>6</sub>). საწნახლების სიგრძე 6-6,5 მ-ია. ჩრდილოეთ კედლზე მიშენებულია მართკუთხა გეგმის დიდი ცისტერნა (3,4x1,82 მ), რომელშიც წყალი გროვდებოდა შენობაში შემომავალი თიხის მილების საშუალებით. მეორე, უფრო დიდი ცისტერნა მდებარეობს პირველის გვერდით. მარნის

ცენტრალურ ნაწილში დაახ. 20-მდე დიდი და ამდენივე მცირე ქვევრი ყოფილა გამართული. მარანი თავისი მოცულობით ნათლად ადასტურებს ამ რეგიონში ღვინის მრეწველობის ფართოდ, სასაქონლო მასშტაბის დონეზე განვითარებას. მარნის 5 დიდ საწნახელში ერთდროულად რამდენიმე ტონა ყურძნის დაწურვა შეიძლებოდა. ასეთი რაოდენობის ღვინის წარმოება მარტო ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ უნდა ყოფილიყო გამიზნული. საფიქრებულია, რომ აქ დაყენებული ღვინის გარკვეული ნაწილით მთის მოსახლეობა მარაგდებოდა. რადგან IV ს-ში ნეკრესი სამეფო ქალაქი იყო, მარნის მასშტაბებიდან გამომდინარე, ის ალბათ სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა. მარნის მოწყობისა და ფუნქციონირების ხანა IV-V სს-ით განისაზღვრა და მისი დანგრევა დაუკავშირდა სპარსელთა შემოსევას V ს-ის ბოლოს.

მნიშვნელოვანია მარნისა და საწნახლების კედლებში გამოვლენილი ქვაზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერები. წარწერა №1 ჩაშენებული იყო ნაგებობის ჩრდილოეთ კედელში მეორადი გამოყენებით (ქვის სიგრძე 46 სმ, სიგანე 17,5 სმ, სისქე 7-7,5 სმ). წარწერაში იკითხება – „აბ ზა გივ ჩ“ (ტაბ. XVII<sub>8-1</sub>). პირველი ორი ასო შეიძლება გადმოსცემდეს საკუთარ სახელს „აბაზა“. რადგან წარწერა კედელშია ჩაშენებული მეორადი გამოყენებით, ბუნებრივია, ქრონოლოგიურად ის წინ უსწრებს სასახლე-დარბაზის ფუნქციონირებას. წარწერა №2 აღმოჩნდა №1 საწნახლის სამხრეთი კედლის თავზე (ქვის სიგრძე 68 სმ, სიგანე 12-14,5 სმ). წარწერა ერთსტრიქონიანია. იკითხება „ლევაკი“ (ტაბ. XVII<sub>8-2</sub>). წარწერაში გადმოცემულია საკუთარი სახელი. ის სტელა უნდა ყოფილიყო. წარწერა №3 აღმოჩნდა სტელაზე, რომელიც ჩაშენებული იყო №1 საწნახლის კედელში (ქვის სიგრძე 69 სმ, სიგანე 20-23 სმ). წარწერა ოთხსტრიქონიანია. იკითხება „თობულას სამნი“ (ტაბ. XVII<sub>8-3</sub>). პირველ სიტყვაში ალბათ საკუთარი სახელი უნდა ამოვიცნოთ. მეორე შეიძლება იყოს რიცხვითი სახელი ან „სამანი“ – მიჯნის აღმნიშვნელი სიტყვა. №4 წარწერაზე იკითხება „იოთორისი“ (ტაბ. XVII<sub>8-4</sub>). №5 წარწერაზე ამოკაწრულია „ესე საფ[ლავ]ი...“ (ტაბ. XVII<sub>8-5</sub>). №6 წარწერაზე ვკითხულობთ „ესე საფლავი ნოშისი და ბავასი ნუმცა ვის ხელე[წი] ფების ჩ[ი]“ (ტაბ. XVII<sub>8-6</sub>).<sup>22</sup>

ლ. ჭილაშვილის აზრით, წარწერები თავისი შინაარსით ეპიტაფიანი საფლავის ქვებია. ისინი მოკლებულია ქრისტიანულ სიმბოლიკას და ღვთაებისადმი ტრადიციულ, აუცილებელ ვედრებას. ვინაიდან ეს წარწერიანი ქვები IV ს-ის მარნის კედლებში და საწნახლებში მეორადი დანიშნულებით, უბრალო საშენ მასალადაა გამოყენებული, ბუნებრივია, ისინი უფრო ადრეული სამაროვნიდან მომდინარეობენ. ეს საფლავის ქვები კომპლექსის იმავე ფართობების ქვედა ფენებში დადასტურებულ IV ს-ზე გაცილებით ადრეულ წარმართულ სამარხებს განეკუთვნებიან. მარანი გამართულია ძვ. წ. III-II სს-ის წარმართულ სამლოცველოზე, რომლის ნაშთები გამოვლინდა მარნის იატაკის რამდენიმე ადგილას ჩაჭრის შემდეგ.

<sup>22</sup> ერთი წარწერა შესრულებულია ქვევრის პირზე გამოწვემდე. შემორჩენილია მხოლოდ წარწერის ნაწილი. იკითხება – „მბ ესე ჭური დავრგე“ (ტაბ. XVII<sub>9</sub>). ლ. ჭილაშვილის აზრით, ქვევრის წარწერა მარნის ფუნქციონირების დროისაა და ის შეიძლება V ს-ს მიეკუთვნოს. სხვა მოსაზრებით, წარწერა IX-X სს-ზე ადრეული არ ჩანს (ბ. ხურცილაგა).

შესაძლოა ამ წარმართულ სამლოცველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა სამარხები ეპიტაფიანი ქვებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საეჭვოა მარნის დათარიღება IV ს-ით, რაც თავის მხრივ წარწერების აღრეული ხანით დათარიღებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტადაა გამოყენებული. წარწერების თარიღის ამგვარი დამველება, გათხრებისას მიკვლეული სხვა არტეფაქტების გათვალისწინების გარეშე, მართებული არაა.

წარწერების პირველ პუბლიკიზირებში ლ. ჭილაშვილი მიუთითებდა, რომ მარნის ქვემოთ არსებული შენობა აგებული უნდა ყოფილიყო IV ს-ის მეორე ნახევარში და განადგურებულა V-VI სს-ის მიჯნაზე. მოგვიანებით კი მის ადგილას მოუწყვიათ მარანი, ცისტერნა-საწნახლებით [ჭილაშვილი 1990:133-135]. ავტორის ეს თავდაპირველი მოსაზრება მარნის თარიღის შესახებ უფრო რეალური უნდა იყოს.

მკვლევართა დიდმა ნაწილმა სრულიად სამართლიანად არ გაიზიარა ნეკრესის წარწერების ამგვარი დამველება. პალეოგრაფიული, ენობრივი, არქეოლოგიური თუ ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი მასალების ანალიზის საფუძველზე მათი წინაქრისტიანული ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებად გამოცხადების მყარი მტკიცებულება რეალურად არ არსებობს. წარწერების ნაწილი უკეთეს შემთხვევაში V-VIII სს-ით (№1, 3), ნაწილი (№2, 4, 5) კი IX-X სს-ით უნდა დათარიღდეს (ბ. ხურცილავა).

მარნის მახლობლად 30-ოდე მ-ის დაშორებით მდებარეობს VI ს-ის სამეკლესიანი ბაზილიკა (ტაბ. XVIII<sub>1</sub>). ეკლესია ნაგებია არათანაბარი ზომის კარგად შერჩეული ფლეთილი ქვებით. ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია შირიმის ქვებიც. აბსიდა ნახევარწრიულია. ცენტრალური ეკლესია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელში არსებული კარით უკავშირდება მართკუთხა გეგმის პასტოფორიუმებს. ბაზილიკაში შესასვლელი სამი მხრიდანაა. ამათგან ორს ჰქონია შეწყვილებული ღიობები, რომლებიც ერთმანეთისგან წრიულგანივალებით სვეტით ყოფილა გამოყოფილი. ჩრდილოეთის შესასვლელი ერთლიობიანია. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეკლესია VIII ს-ის პირველ ნახევარში, სავარაუდოდ, მურვან ყრუს ლაშქრობისას აოხრებულა. თუმცა, ეკლესია ფუნქციონირებდა განვითარებულ შუასაუკუნეებშიც.

ნაქალაქარის ცენტრალურ უბანში, ადგილ „ჭაბუკაურში“ აღმოჩნდა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კომპლექსის ნანგრევები. ანსამბლის ცენტრალური ნაგებობაა დიდი ბაზილიკა (39x15 მ), რომელიც 5 წყვილი მართკუთხა კვეთის სვეტით სამ ნავად იყო გაყოფილი (ტაბ. XVIII<sub>2</sub>). საკურთხეველი მართკუთხაა. მის მარჯვნივ და მარცხნივ ასევე მართკუთხა გეგმის პასტოფორიუმების მსგავსი მცირე სათავსებია. ტაძარში მოხვედრა შეიძლებოდა დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის კარით. ტაძარი ნაგებია მსხვილი ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. ზუსტად დასამუშავებელ ადგილებში გამოყენებულია შირიმის ქვები. კედლების სიგანეა 1-1,2 მ. ტაძარი გადახურული ყოფილა კრამიტით. ინტერიერში მრავლად აღმოჩნდა რკინის ლურსმნები და ხის კოჭების კვალი. შენობა შიგნიდან კირით გალესილი და მუქ წითლად შეღებილი ყოფილა. შენობის ნანგრევები ძირითადად ერთ ხაზზე, ჩრდილოეთით იყო გადაწოლილი.

ტაძრის საკმაოდ მდიდრული ინვენტარიც ნანგრევების ქვეშ იყო მოქცეული ხელუხლებლად. ეს სურათი დამანგრეველ მიწისძვრაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ეკლესია აგებული უნდა იყოს IV ს-ში და მისი მშენებლობა წერილობითი წყაროს ცნობაზე დაყრდნობით მეფე თრდატს შეიძლება მიეწეროს [ქც 1955:137<sub>16</sub>].<sup>23</sup>

ბაზილიკის დანგრევის შემდეგ, მის შედარებით უკეთ გადარჩენილ ჩრდილოეთ კედელზე უფრო მცირე ზომის ეკლესია მიუშენებიათ. მისი კედლები ზოგან ძველი ტაძრის ნანგრევებზეა გადატარებული (ტაბ. XVIII<sub>2</sub>). ახალი ეკლესიის კედლებში სრულიად შეუსაბამო ადგილებში ჩატანებულია ძველი ბაზილიკის შირიმისგან ნათალი ქვები. ეკლესიის საკურთხეველი ნალისებურია. ეკლესიას ჩრდილოეთ მხარეს გაუყვებოდა ვიწრო სტოა, რომელიც ნახევარწრიული აბსიდით ბოლოვდებოდა. ეკლესია VI ს-ით თარიღდება.

„ჭაბუკაურის“ კომპლექსში შედის კიდევ ერთი პატარა (10,5x6 მ) და მარტივი დარბაზული ეკლესია, რომელიც დიდი ბაზილიკიდან 5 მ-თაა დაშორებული. ეკლესიაში შესავლელი სამივე მხრიდან ყოფილა (ტაბ. XVIII<sub>2</sub>). ეს ნაგებობა დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების დროინდელ (IV-V სს.) ბაპტისტერიუმად (სანათლავად) არის მიჩნეული. ეს გარემოება კარგად ესადაგება იმ ისტორიულ ცნობას, რომ აღმოსავლურ ქრისტიანული სამყაროს ტაძრებს IV-V სს-ში განცალკევებით აგებული სანათლავები გააჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ დიდი ბაზილიკის არქიტექტურული თემა ნასაზრდოები ჩანს რომაულ-ბიზანტიური ბაზილიკური ხუროთმოძღვრების ტენდენციებით. თუმცა, რიგ დეტალებში იგრძნობა აღმოსავლური ქრისტიანული ქვეყნების ბაზილიკებისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც. პირველ რიგში ეს თექმის მართკუთხა გეგმის საკურთხეველზე, რომელსაც ჩვენში ანალოგი არ მოეპოვება. სამაგიეროდ ისინი გვხვდება IV-VI სს-ის ჩრდილოეთ სირიის და პალესტინის ბაზილიკებში. უფრო იშვიათად მესოპოტამიასა და ეგვიპტეში. მართკუთხა გეგმის საკურთხევლების კეთებას ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში შემდგომი განვითარება აღარ ჰქონია. „ჭაბუკაურის“ ბაზილიკის მნიშვნელობა იმითაცაა ხაზგასასმელი, რომ არ გამართლდა ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული აზრი, თითქოს ქრისტიანობის მიღებიდან სულ ცოტა ერთი საუკუნის განმავლობაში ჩვენში მხოლოდ მცირე ეკლესიები იგებოდა და არა დიდი ბაზილიკები.

„ჭაბუკაურის“ დიდი ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩნდა IV-V სს-ის ძალზე საინტერესო არქეოლოგიური მასალა: თიხის სამტუჩა დოქი, მინის სანელსაცხებლე, ბრინჯაოს ლამპრები და სხვ. (ტაბ. XVIII<sub>3-9</sub>).

VI ს-ის ბაზილიკის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სპარსეთის შაპის ჰორმიზდ IV-ის (579-590) (ტაბ. XVIII<sub>10</sub>) და ბიზანტიის იმპერატორ მავრიკიუს ტიბერიუსის (582-602) ვერცხლის მონეტები.

<sup>23</sup> ბაზილიკის ქვეშ გამოვლინდა დიდი წარმართული ტაძრის ნაშთები. მისი ნაწილები ბაზილიკის მშენებლებს ახალი ნაგებობის კედლებისა და სვეტების საძირკვლად დაუტოვებიათ. როგორც ჩანს, ის ყოფილა ე.წ. „სექციური ტიპის“ ტაძრი, რომელიც ერთმანეთთან ცენტრალურ ღერძზე განლაგებული გასასვლელებით დაკავშირებული სულ ცოტა 5 ოთახისგან შედგებოდა. წარმართული ტაძრების ადგილზე ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ახალი რელიგიის ძველზე გამარჯვების სიმბოლოდ მიიჩნეოდა (ნ. ბახტაძე).

დურუჯისპირა სამნავიანი ბაზილიკა მდებარეობს ქ. ყვარლის შემოგარენში. ფიქრობენ, რომ ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარი, რომლის ფარგლებში შედიოდა დურუჯისპირა ბაზილიკა, იყო ქალაქ ნეკრესის ერთ-ერთი უბანი.<sup>24</sup> ტაძარი ზოგჯერ დოლოჭოპის ბაზილიკის სახელითაც მოიხსენიება. თარიღდება V ს-ის შუა ხანებით. განადგურებული ჩანს VIII-IX სის-ში არაბთა შემოსევების შედეგად. ნაწილობრივ აღუდგენიათ დაახ. XI ს-ში. შემდგომში, სალოცავის ტერიტორია სამაროვანად გამოუყენებიათ. ტაძარს (36x18,35 მ. კედლების სიგანე 1,2 მ) შესასვლელი ჰქონია სამივე მხრიდან. დარბაზი 5 წყვილი ჯვრისებრი გეგმის სვეტით სამ ნაგად იყო დაყოფილი. სვეტები მდგარა მართკუთხა გეგმის, დაახ. 2x2 მ სიგრძე-სიგანის, 20-25 სმ სიმაღლეზე შემორჩენილ ცოკოლებზე. კედლები და სვეტები ნაგებია კლდის ფლეთილი, ოდნავ დამუშავებული და რიყის ქვებით კირხსნარზე. თაღების გამოსაყვანად და სვეტების იმპოსტებად შირიმის გათლილი ქვებია გამოყენებული. აბსიდა ნალისებურია. აბსიდს რთული აღნაგობის სინთრონონი შემოუყვება. ოთხსაფეხურიან ხარისხზე დაფუძნებული ყოფილა სამუზეო ტახტი, რომელსაც დასავლეთით ვიწრო ფუძით მიმართული და აღმოსავლეთ კედელზე მიყრდნობილი, ტრაპეციის მოხაზულობა ჰქონდა (ტაბ. XVIII<sub>13</sub>). მსგავსი აღნაგობის სინთრონონით აღჭურვილი საკურთხეველი საქართველოში დღემდე უცნობი იყო. თუმცა, მათ მრავლად ვხვდებით ბიზანტიურსა და აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ადრეული შუასაუკუნეების საეკლესიო არქიტექტურაში, ძირითადად, საკათედრო ტაძრებში.

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითი ნაგების გაგრძელებაზე, სწორგუთხა გეგმის სათავსებია მოწყობილი. მათში შესასვლელი ნაგებიდანაა. საკურთხევლის მარცხნივ მდებარე სათავსს თავდაპირველად შესასვლელი ჰქონია ჩრდილოეთი მხრიდანაც. აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, V-VI სის-ის მიჯნამდე ამგვარი სათავსები ასრულებდნენ თუ არა სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ფუნქციას აღმოსავლურ ქრისტიანულ თუ ქართულ ტაძრებში. ბაზილიკის აგებიდან დაახ. ერთი საუკუნის შემდეგ ხდება საკურთხევლის მარცხნივ მდებარე სათავსის ჩრდილოეთი კარის გაუქმება, რაც შესაძლოა ლიტურგიის წესის ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ სათავსი უკვე სამკვეთლოდ გამოუყენებიათ. ბაზილიკას ჩის კონსტრუქციებსა და ნივნივებზე დაყრდნობილი კრამიტის საბურველი ჰქონია. გათხრებისას დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თეთრ-წითლად მოხატული შვერილიანი თიხის ფილები, რომლებიც სახურავის დაბოლოებას ამშვენებდა. ნავების გამყოფ თაღნარზე დაყრდნობილ კედელთა სულ ზედა რეგისტრში, ცენტრალური და გვერდითი ნავების სახურავებს შორის მოქცეულ მონაკვეთებში, დატანებული უნდა ყოფილიყო 40-45 სმ სიგანის სარკმლები.

დურუჯისპირა ბაზილიკა (ჭაბუკაურის ბაზილიკასთან ერთად) კიდევ ერთხელ აბათილებს იმ მოსაზრებას, რომ ჩვენში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სულ ცოტა ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოში არ იგებოდა რომაულ-ადრებიზანტიური თუ აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს თითქმის ყველა

<sup>24</sup> შდრ. ქ. მცხეთის უბნები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული იყო.

პროვინციაში IV ს-ის პირველ ნახევარშივე საყოველთაოდ გავრცელებული სტილის, აღმოსავლეთ-დასავლეთ ლერძზე მკვეთრად წაგრძელებული, 5 და მეტი წელი სკეტით ნავებად დაყოფილი დიდი ბაზილიკები. ამასთან, რომაულ-ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლური პროგინციების „სტანდარტებთან“ ძალზე მიახლოებული დურუჯისპირა ბაზილიკა ადასტურებს ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების [ქც 1955:1179-10] სანდოობას იმის თაობაზე, რომ პირველ ქრისტიანულ ტაძრებს ჩვენში სწორედ ქართლის მეფეთა მიერ ბიზანტიიდან მოწვეული ხუროთმოძღვრები აგებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლში წინაქრისტიანულ ხანაში დადასტურებული მაღალი სამშენებლო კულტურის ტრადიციებიდან გამომდინარე, სულ ცოტა ხანში ეკლესიები უკვე შენდებოდა ბიზანტიური ეკლესიათმშენებლობის მეთოდებს კარგად ნაზიარები ადგილობრივი ოსტატების მიერაც, ქრისტიანული კანონიკის სრული დაცვით. VI ს-დან საქართველოში რომაულ-ბიზანტიური სამყაროდან მექანიკურად გადმონერგილ, ხის კონსტრუქციებით გადახურულ ბაზილიკებს ცვლის შედარებით ნაკლებად წაგრძელებული, ქვის თაღური კამარებით შეკრული, ძირძევლი ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გათვალისწინებით ნაგები სამნავიანი, ბოლოს კი სრულიად ორიგინალური სამეცნიერებისანი ბაზილიკები (ნ. ბახტაძე).

ყოვლადწმინდა სამების VI ს-ის სამეცნიერებისანი ბაზილიკა მდებარეობს ნაქალაქარის მახლობლად, „ნაზვრევი გორიდან“ 3 კმ-ის დაშორებით (ტაბ. XVIII<sub>II</sub>). ეკლესია ნაგებია არათანაბარი ზომის ფლეთილი ქვებით. არქიტექტურული სიზუსტისათვის საჭირო ადგილებში შირიმია გამოყენებული. აბსიდი ნახევარწრიულია. საკურთხევლის სარკმლის აქეთ-იქით თითო პატარა ნიშია. სარკმლის ქვეშ ფლეთილი ქვით ნაგები ტრაპეზია. ცენტრალური ეკლესია კარის საშუალებით ჩრდილოეთით არსებულ ეკვდერს უკავშირდება, სამხრეთის კარით – სამხრეთის ეკლესიას, ხოლო დასავლეთის კარით ჩრდილოეთისა და სამხრეთის სათავსთა გარშემოსავლელს (ტაბ. XVIII<sub>II</sub>). ტაძრის დასავლეთ გარშემოსავლელში ცენტრალური დარბაზის სიმაღლეზე მოწყობილია მეორე სართული, სადაც გამართულია პატარა სათავსი, სამხრეთ კედელზე მიშენებული სარეცლით. სათავსი ვიწრო სარკმელით უკავშირდება ცენტრალურ ეკლესიას. ეს სათავსი ტაძრის მშენებლობის ხანაშივე ალბათ დაყუდებული ბერის სენაკად იყო აგებული. ტაძრის ინტერიერი კირით ყოფილა შელესილი. ეკლესიის მთავარი დარბაზი მოხატული ყოფილა. მისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ნატეხებიდან ჩანს, რომ მოხატულობა მოკლებული იყო სიუჟეტებს და მხოლოდ შავ-წითელი ფერის გეომეტრიული ორნამენტით იყო წარმოდგენილი. ამგვარი „უსაგნო“ მოხატულობები IV-VII სს-ის აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროსთვის საკმაოდ დამახასიათებელი ყოფილა. ჩრდილო-აღმოსავლეთის ეკვდერი კრიპტის მოვალეობას ასრულებდა. იქ აღმოჩნდა ძვალთშესალაგი აკლდამა ( $1,4 \times 1,55 \times 0,9$  მ). აკლდამის ზომები გვაფიქრებინებს, რომ მასში მიცვალებულებს გაშოტილ პოზაში არ მარხავდნენ და საქმე გვაქვს ძვალთშესალაგთან ანუ იქ ხდებოდა სხვაგან დასვენებული მიცვალებულების ძვლების გადმოსვენება. როგორც ირკვევა, საძვალე ტაძრის მშენებლობის დროსვე იყო აგებული, როგორც მონასტრის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი.

ტაძარზე ჩრდილოეთიდან მიღვმულია საკმაოდ ვრცელი ტრაპეციული გეგმის შენობა (ტაბ. XVIII<sub>11</sub>). ჩანს, მასში სატრაპეზო ყოფილა მოწყობილი. სატრაპეზოზე თავის მხრივ კიდევ მიუშენებიათ ნაგებობები, რომელთაც სამზარეულოს, საკუჭნაოსა და მარნის ფუნქცია ეკისრებოდა. მათ გარდა, კომპლექსის ახლოს მდგარა რამდენიმე მომცრო შენობა, რომლებიც ბერების სენაკები უნდა ყოფილიყო.<sup>25</sup>

ნაქალაქარის აღმოსავლეთ კლდოვან კონცხზე – „ნაზვრევ გორაზე“ განლაგებულია ნეკრესის ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურული ანსამბლი. ამჟამად სამონასტრო კომპლექსში შედის ორი მოზრდილი ეკლესია, ორი მცირე სამლოცველო, სატრაპეზო, ეპისკოპოსის სასახლე, საბრძოლო კოშკი, რამდენიმე საყოფაცხოვრებო ნაგებობა საფორტიფიკაციო სისტემების ნაშთები (ტაბ. XVII<sub>2</sub>). დიდი ხნის განმავლობაში ქალაქ ნეკრესის ტერიტორიის მხოლოდ ეს ნაწილი იყო ცნობილი. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ადრეული შუასაუკუნეების ქალაქი მოიცავდა გაცილებით ფართო ტერიტორიას, მათ შორის კლდოვანი კონცხის ქვემოთ გაშლილ ველსაც.

„ნაზვრევ გორაზე“ არსებულ ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში ყურადღებას იმსახურებს ბოლო ხანებამდე „IV ს-ის ბაზილიკად“ წოდებული მცირე სამლოცველო, რომლის შესახებ არქეოლოგიურ გათხრებამდე არაერთი განსხვავებული მოსაზრება იყო გამოთქმული.<sup>26</sup> სამლოცველო ქვის სუბსტრუქციაზე ამოყვანილი სამი სხვადასხვა სიმაღლის მოცულობისაგან შედგენილი ნაგებობაა. ცენტრალურ ნაწილს დაბაზული ეკლესიის გეგმა აქვს. აღმოსავლეთით მინატურული საკურთხეველია. ეს დაახ. 4 მ<sup>2</sup> ფართობის სათავსი კოშკისებურადაა აზიდული. მას ჩრდილოეთით და სამხრეთით ჰქონია ფართო ლიობები, რომლებითაც ოთხივე მხრივ ფანჩატურისებურად გახსნილ სივრცეებს უკავშირდებოდა. ამ გვერდითა სათავსებს დაბალი, კამარისებური გადახურვა ჰქონია. ჩრდილოეთი სათავსის ქვეშ კრიპტაა, რომლის კედლები სამლოცველოს კედლებს გარეთ გადის (ტაბ. XVIII<sub>12</sub>).

თავის დროზე, გ. ჩუბინაშვილი ამ მცირე სამლოცველოს საქართველოში ქრისტიანული ბაზილიკების თემის ერთ-ერთ ემბრიონულ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი აღნაგობის ნიმუშად მიიჩნევდა და მას IV ს-ით ათარიღებდა. ამ ძეგლის აღნაგობის გათვალისწინებით ფიქრობდა, რომ პირველი ქართული ეკლესიები ბოლომდე გაუაზრებელი კონცეფციებით იყო ნაგები. პირველი ეკლესიების პატარა ზომები კი განპირობებული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მიერ ამ ახალი რელიგიის უნდობლობით ან უჩვეულო მოკრძალებით. წირვისას მხოლოდ

<sup>25</sup> კომპლექსის გათხრებისას აღმოჩენილი X-XIV სს-ის არქეოლოგიური მასალა, ძირითადად, მოჭიქული კურამიკა, იმაზე შეტყველებს, რომ მონასტერი ფუნქციონირებდა განვითარებულ შუასაუკუნეებშიც, ვიდრე თემურლენგის გამანადგურებელ ლაშქრობებამდე. შემდგომში იქ სამონასტრო ცხოვრება ჩამკვდარა და მხოლოდ ეკლესის იყენებდნენ სამლოცველოდ.

<sup>26</sup> ლ. ჭილაშვილის აზრით, ეს ნაგებობა ქრისტიანობამდე მითრუები უნდა ყოფილიყო. ნეკრესობის დღესასწაული იმართება 25 დეკემბერს, მითრას დაბადების დღეს (შემდგომ ეს თარიღი ქრისტეს შობას დაუკავშირდა). ამასთან, ნეკრესობის დღესასწაულს, როგორც აუცილებელი ატრიბუტი, თან სდევს ღორების შეწირვა, რაც არ შეიძლება ქრისტეშობის რიტუალში ჩაითვალოს. ტახი „ვესტას“ მიხედვით მაზდენურ სარწმუნოებას უკავშირდება. საინტერესოა ადგილის სახელი „ნაზვრევი გორა“. „ნაზვრევი“ „ზორგიდან“ მიღებული სიტყვაა. „ზორგა“ კი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კერპთა მიმართ შეწირვაა, კმევაა“. „ნაზვრევი გორა“ მაზდეანთა მთავარი შესაკრები ადგილი, ხოლო IV ს-ის ბაზილიკა წინაქრისტიანულ ხანაში მაზდენური სამლოცველო უნდა ყოფილიყო.

სასულიერო პირები შედიოდნენ ეკლესიაში, ხოლო მრევლი გარეთ იდგა. მრევლის ნაკლებობის გამო არც დიდი მოცულობის ტაძრების აგება იყო საჭირო. მხოლოდ 7-8 ათწლეულის შემდგომ, მრევლის მომრავლებისა და ლიტურგიაში მომხდარი ცვლილებების გამო დაიწყეს დღი ეკლესიების მშენებლობა. ამგვარი დასკვნა სრულ შეუსაბამობაში იყო აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ეკლესიათშენებლობის საერთო ისტორიულ ტენდენციებთან. სამლოცველოს გათხრების შედეგად გაირკვა, რომ მის ქვეშ მოწყობილი იყო ხუთი აკლდამა და კრიპტა (ტაბ. XVIII<sub>12</sub>). გაირკვა, რომ ხუთივე აკლდამის მოწყობა წინ უსწრებდა სამლოცველოს მშენებლობას. ცხადი გახდა, რომ ეს პატარა სამლოცველო აკლდამებსა და კრიპტის კამერებში დაკრძალულ პირთა ხსოვნისადმი და მათ სულთა მოსახსენიებლად ყოფილა აგებული. აკლდამებში მიცვალებულები ქრისტიანულადაა დაკრძალული. ადრე დაკრძალულთა ძვლები, როგორც წესი, სამარხის აღმოსავლეთ ნაწილშია მიხვეტილი. ორ აკლდამაში დაეკრძალათ როგორც მამაკაცები, ისე ქალები და ბავშვები. ჩანს, ისინი საოჯახო სამარხები ყოფილა და ალბათ მონასტრის მიმართ გარკვეული ღვაწლის მქონე ოჯახებს ეკუთვნოდა. სამლოცველოს ქვეშ არსებულ კამაროვან კრიპტაში მიცვალებულთა ძვლები ესვენა ერთმანეთისგან ტიხრით გამოყოფილ ორ კამერში, რომლებიც იატაკთან ერთად კირხსნარით იყო მოლესილი. კამერებს ზემოდან ეფარა ქვის ფილები. კამერებში ხდებოდა არა მიცვალებულთა თავდაპირველი დაკრძალვა, არამედ სხვაგან დაკრძალულთა ძვლების გადმოტანა. კამერის კედლებს დატანებული აქვს მართკუთხა ხვრელები. მათი საშუალებით მომლოცველები ეხებოდნენ ძვლებს. წმინდა ადგილების მოლოცვისას გამორჩეულ მიცვალებულთა თაყვანისცემისა და მათთან თანაზიარობის ეს ფორმა მრავალგანაა დადასტურებული ქრისტიანული სამყაროს მონასტრებსა თუ ეკლესიებში.

კრიპტის კედლებსა და კამარაზე დაშენებული ეს სამლოცველო სხვა არაფერია, თუ არა მონასტრის კრიპტაზე და აკლდამებზე დაშენებული „ღია ეკლესია“ იგივე კაპელა (მემორიუმი), რომლის ანალოგი მომცრო სამლოცველოები კარგადაა ცნობილი ქრისტიანულ სამყაროში. მათში მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი წირვები და პანაშვიდები აღვლინებოდა. ფიქრობენ, რომ ნეკრესის აღწერილი კრიპტა და მასზე დაშენებული მემორიუმი VI ს-ზე ადრეული ძეგლი არ უნდა იყოს (ნ. ბაზტაძე).

მემორიუმის აღმოსავლეთით VI-VII სს-ის მიჯნაზე აგებულ იქნა მონასტრის მთავარი ტაძარი, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო ბაზილიკას (ტაბ. XIX<sub>1-2</sub>). ეკლესია ღვთისმშობლის მიბინების სახელობისაა. თითოეული ნავი ერთმანეთისგან კედლითაა გამოყოფილი. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვებით. კუთხებსა და ყველა კონსტრუქციულ ნაწილში შირიმია გამოყენებული. ფასადები სადაა. ღეკორატიული ელემენტები ძუნწადაა გამოყენებული. დასავლეთ ფასადზე ჯვარი, ხოლო აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე ნახევარწრიული წარბია გამოყვანილი. საკურთხეველი ღრმაა. მის ორივე მხარეს სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. ხოლო მათ გაგრძელებაზე მოცემულია აბსიდებით დასრულებული გვერდითი „ეკლესიები“, რომლებიც გაერთიანებულია დასავლეთი მინაშენით. ამგვარად,

ცენტრალური ეკლესიის ირგვლივ იქმნება სამმხრივი გარშემოსავლელი, რომლის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები ეზოსკენ გახსნილი იყო მრგვალ სვეტზე დაფუძნებული თაღედით.<sup>27</sup>

ნეკრესის, როგორც ქალაქის დაცემა-განადგურება უკავშირდება VIII ს-ის 30-ან წლებში მურგან ყრუს სასტიკ ლაშქრობას. თუმცა, მეტ-ნაკლებად ინტენსიური ცხოვრება იქ თემურ-ლენგის შემოსევებამდე (XIV ს.) მიმდინარეობდა.<sup>28</sup>

\* \* \*

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღრეული შუასაუკუნეების ქალაქების გენეზისის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ლ. ჭილაშვილის აზრით, ძველი ანტიკური ხანის ქალაქები IV-VI ს-ში კვლავ განაგრძობენ არსებობას, თუმცა ინერციით და ეს პერიოდი შუასაუკუნეების ქართული ქალაქების ისტორიაში გარდამავალ ხანად უნდა მივიჩნიოთ, როცა ქალაქები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ანტიკური ხანის იერსახეს და ქალაქებისთვის დამახასიათებელ ხელოსნურ წარმოებას. თანდათან იწყება ამ ქალაქების აგრარიზაციის პროცესი. განვითარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის ნაცვლად ქალაქების ეკონომიკაში წამყვან ადგილს იკავებს სოფლის მეურნეობის დარგები. VI-VIII სს ქალაქთა დაქვეითება-დაცემის ხანაა. მიმდინარეობს მათი დეურბანიზაციის პროცესი. აქ იგულისხმება საქალაქო მეურნეობის დაკნინება და არა საერთოდ ქალაქის ეკონომიკის დაქვეითება. იმ პერიოდში არ არსებობდა ახალი ქალაქების წარმოშობის პირობები. რაც შეეხება ზოგიერთ ქალაქს, მაგ. თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი – მათი წარმოშობა განპირობებული იყო პოლიტიკური პროცესებით, რასაც ხელს უწყობდა ეკონომიკური და სტრატეგიული ფაქტორები.

საპირისპირო მოსაზრებით კი სწორედ აღრეულ შუასაუკუნეებში პქონდა ადგილი ახალი ქალაქების ინტენსიურ წარმოშობას (შ. მესხია, დ. მუსხელიშვილი).

ქალაქების საკითხთან მიმართებაში გასათვალისწინებელია აგრეთვე ის აზრიც, რომ ამ ეპოქის თითოეულ ქალაქზე საჭიროა ცალ-ცალკე მსჯელობა (ვ. გაბაშვილი). ქალაქთა წარმოშობა-განვითარების პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება გზების საკითხს, ხელსაყრელ

<sup>27</sup> მოგვიანებით სამხ. თაღედი და მთავარ ეკლესიაში გამავალი სამხ. კარი ამოუქოლავთ. ცენტრალური „ეკლესია“ მოუხატავთ XVI ს-ში. გარდა რელიგიური ხასიათის კომპოზიციებისა, ინტერიერის სამხ. კედლის დას. ნაწილში გამოსახული არიან მხატვრობის დამკვეთები – კახეთის მეფე ლევანი (1520-1574), მისი მეუღლე თინათნი და უფლისწული ალექსანდრე (ტაბ. XIX<sub>3</sub>).

<sup>28</sup> მონასტრის სამხ-დას. კიდეში მდებარეობს მთავარანგელოზთა სახ. IX ს-ის ვუმბათიანი ეკლესია (ტაბ. XIX<sub>4</sub>). ის გეგმარებით თითქოს სამეცნიერო ბაზილიკას იმეორებს, თუმცა საკურთხევლის მხარეს გუმბათი აქვს დაშეებული. ტაბარი სამეცნიერო ბაზილიკის თემის გუმბათიან ვარიაციას წარმოადგენს (ნ. ბაზტაბე). საკურთხეველი შევრილვეგმიანია, ხუთწეხნაგა. სამი მხრიდან ეკლესიას აქვს ვაწრო გარშემოსავლელი.

IX ს-ს თუ IX-X სს-ის მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს ეპისკოპოსის სასახლედ მაჩნეული ნაგებობა, რომელიც შედგება სამი ნაწილისგან. ამათგან პირველი საცხოვრებელია, მეორე „მარანი“ (ტაბ. XIX<sub>5-6</sub>), სადაც 2008 წ. გათხრების შედეგად გამოვლინდა ჩრდ. კიდეზე მიშენებული მართვული საწნახელი. სასახლის მესამე ნაწილი კვლავ საცხოვრებელი კამაროვანი დარბაზია. სასახლე ორსართულიანია. კედლებში მოწყობილია მრავალი ნიში და დიდი ბუხრები. სასახლის აღმ. გაგრძელებაზე ქვის კამარით გადახურული სატრაპეზოა. მის ქვედა სართულში განლაგებულია რამდენიმე მცირე სენაკი.

გეოგრაფიულ თუ სტრატეგიულ მდებარეობას, ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, პოლიტიკურ სიტუაციებს, ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების წინსვლას და სხვ.

ფაქტია, რომ ისევე, როგორც ბიზანტიაში და მახლობელ აღმოსავლეთში, საქართველოს ტერიტორიაზეც არსებობას განაგრძობენ ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბებული ქალაქები. ამასთან ერთად წარმოიშვა ახალი ქალაქებიც (თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი). IV-VIII სს-ში მიმდინარეობდა ამ ქალაქების ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც IX-X სს-ში უკვე დასრულებულია. ამრიგად, ძველი ანტიკური ქალაქები ფეოდალურ ქალაქებად განვითარდნენ. განახლდა ძველი ქალაქების ერთი ნაწილი (რუსთავი, სამშვილდე და სხვ.). IX-X სს-ში წარმოიშვა ახალი ქალაქები (ახალქალაქი, ატენი, დმანისი, თელავი, ახალციხე). ქართული ქალაქების ყოფაში ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ მიუხედავად თვითმყოფადობისა და საკუთარი იერისა, დასავლეთ საქართველოს ქალაქებს რომაულ-ბიზანტიური, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს სასანური ირანის გარკვეული გავლენა ეტყობათ (ვ. გაბაშვილი).

### ძირითადი ლიტერატურა

აბრაშიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000.

აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963.

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა I, თბილისი, 1955.6

ბახტაძე ნ. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები, სემმ, ტ. I(46-B), 2010, გვ. 118-140.

ბახტაძე ნ. ნეკრესი, თბილისი, 2010.

ბახტაძე ნ. ყვარლის დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევის შედეგები, სემმ, ტ. IV, 2013, გვ. 180-203.

ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977.

ბოლქვაძე გ. პირველი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში – ქვემო ეკლესია „წმიდად წმიდათავ“, ძიებანი, №2, 1998, გვ. 72-79.

გაბაშვილი ვ. ადრეულდალური ხანის ახლოაღმოსავლური ქალაქი, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1972, გვ. 5-21.

გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი, 1961.

ზაქარაია პ. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1965.

თბილისის ისტორია, ავტორთა კოლექტივი, ტ. I, თბილისი, 1990.

ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს, თბილისი, 1977.

ლომთური ნ. უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ, თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1958, გვ. 23-28.

მამაიაშვილი ნ. ქალაქი ჭერემი, თბილისი, 2004.

მოქცევად ქართლისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, (V-X სს), ილ. აბულაძის საერთო რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 81-163.

ნიკოლაიშვილი ვ. ქალაქი მცხეთა ას. წ. აღ. III-VI სს-ში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), კავკასიის მაცნე, №3, 2004, გვ. 39-43.

**ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.**

**ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.**

**ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.**

**ყიფიანი გ. მეფე მირიანის ბაზილიკა, ქართული არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, №3(6), თბილისი, 2007.**

**მნელაძე მ., ჩიხლაძე ვ. არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე, იბერია-კოლხეთი, №8, 2012, გვ. 83-97.**

**წამებაი აბიბოს ნეკრესელისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა მველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955.**

**ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964.**

**ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. I, თბილისი, 1968.**

**ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1970.**

**ჭილაშვილი ლ. ნეკრესის არქეოლოგიის დასაწყისი, კრ. დავით აღმაშენებელი, თბილისი, 1990, გვ. 103-138.**

**ჭილაშვილი ლ. ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბილისი, 2000.**

**ჭილაშვილი ლ. ტოპონიმიკური შენიშვნები, თბილისი, 2001.**

**ჭილაშვილი ლ. ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2004.**

**ხურცილავა ბ. ნეკრესის ნაქალაქარის ქართული ასომთავრული წარწერების შესახებ, ქართული დამწერლობისა და ადექტისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის (სტატიების კრებული), თბილისი, 2006, გვ. 55-76.**


**Дзнеладзе М. Археологические раскопки на территории Тбилисской церкви св. Сорока Себастьяnsих Мучеников, Археология, Этнология, Фольклористика Кавказа. Тбилиси, 2007, გვ. 85-89.**

**Мелитаури К. Н. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. I, Тбилиси, 1969.**


**Чубинашвили Г. Н. Архитектура кахетии, Тбилиси, 1959.**

**Цинцадзе В. Тбилиси, Тбилиси, 1958.**

**Цинцадзе В. Свети-Цховели во Мцхета, ქართული ხელოვნება, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, სერია – □ ძველი ხელოვნება, თბილისი, 1987, გვ. 15-25.**



- I. ქოა ქართლი, II. ბაგინეთი, III. სევამორა, IV. სამთავროს სამართვანი, V. არმაზისხევის სამართვანი.
1. სკოლის ცენტრი, 2. ჯვარი, 3. ანტიუქია, 4. გეთისმანია, 5. სამთავრო, 6. ბებრისციხე, 7. კალოუბანი,
8. საგურამო, 9. ზედაბენი, 10. არმაზის მონასტერი, 11. ახალქალაქური.
- გ. ცინკაძის მიხედვით




1. სვეტიცხოველში გამოვლენილი ქვემო ეკლესია




2. კოპტური ქსოვილი საეკლესიო ნაგებობებისა  
და საკრალური ხეების გამოსახულებით


3. ცინცაძის მიხედვით



3. მრგვალი ნაგებობის ნაშთები; 4. ბაზილიკის  
სვეტების ფრაგმენტები; 5. ბაზილიკის  
საკურონევლის აბსიდა; 6. ბაზილიკის კედლები;  
7. მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის  
პირველსაკრძალავი; 8. XI ს-ის ტაძარი.




9. მეფე მირიანის ბაზილიკა და XI ს-ის ტაძრის  
ურთიერთდაფენის აქსონომეტრული სქემა




10. მეფე მირიანის ბაზილიკა. რეკონსტრუქცია.

გ. ყიფიანის მიხედვით




12. ნამოსახლარი „სვეტიცხოველი VI“. III-VI სს.


გ. ნიკოლაი შვილის მიხედვით




1-11. IV ს; 12-13. V ს-ის I ნახ.  
სამთავრო. ბუდეაბმული მშვილდსაკინძები.



1-10. IV ს-ის მიწურული - V ს; 11. V ს-ის II ნახ. - VI ს.




1-9. IV ს-ის II ნახ. - V ს-ის I ნახ.




10-30. VI ს.

სამთავრო. ბუდეაბმული ჯვრისებური მშვილდსაკინძები.


6. აფხაზაგას მიხედვით




ბუდეაბმული ჯვრისებური მშვილდსაკინძები. VII ს.- VIII ს-ის I ნახ.



1-4. VI ს-ის II ნახ. - VII ს-ის დასაწყისი.




VII ს.



1-24. VII ს.- VIII ს-ის დასაწყისი.

სამთავრო. ჭვინტიანი მშვილდსაკინძები.

6. აფხაზავას მიხედვით





სამთავრო. აბზინდები და ბალთები.

1-16, 20-22, 27-50. VI ბ-ის მიწ. - VII ბ-ის I ნახ; 17-19. VI ბ-ის I ნახ; 23-26. VII ბ.



51-52. V ბ-ის I ნახ. 53-55. VII ბ-ის II ნახ.


56-59. საკიდები. VII-VIII სს.



სამაჯურები





60. IV ბ; 61-62. V ბ; 63-64. VI ბ; 65-66. VI-VII სს;


67-77. VII ბ; 78-80. VII ბ-ის II ნახ. - VIII ბ-ის დასაწ.



სამთავრო


ბეჭდები და საბეჭდავები. IV-VIII სს.





1-35. სამთავროს  
სამაროვნის მძივები  
36. ისრისპირები  
37. დოქი

6. აფხაზებას მიხედვით





VII b.

37

VII b.

## VIII




6. უგრელიის სამართვის მინის კურტლის გივები  
ნაშთაგროს სამართვის მინის კურტლის გივები



1. ნარიყალა



2. გვიანანტიკური ხანის ჭრაქი 3. სასანური 4. მინის ჭურჭელი. მინის სასმისები. IX-X სს.  
გემა. V-VI სს. VIII-IX სს.



ბადიები. IX-X სს.

თბილისი. ერეკლე II-ის მოედანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.


9. გძელიშვილისა და ო. ტყეშელაშვილის მიხედვით




1. წმ. ორმოც სებასტიიელ მოწამეთა ეკლესია





2. აბანო. ხედი ჩრდილოეთიდან.



26. აბანოს გეგმა




3-21. აბანოში აღმოჩენილი კერამიკა (I-III სს);  
22-23. №1 და №2 ქვევრი (III-IV სს); 24. ამფორა  
№5 ქვევრიდან (IV ს); 25. ქვაჯვარი (V-VIII სს).




27. აბანოს ჭრილები



1. ურბნისი. ნაქალაქარის გეგმა.




2. ალიზის ხდუდე. რეკონსტრუქცია.




3. ალიზის კოშის გეგმა

4. ტაძრის გეგმა

5. ტაძრის ინტერიერის  
დეტალი







6. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი



7. ტაძრის დასავლეთი ფასადი









8. ზაქარაიას მიხედვით




ურბნისის ნაქალაქარის ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა

ლ. ჭილაშვილის მიხედვით


XIII




ურბნისის ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ლ. ჭილაშვილის მიხედვით




1. ქერქმის კვადრატი




2. ხაგის ეკლესია ტაძარი




4. წმ. დავითის ხას. ეპლეხია




3. ეპისკოპოსის ხასახლები




5. ციტადელი. ციხესიმაგრები.




7. წმ. ბარბარეს ეპლეხია




6. ციტადელი. „ხასახლე“. 30,5X15,78.




0  
1  
2  
3  
4  
10





8-10. წმ. გიორგის ეპლეხია (წვეროდაბალი)




6. მამაიაშვილის მიხედვით



III-IV სს.




ჭერემის ციტადელის არქეოლოგიური მასალა




ჭერემის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა


6. მამაიაშვილის მიხედვით




1. ნეკრესის ნაქალაქარი



2. ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი



3. ცეცხლის ტაძარი



7. წარწერიანი საფლავის ქვები „ნაგებების“ მარნიდან



9. წარწერიანი ქვევრის პირი მარნიდან




4



5

მაზდეანური  
საკულტო  
ინვენტარი




6. „ნაგებები“. მარნის გეგმა და ჭრილი

- |   |                   |
|---|-------------------|
| 1. ცყ ზც ზური ჩ   | აბ ზა გივ ჩ       |
| 2. ზურიცელ  | ლევაკი            |
| 3. ცყვ ცყნცს სცარი  | თობულას სამნი     |
| 4. ცყდცარელ   | იოთორისი          |
| 5. ცცა სცფ[ზცური] ლ   | ესე საფ[ლავ]ი.... |
| 6. ცცაცფნც ზანიცარელ იცაცური<br>სანიცაცც ზას ციცე[ცლ] ფიცას ჩ[ი]<br>ესე საფლავი ნოშისი და ბავასი ნუმცა<br>ვის ხელე[წი] ფების ჩ[ი] |                   |


8. საფლავის ქვების წარწერები

ლ. ჭილაშვილისა და 6. ბახტაძის მიხედვით

# XVIII



1. ნეკრესი „ნაგებების“ სამეცნიერო  
ბაზილიკის გეგმა




2. ჭაბუქაურის ბაზილიკის კომპლექსის გეგმა




10 (პორმიზდ 4, 579-590)

ჭაბუქაურის ბაზილიკის  
არქეოლოგიური მასალა





11. სამების სამეცნიერო  
ბაზილიკა. VI-IX სს.



12. მემორიალური სამღვეველო (ჭრილი და გეგმა)


6. ბახტაძის მიხედვით



13. დურუჯისპირა ბაზილიკა




1. ნეკრესი. დმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. სამხრეთი ფასადი. VI ს.




3. დედოფალი თინათინი, ლევან მეფე და უფლისწული ალექსანდრე XVI ს.



4. მთავარანგელოზთა ეკლესია. IX ს.



5. ეპისკოპოსის სასახლე. IX ს.



6. მარანი ეპისკოპოსის სასახლის პირველ სართულზე (რესტავრაციის შემდეგ).

6. ბახტაძის მიხედვით

## თავი III

### გვიანაფიქური და ადრეული შესაუკუნეების ზღვისპირა ციხესიმაგრეები

**§1.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გვიანანტიკურსა და ადრეულ შესაუკუნეებში ციხესიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების წარმოქმნა ძირითადად განპირობებული იყო აღნიშნულ რეგიონში რომისა და ბიზანტიის სტრატეგიული ინტერესებით. მას შემდეგ რაც რომმა განახორციელა აღმოსავლეთის ქვეყნების ექსპანსია, დღის წესრიგში დადგა დაპყრობილი ტერიტორიების დაცვისა და ამ ტერიტორიებზე დასაყრდენი პუნქტების – სამხედრო-სტრატეგიული სიმაგრეების მშენებლობის საკითხი. მგვარი პუნქტები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლში წარმოიქმნენ ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევარში. რომაული ციხესიმაგრეები, გარდა იმისა, რომ იცავდნენ იმპერიას ჩრდილოელ ტომთა თავდასხმებისგან, აწესრიგებდნენ უსაფრთხო ვაჭრობასა და ზღვაოსნობას, ამასთან ერთად, უზრუნველყოფდნენ დასავლეთ საქართველოში და საერთოდ, კავკასიაში რომაელთა პოლიტიკურ გავლენას. რომაელებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნეს ერთიანი და კარგად ორგანიზებული თავდაცვითი ხაზი – გონიო-აფსაროსის, ფაზისის,<sup>29</sup> დიოსკურია-სებასტოპოლისის, ბიჭვინთის ციხესიმაგრეების სახით.

**გონიო-აფსაროსი** კოლხეთის ზღვისპირა ზოლში განლაგებული რომაული ციხესიმაგრეებიდან ყველაზე სამხრეთით მდებარეობს. მის დაარსებას, ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა მიზეზებიც ჰქონდა. კერძოდ, აფსაროსი ზურგიდან იცავდა ტრაპეზუნტს, საიდანაც გადიოდა ძირითადი მაგისტრალები არმენიასა და სპარსეთისკენ. გარდა ამისა, ტრაპეზუნტი იყო რომაელთა უმნიშვნელოვანესი სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც ამარაგებდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებულ რომაულ ციხესიმაგრეებს იარაღით, სურსათ-სანოვაგით და ჯარისთვის საჭირო ყველა მასალით. ამასთან ერთად, აფსაროსი აკონტროლებდა, როგორც შიდა კოლხეთისკენ მიმავალ გზებს, ისე ჭოროხის ხეობას, საიდანაც შეიძლებოდა გადასვლა იბერიასა და არმენიაში.

აფსაროსის ციხე ჯერ კიდევ XIX ს-ში ტროასა და მიკენის აღმომჩენი პენრის შლიმანის ინტერესის სფეროში მოქცეულა, მაგრამ გართულებული კომერციული საქმიანობის

<sup>29</sup> ფაზისის ზუსტი ლოკალიზაციის პრობლემა დღემდე გადაუჭრელია და შესაბამისად არც არქეოლოგიურადაა შესწავლილი. ფაზისის ციხისა და ქალაქის შესახებ ფასდაუდებელი ცნობებია შემონახული ფლავიუს არიანესთან – „ფაზისში რომ შედისარ, მარცხნივ აღმართულია ქნდაკება ქალდმტრთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს. მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდასის ქანდაკება ათენის მეტრონომში... თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება 400 რჩეული მეომარი, მე მწევნა მეტად მიუდგომლად... ორმაგი თხრილი ერტყმის ციხის კედელს, ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ზის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანა გაკეთებული. საბირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ისეა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთავან და აღყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველო... ციხე-სიმაგრის გარეთ დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედროები და ზოგიერთი სხვა მოვაჭრე ხალხი, ამიტომ მე გადავწყვიტე ამ ორმაგი თხრილიდან გამეცვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს“ [ფლავიუს არიანე 1961:39-40; ბერმიშვილი 1969:143-145].

გამო შლიმანს რუსეთის საიმპერატორო კარისგან დასტური ვერ მოუღია. იქ სამუშაოების ჩატარებას 1904 და 1917 წლებში აპირებდნენ 6. მარი და თ. უსპენსკი, მაგრამ ვერც მათ მოახერხეს გონიოში მუშაობა. XX ს-ის 60-ან წლებში გონიოში მცირე მასშტაბის სამუშაოები აწარმოეს: ა. ინაშვილმა, დ. ხახუტაშვილმა და ი. გძელიშვილმა. 1974 წელს გონიოს ციხის აღმოსავლეთით, გზის გაყვანისას აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის განძი (ტაბ. II<sub>1</sub>), რომელიც ციხის ახლომახლო ტერიტორიაზე ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩნდად უნდა ჩაითვალოს. ციხის სისტემატური გათხრები დაიწყო 1994 წელს, როცა შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (შ. მამულაძე).

აფსაროსის ციხე მდებარეობს თანამედროვე სოფ. გონიოსთან, ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალის პირას. ციხე გეგმით კვადრატულია (222x195 მ). კედლებში ჩართულია გარეთ გამოწეული 22 კოშკი, რომელთაგან დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ 18 (ტაბ. I<sub>1</sub>). გალავნის კუთხებში აღმართულია ციხის 4 კოშკი. მათ შესასვლელები შიდა მხრიდან აქვთ. კოშკების (მაგ. №10, 20) ქვედა ნაწილში მოწყობილი ყოფილა სარდაფები. ციხის კედლების სიმაღლე 5 მ-ია, კოშკებისა – 7 მ-დე აღწევს. ციხეს ოთხივე მხრიდან ჰქონდა შესასვლელი, რომელთაგან დასავლეთის გარდა, ამჟამად სამივე შესასვლელი ამოქოლილია.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსის ახ. წ. 77 წლის ცნობით აფსაროსის ციხესიმაგრე უკვე მოქმედია.<sup>30</sup> ახ. წ. 131 წელს იმპერატორ ადრიანეს (117-138) დავალებით, კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ იმოგზაურა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რათა იმპერატორისთვის წარედგინა ანგარიში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებულ რომაულ გარნიზონებში არსებული ვითარების შესახებ. არიანე თავის „პერიპლუსში“ აღნიშნავდა, რომ აფსაროსში იდგა 5 კოპორტა. როგორც ჩანს, ეს კოპორტები იყო არა ლეგიონარული, არამედ დამხმარე. ასე, რომ აფსაროსში დაახ. 1200-1500 მეომარი უნდა მდგარიყო. არიანეს ხელფასი დაურიგებია აფსაროსში მდგარი ჯარისკაცებისთვის. მას დაუთვალიერებია მეომართა შეიარაღება, ციხის კედლები და დამცველი თხრილი; მოუნახულებია ავადმყოფები; შეუმოწმებია პურის მარაგი და სხვ. [ფლავიუს არიანე 1961:35]. არიანეს მონათხრობიდან ირკვევა, რომ კასტელუმისთვის აუცილებელი ნაგებობების გარდა (პრეტორიუმი, პრინციპია და სხვ.), ციხის ტერიტორიაზე ყოფილა სამხედრო ლაზარეთი, იარაღისა და მარცვლეულის შესანახი საწყობები. ციხეს, მძლავრ კედლებთან ერთად, დამატებით თხრილიც იცავდა.

აფსაროსის სტრატიგრაფია და იქ გამოვლენილი არტეფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ რომაულ ციხესიმაგრეს მოქმედება შეუწყვეტია IV ს-ის პირველ ნახევარში, რომის იმპერიის დაშლა-დასუსტებასთან ერთად. ამას თან დაერთო აფსაროსზე ბარბაროსთა შემოტევები. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ აფსაროსი IV ს-ის მეორე ნახევრიდან VI ს-ის პირველ ნახევრამდე მიტოვებული სიმაგრეა. პროგრე

<sup>30</sup> ახალი წელთაღრიცხვა ქრისტიანული რელიგიის აღმოცენებითა და გავრცელებით დაიწყო. კვიპროსის ეპისკოპოსის ეპიფანეს (IV ს.) ცნობით, მოციქულ მატათას უქადაგია აფსაროსში. ის აფსაროსშივე გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ (ცნობა დაცულია VIII ს-ის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინეპოლიტან).

კესარიელს აფსაროსი VI ს-ის მეორე ნახევარში სრულიად გაპარტაზებული დახვედრია. მისივე სიტყვებით – აფსაროსიდან „ამჟამად სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა შენობათა საძირკვლებისა“ [გეორგიკა 1934:95]. ბიზანტიულთა უგრისში მოძალების კვალობაზე, მათ მიერ განხორციელდა ციხის აღორმინება. აფსაროსმა VII ს-ში კვლავ დაკარგა თავისი პოზიციები და თანდათან შეწყვიტა არსებობა. ქალაქ აფსარეას იხსენიებს VIII ს-ის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე. თუმცა, იმ დროისთვის მისი ქალაქობა საეჭვოა.

აფსაროსის ციხე განვითარებულ შუასაუკუნეებში მიტოვებული პუნქტია. ციხის ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა არცერთი არტეფაქტი – კერამიკა, მონეტები თუ სხვა ნივთები, რომლებიც მიუთითებდნენ აღნიშნულ პერიოდში მის ფუნქციონირებაზე. ჩანს, ერთიანი საქართველოს სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების უფრო სამხრეთით გადანაცვლებამ აფსაროსის მნიშვნელობაზე უარყოფითი გავლენა იქონია. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ციხის ახლომახლო დასახლებული პუნქტი ყოველთვის არსებულიყო. XI-XII ს-ში ჩნდება აფსაროსის ახალი სახელწოდება – გონიო, გონია. ზოგიერთი ამ სახელს უკავშირებს შავიზღვისპირეთში გენუელების მიერ დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს. სხვა მოსაზრებით, სახელწოდება ზანური წარმოშობის უნდა იყოს – „წყარი გონიას ორთუ“, რაც ნიშნავს: მდინარე აღიღებულა, ბრუნავს, მორევს აკეთებს.

ნაციხარის ტერიტორიაზე კარგადაა შემორჩენილი, როგორც გვიანანტიკური (რომაული), ისე ადრეული შუასაუკუნეების (ბიზანტიური) კულტურული ფენები, შესაბამისი პერიოდის ნაგებობებით – ყაზარმებით, სხვადასხვა დანიშნულების შენობებით, აბანოებით, წყალგაყვანილობის სისტემებით და სხვ. (ტაბ. I<sub>2-7</sub>).

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებიდან აღსანიშნავია სამხრეთ კარიბჭესთან გათხრილი გვიანანტიკური ხანის დიდი შენობა (27x8 მ) (ტაბ. I<sub>2</sub>). მისი საძირკველი ნაშენია ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით, რომელზეც გადადის თიხის ხსნარზე ნაგები ქვის ცოკოლი. შენობა კრამიტით ყოფილა დახურული. შემორჩენილია ჰიდრაულიკური ხსნარით, აგრეთვე აგურით მოგებული იატაკის ფრაგმენტები. აღმ. მხარეს ნაგებობას მთელ სიგრძეზე გაუყვება 4 მ სიგანის გალერეა. შენობა ლეგიონერთა ყაზარმადაა მიჩნეული.

მეორე დიდი სწორკუთხა (15x11 მ) ე. წ. „კვადრებით შემოსაზღვრული ნაგებობა“ გამოვლინდა ციხის ცენტრალური ნაწილიდან რამდენადმე ჩრდილოეთით (ტაბ. I<sub>3</sub>). მისი ფუნქციის განსაზღვრა ჭირს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შენობა უნდა აეგოთ II ს-ის დასაწყისში. ნაგებობა ხელმეორედ ჩანს გამოყენებული VI ს-ში. შენობაში დაუგიათ ახალი იატაკი; გაუმართავთ წყალსადენის სისტემა; განუახლებიათ კოლექტორი და სხვ.

გვიანანტიკური ხანის ორი აბანოდან ერთი პატარაა – 6x7 მ („გარნიზონის უფროსის აბანო“). მას ჰქონია მხოლოდ საქვაბე და ცხელი განყოფილება (ტაბ. I<sub>5</sub>). მეორე დიდია – 18,5x11,5 მ და მეციხოვნებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. აბანოს სამხრეთ ნაწილში განლაგებულია საქვაბე, რომელიც წყვილი გვირაბის საშუალებით დაკავშირებულია ცხელი აბანოს სარდაფთან (ტაბ. I<sub>6</sub>). ჰაერის ცხელი ნაკადი ათბობდა აბანოს იატაკსა და კედლებს, რომლებშიც დატანებული იყო თიხის მილები. აბანოს პირველი განყოფილება (კალდარიუმი) სიმხურვალეს მაქსიმალურად შეიწოვდა. ორგანყოფილებიანი ცხელი აბანო უკავშირდებოდა

ასევე ორგანულფილებიან თბილ აბანოს – ტეპიდარიუმს. იქვე აღმოჩნდა იატაკის საყრდენი გათლილი ქვის სვეტები. გათხრებისას გამოვლინდა ცივი აბანოს (ფრიგიდარიუმის) კედლის კონტურები, აბაზანები, მოსაცდელი განყოფილება ე. წ. აპოდიტერიუმი (ტაბ. I<sub>4</sub>). რომაული აბანოს ნანგრევებზე ოსმალებმა შემდგომში აღმოსავლური სტილის აბანო დააშენეს.

მაღალ დონეზე იყო აფსაროსის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა. მსხვილი მილების სამი რიგით სასმელი წყალი შედიოდა სამხ. კარიბჭიდან და ნაწილდებოდა ციხის მთელ ტერიტორიაზე (ტაბ. I<sub>7</sub>).

აფსაროსის სხვადასხვა დანიშნულების განათხარ კერამიკულ ნაწარმში მრავლად გვხვდება გვიანანტიკური ხანის ამფორები, რომელთა შორის 12 ტიპი და მათი ცალკეული სახეობები გამოიყოფა (ტაბ. II<sub>2</sub>). ამფორებიდან აღსანიშნავია სინოპური, როდოსული, კოსური და ზოგადად სამხრეთ შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებში დამზადებული ნიმუშები. გვხვდება იტალიკური ამფორები, რომლებიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იშვიათობას წარმოადგენს. ამფორებით ციხეში მდგარი გარნიზონის საჭიროებისთვის შემოჰკონდათ ღვინო, ზეითუნის ზეთი და სხვა პროდუქტები.

ფიქრობენ, რომ ამფორების გარკვეული ნაწილი (ყელწიბოიანი ამფორები, ტაბ. II<sub>2a</sub>) ადგილობრივ უნდა ემზადებინათ, რაზეც მეტყველებს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდილი II ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით დათარიღებული კერამიკული ქურა და იქვე მიკვლეული ამფორების ნატეხები. ცნობილია, რომ რომაელები დაბყრობილ ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ბაზებში ყაზარმების, ხიდების, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობასთან ერთად, ადგილზე კერამიკულ წარმოებასაც ეწეოდნენ. აფსაროსის კერამიკული სახელოსნოს საქმე უნდა გვქონდეს წვრილ წარმოებასთან, რომელიც აქ განლაგებული გარნიზონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ციხესიმაგრეში დამზადებული კერამიკა ძირითადად განკუთვნილი უნდა ყოფილიყო არა ტრანსპორტირებისთვის, არამედ ადგილზე მოსახმარად, როგორც პროდუქტების შესანახი საშუალება (მ. ხალვაში).

გვიანანტიკური ხანის სხვა არტეფაქტებიდან აღსანიშნავია იმპორტული წითელლაკიანი კერამიკა: ჯამები, თეფუშები, ლანგრები, დოქები, ქოთნების მსგავსი პატარა ჭურჭელი, ჭრაქები (ტაბ. II<sub>3</sub>). მათი უძრავლესობა მცირე აზის ერთ-ერთი დიდი სახელოსნო ცენტრის – პერგამონის ნაწარმია. შედარებით მცირერიცხოვან, მაგრამ საინტერესო ჯგუფს ქმნის სამოსური საწარმოო ცენტრის პროდუქცია. რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების (სირია-პალესტინა) სახელოსნო ცენტრებიდან უნდა მომდინარეობდეს წითელლაკიანი სანელსაცხებლე ჭურჭელი (ტაბ. II<sub>3a</sub>). სინოპურ სახელოსნო ცენტრებშია დამზადებული მოზრდილი პითოსები და ლუთერიები (ტაბ. II<sub>4</sub>), მრავალრიცხოვანი კრამიტები, აგურები და სხვ. გვხვდება ჰერაკლეაში დამზადებული კერამიკის ნიმუშებიც.

მრავალფეროვანია მინის ნივთები, რომლებშიც გამოირჩევა: სასმისები, გრაფინისებური ჭურჭელი, კრატერისკი, ოინოხოიები, ლანგრები, სასმისები, არიბალოსები, სანელსაცხებლები, ძაბრები, სარკმლის მინები და სხვ. (ტაბ. III<sub>1</sub>). ზოგიერთ ჭურჭელზე შემორჩენილია დაფნის გვირგვინში ჩასმული წარწერის ფრაგმენტი – NNI-KHN (ტაბ. III<sub>1a</sub>). ერმიტაჟის კოლექციის ერთ-ერთ მინის ჭურჭელზე მთლიანად დაცული წარწერის მიხედვით, აფსაროსის წარწერა

იკითხება ამგვარად – „გაიმარჯვე“. მსგავსი წარწერის მქონე ნივთებით აჯილდოებდნენ სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს. თუ გავიხსენებთ პროკოპი კესარიელის ცნობას, რომ ძველად აფსაროსში ყოფილა თეატრი და იპოდრომი [გეორგიკა 1934:94-95], მაშინ სრულიად დასაშვებია, აღნიშნული მინის ნაკეთობა მართლაც ყოფილიყო საპრიზო ჭურჭელი, რომელსაც ასპარეზობაში გამარჯვებულ მეომრებს გადასცემდნენ.

დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით, მინის ნივთებში გვჩვდება, როგორც ყალიბში ჩამოსხმული, ისე თავისუფალი ბერვით მიღებული ნიმუშები. მინის ნივთების გარკვეული რაოდენობა დასავლეთ ევროპული ნაწარმი უნდა იყოს. ნაწილი კი, შესაძლოა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებს (სირია-პალესტინა) დაუკავშიროთ.

ციხეში მოპოვებული საბრძოლო იარაღიდან წარმოდგენილია შედარებით პატარა ზომაწონის (დმ 3-6 სმ, წონა 50-370 გრ) შურდულის ქვები და ლოდსატყორცნი მანქანების მოზრდილი (დმ 7-11 სმ, წონა 0,5-3 კგ) ქვის ჭურვები. ყველა ჭურვი დამზადებულია ადგილობრივი ჯიშის ქვისგან. ჩანს, აფსაროსს მძლავრი კედლებისა და თხრილების გარდა, ქვის სატყორცნი მანქანები – ბალისტები და ონაგრებიც იცავდა.

აფსაროსის გვიანანტიკური ხანის მონეტებიდან საინტერესოა ჰიპეპრიას სახელით 39 წელს მოჭრილი ბოსფორის სამეფოს მონეტის აღმოჩენა, რაც იმის დასტური უნდა იყოს, რომ აფსაროსი სებასტოპოლისთან და პიტიუნტთან ერთად საკაბოტაჟო ნაოსნობის ერთ-ერთი პუნქტი ყოფილა. უნიკალურ შემთხვევადაა მიჩნეული ციხის ტერიტორიაზე იუდეის მეფის აგრიპა I ჰეროდეს (37-44) მონეტის აღმოჩენა. რომაულ მონეტებს შორის გვხვდება: ტიბერიუსის (14-37), ნერონის (54-68), ვესპასიანეს (69-79), ტიტუსის (79-81), დომიციანეს (81-96), ადრიანეს (117-138), ფაუსტინა I-ის (†141), ანტონინუს პიუსის (138-161), კარაკალას (211-217), იულია დომნას (†217), ავრელიანეს (270-275) მონეტები. ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა რომაული მონეტების განძი (42 ც.), რომლის ძირითად ბირთვს შეადგენდა III ს-ის დასაწყისის მონეტები. მათ შორის ყველაზე გვიანდელია გეტას სახელით 213 წელს მოჭრილი მონეტა. განძის დაფლვა (ტეზავრაცია) უნდა მომხდარიყო 213 წლის შემდგომ. განათხარი მასალიდან ყურადღებას იქცევს ქ. ტრაპეზუნტის მონეტები, მოჭრილი ტრაიანეს (98-117), სეპტიმიუს სევერუსის (193-211), კომოდუსის (180-192), ტრანკუილინის (238-244) სახელით. II-III სს-ის მონეტებს შორის ჭარბობს კესარიული დრაქმები და ლიდრაქმები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ იმ დროისათვის აფსაროსი კოლხეთის სხვა ტერიტორიებთან ერთად კაპადოკიის პროვინციის შემადგენელი ნაწილი იყო. აღნიშნული მონეტები ძირითადად პოლიტიკური გზითაა შემოსული, ანუ ისინი აფსაროსში მდგარი რომაული ჯარისკაცების გასამრჯელო უნდა ყოფილიყო.

აფსაროსის განათხარი არტეფაქტების უმრავლესობა ძირითადად შემოტანილია რომის აღმოსავლეთი პროვინციებიდან. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ციხესიმაგრეში რომაელთა ყოფნისას აფსაროსი იყო ჩაკეტილი ორგანიზმი თავისი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების გამო და იქ განლაგებულ სამხედრო ძალებს არ ჰქონდა ინტენსიური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან რომაული

სამხედრო ნაწილები წარმოადგენდნენ დამპყრობლებს და მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით ნაკლები კონტაქტები ჰქონდათ. თუმცა, საგაჭრო ურთიერთობები რომის იმპერიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის რა თქმა უნდა არსებობდა, რაზედაც მიუთითებს შავიზღვისპირა დასახლებებში იმ პერიოდის მრავალრიცხოვნი იმპორტული ნივთების აღმოჩნა. მიუხედავად იმისა, რომ რომაული ზღვისპირა კასტელუმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას საზღვაო და სახმელეთო საგაჭრო გზების დაცვა შეადგენდა, კასტელუმებში მდგარი სამხედრო ძალები საგაჭრო ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. ამ პროცესს ძირითადად პროფესიონალი ვაჭრები და გადამდგარი ლეგიონერები ახორციელებდნენ. ცნობილია, რომ სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული ვეტერანები კასტელუმების ახლომახლო ქმნიდნენ პატარა დასახლებებს. ამიერიდან მათ თავისუფლად შეეძლოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან ნებისმიერი სახის, მათ შორის, საგაჭრო ურთიერთობების დამყარება. ამ საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა არიანეს ცნობა ფაზისთან დაკავშირებით, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ციხის გარშემო მდებარე ადგილები „დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით.“ არიანეს ფაზისის ნავსადგურისა და ამგვარი დასახლებების უკეთ დაცვის მიზნით ციხის ორმაგი თხრილისათვის კიდევ ერთი – მესამე თხრილიც მიუმატებია [ფლავიუს არიანე 1961:40]. ჩანს, შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში მცირეაზიული და რომაული იმპორტული საქონლის ნაწილი ხვდებოდა კასტელუმების გარშემო მცხოვრები ვაჭრებისა და ვეტერანი ჯარისკაცების მეშვეობით.

აფსაროსის ციხის გარეთ, ჩრდილოეთით, 45-50 მ-ის დაშორებით გაითხარა II-III სს-ის ნაგებობები, რომლებიც გეგმარებით, მშენებლობის ხერხებითა და ხასიათით, სამშენებლო მასალითა და ყველა სხვა ნიშნით სრულიად ანალოგიურია კასტელუმის შიგნით არსებული ნაგებობებისა. უეჭველია, კასტელუმის მსგავსად ეს შენობებიც რომაელთა მიერაა აგებული და შესაძლოა ისინი ვეტერან ლეგიონერთა დასახლება იყოს. აღნიშნული ნაგებობების გადამდგარ ლეგიონერთა კუთვნილებაზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ ნაკლებ სარწმუნოა რომაელებს მათდამი მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ნება დაერთოთ ციხესთან ასე ახლოს გაემართათ სამოსახლოები.

როგორც აღვნიშნეთ, IV ს-ის პირველი ნახევრის შემდგომ აფსაროსი მიტოვებული სიმაგრეა. VI ს-ის მეორე ნახევრისთვის აფსაროსს ბიზანტიულები იკავებენ და მას თავიანთ სიმაგრედ აქცევენ. აფსაროსის ამ პერიოდის კულტურული ფენებიდან მომდინარე კერამიკაში კვლავ დიდი რაოდენობით გვხვდება ამფორები, რომელთა შორის 7 ტიპი გამოიყოფა. მათში ჭარბობს სინოპური ნაწარმი. ამფორების გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საგაჭრო-სახელოსნო ცენტრებიდან მომდინარეობს (სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზია; ჩრდილოეთ სირია – ანტიოქია, სელევკია). ამფორებს შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა ადგილობრივი, ე. წ. კოლხური წელშეზნექილი ამფორები (ტაბ. III<sub>2</sub>). ამფორების გარდა კულტურულ ფენებში გამოვლენილია სამზარეულო, სუფრის, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების სამეთუნეო ნაწარმი. №10 კოშკი აღმოჩნდა მოზაიკის პატარა ფრაგმენტი (ტაბ. III<sub>3</sub>), რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფსაროსში

ზოგიერთი ნაგებობის იატაკი მოზაიკით ყოფილა შემკული. სხვადასხვა დანიშნულების მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია VI ს-ით დათარიღებული ლამპრები (ტაბ. III<sub>4</sub>) და სარკმლის მინის ფრაგმენტები.

რომაულ მონეტებთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვანია ბიზანტიური მონეტები, რომელთა აღმოჩენა VI ს-ის აფსაროსში ჩამდგარ სამხედრო ძალებს უკავშირდება. მათი უმრავლესობა ანტიოქიასა და თეოპოლისშია მოჭრილი.

სპეციალურ ლიტერატურაში აფსაროსს ზოგჯერ ქალაქად მოიხსენიებენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ აფსაროსი როგორც გვიანანტიკურ, ისე ადრეულ შუასაუკუნეებში, იყო ციხესიმაგრე (კასტელუმი), სტრატეგიული დანიშნულების პუნქტი, რომელიც სამხედრო მიზნებისთვის, კერძოდ, იმპერიის საზღვრების გასაკონტროლებლად იქნა აგებული რომაელთა მიერ ახ. წ. I ს-ში. შემდგომ, VI ს-ის შუა წლებიდან, ის აღადგინეს ბიზანტიელებმა, ეგრისის სამეფოზე გავლენის მოსაპოვებლად. VIII-XV სს-ის მანძილზე ციხე მიტოვებულია.

\* \* \*

**§2. ციხისძირი** მდებარეობს ქობულეთიდან სამხრეთით, 7 კმ-ის დაშორებით, ზღვის სანაპიროზე. გვიანანტიკურ და ადრეულ შუასაუკუნეებში ციხისძირში ჩნდება საკმაოდ მოზრდილი დასახლება ქალაქისთვის დამახასიათებელი ნიშნებით – ციტადელითა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებით (სასახლე, აბანოები, ეკლესიები და სხვ.). ციხესიმაგრის ნაშთები აღმართულია ორ ბორცვზე. შედარებით მაღალსა და მოზრდილ ბორცვზე განლაგებულია საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც მის შიგნით არსებული ნაგებობებით მიჩნეულია ციტადელად (ტაბ. IV<sub>1</sub>). საკუთრივ ქალაქი მდებარეობდა იქვე, სოფ. ბობოვათთან, ზღვისპირა ზოღვზე.

ციხისძირს სამეცნიერო ლიტერატურაში აიგივებდნენ ბიზანტიურ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებულ პეტრასთან (ს. ჯანაშია), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იქ არაა ნაგსადგურისთვის შესაფერისი რელიეფი, რის გამოც მკვლევართა ნაწილს პეტრა ბათუმის ადგილას ეგულებოდა (ს. ყაუხჩიშვილი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ პეტრა არის იგივე ნაგსადგური ხოფა, სადაც გადიოდა ეგრის-ბიზანტიის სასაზღვრო ხაზი (გ. გრიგოლია).

ციხისძირთან აღმოჩენილი მდიდრული არქეოლოგიური მასალის მიხედვით, რომელიც ერმიტაჟშია დაცული, ჩანს, რომ ეს ტერიტორია საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული უკვე ახ. წ. II ს-დან. წერილობითი წყაროების მიხედვით, ციხისძირის მიღამოებში რომაული კასტელუმის არსებობა არ ივარაუდება, მაგრამ გასული საუკუნის 20-ან წლებში ციხისძირის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი II-III სს-ით დათარიღებული აგურის მიხედვით, რომელზეც დამღის საშუალებით გამოყვანილი იყო წარწერა – VEXFA,<sup>31</sup> საფიქრებელია, რომ იმ ადგილას რომაული ციხესიმაგრე არსებობდა. თუმცა, თავისი მოცულობით ის შედარებით უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვეულებრივი კასტელუმი. ციხისძირში კასტელუმის არსებობა თითქოს გამოირიცხება იმის გამო, რომ რომაელები ციხესიმაგრეებს აგებდნენ ერთმანეთისგან გარკვეული მანძილის (60-70 კმ) დაშორებით. ამდენად, ციხისძირი

<sup>31</sup> წარწერა ვ. ლექვინაძის მიხედვით იშიფრება როგორც VEX (illationes legionis XII) F (ulminatae et XV) A (pollinarius). არსებობს წარწერის სხვაგარი წაკითხვაც [დაწვრილებით იხ. ინაშვილი 1993:15-17].

ვერ თავსდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კასტელუმების სისტემაში. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ამ ადგილას ყოფილიყო რაღაც სიმაგრე, რომელიც წარმოადგენდა აფსაროსის კასტელუმის ფორპოსტს (ვ. ლექვინაძე).

ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა აგურებით ამოყვანილი თაღოვანი კარიბჭე (სიგანე 1,2 მ). კარიბჭის კედლის წყობაში ღარისხი კრამიტით შესრულებული ბოლოებგაფართოებული ჯვარი აღმოჩნდა, რომელიც გვიანდელ შუასაუკუნეებში თურქებს კირით შეულესიათ. ბორცვზე განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობები ორმაგი კედლით დაკავშირებული იყო მეორე ბორცვზე არსებულ კოშკთან. ორმაგი კედლების წყობაში დასტურდება აგურის სარტყლები, რაც დამახასიათებელია ადრეული შუასაუკუნეების სასიმაგრო კედლებისთვის.

შიდა ციხეში შემორჩენილი ნაგებობებიდან აღსანიშნავია VI ს-ის სამნავიანი ბაზილიკა ხუთწახნაგა აბსიდით. შიდა სივრცეში გადარჩენილია სვეტების რამდენიმე საყრდენი. თითო რიგში განლაგებული ყოფილა ხუთ-ხუთი სვეტი. კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით კირხსნარზე. აბსიდა გარედან მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვებით (ტაბ. IV<sub>3</sub>).

სამნავიანი ბაზილიკის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ უფრო ძველი ნაგებობის კედლები, რომლებიც, როგორც ჩანს, უფრო ძველ ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს და, რომელიც მტრის შემოსევას თუ რაღაც სხვა კატასტროფას შეეწირა (ტაბ. IV<sub>2</sub>).

სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაითხარა აბანო (9,2x6,5 მ), რომელიც შედგება ანფილადურად განლაგებული 5 განყოფილებისგან – გასახდელ-მოსაცდელი, ცივი, თბილი, ცხელი და საქაბე განყოფილება (ტაბ. IV<sub>5</sub>). აბანოების არსებული კლასიფიკაციის მიხედვით ის კასტელუმების ანუ ციხესიმაგრებისთვის დამახასიათებელი აბანოების ტიპისაა. აბანოც VI ს-ით თარიღდება. აბანოს გაუქმების შემდეგ მის ტერიტორიაზე მარანი გაუმართავთ.

სამნავიანი ბაზილიკისა და აბანოს თანადროულია შიდაციხეში გამოვლენილი კირხსნარით აშენებული და შელესილი ნაგებობა (25x5 მ), რომელიც ორი განივი ტიხრით სამ ნაწილადაა გაყოფილი. ნაგებობის ფუნქცია ბოლომდე გაურკვეველია. ფიქრობენ, რომ ის პროდუქტების შესანახი ცისტერნა უნდა იყოს.<sup>32</sup>

VI ს-ეს განეკუთვნება ციხის კედლების ადრეული ფენა, სამნავიანი ბაზილიკა, აბანო, ცისტერნა. იმ პერიოდის არქოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია: წელშეზნექილი და

<sup>32</sup> გათხრების შედეგად დადგინდა ციხისძირის სტრატიგრაფია. ყველაზე გვიანდელია XVII-XIX ს-ის ფენები, რომლებიც თურქთა ბატონობას უკავშირდება. მათ მიერ აგებული სასიმაგრო კედლები უმტესად შემორჩენილია ჩრდ. ბორცვზე. მათ მიერვეა გადაკეთებული სამეურნეო ნაგებობად დარბაზული ეკლესია. გვიანდელ ფენაში აღმოჩნდა თოფისა და ზარბაზნის ჭურვები, ფაიფურისა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ჩიბუხები და სხვ. მეორე ფენა განვითარებული შუასაუკუნეებისაა და ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი. ამ პერიოდის ნაგებობებიდან აღსანიშნავია შიდაციხის ცენტრში მიკვდეული მცირე ზომის (სიგრძე 9 მ) დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აბსიდით. კედლებზე შიდა მხრიდან შემორჩენილია პილასტრები. ჩანს, ეკლესია გადახურული იყო კამარით. დასავლეთდან და სამხრეთიდნ შესასვლელი ჰქონია (ტაბ. IV<sub>4</sub>). ის აუგიათ სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ. ეკლესია მოხატული ყოფილა. თარიღდება X-XIV ს-ით. ეკლესიის ჩრდილოეთით გამოვლენილია სამეურნეო სათავის კედლები, ხოლო აბანოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია მარანი. საყურადღებო მონაპოვარს წარმოადგენს X-XI ს-ით დათარიღდებული ტყვიის შეკიდული ბეჭედი წმ. გიორგის გამოსახულებით, რომელიც ეკუთვნოდა კინძე გიორგი მაკტერისს.

ტანდალარული ამფორები, წითელპრიალა დოქები, სამშენებლო კერამიკა (აგურები, კრამიტები) (ტაბ. IV 8-11). მინის ნაწარმში გვხვდება: სარკმლის მინა, სასმისები, ჭრაქები.

ციხის ჩრდილოეთით, ზღვისპირა დაბლობში გაითხარა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია IV-V სს-ით დათარიღებული აბანოები. №1 აბანო შედგება ანფილადურად განლაგებული 6 განყოფილებისგან (ტაბ. IV<sub>6</sub>). მისი საერთო სიგრძე 20 მ-ია. აბანო ნაგებია ბაზალტის დაუმუშავებელი ქვებით კირხსნარზე. წყობაში დადასტურდა აგურის ჰორიზონტული რიგები, რაც დამახასიათებელია რომაულ-ბიზანტიური სამყაროსა და დასავლეთ საქართველოს სამშენებლო ხელოვნებისთვის. ნაგებობის საკვანძო ადგილები მთლიანად აგურითაა ამოყვანილი (კუთხები, წირთხლები). ნაგებობა გადახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით. კედლების გასათბობად გამოიყენებოდა მართკუთხა აგურები, რომელთაც აქვთ გრძივი და განივი ღარები (ტაბ. IV<sub>8</sub>). თავისი ზომებით აბანო საზოგადოებრივი დანიშნულების უნდა იყოს.

№1 აბანოს აღმოსავლეთით 70 მ-ის დაშორებით გაითხარა №2 აბანო. მისი სიგრძეა 13 მ. შედგება ანფილადურად განლაგებული 5 სათავსისგან (ტაბ. IV<sub>7</sub>). თბილ განყოფილებაში აღმოჩნდა ინტერიერის მოსაპირკეთებელი კონუსურქიმიანი თიხის ფილები. ამ ფილების საშუალებით კედელსა და შელესილობას შორის იქმნება თავისუფალი არე ცხელი ჰაერის მოძრაობისათვის. აბანო მხოლოდ გეგმის დონეზეა შემორჩენილი. ზომების მიხედვით, ის უფრო კერძო მფლობელის უნდა იყოს.

ციხისძირის არქეოლოგური მონაპოვრიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ამფორები, რომელთა შორის გამოირჩევა განსხვავებული ვარიანტებით წარმოდგენილი წელშეზნექილი ნიმუშები. წელშეზნექილი ამფორების გარდა ციხისძირში აღმოჩენილია მოთეთრო-მოყვითალო და ნარინჯისფერი ჯამები მქონე ამფორები. ამფორები ზოგადად IV-VI სს-ით თარიღდება.

სამეურნეო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება სხვადასხვა ფორმის ქვევრები (ტაბ. VI<sub>3</sub>). სამზარეულო კერამიკიდან აღსანიშნავია ტუჩიანი ჯამები ანუ ლუთერიები, აგრეთვე სხვადასხვა ზომის ქოთხები. სუფრის ჭურჭელს შორის გვხვდება ხელადები და წითელლაკიანი ჯამები (ტაბ. V<sub>1</sub>). ეს უკანასკნელი IV-V სს-ით თარიღდება და მათ საწარმოო ცენტრად მცირე აზია მიჩნეული.

ციხისძირში აღმოჩენილ მინის ნაწარმში გამოიყოფა სასმისები, ფიალები, სანელსაცხებლები, ლამპრები, სარკმლის მინის ნატეხები (ტაბ. V<sub>2-3</sub>). მათი დიდი ნაწილი თარიღდება IV-V სს-ით. მინის ნაწარმი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სირიულ-პალესტინურ ნაწარმთან, რაც მიუთითებს ეგრისის შავიზღვისპირეთის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე რომი-ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებთან.

ციხისძირის ტერიტორიაზე გაითხარა გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების სამარხები. მათგან გვხვდება ორმოსამარხები, დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე და ამფორასამარხები, რომლებშიც იმარხებოდნენ ჩვილები (ტაბ. V<sub>4</sub>; ტაბ. VI<sub>1-2</sub>). ამფორასამარხებში დამხრობის ორიენტაცია ნებისმიერია, დაკრძალვა – ინჰუმაციური. თუმცა, ძვლები მარილიანი ნიადაგის გამო ფაქტიურად აღარაა შემორჩენილი და დაკრძალვის პოზის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება.

ორმოსამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია: თიხის დოქები, ქოთნები, ჯამები, მინის სანელსაცხებლები და ფიალა, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები – მშვილდსაკინძები, აბზინდები. ორმოსამარხებში გამოვლენილია: რკინის დანები, ცული, შუბისპირი, სატევარი. სამარხეული ინვენტარის ანალიზით ადრეული ორმოსამარხები თარიღდება III-IV სს-ით (ტაბ. V<sub>4</sub>), გვიანდელები – V-VI ს-ის პირველი ნახევრით (ტაბ. VI<sub>1</sub>). ამფორასამარხები ფაქტობრივად უინვენტაროა. ამფორათა ტიპოლოგიის მიხედვით ისინი ზოგადად IV-VI სს-ით დათარიღდა.

გონიო-აფსაროსისა და ბიჭვინთისაგან განსხვავებით ციხისძირში არაა ნაპოვნი ტრაპეზუნტში მოჭრილი არცერთი მონეტა. ცნობილია, რომ 249 წელს ტრაპეზუნტი წყვეტს სამონეტო ემისიას და III ს-ის დასასრულისთვის მისი მონეტები აღარაა მიმოქცევაში. ეს ფაქტიც იმის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს, რომ ციხისძირი, როგორც სიმაგრე III ს-ის დასასრულისთვის უნდა იყოს აგებული. წარმოუდგენლად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ ციხისძირი ფუნქციონირებდა II-III ს-ის პირველ ნახევარში და იქ არ მოხვდა ტრაპეზუნტის მონეტები (გ. დუნდუა). სხვა ნუმიზმატიკური მასალიდან ციხისძირში გვხვდება I (დომიციანე 81-96), II (ადრიანე 117-138, ანტონინე პიუსი 138-161), III და IV ს-ის პირველი ნახევრის (სეპტიმიუს სევერუსი 193-211, კარაკალა 211-217, გორდიანე III 238-244, დიოკლეტიანე 284-305, კონსტანციუს I 293-306, ლიცინიუსი 308-325, კონსტანციუს II 337-361, კონსტანტინე II(?) 337-340) რომაული და ბიზანტიური მონეტები. IV ს-ის მეორე ნახევრისა და V ს-ის მონეტები ციხისძირში აღარ ჩანს. შემდგომი პერიოდის მონეტები VI ს-ით თარიღდება (ანასტას I 491-518, იუსტინე I 518-527, იუსტინიანე I, იუსტინე II 565-578, მავრიკი 582-602). მასალის დიდი ნაწილი კონსტანტინეპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი, ერთი – ანტიოქიაში. ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით ფიქრობენ, რომ V ს-ში ციხისძირში უცხო სამხედრო ნაწილები აღარ დგანან. მათი იქ არსებობა მხოლოდ VI ს-ში დასტურდება (გ. დუნდუა).

ნუმიზმატიკური მასალიდან აღსანიშნავია 1935 წელს ციხის კედლის ნანგრევებში შემთხვევით ნაპოვნი სასანური მონეტები, რომელთაგან 3 მოხვდა აჭარის მუზეუმში. მათგან 2 ეკუთვნის კავალე (488-531), 1 – ხოსრო I-ს (531-579). საერთოდ, სასანური დრაქტები არ მიმოიქცეოდა ლაზიკის ტერიტორიაზე. ამ აღმოჩენას უკავშირებენ იმ ეპიზოდს, როცა ერგისში მიმდინარე „დიდი ომიანობის“ დროს (542-562), ირანელები ციხისძირში იმყოფებოდნენ.

ამრიგად, III ს-ის ბოლოდან VI ს-ის დასასრულამდე ციხისძირში არსებობდა რომაულ-ბიზანტიური სტრატეგიული პუნქტი, სადაც გარკვეული წყვეტილებით დასტურდება სამხედრო შენაერთების დისლოკაცია. მის გვერდით ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში წარმოიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც V ს-ის ჩათვლით მნიშვნელოვნად ვითარდება. ამფორასამარხების მიხედვით, ციხისძირში ბერმბული ეთნიკური ელემენტების არსებობაც უნდა ვივარაუდოთ. გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა იმის მანიშნებელია, რომ ციხისძირს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებთან (სირია-პალესტინა). მოსახლეობაში უკვე IV ს-დან

გავრცელებული ჩანს ქრისტიანობა, რაზეც მიუთითებს ეკლესიების ნაშთები, ნივთები ქრისტიანული სიმბოლიკით – ბეჭედი თევზების გამოსახულებით, ჯვრის გამოსახულება, ქრისტიანული შინაარსის გრაფიტოები ამფორებზე. თუმცა დაკრძალვის წესი კვლავ წარმართული ჩანს.

\* \* \*

**§3. დიოსკურია-სებასტოპოლისი** ლოკალიზდება დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე (ტაბ. VII<sub>1</sub>). მისი ნაწილი ამჟამად ზღვის ქვეშა მოქცეული. ჯერ კიდევ XIX ს-ის მეორე ნახევარში სოხუმელი მხარეთმცოდნის ვ. ჩერნიავსკის აზრით, დიოსკურია სოხუმის ყურეში უნდა ყოფილიყო ჩაძირული. ამის მტკიცების საფუძვლს მას აძლევდა ის გარემოება, რომ ყოველი დიდი დელვის შემდეგ, ტალღებს სოხუმის ყურის მიდამოებში გამოპქონდა მრავალრიცხოვანი ნივთები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებლები აგროვებდნენ და შემდეგ შავ ბაზარზე ყიდდნენ.

დიოსკურია დაარსებული ჩანს მიღეთელი ბერძნების მიერ, როგორც სავაჭრო ახალშენი. სახელი დიოსკურია მკვლევართა ერთ ნაწილს (ს. ჯანაშია, თ. მიქელაძე) ადგილობრივი ტოპონიმის (სქური-სკური) გაბერძნულებულ ფორმად მიაჩნიათ. რაც შეეხება სებასტოპოლისს, ეს სახელი უნდა დარქმეოდა ციხესიმაგრეს მას მერე, რაც იმპერატორმა ოქტავიანემ (ძვ. წ. 27 - ა. წ. 14) მიიღო წოდება ავუსტუსისა და სებასტოსისა. ამის შემდეგ, რომის იმპერიის მთელ რიგ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს, მათ შორის, სოხუმის ყურეში არსებულ კასტელუმს, სებასტოპოლისი დაერქვათ. ა. წ. I ს-დან ის წარმოადგენდა ერთ-ერთ რომაულ სამხედრო ბაზას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფლავიუს არიანეს, თავისი ცნობილი „პერიპლუსის“ დროს, აფსაროსთან და ფაზისთან ერთად სებასტოპოლისიც მოუნახულებია. ამის შესახებ არიანე წერდა: სებასტოპოლისში „ომავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცთათვის ხელფასის მიცემა, ცხენების და იარაღის დათვალიერება, მხედრების გავარჯიშება ცხენზე შეხტომაში, ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება, ციხე-სიმაგრის კედლის და თხრილის შემოვლა“ [ფლავიუს არიანე 1961:41].

არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, IV ს-ის მეორე ნახევრიდან იქ უკვე აღარ ჩანან რომაული სამხედრო შენაერთები. VI ს-ის პირველ ნახევარში სებასტოპოლისში ბიზანტიური გარნიზონი ჩადგა. თუმცა, უკვე 542 წელს ბიზანტია-ირანის ომთან დაკავშირებით სებასტოპოლისი თვით ბიზანტიურებისგან იქნა დანგრეული, რათა იქ ირანელები არ გამაგრებულიყვნენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, 13 წლის შემდეგ იუსტინიანეს სებასტოპოლისი ისევ აღუდგენია და ის თავისი ძლიერებითა და სიმშვენიერით ერთ-ერთ გამორჩეულ ქალაქად უქცევია [გეორგია 1934:191]. თუმცა, ავტორი იმასაც წერდა, რომ სებასტოპოლისი უფრო ციხეა, ვიდრე ქალაქი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად სოხუმის სანაპიროზე 3 სხვადასხვა დროის ციხესიმაგრე გამოვლინდა. პირველი ციხე (1 ჰა) ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნარითა და აგურის ორფენიანი სარტყლით. კუთხეებში დადასტურდა ოთხ რიგად განლაგებული აგურის სარტყლები. ციხისგან მთლიანადაა შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი (სიგრძე 80 მ, კედლების სისქე 2,4 მ) 2 ოთხკუთხა გეგმის კოშკითა და 5 კონტრფორსით

(ტაბ. VII<sub>2</sub>). კუთხის კოშკში ჩავარდნილი იყო მისი ერთ-ერთი კედელი, რომელზედაც ჩანდა ქვის შვერილების რიგი. ეტყობა ამ შვერილებზე ეყრდნობოდა სართულშუა გადახურვის ძელები. ნაგებობა განეკუთვნება კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეს და I-II სე-ით თარიღდება. შავი ზღვის სანაპიროზე არსებული რომაული კასტელუმებისგან (ბიჭვინთა, აფსაროსი) განსხვავებით, მას აქვს არა სწორკუთხა, არამედ პარალელოპიპედის გეგმა. სიმაგრის გათხრებისას არ დაფიქსირდა შესასვლელები. როგორც ჩანს, მას კარი უნდა ჰქონოდა ზღვის მხარეს, რომელიც ამჟამად წყლის ქვეშა მოქცეული. ციხეში დაახ. 200 ლეგიონერი უნდა მდგარიყო.

III-IV სე-ში რომაულებს აქ მეორე ციხე აუშენებიათ. ციხე ნაგებია „opus mixtum“-ის წესით – გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. ორ დანარჩენ სიმაგრესთან შედარებით, ის ყველაზე დიდია (2-2,5 ჰა). მისგანაც მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი 2 სწორკუთხა კოშკით (ტაბ. VII<sub>2</sub>). ისიც კასტელუმის ტიპის სიმაგრეა. პირველი ციხისგან განსხვავებით, მეორე ციხე მიმართულია არა ზღვის მხარეს, არამედ მისი კედლები ხმელეთისკენ გრძელდება. აღნიშნული ციხიდან ორიოდე კმ-ის დაშორებით იდგა სწორკუთხა კოშკი (5,40x5,47 მ), რომელიც აგებული უნდა იყოს II ს-ის დასასრულისთვის, ფუნქციონირებდა III-IV სე-ში და იცავდა ზემოაღწერილ სიმაგრეს. მეორე სიმაგრეზე ზემოდან გადადის თურქული ციხის კედლები (ტაბ. VII<sub>2</sub>).

მესამე ციხე კვადრატული გეგმისაა (0,6-0,8 ჰა). ნაგებია „opus incertum“-ის ტექნიკით, გრანიტის ქვებითა და აგურით კირხსნარზე. ნაწილობრივ შემორჩენილია 2 ოთხკუთხა კოშკი. ისიც კასტელუმის ტიპის სიმაგრეს განეკუთვნება და თარიღდება ახ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრით (ტაბ. VII<sub>2</sub>). პირველი ციხის მსგავსად, შესასვლელი მასაც ზღვის მხრიდან უნდა ჰქონოდა.

აღნიშნული ციხესიმაგრების ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა 5 კულტურული ფენა. ქვედა I ფენა თარიღდება ძვ. წ. III-II სე-ით; II ფენა – ძვ. წ. I - ახ. წ. I ს-ით; III ფენა – ახ. წ. I ს-ით; IV ფენა – II-III სე-ით; V ფენა – IV-V სე-ით. კულტურულ ფენებში აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: აგურები, კრამიტები, წყალსადენის მილები, ამფორები, ქვევრები, წითელლაკიანი ჯამები, ლანგრები, ლუთერიები, ჭრაქები; ბრინჯაოს ოინხოია, პატერები, რკინის შუბისპირები, დანები, მინის ჭურჭელი, ძვლის სტილოსები; ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები, სამაჯურები, მძივები და სხვ. (ტაბ. VII<sub>3</sub>). განსაკუთრებით აღსანიშნავია ლათინურწარწერიანი კირქვის ფილა – HADR PER. FL.A. LEG. პირველ სტრიქონში იმპერატორ ადრიანეს სახელია შემორჩენილი, მეორეში სებასტოპოლისში ფლავიუს არიანეს (სამშენებლო?) მოღვაწეობა, მესამეში კი მითითებულია მისი ტიტული – ლეგატი.

VI ს-ის შემდგომი პერიოდის სებასტოპოლისის შესახებ ნაკლები წარმოდგენა გვაქვს. VII ს-ის ავტორი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი მოიხსენიებდა „დიდ სებასტოპოლის“. სებასტოპოლისი მოიხსენიება VII ს-ის ანონიმი ავტორის სომხურ გეოგრაფიაშიც. იმ

პერიოდისათვის სებასტოპოლისი, როგორც რომაულ-ბიზანტიური სიმაგრე ისტორიულ ასპარეზზე აღარ ფიგურირებს.

\* \* \*

**§4. ბიჭვინთისა და მისი მიდამოების** (ტაბ. VIII<sub>1</sub>) გათხრებს 1952-1975 წლებში აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიცია ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით. ხოლო 1975-1989 წლებში იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიჭვინთის ექსპედიცია გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.

ბიჭვინთის (პიტიუნტის) ნაქალაქარზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე (ტაბ. VIII<sub>2</sub>). ფლავიუს არიანე შავიზლვისპირა რომაული კასტელუმების აღწერას ამთავრებდა სებასტოპოლისით. ის პიტიუნტსაც რამდენჯერმე ახსენებდა, მაგრამ არა როგორც რომაულ ლეგიონერთა დისლოკაციის ადგილს. მაშასადამე, ბიჭვინთაში რომაული სამხედრო ძალების დამკვიდრება II ს-ის 30-ანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ისტორიკოს ზოსიმეს ცნობით, ბიჭვინთა III ს-ში უკვე არა მარტო მსხვილი სავაჭრო ცენტრი, არამედ ძლიერი ციხესიმაგრეცაა. 256-257 წლებში გოთმა მეკობრეებმა შავიზლვისპირეთის სხვა პუნქტებთან ერთად ბიჭვინთაც ააოხრეს. მეკობრეთა თარეშის შემდეგ, III ს-ის ბოლოს ბიჭვინთა კვლავ აღმავლობის გზას დაადგა და სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტთან ერთად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრადაც იქცა. IV ს-ის ბოლომდე, პუნქტის გამანადგურებელ თავდასხმამდე, პიტიუნტი აღმინისტრაციულად შედიოდა რომის პროვინციის კაპადოკიის შემადგენლობაში.

IV ს-ის დასაწყისში პიტიუნტი გადაიქცა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად – პიტიუნტის საეპისკოპოსოდ, რომელიც იერარქიულად ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში შედიოდა და კონსტანტინეპოლს ემორჩილებოდა. ქრისტიანობა IV ს-ის დასაწყისში ეტყობა ფართოდ გასცდა ბიჭვინთის ფარგლებს, ვინაიდან 325 წლისთვის უკვე ჩამოყალიბებული ჩანს მთელი ეპარქია ცენტრით ბიჭვინთაში. ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაში გვაფიქრებინებს, რომ ბიჭვინთის ეპარქია იყო ანგარიშგასაწევი ძალა, რომლის ავტოკეფალიას აღბათ საფუძვლად ედო შავიზლვისპირეთის ამ მხარეში და კერძოდ ბიჭვინთაში ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოღვაწეობა. ბიჭვინთა თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე ძლიერი ჩანს IV ს-ში. იმ პერიოდის არქეოლოგიური მასალა, მათ შორის მონეტები, რიცხობრივად ყველა სხვა პერიოდის მასალებს აღემატება.

„დიდი პიტიუნტის“ საიმაგრო სისტემა ძირითადად შედგება ორი ნაწილისგან: 1. სწორკუთხა დასავლეთი ნაწილისგან – კასტელუმისგან და 2. მომრგვალებული ფორმის აღმოსავლეთი ნაწილისგან – კანაბესგან (ტაბ. VIII<sub>2</sub>). აქედან უფრო ადრეულია სწორკუთხა კასტელუმი, რომელიც ნაგებია ზღვიური კონგლომერატის ქვათლილებით კირხსნარზე. გამავრებულია სწორკუთხა, მრავალკუთხა და ნახევარწრიული კოშკებით. შესასვლელი ყოფილა აღმოსავლეთ კედელში. კარიბჭეს იცავდა გარედან მომრგვალებული 2 კოშკი. მშენებლობაში ორი ეტაპი გამოიყოფა: II-III და IV-VI სს-ის გალავანი. კასტელუმი

გამაგრებულია 15 კოშკით. კასტელუმში ერთი კოპორტა ანუ 500 ლეგიონერი უნდა მდგარიყო.

კანაბე — სამოქალაქო დასახლება, ნახევარწრიული გეგმისაა. მისი გალავანი IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ნაგებია ზღვიური კონგლომერატის ქვათლილებით კირხსნარზე. გამაგრებულია ოთხი, ხუთი და რვაწახნაგოვანი 11 კოშკით (ტაბ. VIII<sub>2</sub>). ნაქალაქარის ერთიან საფორტიფიკაციო სისტემაში შედიოდა ინკიტის ტბის მრგვალი და ლიძავას ოთხკუთხა კოშკები.

კასტელუმის ცენტრში გაითხარა რომაულ სამხედრო ბანაკთან დაკავშირებული III-IV სს-ის რამდენიმე ნაგებობა. მათგან გამოირჩევა მეთაურის რეზიდენცია — პრეტორიუმი და სამხედრო ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი შენობები — პრინციპია (ტაბ. VIII<sub>2</sub>). პრეტორიუმის ეზოში განლაგებული იყო საცხოვრებელი ოთახები, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვ. ნაგებობებს ჰქონდათ მოზაიკური იატაკი (III ს.), რომელზეც წარმოდგენილი იყო თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებათა ფრაგმენტები. ერთ-ერთი ნაგებობის მოზაიკურ იატაკზე გადარჩენილია სპილოსა (ტაბ. XI<sub>3</sub>) და ლომის გამოსახულებათა ფრაგმენტი.

ნაგებობებში მოწყობილი იყო კანალიზაცია, ფუნქციონირებდა აბანოები და სხვ. ციხესიმაგრის დიდი ნაწილი ეკავა ლეგიონერთა ყაზარმებს. სავარაუდოდ ბიჭვინთაში 6 ყაზარმა მაინც უნდა ყოფილიყო. პიტიუნტის ციხესიმაგრე თავისი მასშტაბით საგრძნობლად ჭარბობდა სებასტოპოლისის ანალოგიურ სამხედრო ბანაკს.

კასტელუმის კედლის გარეთ, ზღვიური კონგლომერატის ქვათლილებით ნაგები III ს-ის ხუთგანყოფილებიანი (საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი) აბანოა (ტაბ. VIII<sub>3</sub>). მას ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვროდა კარიბჭე.

კანაბეს სამხრეთ მონაკვეთზე ზღუდის კედელთან გამოვლენილია ერთმანეთზე დაშენებული სხვადასხვა დროის ოთხი ეკლესია (ტაბ. IX). პირველი ეკლესია (26,2x11,3 მ) ერთნავიანია, ნახევარწრიული აბსიდით. თარიღდება IV ს-ის დასაწყისით (ტაბ. IX<sub>1</sub>).

მეორე ეკლესია (28x13,2 მ) ნაგებია ზღვიური კონგლომერატით კირხსნარზე. იატაკი მოზაიკითა დაფარული. პატარა ფერადი კენჭებით შედგენილია ყვავილების, გეომეტრიული ფიგურების ორნამენტი. მოზაიკის წრეში ბერძნული ოთხსტრიქონიანი წარწერაა: „სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლის მიმართ“ (ტაბ. IX<sub>2</sub>). ეკლესიის სანათლავში აღმოჩნდა მოზაიკური იატაკის კიდევ ერთი ფრაგმენტი. გადარჩენილია შადრევნის, ძროხის, ხბოს, ფურის, ნუკრის, ხარირმის გამოსახულებანი (ტაბ. XI). მოზაიკა და ეკლესია თარიღდება IV ს-ის დასასრულითა და V ს-ის დასაწყისით. თუმცა, განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, ბიჭვინთის მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა IV ს-ის პირველ მეოთხედში უნდა იყოს აგებული და შესაძლოა ის სწორედ სტრატოფილეს რეზიდენციას წარმოადგნდა. თავისი ბრწყინვალე შემკულობით ეკლესია სავსებით შეესაბამება საეპისკოპოსო კათედრალს.

მესამე ეკლესია (28,4x14,6 მ) ნაგებია ზღვიური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. წყობაში გამოყენებულია აგურის ორი სარტყელი. ეკლესია სამნავიანია, ხუთწახნაგა აბსიდითა და ნართუებით (ტაბ. IX<sub>3</sub>).

მეოთხე ეკლესია ერთნავიანია ( $17,45 \times 11,6$  მ). ნაგებია თლილი ქვებით. აქვს სამწახნაგა აბსიდა. ის მესამე ეკლესიის დასავლეთ ნაწილზეა დაშენებული. თარიღდება VI ს-ის პირველი ნახევრით (ტაბ. IX<sub>4</sub>). ოთხივე ეკლესიის თარიღი IV-VI სს-ის ფარგლებში ექცევა.

ნაქალაქარიდან სამხრეთით 400-500 მ-ის დაშორებით, გამოვლინდა თლილი ქვებით ნაგები კიდევ ერთი ეკლესია ( $28,5 \times 14$  მ). მის წყობაში გამოყენებულია აგურიც. ეკლესია ორაბსიდიანია. თარიღდება VI ს-ის პირველი ნახევრით (ტაბ. VIII<sub>4</sub>).<sup>33</sup>

ბიჭვინთის გათხრებისას აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა. მცირერიცხოვანია ახ. წ. I ს-ით დათარიღებული არტეფაქტები (ძირითადად კერამიკა). მასალის უდიდეს ნაწილს შეადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან, უპირატესად მცირე აზიის სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინარე ამფორები, წითელლაკიანი ჭურჭელი (ჯამბი, თეფშები, თასები, ცალყურა და ორყურა დოქები), ჭრაქები, ლუთერიები, ხელადები, კოჭები, მინის ბალზამარიები. აქვეა გამოვლენილი ჩრდილო შავიზღვისპირული (ქერსონესი, ბოსფორი) ამფორები და მშვიდდასკინძები, ოქროსა და ვერცხლის საყურეები. მრავალრიცხოვანია ადგილობრივი (წელშეზნექილი) ამფორები. დიდი რაოდენობით გვხვდება ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები; კრამიტები, თიხის ფილები, აგურები; მრავლადაა აღმოჩენილი მონეტები (ტაბ. X).

იმპორტული ნაწარმის დიდი ნაწილი რომაული გარნიზონის საჭიროებისთვისაა შემოტანილი. თუმცა, ნაწილი იმპორტული ნივთებისა ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საგანი უნდა ყოფილიყო. ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობებში უპირატესად ჩაბმული ჩანან ვეტერანი, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ლეგიონერები, რომლებიც ციხესიმაგრესთან ახლოს პატარა დასახლებებს ქმნიდნენ.

ბიჭვინთის გაძლიერება-დაქვეითების ეტაპები და მისი გარესამყაროსთან კავშირები მრავალრიცხოვან იმპორტულ არტეფაქტებთან ერთად (კერამიკა, მინა და სხვ.) კარგად აისახა ნუმიზატიკურ მასალაში. იქ 1500-მდე მონეტაა აღმოჩენილი. მათგან ძვ. წ. II – ახ. წ. I სს-ის მონეტები სულ რამდენიმეა. მონეტების რაოდენობა მრავლდება ახ. წ. II ს-დან და ეს ბუნებრივიცაა. ისინი ძირითადად „მილიტარისტული“ ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური და ბიჭვინთაში დისლოცირებული ჯარისკაცების გასამრჯელო უნდა იყოს. იმ პერიოდის 60 მონეტიდან ნახევარი მაინც ტრაპეზუნტებია მოჭრილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბიჭვინთა მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ტრაპეზუნტან. ბიჭვინთის საჯარისო ნაწილების

<sup>33</sup> 1980-81 წლებში ბიჭვინთის დიდი ტაძრის დასავლეთით კიდევ ორი ეკლესია გამოვლინდა. პირველი ეკლესია (სიგრძე 6,1 მ) ერთნავიანია, ნახევარტრიული აბსიდით. თარიღდება V-VI სს-ით. მეორე ეკლესია (სიგრძე 17,5 მ) პირველისგან 40 მ-ის მანძილზე მდგარეობს. ნაგებია თლილი ქვებით. გაგმით ჯვრისტურია. ეკლესიის აბისიდის გარეთ აღმოჩნდა ქვა-აგურის უინვენტარო სარკოფაგები. ეკლესია თარიღდება VI-VII სს-ით.

ბიჭვინთის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის დიდი ტაძრი, „ვინაცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა დმრთასმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინტას“ [ქც 1955:215<sub>14-15</sub>], მდებარეობს ბიჭვინთის ცენტრში. ნაგებია თლილი ქვებით. წყობაში გამოყენებულია აგურის სარტყლები. წაგრძელებული ფორმისაა. სამნავიანია, სამი შეერილი აბსიდით. დასავლეთ მხარეს აქვს ნართექსი. თარიღდება X ს-ის ბოლოთი და XI ს-ის დასაწყისით. გადარჩნილია XVI ს-ის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. დღემდე ბიჭვინთასა და მის შემოვარენში ადრეული შუასაუჯრების 9 ეკლესია აღმოჩენილი.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება უპირატესად ტრაპეზუნტიდან ხდებოდა. ვინაიდან ტრაპეზუნტი წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპიროზე დისლოცირებული რომაული სამხედრო ძალებისა და საზღვაო ფლოტის ძირითად ბაზას. უკვე IV ს-ის დასაწყისიდან ბიჭვინთაში ისეთი დიდი რაოდენობით ჩნდება ანტიქიაში მოჭრილი მონეტები, რომ როგორც ნუმიზმატები ფიქრობენ, ამის ახსნა უშეალო ეკონომიკური კავშირების გარეშე შეუძლებელია. ჩანს, IV ს-ში ბიჭვინთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ძირითადი მიმართულებაა მტკიცე კავშირი ადრექტისტიანული ხანის დიდ ცენტრებთან – ანტიოქიასთან და მცირე აზიის ქალაქებთან (გ. დუნდუა).<sup>34</sup> IV ს-ის 70-ან წლებში ჰუნების გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად ბიჭვინთა კარგა ხანს გაპარტახებული ჩანს. შესაბამისად, IV ს-ის დასასრულისა და V ს-ის სულ რამდენიმე მონეტაა იქ აღმოჩენილი. პროკოპი კესარიელისა და ოუსტინიანეს ცნობების თანახმად, VI ს-ის დასაწყისში ბიჭვინთაში კვლავ იქნა ჩაყენებული ბიზანტიელთა გარნიზონი. სამხედრო ძალების იქ ყოფნას უკავშირებენ ბიჭვინთაში აღმოჩენილ VI ს-ის 120-ზე მეტ მონეტას, რომელთა უმრავლესობა კონსტანტინეპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი. ბიზანტია-სპარსეთს შორის 542 წელს დაწყებული ომების შემდგომ, როცა პიტიუნტის სიმაგრე მიტოვებულია, იქ ბიზანტიური მონეტების ნაკადმაც იკლო.

ბიჭვინთის კასტელუმის სამაროვანი II-IV სს-ით თარიღდება. სამაროვანი მდებარეობს ციხიდან სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე, ინკიტის ტბასა და ციხესიმაგრეს შორის. სამაროვნის საერთო ფართობი 3,5 ჰა-ს აღემატება. იქ გათხრილია რამდენიმე ტიპის სამარხი: ორმოსამარხები, კირხსნარიანი ორმოსამარხები, კრემაციული ორმოსამარხები, კრამიტსამარხები, ამფორასამარხები, კერამიკულფილებიანი სამარხები, ზღვიური კონგლომერატის კვადრებით ნაგები სამარხები, კეროტაფები, ქვაფილიანი სამარხები. წამყვან ჯგუფს წარმოადგენს ორმოსამარხები.

სამაროვანზე დაკრძალვის წესი ინკუმაციურია. მიცვალებულები ძირითადად დასვენებულია ზურგზე გაშოტილი (ქვედა და ზედა კიდურების განლაგების 22 პოზაა დაფიქსირებული). დამხრობა ნებისმიერია (ტაბ. XII<sub>1</sub>). რკინის ლურსმნები (კუბის მოჭედილობა) დაფიქსირდა 53 სამარხში, ხოლო ე.წ. ჯარისკაცის რომაული სანდლების (ტაბ. XII<sub>4</sub>) რკინის მოქლონები – 20 სამარხში. 5 შემთხვევაში მიცვალებულთან ერთად სამარხში ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი სამარხები ჰუნების უნდა იყოს.

ინტერესს იწვევს კირხსნარიანი ორმოსამარხები, ვინაიდან შავიზღვისპირეთისთვის დაკრძალვის ეს წესი უცნობია. დასაკრძალავი ორმოს ამოღების შემდეგ, მის ძირზე კირხსნარით კეთდებოდა ოვალური ან ოთხკუთხა ფორმის პლატფორმა – სარეცელი, რომელზეც ცხედარს ასვენებდნენ. მიცვალებულს მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავდნენ

<sup>34</sup> პიტიუნტის არსებობის მთელ მანძილზე იქ ჩრდ. შავიზღვისპირეთის მონეტების სიმცირე გ. დუნდუას აზრით იმით უნდა აიხსნას, რომ ამ ორ ჰუნქტს შორის ეკონომიკური ან სხვა ხასიათის ურთიერთობა არ არსებობდა, ან თუ არსებოდა მეტად შეკვეცილ ფარგლებში [დუნდუა 2001:81]. გ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ბიჭვინთაში აღმოჩენილი ბოსფორული მონეტები, აგრეთვე სებასტოპოლისში აღმოჩენილი ჩრდ. შავიზღვისპირეთის 10 მონეტა იმის დასტურია, რომ პიტიუნტი III ს-ში საკაბოტაჟო ნაოსნობის ერთ-ერთი ჰუნქტია და ბოსფორის სამეცნიერო დამაკავშირებელი ნავსაღვურია [ლორთქიფანიძე 1991:101].

კირხსნარით (ტაბ. XIII). ფაქტიურად ასეთი სამარხები თავისებურ სარკოფაგებს წარმოადგენდნენ. ცხედარი ესვენა ზურგზე გაშოტილი (ქვედა და ზედა კიდურების 23 სხვადასხვა პოზაა დაფიქსირებული). დამხრობა ნებისმიერია.

ამფორასამარხები ბიჭვინთაში საკმაოდ ხშირია. დაკრძალვის ეს წესი ბერძნულ-რომაულია. ამფორასამარხებში იკრძალებოდნენ ბავშვები ემბრიონის პოზაში (ტაბ. XII<sub>2</sub>). უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულია ე.წ. კოლხური, წელშეზნექილი ყავისფერკეციანი ამფორები. ამფორები დაფლულია ჰორიზონტულად. მხოლოდ ერთია ვერტიკალურად დაფლული.

კრამიტსამარხების უმეტესობა ინვენტარიანია. მიცვალებულები დასვენებულია ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში. დამხრობა ნებისმიერია. სამარხებს ბანური ან ორფერდა სახურავები უნდა ჰქონოდა.

კრემაციული სამარხები ცოტაა. სულ გაითხარა 6 სამარხი. მიცვალებულის ნეშთი მიმობნეული იყო სამარხი ორმოს ძირში.

კენოტაფი ერთია. მასში ჩონჩხის კვალი არ დასტურდება. სამარხი ორმოს გარშემო ჩაულაგებიათ მინის 17 სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი (ტაბ. XII<sub>3</sub>). იქვე აღმოჩნდა ვესპასიანეს (78-79) დენარი და ოქროს წყვილი საყურე. დაფიქსირდა ჯარისკაცის სანდლების რკინის მოქლონები. მინის ჭურჭელი თარიღდება III ს-ით.

კერამიკულფილიანი სამარხი ერთია. მის ასაგებად გამოყენებულია კირხსნარი და ოთხკუთხა კერამიკული ფილები (52x52x6 სმ). ერთმანეთთან უკეთ შეკავშირების მიზნით ფილებზე გამოწვამდე ღარებია გმოყვანილი. მიცვალებული დაუკრძალავთ ზურგზე გაშოტილი. სამარხის თავიდან 20 სმ-ის დაშორებით დაკრძალულია ცხენი (ტაბ. XII<sub>5</sub>). საფიქრებელია, რომ კერამიკულფილიანი სამარხი ჰქონის საკუთრება იყო.

ზღვიური კონგლომეტარით ნაგები სამარხი ხუთია. მათი კედლების სიმაღლე 1 მ-ს აღწევს. გეგმაში სამარხები ოვალური ან სწორკუთხაა. მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი. დამხრობა ნებისმიერია.

სამაროვანზე ჭარბობს ინდივიდუალური სამარხები. იშვიათია სამარხთა მეორადი გამოყენების ფაქტი. პიტიუნტის მცხოვრებლებს შეთვისებული ჰქონდათ დაკრძალვის ბერძნულ-რომაული წესი. ამაზე მეტყველებს ჭურჭელზე დაფიქსირებული ბერძნული გრაფიტოები, მიცვალებულთავის ქარონის ობოლის ჩატანება, ამფორასამარხებში დაკრძალვა და სხვ. IV ს-დან ქრისტიანული წესების მოთხოვნათა შესაბამისად სამარხებში ინვენტარი თანდათან მცირდება. IV ს-ის ბოლოდან კი საერთოდ ქრება. სამაროვანზე დაფიქსირებული დაკრძალვის წესები, სამარხეული ინვენტარი, პროვინციული ქალაქის მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლებს, სამხედრო სამსახურში მყოფ და გადამდგარ რომაელ ლეგიონერებს, მათი ოჯახის წევრებს, ქალებსა და ბავშვებს უკავშირდება.

საინტერესოა სამაროვნის ძირითადი თხრილის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდილი ქვიშაქვის სტელა (შემორჩენილი სიმაღლე 73,7 სმ, სიგანე 30 სმ), რომლის ზედა ნაწილში ამოჭრილია ოთხკუთხა ფოსო (13,4x7x2,5 სმ). ფოსოში თავის მხრივ გაკეთებულია რკინის ჯვრის ჩასადგმელი ბუდე. რკინის ჯვარი ნაწილობრივ შემორჩენილიცაა ბუდეში. ჯვრიანი

ბუდე საგულდაგულოდ დაუფარავთ სპეციალურად გამოჭრილი კრამიტის ნაჭრით (ტაბ. XII<sub>6</sub>). ხოლო კრამიტის სარქველი კირხსნარით გამოულესავთ. ამით სტელის პატრონებს სურდათ ადგილობრივი წარმართებისგან დაემალათ ქრისტიანობის მთავარი სიმბოლო. თავის დროზე სტელა ფარული ქრისტიანის საფლავზე უნდა ყოფილიყო აღმართული. მოგვიანებით ის გამოუყენებით როგორც სამშენებლო მასალა. სტელა თარიღდება IV ს-ის პირველი ნახევრით. არ გამორიცხავენ, რომ სტელა უფრო ადრეული – III ს-ის შეუ ხანების იყოს.

დაახ. 370 წლისთვის პიტიუნტი ჰუნების შემოსევის მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ პიტიუნტმა დაკარგა თავისი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა. V ს-ში ბიჭვინთაში ცხოვრება ვიდრე VI ს-ის დასაწყისამდე ჩამკვდარი ჩანს. შემდგომ, პიტიუნტში საქალაქო ცხოვრება კვლავ იწყებს გამოცოცხლებას, რაც დაკავშირებულია ბიზანტიელთა აქტიურობასთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და პიტიუნტში გარნიზონის ჩაყენებასთან. იმ დროიდან იწყება პიტიუნტის კედლების აღდგენა. პროკოპი კესარიელის ცნობით, ბიზანტია-ირანის ომების დროს, 542 წელს ბიზანტიულებმა თვითონვე დაანგრიეს სებასტოპოლისისა და პიტიუნტის სიმაგრეები, რათა იქ ირანელები არ გამაგრებულიყვნენ. ამის შემდეგ ბიზანტიულებმა მხოლოდ სებასტოპოლისი განაახლეს. მიუხედვად ამისა, შავიზღვისპირეთის სხვა რომაულ-ბიზანტიური კასტელუმებისგან განსხვავებით, პიტიუნტში ცხოვრება შემდგომაც არ წყდება. იქ იგება ახალი ტაძრები, როგორც ციხესიმაგრეში, ისე მის ფარგლებს გარეთაც (ლძაა, ფიჭვნარი, ალაპამე). VII-VIII სს-ში და შემდგომაც ბიჭვინთა კვლავ განაგრძობს არსებობას, მაგრამ არა როგორც სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი, არამედ როგორც საეკლესიო ცენტრი.

\* \* \*

შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ზემოთ განხილულ ცენტრებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ადგილობრივ ქალაქებად ვერ ჩამოყალიბდნენ. ამის მთავარი მიზეზი მათი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება, გარე სამყაროსთან (რომთან) ურთიერთობაზე დამოკიდებულება და შესაბამისად, მყარი ეკონომიკური ბაზის უქონლობა იყო. კოლხეთის ზღვისპირეთში უცხო ძალების პოზიციების შესუსტებისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვასთან ერთად, IV-V სს-ში იქ ცხოვრება ქვეითდება, მაშინ, როცა შიდა ეგრისში (ლაზიკაში) ცალკეული ცენტრები აღმავლობის გზაზეა და შემდგომში ისინი კიდევ უფრო ძლიერდებიან. მათი განვითარება ქვეწის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. ზღვისპირა ცენტრებიდან გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს ბიჭვინთა, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით კვლავ აგრძელებდა ცხოვრებას და შემდგომში ის გახდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, საიდანაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

### ძირითადი ლიტერატურა

აბრამიშვილი გ., ზაქარაძა პ., ციციშვილი ი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000.

**აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ო. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, მაცნე, №3, 1965, გვ. 104-131.**

**ბერძნიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბილისი, 1969.**

**გამყრელიძე გ., თოდუა თ. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, თბილისი, 2006.**

**გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, პროკოპი კესარიელი, იუსტინიანე, იოანე ლიდე, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, ტფილისი, 1934.**

**გონიო-აფსაროსი, ტ. III, თბილისი, 2002.**

**გონიო-აფსაროსი, ტ. IV, ბათუმი, 2004.**

**გონიო-აფსაროსი, ტ. VIII, ბათუმი, 2009.**

**დიდი პიტოუნტი, არქეოლოგური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. I, თბილისი, 1975.**

**დიდი პიტოუნტი, არქეოლოგური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. II, თბილისი, 1977.**

**დიდი პიტოუნტი, არქეოლოგური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. III, თბილისი, 1978.**

**დუდუა გ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანანტიკურ-ადრებიზანტიურ ხანაში ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მასალების ფონზე, გურია III, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 2001, გვ. 73-106.**

**ებრალიძე ტ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში, გონიო-აფსაროსი, ტ. VI, ბათუმი, 2005.**

**ვარშალომიძე ი. მონეტები გონიო-აფსაროსიდან, გონიო-აფსაროსი, ტ. VII, ბათუმი, 2009.**

**თოდუა თ. რომაული სამყარო და კოლხეთი, თბილისი, 2003.**

**ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ. ტ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993.**

**კახიძე ა., ხალვაში მ. გონიო-აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (I-VI სს.), კულტურის ისტორიის საკითხები, ტ. V, 1998, გვ. 26-33.**

**კილურაძე ნ. ბიჭვინტის სამაროვნის კირხსნარიანი ორმოსამარხები, კრ. აფხაზეთი I, თბილისი, 2006, გვ. 107-113.**

**კილურაძე ნ., ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის სამაროვანი, კრ. აფხაზეთი II, თბილისი, 2012, გვ. 116-125.**

**ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი, 1991.**

**ლორთქიფანიძე ო. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002.**

**მამულაძე შ., კახიძე ა., კახიძე ე. გონიო-აფსაროსი, თბილისი, 2007.**

**მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბილისი, 1963.**

**მინდორაშვილი დ., მამულაძე შ. გონიო-აფსაროსის №20 კოშკის არქეოლოგიური გათხრები, კრ. სშაბ, თბილისი, 2008, გვ. 116-128.**

**მიქელაძე თ. აფხარ-გონიო ძველი ქართული ციხე-ქალაქი, მმ, №46, 1977, გვ. 35-37.**

**შშვილდაძე მ. ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 2012.**

**უგრელიძე ნ. მინის ოთხი გრავირებული ჭურჭელი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან, ფსაბ, ტ. V, თბილისი, 1987, გვ. 68-77.**

**ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუპა ნ. კეჭალმაძისა, თბილისი, 1961.**

**შალიკაძე თ. გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან, გონიო-აფსაროსი, ტ. V, ბათუმი, 2004.**

**ხალვაში მ. კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, გონიო-აფსაროსი, ტ. II, ბათუმი, 2002.**

ხალვაში ბ., კახიძე ე. აფსაროსი ახ. წ. IV-V საუკუნეებში, ბიებანი, №13-14, 2004, გვ. 147-150.

Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969.

Воронов Ю.Н. Диоскуриада, Себастополис, Цхум, Москва, 1980.

Леквинадзе В.А. Раннесредневековые сооружения Западной Грузии, Седьмая Всесоюзная конференция византистов в Тбилиси, тезисы докладов, Тбилиси, 1965.

Леквинадзе В. А. Оборонительные сооружения Себастополиса, СА, №1, 1966, გვ. 203-210.





Леквинадзе В. А. Римский кирпич со штампом из Цихисдзири, სამახ, №3, გ. 45, 1967, გვ. 797-800.

Леквинадзе В. А. О некоторых сооружениях древнего Питиунта, КСИА, т. 113, 1968.



Леквинадзе В. А. Понтийский лимес, ВДИ, №2, 1969, გვ. 75-93.

Леквинадзе В. А. О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках, ВДИ, №2, 1970, გვ. 174-193.


Odischeli M. Spätantike und Frühchristliche Mosaike in Georgien, Wien, 1995, გვ. 11-26.



3. კვადრებით შემოსაზღვრული ნაგებობა



6. დიდი აბანოს საქვაბე  
კრილები




7. წყალგაყვანილობის  
სისტემები


5. პატარა აბანოს გეგმა

ა. კახიძის, შ. მამულაძის, გ. ხალვაშის მიხედვით


II




1. გონიოს განძის  
ცალკეული ნივთები. I-II სს.



2. I-III სს-ის  
ამფორები




3. წითელლაქიანი კერამიკა





4. პითოსები და ლუთერიები



დ. ხახუტაშვილის, გ. ხალვაშის, გ. ებრალიძის მიხედვით



1. აფხაზობის I-III სე-ის მინის ნაწარმი

ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა  
2. ამფორები, 3. მოზაიკის ფრაგმენტი, 4. მინის ნაწარმი.1,4. თ. შალიკაძის, 2. მ. ხალვაშის,  
3. დ. მინდორაშვილის მიხედვით.






1. Յոհանառուս ձևավորված պահի գլազուրով  
պահի գլազուրով մաթուրանի կերամիկա

2-3. Պահուս բարձրմատ կամացածությամբ  
4. Կամարելի պահուս մաթուրմատ


III-IV լ-օն գալախյոցու

IV լ.


5. օճառչողություն թօնքացառություն




1. Հօկտոմբերի աշմաթափանքի Նվազագույն համարը՝ 65%



## 2. ՀՅՈՒԹԻՆԱՑԱՐԿԵՋԸ



3. ქავერები 6. ონაიშვილის მიხედვით






VII

ԳՈՅՉՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ


ԳՐԱԴԱՐԱՆ

1







1. ბიჭვინთის კონცხი



3. II-III სს-ის აბანო




4. ორაბსიდიანი ეკლესია. VI ს.



2. ბიჭვინთის კასტელუმი. III-VI სს.

აფაქიძის მიხედვით


0 10 20 30 40 50 100



ბიჭვინთის ადრეული შუასაუკუნეების ეპლესიები. IV-VI სს.

o. ციცოშვილის მიხედვით

III ეპლესია






1. ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკის ფრაგმენტი




2. ტაძრის მოზაიკის ფრაგმენტი




3. ბიჭვინთის საერო მოზაიკის ფრაგმენტი


ა. აფაქიძის მიხედვით






1. ბიჭვინთის სამართვნის  
(II-IV სს) გეგმა




2. ამფორასამარხები



4. რომაელი ლეგიონერის  
ფეხსაცმლის ლანჩა




3. კენოტაფი




5. კერამიკულფილებიანი  
სამარხი და ცხენის სამარხი

6. კილურაძის მიხედვით



6. სტელა ჯერის  
გამოსახულებით





ბიჭვინთის სამაროვნის კირხსნარიანი სამარხები. III-IV სს.

6. კილურაძის მიხედვით

## თავი IV

### ეგრისის სამაფოს ქალაქები და შიხესიმაგრები

არქეოლოგიური თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ეგრისის (ლაზიკის) შიდა რაიონების ქალაქები და ციხესიმაგრები: შორაპანი, ვარდციხე, ქუთაისი, ციხე-გოვი (ნოქალაქევი), რომელიც თავიანთი მნიშვნელობის გამო მოქცეულია როგორც ქართული, ისე ბიზანტიური წერილობითი წყაროების თვალსაწილში. მათ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ეგრისის სამეფოს ისტორიაში. ჩამოთვლილი პუნქტებიდან ციხე-გოვი, იგივე ნოქალაქევ-არქეოპოლისი IV ს-დან მოყოლებული ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო. ის არაბებმა გაანადგურეს VIII ს-ის 30-ან წლებში. ამის შემდეგ დას. საქართველოში საფუძველი ეყრება ახალ სამეფოს, რომელიც აფხაზთა სამეფოს სახელითაა ცნობილი, დედაქალაქით ქუთაისში.

ახ. წ. 63 წლიდან იმპერატორ ნერონის დროს კოლხეთი მიმდებარე ოლქებთან ერთად რომის პროვინციად იქცა. რომის ბატონობას ადგილობრივი მოსახლეობა დროდადრო ანტირომაული გამოსვლებითა და აჯანყებებით პასუხობდა. ამას თან დაერთო ირანის ზეგანზე პართიის სახელმწიფოს გაძლიერება არშაკიდების დინასტიის მეთაურობით. პართია ცდილობდა რომი განედევნა სამხრეთ კავკასიოდან. მათ ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს სომხეთში, სადაც სომეხი მმართველები მიიშვრეს და იქიდან რომაელები განდევნეს. ასეთ ვითარებაში რომი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და კოლხეთის სახელმწიფოსთვის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა მიეცა. თუმცა, მისთვის საშიშროებას წარმოადგენდა ერთიანი დამოუკიდებელი კოლხეთის სახელმწიფო. ამიტომ რომმა ასეთ ხრის მიმართა: კოლხეთი რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაყო იქ მოსახლე ტომების მიხედვით. თითოეული ეს ერთეული თითქოს დამოუკიდებელ, სინამდვილეში კი რომისადმი დაქვემდებარებულ სამეფოდ გააფორმა. ასეთ ვითარებაში მათი მართვა უფრო მოხერხებული იყო. ამგვარად შეიქმნა კოლხეთის ერთიან სამეფოში 5 დამოუკიდებელი ერთეული: ჭოროხის სამხრეთით — მაკრონ-ჰენიოხთა; ცენტრალურ კოლხეთში — ლაზთა; მათ ჩრდილოეთით — აფსილთა, აბაზგთა და სანიგთა. თითოეულის სათავეში იდგნენ რომის მიერ დამტკიცებული მეფეები, ხოლო კოლხეთის ზღვისპირა ზოლში — აფსაროსში, ფაზისში, დიოსკურია-სებასტოპოლისში, პიტიუნტში რომმა თავისი გარნიზონები განალაგა.

შემდგომ ხანებში ვითარება თანდათან იცვლება. რომი საკმაოდ სუსტდება შინაგანი წინააღმდეგობებისა და მომთაბარე ტომების სასტიკი შემოსევების გამო. ის უწინდებურად ვეღარ აკონტროლებდა კოლხეთის მიწა-წყალს. III ს-ის 20-30-ან წლებში პართიის სამეფოს ნაცვლად ირანის ზეგანზე წარმოიქმნა ბევრად უფრო ძლიერი და აგრესიული სასანიდური სპარსეთი, რომელმაც რამდენჯერმე მარცხი აგება რომს სომხეთში და ქართლზედაც გაავრცელა პოლიტიკური გავლენა. ასეთ ვითარებაში რომს დასავლეთ საქართველოში უფრო ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა, ვიდრე ისეთი მორჩილი, რომელიც შესაძლოა მძიმე ვითარების დროს სპარსელთა მხარეზე გადასულიყო და რომისთვის სასტიკი დარტყმა მიეყნებინა. ასეთმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ეგრისის, ანუ როგორც მას

ბიზანტიულები უწოდებდნენ, ლაზიკის დაწინაურებას. IV ს-დან ეგრისში უკვე აღარ დგანან რომაელთა გარნიზონები და ეგრისელები აღარ იხდიან ხარჯს რომაელთა სასარგებლოდ. ეგრისის მეფეთა დამოკიდებულება რომზე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. IV ს-ის ბოლოს ლაზთა სამეფომ თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო. სწორედ IV ს ითვლება ეგრისის სახელმწიფოს წარმოშობის ხანად. ეს საუკუნე უნდა ჩაითვალოს მის დედაქალაქად ნოქალაქევა-არქეოპოლისის აღმოცენების დროდ.

**§1.** ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბებისა და გაფართოების კვალდაკვალ სამეფო ხელისუფლებისთვის აუცილებელი შეიქნა რეზიდენცია ჰერიკონი ქვეყნის ცენტრალურ ადგილას, საიდანაც ადგილად მიუწვდებოდა ხელი სამეფოს ყველა მხარეზე. გარდა ამისა, ქვეყნის მთავარი ქალაქი უნდა ყოფილიყო ბუნებრივად დაცულ ადგილას. ამ მოთხოვნებს ნოქალაქევი შესანიშნავად ჰასუხობდა. ამასთან, ნოქალაქევი მდებარეობდა კოლხეთის მთისა და ბარის საზღვარზე. აქედან შეიძლებოდა კონტროლის განხორციელება როგორც მთიან რეგიონებზე, ისე ბარის მხარებზე. და ბოლოს, ნოქალაქევზე გადიოდა უძველესი სავაჭრო-სამხედრო გზა, რომელიც ეგრისის ზღვისპირა ოლქებს აკავშირებდა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან. ერთი სიტყვით, ნოქალაქევის ტერიტორია დედაქალაქისთვის აუცილებელ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

ნოქალაქევის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული. ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის უამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“ [ქც 1973:777<sub>11-13</sub>]. ჯუანშერის ცნობით, მურვან ყრუმ „შემუსრნა ყოველნი ქალაქი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყნისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“ [ქც 1955:235<sub>1-2</sub>]. მნიშვნელოვანია, რომ ლეონტი მროველი და ვახუშტი ბაგრატიონი ციხე-გოჯს ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის ერისთავის ქუჯის მიერ აშენებულ ქალაქად მიიჩნევდნენ. მართლაც, ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებმა გამოავლინა ძვ. წ. IV-III სს-ის არქეოლოგიური მასალა. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია დიდი ზომის ქვათლილები, რომლებზეც შემორჩენილია ქვათლილების გადასაბმელი რკინის სამაგრების ფოსოები. ამგვარი სამშენებლო ტექნიკა ძირითადად ელინისტურ ხანაში იყო გავრცელებული. გარდა ამისა, ნოქალაქევის ტერიტორიაზე გამოვლინდა ძვ. წ. IV-III სს-ით დათარიღებული სამარხები. ეს ფაქტები საეჭვოს აღარ ხდის ნოქალაქევის დარსებას ფარნავაზის ზეობის დროს. ხოლო ის, რომ ქალაქის დამარსებელი მართლაც ქუჯი ყოფილა, მტკიცდება „დავითისა და კონსტანტინეს მარტივილობის“ ტექსტიდან, სადაც ნოქალაქევი ჯიხან-ქუჯის, ანუ ქუჯის ციხის სახელითაა მოხსენიებული.<sup>35</sup> გათხრებისას დადასტურდა აგრეთვე ცნობა ქალაქის სამზღვედიანობის შესახებ. გაირკვა, რომ ქალაქს აღმოსავლეთიდან მართლაც მძლავრი სამაგი ზღუდე იცავდა. ძეგლი წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება. ქართულ წყაროებში – ციხე გოჯი, ნაქალაქევი და ჯიხან-ქუჯი; ბიზანტიურ წყაროებში არქეოპოლისი, რაც ძველ ქალაქს ნიშნავს. იუსტინიანეს მიხედვით, „არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია“ [გეორგიკა 1934:198].

<sup>35</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, წ. I, თბილისი, 1946, გვ. 238.

ეგრისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი დგება VI ს-ის 30-ანი წლებიდან. 527 წელს ბიზანტიის იმპერატორი ხდება იუსტინიანე I, რომელმაც მოახერხა კრიზისის დაძლევა და მნიშვნელოვნად გააძლიერა ქვეყნა. ამის შემდეგ ბიზანტია შეეცადა დაემარცხებინა მისი მთავარი მეტოქე სპარსეთი და განედებინა ის სამხრეთ კავკასიიდან. სპარსეთის წინააღმდეგ ერთ-ერთ პლაცდარმად მან ეგრისი აირჩია. ამიერიდან ეგრისი გახდა ამ ორი სახელმწიფოს ქიშპობის საგანი და სასტიკი ბრძოლების ასპარეზი, რამაც ბუნებრივია, დიდად დააზარალა ქვეყნა. 551 წელს სპარსთა სარდალმა მერმეროემ დიდი ჯარით იერიში მიიტანა არქეოპოლისზე, რომელსაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ბიზანტიელებიც იცავდნენ. მერმეროემი იქ 4000 ჯარისკაცი დაკარგა და იძულებული გახდა უკუქცეულიყო. ერთი წლის შემდეგ მერმეროემ ახალი ძალებით შეუტია არქეოპოლისს, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. 554 წელს სპარსელები კვლავ მარცხდებიან ნოქალაქევთან გამართულ ბრძოლაში. ჩანს, ისინი ვერაფრით ახერხებდნენ მტკიცედ გამაგრებული სამზღვდიანი ქალაქის დამორჩილებას. ამის შემდეგ ინიციატივა ბიზანტიელების ხელში გადადის და 562 წელს დადებული „ორმოცდათწლიანი ზავის“ მიხედვით, ეგრისში ბიზანტიელები გაბატონდნენ. VII ს-ში ბიზანტიელებმა ეგრისში მეფობა გააუქმეს და ეგრისელებს იმპერატორის მოხელე პატრიკიოსი განუმწესეს ადგილობრივი დიდკაცობის მხრიდან. ამგვარმა ქმედებებმა, ბუნებრივია, ანტიბიზანტიური განწყობები გაამძაფრა. 697 წელს პატრიკიოს სერგი ნაბარნუგის ძეს ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყება მოუწყვია და ქვეყნა არაბებისთვის გადაუცია. იმ დროისთვის არაბებს ქართლში უკვე მტკიცედ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული და ამჯერად ეგრისიც დაიკავეს. არაბები არქეოპოლისში VIII ს-ის 10-ან წლებამდე ჩანან. 718 წელს როცა არაბები კონსტანტინეპოლითან დამარცხდნენ, თანდათან დაკარგეს ინიციატივა სამხრეთ კავკასიაშიც. თუმცა, თბილისის საამირო კვლავ არსებობდა და ამასთან ერთად ცდილობდა დამოუკიდებლობა მოეპოვებინა სახალიფოსგან. ამ მისწრაფების აღსაკვეთად სამხრეთ კავკასიაში 735-37 წლებში ილაშქრა მურვან ყრუმ, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან ქალაქებთან ერთად ნოქალაქევიც დალაშქრა.

ნოქალაქევი მდებარეობს მდ. ტეხურის პირას, ახლანდელ სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე. იქ არქეოლოგიური გათხრები პირველად 1930-31 წლებში ჩატარდა გერმანელი მეცნიერის, ალფონს მარია შნაიდერის მიერ. 1973 წლიდან ნოქალაქევში სისტემატურ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია თავის დროზე პ. ზაქარაიას, ამჟამად დ. ლომიტაშვილის ხელმძღვანელობით.

ტეხურის პლატოზე განლაგებული ქალაქის ძირითად ნაწილს, რომელიც აღმოსავლეთი მხრიდან ადვილი მისადგომია და აქედანვე აქვს მთავარი შესასვლელი, იცავს სამმაგი კედლითა და კოშკებით შედგენილი მბლავრი სისტემა (ტაბ. I<sub>1</sub>). პირველი გალავანი აშენებულია ახ. წ. IV ს-ის დასაწყისში; მეორე – V ს-ის პირველ ნახევარში; მესამე – V-VI სს-ის მიჯნაზე. გალავნებს ჰქონდათ საბრძოლო ბაქნები და ქონგურები. ამ უკანასკნელის შესახებ ცნობები მოიპოვება პროკოპი კესარიელის (VI ს.) თხზულებაში. კერძოდ, წყაროში მითითებულია, რომ ბიზანტიელთა სარდლობამ ჯარისკაცებს დაავალა,

არქეოპოლისს მომდგარი სპარსელები ციხის „კბილანგბიდან“, ანუ ქონგურებიდან მოეგერიებინათ. გალავანი გამაგრებულია სწორკუთხა გეგმის კოშკებით, რომლებიც ნაგებია რიყის ქვითა და ქვათლილებით. გალავნები მიჰყვება საკმაოდ ციცაბო კალთებს და ზედა პლატოზე ქმნის ზედაციხეს, აკროპოლისს (ადგილის სახელი „ჯიხა“) ასევე როული გამაგრებით. ამ სასიმაგრო სისტემის ცალკეული ელემენტები უკვე IV ს-ში ჩანს გაჩენილი. ციტადელში ორი დიდი და ერთი მცირე ზომის კოშკის, ციხისთავის სასახლისა (ტაბ. I<sub>2</sub>) და დარბაზული ეკლესიის „მისარონის“ (ტაბ. II<sub>5</sub>) ფრაგმენტებია შემორჩენილი. ციტადელს ორი მცირე ზომის კარი სამხრეთიდან ჰქონია.

ნაქალაქარში აღმოჩენილია სამი სასახლის ნანგრევები, რომელთაგან ყველაზე აღრეული IV ს-ით თარიღდება. ის ძლიერი ნაქალაქარის სამხრეთით, კოშკის სიახლოვეს. მისგან შემორჩენილია მხოლოდ თაღების საყრდენები (ტაბ. I<sub>4</sub>). მისი მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ მეორე სასახლეს აგებულ უფრო აღმოსავლეთით, ვაკე აღგილზე. სასახლე მოუქცევიათ ცალკე გალავანში, რომლის ერთ კუთხეში საყარაულოა. სასახლის ეზოში მოხვედრა მხოლოდ საყარაულოს გავლით შეიძლებოდა. სასახლე ორსართულიანია. შუაში დიდი ფართობის მქონე დარბაზია. გრძივ კედლებზე გრძელი აივნები ყოფილა. დარბაზის ბოლოებში სამ-სამი სათავსია (ტაბ. I<sub>5</sub>). მეორე სასახლე დათარიღებულია V ს-ით. სასახლე ბრძოლების შედეგად ჩანს განადგურებული. მისი კედლები დამწვარი და დანგრეულია.

მესამე სასახლე სამსართულიანია. პირველი სართული დამხმარე დანიშნულების იყო და ცალკე კარი ჰქონდა დასავლეთიდან. მეორე სართულზე მისაღები დარბაზია, მესამეზე – საცხოვრებელი. სასახლე ნაგებია ქვათლილებით. თარიღდება VI ს-ის დასაწყისით. სასახლის პირველი სართულის ერთი ნაწილი მოგვიანებით დადიანებს მარნად გამოუყენებიათ. იქ აღმოჩნდა ქვითა და კირით ნაგები ორმო მაჭრისათვის; ქვის საქაჯავი და ჩაკირული ქვევრები (ტაბ. I<sub>5</sub>).

ნაქალაქარზე სასახლის აღმოჩნის ფაქტი დამადასტურებელია იმისა, რომ IV ს-დან ნოქალაქევი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრს და უკვე იმ დროიდან ეგრისის დედაქალაქსაც.

„ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის გარშემო გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი ეკლესია. პირველი ეკლესიის მხოლოდ საკურთხეველია შემორჩენილი. ის ნახევარწრეა. ეკლესია დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. თარიღდება IV ს-ის შუა ხანებით (ტაბ. II<sub>3</sub>). ეკლესია მტრის ხელითაა დანგრეული. ნოქალაქევში IV ს-ის შუა ხანების ეკლესიის აღმოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ ეგრისმა, ისევე როგორც ქართლის სამეფომ ქრისტიანული რელიგია სწორედ IV ს-ში მიიღო და არა 523 წელს, როგორც ამას კარგა ხნის მანძილზე ამტკიცებდნენ.

მეორე ეკლესია პირველის ნანგრევებზე V ს-ის შუა ხანებში აუშენებიათ. ის სამავიანი ბაზილიკა (22,35x26,6 მ). მისი აბსიდა წარმოადგენს ხუთგვერდა შვერილს. ცენტრალური ნავი გვერდითი ვიწრო ნავებისგან გამოყოფილია სვეტებზე დაყრდნობილი სამ-სამი თაღით. გვერდით ნავებს დასავლეთით განიერი ნავი აერთებს. ამ ნავში ყოფილა სანათლავი, ვინაიდან მის კედელში აღმოჩნდა თიხის მიღი, რომელიც გარეთკენაა დაქანებული. ეს კი ნავში

ემბაზის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ეკლესიას 4 კარი ჰქონდა. მთავარი კარი არის დასავლეთიდან. ეკლესია ნაგებია ყორე და ნახევრად დამუშავებული ქვით (ტაბ. II<sub>3</sub>). ეს ბაზილიკაც მტრისგან ჩანს დანგრეულ-გადამწვარი.

ამის შემდეგ მეორე ეკლესიაზე მესამეს აშენებენ. მესამე ეკლესიაც ბაზილიკა. მრავალჯერაა გადაკეთებული (ტაბ. II<sub>4</sub>). თავდაპირველი ეკლესია სამნავიანი ყოფილა, სადაც გვერდითი ნაგები დასავლეთით ისევ ნავით ერთდებიან. კარი დასავლეთით და სამხრეთით აქვს. მესამე ეკლესია თარიღდება VI ს-ის დასაწყისით. როგორც ჩანს, ის 735-37 წლებში მურვან ყრუს ლაშქრობისას განადგურდა. შემდგომ ეკლესია მნიშვნელოვნად გადააკეთეს. ის გუმბათიან ეკლესიად აქციეს (ტაბ. I<sub>3</sub>).<sup>36</sup>

ბაზილიკების გარდა, ნაქალაქარზე გაითხარა დარბაზული ტიპის ეკლესიებიც. ერთ-ერთი ასეთია ქვედა ტერასის ეკლესია. ის საძირკვლის დონეზეა შემორჩენილი. აბსიდა ნახევარწრიულია. თავდაპირველი შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. მოგვიანებით, ეკლესიისთვის დასავლეთიდან მინაშენი და კარი გაუკეთებიათ, ხოლო მინაშენისთვის კარი სამხრეთით დაუტანებიათ. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით. თლილი ქვა ნახმარია კარის ზღურბლზე და წირთხლებზე. ეკლესიის შიგნით მოწყობილი ყოფილა სანათლავი. მისგან დარჩენილია კედელში დატანებული თიხის მილები, რომლებიც გარეთკენაა დახრილი. მილების წყება ეკლესიის გართ 3-4 მ-ზეა შემორჩენილი (ტაბ. II<sub>1</sub>). ჩანს, ეკლესიის შიგნით მდგარი ემბაზიდან წყალი ამ მილებით გარეთ გადიოდა. ამგვარად მოწყობილი სანათლავის ნიმუში ნოქალაქევში ზემოთ უკვე მოხსენიებულ სამნავიან ბაზილიკაშიცაა შემორჩენილი. ეკლესია V ს-ში უნდა იყოს აგებული.

მეორე დარბაზული ეკლესია ქალაქის პირველ გალავანშია ჩართული და ჩანს, მასთან ერთადაა აგებული. ეკლესიას აქვს ხუთწახნაგა შვერილი აბსიდა, რომელიც შიდა მხრიდან ნახევარწრიულია. დასავლეთიდან ჰქონია კარი (ტაბ. II<sub>2</sub>). ნაგებია ყორექვით. კედლებს ინტერგალებით მიუყვება აგურის შრეები ე. წ. opus mixtum. ერთგან შეიმჩნევა აგური წყობის 9 ფენა.

„მისარონის“ ეკლესია ნოქალაქევის შიდა ციხის – აკროპოლისის ცენტრალურ ნაწილშია. ის საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა. იატაკიდან ორი საფეხურით აწეული ნახევარწრიული აბსიდა მოქცეულია სწორგუთხედში (ტაბ. II<sub>5</sub>). საკურთხეველში სარკმელი და აქეთ-იქით ორი პატარა ნიშია. თავის დროზე ეკლესიას ჰქონია კანკელი, რომლიდანაც მხოლოდ ცუდად შემორჩენილი ფრაგმენტები დაფიქსირდა. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. როგორც წესი, კარი ეკლესიას ჩრდილოეთიდან არ უკეთდებოდა, მაგრამ ოადგან სამხრეთით კლდოვანი ფერდობია, კარის გაკეთება მშენებლებმა ჩრდილოეთიდან არჩევს. ერთი სარკმელი სამხრეთ კედელშია დატანილი. ეკლესია ნაგებია ადგილობრივი კირქვით, ხოლო კამარაზე გამოყენებულია შირიმის ქვა. თარიღდება V ს-ის ბოლოთი და VI ს-ის დასაწყისით.

<sup>36</sup> გვიანდელ შუასაუკუნეებში დადიანებს ეკლესია კვლავ გადაუკეთებიათ და XVI-XVII სს-ში მოუხატავთ კიდეებ.

ნოქალაქევის ტერიტორიაზე ამდენი ეკლესიის არსებობა ქალაქის ინტენსიურ ცხოვრებაზე მიუთითებს. მართალია, ჩამოთვლილი 6 ეკლესიდან ყველა ერთდროულად არ მოქმედებდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი თანადროული ჩანს.

ქალაქის მოსახლეობის მაღალ საყოფაცხოვრებო დონეზე ლაპარაკობს იქ აღმოჩენილი 2 აბანო. „სამეფო აბანო“ ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს (ტაბ. I<sub>6</sub>). აბანო შედგებოდა: გასახდელის, ვესტიბიულის, საცეცხლის, ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებისგან. თბილი და ცხელი სააბაზანოების ქვეშ გამართულია კალორიფერები, სადაც ტრიალებს საცეცხლიდან გამოსული ცხელი ჰაერი, რომელიც ათბობს იატაკსაც და სათავსებსაც. თბილ და ცხელ სათავსებს შორის განსხვავება ისაა, რომ თბილ სათავსში მხოლოდ იატაკი თბება, ცხელში კი იატაკი და კედლები, ამ უკანასკნელზე ამყოლი კერამიკული „თბოზოლატორებიდან“ გამომდინარე სითბოს საშუალებით. აბანოს შიდა კედლები და აუზები შელესილია ჰიდრაგლიკური ხსნარით. სათავსები გადახურული ყოფილა კამარებით. განათება ჰქონია გვერდით კედლებში დატანებული სარკმლებიდან, რომლებიც შემინული ყოფილა. ფასადები შემოსილია საშუალო ზომის თლილი ქვებით. აბანო თარიღდება IV-V სს-ით. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აბანოს კუთხეში თავის დროზე ამოდიოდა ცხელი გოგირდოვანი წყალი. საერთოდ, ტეხურის ხეობა მდიდარია გოგირდოვანი წყლებით, რომლებიც დღესაც ამოდის მიწის წიაღიდან. შესაძლოა „სამეფო აბანო“ გოგირდის წყლით საზრდოობდა.<sup>37</sup>

მეორე აბანო („სამოქალაქო აბანო“) მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, „სამეფო აბანოდან“ 100-ოდე მ-ზე. აქაც გგხვდება: გასახდელი, საცეცხლე, თბილი, ცივი და ცხელი აბანოები (ტაბ. I<sub>7</sub>). ნოქალაქევში ორი განსხვავებული აბანოს არსებობა, მოწმობაა ეგრისის მოქალაქეთა მაღალი სანიტარულ-ჰიგიენური კულტურისა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადრეული შუასაუკუნეების აბანოები აღმოჩენილია ეგრისის სამეფოს სხვა აღგილებშიც, კერძოდ: მარტვილში, ნოვიხევში, ნოსირში, შუხუთში, პატრიკეთში, ბიჭვინთაში და სხვ. მაშინ უფრო თვალნათლივ წარმოგვიდგება ამ კულტურის მაღალი დონე.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ნაქალაქარიდან მდ. ტეხურაზე ჩამავალი საკმაოდ ფართო და კეთილმოწყობილი გვირაბის არსებობა. ქვათლილებით ნაგები 40 მ სიგრძის გვირაბის კამარა ნახევარწრიულია. გვირაბს აქვს ქვის კიბე. შემორჩენილია 14 საფეხური. ის არ იყო განკუთვნილი მარტო წყლის ამოსატანად. გვირაბი წარმოადგენდა ქალაქის სამდინარო ჭიშკარსაც, რაც ფაზისზე და ტეხურაზე ნაოსნობის დამადასტურებელი ფაქტიც უნდა იყოს.

ნაქალაქარის სამაროვანზე ანტიკური ხანის სამარხებთან ერთად გათხრილია ახ. წ. IV-VI სს-ის ორმოსამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ადგილობრივი წარმოების ქოთნები, დოქები, ოქროს, რკინისა და ბრინჯაოს მშვიდდსაკინძები, საკინძები, ბეჭდები, საყურე-რგოლები, სარდიონისა და მინის მმივები.

<sup>37</sup> იმ ადგილას გოგირდის წყალი XIX ს-ის ბოლომდე ამოდიოდა და ხალხიც ბევრი მიდიოდა იქ სამკურნალოდ. ამგვარი ხალხმრავლობა დადიანებს მოსწყინდათ თურქები და წყლისთვის მიწა მიუყრიათ.

ნაქალაქარის არქეოლოგიურ მასალაში უმრავლესობა კერამიკაა. მათგან აღსანიშნავია IV-VII სს-ით დათარიღებული წითელლაკიანი ლამბაქები და თეფშები, რომლებიც იმპორტული ნაწარმია (ტაბ. III<sub>1</sub>). იქვე გვხვდება მათი ადგილობრივი მინაბაძები, რომლებიც იმპორტულ ნიმუშებთან შედარებით უფრო მდარე ხარისხისაა. იმ პერიოდის კერამიკაში გამოირჩევა სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული და ნოქალაქევში მოხვედრილი ამფორები (ტაბ. III<sub>3</sub>). მრავლადაა ყავისფერკუციანი, წელშეზნექილი, ე. წ. კოლხური ამფორები. 22 ასეთი ამფორა აღმოჩნდა ციტადელის ჭიშკართან, ზედ ზღუდესთან (ტაბ. III<sub>4</sub>). ფიქრობენ, რომ ამ ამფორებით ციტადელის დამცველი მეომრებისთვის წყალი აპქონდათ. ადგილობრივი კერამიკის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ქვევრები (ტაბ. III<sub>10</sub>). მრავლადაა აღმოჩნილი ლუთერიები (ტაბ. III<sub>1</sub>). საინტერესოა ნახევარსფეროსებური ფორმის ბრტყელფუძიანი თიხის ჭურჭელი, რომელსაც ძირზე და ზედა ნაწილზე აქვს ხვრელი. ფიქრობენ, რომ შესაძლოა ის სასაკმევლე იყოს (ტაბ. III<sub>1a</sub>). ადგილობრივ კერამიკაში დიდი რაოდენობით გვხვდება ქოთნები, ტაფები, ღოქები. ზოგიერთი ღოქის ყურთან ამოკაწრულია სხვადასხვა ნიშნები (ტაბ. III<sub>1</sub>). გათხრებისას აღმოჩნილია VIII-XI სს-ის წითლად მოხატული კერამიკის ნიმუშებიც (ტაბ. III<sub>2</sub>). ნოქალაქევის მოქალაქეთა საქმიანობაზე მიუთითებს თიხის კვირისტავები და პირამიდული საქაჩი, რომელთაც რთვისა და ქსოვის დროს იყენებდნენ. აქვეა ნაპოვნი თევზსაჭერი ბადეების თიხის საწაფები.

არქეოლოგიურ მონაპოვარს შორის აღსანიშნავია ტყვიის ბეჭედი, რომელიც ეკუთვნოდა პატრიკიოს სერგის (ტაბ. III<sub>8</sub>). ეს ის სერგი ნაბარნუგის ძეა, რომელმაც 697 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო და ციხე-გოჯი არაბებს გადასცა.

ლითონის ნივთებიდან საინტერესოა ნაჯახები, წალდი, თოხები და სადურგლო იარაღები, რომლებიც მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას (ტაბ. III<sub>6</sub>). გათხრებისას აღმოჩნილია ბრინჯაოს ჭალი, რომელიც თავის დროზე რომელიმე ეკლესიას ან სასახლეს ამშვენებდა (ტაბ. III<sub>9</sub>). ჭალის ფრაგმენტზე შემორჩენილია ბერძნული სახელი „ევსტრატი“. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება: აბზინდები, სარტყლის დეტალები, მშვილდსაკინძები (ტაბ. III<sub>5</sub>). მოქალაქეთა საომარ აღჭურვილობაზე მეტყველებს გათხრებისას აღმოჩნილი ისრისპირები, შუბისპირები, ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯები, ქვის ჭურვები, ჩაფხუცის ფრაგმენტები (ტაბ. III<sub>7</sub>).

გათხრებისას გამოვლენილი ჩვენთვის საინტერესო ხანის მონეტებიდან აღსანიშნავია: კონსტანტინე I-ის (306-337), ანასტასი I-ის (491-518), იუსტინე I-ის (518-527), იუსტინიანე I-ის (527-565), იუსტინე II-ის (565-578) და სხვათა მონეტები. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი კოშკის გათხრებისას 1930 წელს ნაპოვნი იქნა ტიბერიუსის (582-602) 23 ოქროს მონეტისგან შემდგარი განძი. ჩანს, განძი მფლობელს საომარი მოქმედების წინ ჩაუფლავს მიწაში, მაგრამ მასთან დაბრუნება ვეღარ დასცლია. ნოქალაქევში აღმოჩნილი მონეტები მეტყველებს იმ სავაჭრო ურთიერთობებზე, ეგრისის დედაქალაქის მცხოვრებლებს რომ ჰქონდათ ბიზანტიელებთან.

735-37 წლებში სამხრეთ კავკასია დალაშქრა მურვან ყრუმ. სომხეთისა და ქართლის აოხრების შემდეგ ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ცეცხლითა და მახვილით შეტუსრა ციხე-გოჯი. შემდგომ აფხაზეთისკენ გასწია და მიადგა ანაკოფიის ციხეს, სადაც გამაგრებული იყვნენ ქართლიდან ლტოლვილი ერისმთავარი მიპრი, მისი ძმა არჩილი და აფხაზეთის ერისთავი ლეონი. იქ არაბებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, უკან გაბრუნდნენ და სამხრეთ საქართველო დალაშქრეს. ამის შემდეგ იწყება ნოქალაქევის თანდათან დაცემა-დაქვეითების პროცესი. ოდესდაც ძლიერი ქალაქი წელში ველარ გაიმართა და საბოლოოდ დაკნინდა. მართალია, იქ შემდგომაც გრძელდებოდა ცხოვრება, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით. ცოტა ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ცენტრად ქუთაისი ხდება. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ციხე-გოჯის დაქვეითებას.<sup>38</sup>

\* \* \*

**§2. შორაპანი** მდებარეობს მდ. ყვირილასა და ძირულას ხეობებში, მათ ხერთვისთან, დღევანდელი დაბა შორაპნის ტერიტორიაზე. ვახუშტი ბაგრატიონი შორაპნის შესახებ წერდა: „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა მეფემან ფარნაოზ ქალაქი და ციხე, და ჰყო საერისთოდ, და არს დიდშენობა ფრიადი... აქეს გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე“ [ქც 1973:757<sub>9-14</sub>].

შორაპანი წყაროებში პირველად მოხსენიებულია სტრაბონთან (ძვ. წ. I - ახ. წ. I სს.). „ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“ [ყაუხეჩიშვილი 1957:123]. სტრაბონი შორაპანს იხსენიებდა იბერიაში შემაგალ გზებთან დაკავშირებითაც. იბერიაში შესასვლელი ოთხი გზიდან „ერთი არის კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფაზისი მიმდინარეობს“ [ყაუხეჩიშვილი 1957:128]. პროკოპი კესარიელის ცნობით, „ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანისი: ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება იმათ კაცი“ [გეორგიკა 1934:155]. ლეონტი მროველის მიხედვით „ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ [ქც 1955:24<sub>10-11</sub>]. ანტიკურ ხანაში და ადრეულ შუასაუკუნეებში შორაპანზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადიოდა. მათ შორის იყო ეგრისიდან ქართლის სამეფოსკენ მიმავალი ერთ-ერთი ძირითადი გზა, რამაც დიდად შეუწყო ხელი იმ პერიოდში ციხის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებას.

შორაპნის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1949 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძ. ს. ყაუხეჩიშვილი). შემდგომში იქ ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები (გ. ცქიტიშვილი). 1980 წელს ციხეზე მუშაობა განახლდა სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა 1985-89 წლებში (ვ. ჯაფარიძე).

<sup>38</sup> გვიანდელ შუასაუკუნეებში ნოქალაქევი ჩვეულებრივი, რიგითი ციხეა. XVIII ს-ში ის დადიანთა ერთ-ერთი შტოს რეზოდენცია იყო.

ნაქალაქარის ციხის სტრატიგრაფია ასეთია: ზედა ფენა მოიცავს XVII-XVIII სს-ის მასალებს; საკმაოდ თვალსაჩინოა XI-XIV სს-ის კულტურული ფენები; რაც შეეხება IV-VII სს-ის ფენებს, ისინი წარმოდგენილია ძეგლის თითქმის ყველა უბანზე. ყველაზე ძველია გათხრებისას გამოვლენილი გვიანელინისტური და I-II სს-ით დათარიღებული მასალები.

კლდოვან ბორცვზე გათხრებამდე მხოლოდ ნაქალაქარის ციხის შუასაუკუნეების კედლები ჩანდა. ტერიტორია, რომელსაც გალავანი ზღუდავდა 25 ჰ-ია. ზღუდის კედლებში ჩაშენებულია ოთხკუთხა კოშკები (ტაბ. IV<sub>2</sub>). ციხეს აქვს თავისი ციტადელი. ზღუდის კედლებს ეტყობა არაერთგზის გადაკეთების კვალი.

გაირკვა ნაქალაქარის ციხის კედლებში რამდენიმე სამშენებლო ფენის არსებობა: 1. IV-V სს-ით უნდა დათარიღდეს კირქვის ქვათლილებით კირხსნარზე ნაგები კედლები; ეს კედლები თვით ეგრისელებს უნდა დაენგრიათ ბიზანტია-სპარსეთის საომარი მოქმედებებისას, რათა სპარსელებს იქ გამაგრების სურვილი არ გასჩენდათ; 2. VI ს-ის უნდა იყოს უხეშად გათლილი ქვათლილების წყობა კირხსნარზე, ოთხი რიგის შემდეგ ხუთრიგიანი აგურის წყობის შენაცვლებით; 3. გვიანდელ შუასაუკუნეებს განეკუთვნება ზღუდის სამშნებლო ფენა რიყის ქვის წყობით კირხსნარზე (ტაბ. IV<sub>3</sub>).

უხეში ქვათლილებითაა ნაშენი წყალზე ჩამავალი გვირაბიც, რომელიც მოგვიანებით განუახლებიათ. გვირაბის კედელს სინათლისთვის გარკვეული ინტერვალით მომცრო სარკმლები აქვს დატანებული. გვირაბში არის ნიშებიც, ალბათ სანათურისთვის. გვირაბის იატაკი კლდეში გამოკვეთილი, ზოგან კი რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები კიბეებია. გვირაბი მიემართება მდ. ყვირილასაკენ და ერთვის ორსართულიან კოშკს, რომლის ქვედა სართული ჭის ფუნქციას ასრულებდა (ტაბ. IV<sub>2</sub>). ქალაქის ციხის მთავარი შესასვლელი სამხრეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთ მხარესაც შეიმჩნევა ერთი კარი, რომელიც უკვე მონგრეულია.

ციხის ტერიტორიაზე გაითხარა ერთიმეორის გვერდით განლაგებული შენობები, რომლებიც, შესაძლოა, თავის დროზე ყაზარმა იყო (ტაბ. IV<sub>2</sub>). ამ ნაგებობებს უკავშირდება პიდრავლიკური ხსნარის სქელი ფენით შელესილი ნაგებობა – წყლის რეზერვუარი. ციტადელში გამოვლინდა მარცვლეულის შესანახი 5 დიდი ხარო და 10-მდე ქევრი. ნაგებობები IV-VI სს-ით თარიღდება.

ციხის გათხრებისას აღმოჩნდილი გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის მასალები იმაზე მიუთითებს, რომ შორაპნის ქალაქობამდე – IV ს-მდე იქ უკვე საკმაოდ ძლიერი დასახლება ყოფილა. რაც შეეხება IV-VI სს-ის მასალას, მათგან აღსანიშნავია: წერნაქიანი, ნაპრიალები ჯამები, რომელებიც რომაული წითელლაკიანი ჯამების გვიანდელ მინაბაძებს წარმოადგენენ. სხვა სახის ჭურჭლიდან გვხვდება: ქვევრები, ქოცოები, დერგები, ლუთერიები, დოქები, ამფორები. ეს უკანასკნელი საკმაოდ მრავალფეროვანია (ტაბ. V, VI). სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია აგურებითა და კრამიტებით. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია ფეხიანი სასმისები და ამოხეხილგვერდიანი ჭურჭლი (ტაბ. V). 1949 წელს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა IX ს-ის არაბული მონეტა.

ციხის ქვემოთ – ძირულა-ყვირილას შესართავთან მოზრდილი დასახლებაა (ტაბ. IV<sub>1</sub>). თუმცა, ეს ადგილი არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი.

ცნობილია, რომ VI ს-ში ეგრისისათვის ერთმანეთს ებრძოდა ბიზანტია და ორანი. შორაპანი ხან ბიზანტიელების ხელში იყო, ხან ირანელების. ლაზებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შორაპანისა და სკანდეს ციხეები დაანგრიეს, რომ ისინი სპარსელებს არ ჩაეგდოთ ხელში. ჩანს, შორაპანი იმდენად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე ყოფილა, რომ სპარსელებმა შემდგომ კვლავ განაახლეს ის. შორაპანის ციხე ფუნქციონირებას განაგრძობდა განვითარებულ და გვიანდელ შუასაუკუნეებშიც.<sup>39</sup>

\* \* \*

**§3. ვარდციხე** – ბიზანტიური წყაროებით „როდოპოლისი“, მდებარეობს მდ. რიონ-ყვირილასა და ხანისწყლის შესართავთან, ახალანდელი სოფ. ვარდციხის ტერიტორიაზე<sup>40</sup> (ტაბ. VII<sub>1</sub>). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა“ [ქც 1973:751<sub>17-18</sub>]. ბიზანტიურ წყაროებში ვარდციხე მოხსენიებულია იუსტინიანეს (VI ს.) „ნოველებში“, პროკოპი კესარიელის (VI ს.) „ბრძოლა სპარსელებთან“. მათი ცნობებით, ვარდციხე (როდოპოლისი) დიდი, ძლიერი და შესანიშნავი ქალაქი ყოფილა [გეორგია 1934:73, 198]. ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან VI ს-მდე ვარდციხე საკმაოდ ძლიერი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ციხე-ქალაქია. VI ს-ში იქ საქალაქო ცხოვრება შეწყვეტილა ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით.<sup>41</sup>

1968-69 და 1971 წლებში ვარდციხეში გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიცია გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. 1972-78 წლებში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ვ. ჯაფარიძე.

ციხე-ქალაქი შედგებოდა სამი ნაწილისგან – ციტადელისა და ორ ნაწილად გაყოფილი „ქვედა ქალაქისგან“ (ტაბ. VII<sub>1</sub>). ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია ძლიერ დაზიანებული თავდაცვითი ნაგებობები (ტაბ. VII<sub>1-2</sub>). საფორტიფიკაციო სისტემაში გამოიყოფა ზღუდის 3 სხვადასხვა პერიოდის კედლები: I პერიოდის ზღუდის კედლი (სისქე 1 მ) ნაგებია რიყის ქვითა და კირქვით. კედლები შელესილი ყოფილა კირხსნარით. ზღუდე გეგმაში

<sup>39</sup> 1330 წელს მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) შორაპანის საერისთავო გადასცა დავით ნარინის შთამომავალ ბაგრატს [ქც 1973:802<sub>17</sub>]. 1702 წელს ციხე დაიკავა გიორგი აბაშიძემ და განაახლა ის [ქც 1973:865<sub>4</sub>]. 1726 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ და დადიანმა გაილაშქრეს შორაპანის წინააღმდეგ. აიღეს ციხე და ზურაბ აბაშიძეს გადასცეს [ქც 1973:884<sub>6</sub>]. 1732 წელს ზურაბ აბაშიძემ ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ იქ ოსმალები ჩააყენა [ქც 1973:885<sub>5,7</sub>]. 1769 წელს შორაპანის ციხე თურქების ხელშია. 1770 წელს სოლომონ I-მა (1752-1784) გენერალ ტოტლებენთან ერთად აიღო შორაპანის ციხე და დაანგრია, რათა თურქებს კვლავ ხელთ არ ეგდოთ ის. 1810 წელს ფუნქციადაგარგულ ციხეში რუსის ჯარი ჩადგა.

<sup>40</sup> ბოლო ხანებში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ბიზანტიური წყაროების როდოპოლისი უნდა იყოს არა ვარდციხის, არამედ სოფ. როდინაულის ადგილზე [იხ. გ. ყიფიანი, ქალაქი როდოპოლისი, თბილისი, 2012]. ეს თეორია ჯერჯერობით არქეოლოგიური არგუმენტებით არაა შემაგრებული.

<sup>41</sup> XIV-XV სს-ში ვარდციხეში საქალაქო ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნევა. XVII-XVIII სს-ში ის რიგითი ციხე და დასახლებული პუნქტია.

მომრგვალებულია. კედლებში ჩართულია მართვულია გეგმის კოშკები, რომლებიც ნაგებია წყობაში რიყის ქვითა და ფასადში უპირატესად კირქვით. პირველი ზღუდე დათარიღებულია IV-V სს-ით. II პერიოდის ზღუდის კედლები (სისქე 2,3 მ) პირველის გარეთაა აღმართული. ნაშენია კირქვით. წყობა იზოდომურია. კედლის წყობაში ზოგან შეიმჩნევა აგურ-კრამიტის სამფენიანი სარტყელი. ზღუდე დათარიღებულია V-VI სს-ის მიჯნით. III პერიოდის ზღუდე მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აშენებულია მეორე ზღუდის ნანგრევებზე. ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. ზღუდე XVIII ს-ის უნდა იყოს (ტაბ. VII<sub>1</sub>).

ვარდციხის ნაგებობები ერთთავად საფორტიფიკაციო ხასიათს ატარებს. ის საკმაოდ მასშტაბურია და ნოქალაქევის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი. ამდენად, სავსებით რეალური ჩანს იუსტინიანეს ცნობა, რომ „არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია“ [გეორგია 1934:198]. ლაზიკაში. ბიზანტიური წყაროები მას ქალაქადაც იხსენიებენ, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმულია როდოპოლისის სტრატეგიული მნიშვნელობა.

ზღუდის შიგნით ადრეული შუასაუკუნეების საცხოვრებელი ან სამეურნეო ნაგებობები ნაკლებადაა გამოვლენილი. შესაძლოა ეს იმით აიხსნას, რომ აქ საცხოვრებელ ნაგებობათა დიდი ნაწილი ხისა იყო. ვარდციხეში კალორიფერის აღმოჩნის ფაქტი ციხე-ქალაქში აბანოს არსებობას გვივარაუდებინებს.

ვარდციხის გათხრებისას აღმოჩნილი IV-VI სს-ის არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი თიხის ჭურჭელია, რომლებიც წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ადგილობრივი და შედარებით მცირერიცხოვანი იმპორტული ნაწარმით. იმპორტულ კერამიკას შორის აღსანიშნავია ე. წ. „წითელლაქიანი“ ჯამები (ტაბ. VIII<sub>1</sub>), რომლებიც ეგრისის ზღვისპირა სიმაგრეებში ფართოდაა გავრცელებული I-III სს-ში. ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე მათი მასობრივად გავრცელება ძირითადად IV ს-დან იწყება. იმპორტული ჯამების მიბაძვითაა დამზადებული ჯამების ერთი ნაწილი, რომლებიც კეცის მიხედვით აშკარად ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. ამგვარი ჯამები მაინცადამაინც ლაზათითა და დახვეწილობით არ გამოირჩევიან (ტაბ. VIII<sub>2</sub>). განათხარ მასალაში გვხვდება წელშეზნექილი ყავისფერკეციანი ამფორები, რომელთა შიდაპირი ხშირად კუპრის თხელი ფენითაა დაფარული (ტაბ. VIII<sub>4</sub>). მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი კოლხური ამფორებია და ადგილობრივ სახელოსნო ცენტრებში უნდა იყოს დამზადებული. კერამიკულ ნაწარმს შორის აღსანიშნავია: ქვევრები, დერგები, ჩაფები (ტაბ. VIII<sub>3</sub>). ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი გაფორმებულია სველ თიხაზე ამოკაწრული სხვადასხვა გამოსახულებით, რომლებიც უპირატესად ხელოსანთა ნიშნებს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. VIII<sub>7</sub>). განათხარ მასალაში მრავლადაა მრგვალპირიანი და სამტუჩა დოქები (ტაბ. VIII<sub>5</sub>). ზოგჯერ მათაც ამკობთ სველ თიხაზე ამოკაწრული ნიშნები (ტაბ. VIII<sub>7</sub>). დოქების ნაწილი წითლად შეღებილ-ნაპრიალებია. მრავლადაა აღმოჩნილი ლუთერიები, ქოთნები (ტაბ. VIII<sub>6</sub>).<sup>42</sup> ბადის საწაფები უნდა იყოს თიხის ცილინდრული მოყვანილობის, შუაში გახვრეტილი მილები. სამშენებლო კერამიკიდან აღსანიშნავია აგურები, რომელთა შორის გვხვდება როგორც სწორკუთხა, ისე სამკუთხა

<sup>42</sup> განათხარ მასალაში გვხვდება საგანგებო დანიშნულების პირმოყრილი ძირია ჭურჭელი, რომლის დანიშნულება გაურკვეველია. ერთი ამგვარი ჭურჭელი აღმოჩნილია ნოქალაქებშიც (იხ. ტაბ. III<sub>1</sub>).

ნიმუშები (ტაბ. VIII<sub>8</sub>). კრამიტები ჩვეულებრივ ორგვარია – ბრტყელი და ღარიანი (ტაბ. VIII<sub>8</sub>). კოშკები ძირითადად კრამიტებით უნდა ყოფილიყო დახურული. თიხის მიღებიდან ყველა სასიმაგრო კედლებში განივად იყო ჩადუღაბებული. საფიქრებელია, რომ ისინი წყლის დასაწრეტად, დრენაჟისთვის იყვნენ განკუთვნილნი (ტაბ. VIII<sub>8</sub>).

მინის ნაწარმი საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის გვხვდება: სასმისები, ფიალები, სანელსაცხებლები, ლამპრები, სარკმლის მინა და სხვ. (ტაბ. VIII<sub>10</sub>). რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია: ე. წ. „წებელდური“ მინიატურული ცული (ტაბ. VIII<sub>9a</sub>), სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები, დანები, ლურსმნები, აბზინდა და სხვ. (ტაბ. VIII<sub>9</sub>).<sup>43</sup>

ვარდციხის არქეოლოგიური მასალა გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მეურნეობის რიგი დარგების შესახებ. განათხარ კერამიკაში მრავლად მოიპოვება ადგილობრივი ნაწარმი, მათ შორის იმპორტული ჭურჭლის მინაბაძები, რაც ვარდციხეში საკმაოდ განვითარებულ ადგილობრივ სამეთუნეო წარმოებაზე მიუთითებს. გარდა ამისა, იქ აღმოჩენილი თიხის ნაწარმი ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობასთანაა დაკავშირებული. ჩანს, ვარდციხისა და მისი „ქვეყნის“ ეკონომიკური დაწინაურების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს მევენახეობა-მეღვინეობა შეადგენდა. მესაქონლეობის განვითარებაზე მეტყველებს გათხრებისას გამოვლენილი მრავალრიცხოვანი ოსტეოლოგიური მასალა. ბადის საწაფებისა და თევზის ძვლების აღმოჩენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში მეთევზეობის გარკვეულ ხვედრით წონაზე მიუთითებს. საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ვაჭრობა, რისი დასტურიცა გათხრებისას აღმოჩენილი იმპორტული ჭურჭელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკული ტარის – ამფორების აღმოჩენის ფაქტები.

\* \* \*

**§4. ქუთაისი მნიშვნელოვნად დაწინაურდა III-IV სს-დან.** იმ დროს ფორმირდება ქალაქის ძირითადი ბირთვი არქიელის გორაზე – კლდოვან ბორცვზე, რომელიც სამი მხრიდან ციცაბო ფერდობითაა დაცული. მხოლოდ დასავლეთიდანაა აღვილად მისადგომი (ტაბ. IX<sub>1-2</sub>). სწორედ ამ მხრიდან არის დაცული ნაქალაქარი ყველაზე უკეთ. შიდაციხის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა. მისი ფართობი 0,6 ჰ-ია. შიდა ციხის კომპონენტებია: ზღუდე-გალავნის ძირითადი კედელი, ორი სწორკუთხა კოშკი, ორმაგი კედელი (პროტეიზიზმი) მთავარი კარიბჭითურთ, „ცოტა კარი“ (ტაბ. IX<sub>2</sub>) და წყალმომარაგების რთული სისტემა. ზღუდის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით. გალავნის კედლის სისქე 1,4 მ-ია. შემორჩენილი სიმაღლე 4 მ-დეა. შიდა ციხეს ჰქონია ორი კარიბჭე: 1. მთავარი „ბჭისკარი“ და 2. „ცოტა კარი“. მთავარი კარიბჭე აგებული იყო დასავლეთ ნაწილში. ის ორივე მხრიდან მძლავრი სწორკუთხა კოშკებით იყო დაცული. „ცოტა კარს“ ორმაგი დანიშნულება ჰქონდა. ის წარმოადგენდა საიდუმლო გასასვლელს და ამასთან ერთად უკავშირდებოდა გვირაბს, რომელიც წყაროზე ჩადიოდა. შიდა ციხეში გამოვლენილია იმ ჰერიოდის ხის საცხოვრებელი სახლების კვალი თიხატკეპნილი იატაკით, სადაც კერა იყო გამართული. იქვეა დადასტურებული სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები:

<sup>43</sup> მოგვიანო ხანის არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია: IX-XI სს-ის მოჭიქული კერამიკისა და ღია ფერის მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები; XIV-XV სს-ის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები და სხვ.

ხელსაფქვავის ქვები, დერგები, მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო კერამიკა. გამოვლინდა აგრეთვე რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები. საფორტიფიკაციო არქიტექტურის მაღალი დონის უტყუარი მოწმობაა შიდა ქალაქის კედლების გამაგრება ე.წ. გოდლედების (კონტრფორსების) სისტემით (ტაბ. IX<sub>5</sub>).<sup>44</sup>

ადრეული შუასუკუნების ნაგებობებს შორის თავისი გრანდიოზულობით გამოირჩევა ადგილ „კონტროლთან“, ციტადელში ყველაზე მაღალ ადგილას აგებული „სამეფო სასახლე“. ის მართკუთხა გეგმის მრავალსათავსიანი, მძლავრკედლებიანი ნაგებობაა (35x20 მ) (ტაბ. IX<sub>4</sub>). შენობა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. სასახლის იატაკი მოგებული ყოფილა აგურით.

ქალაქის წყალმომარაგება ხორციელდებოდა თეთრამიწას ქედის ძირიდან, რომელსაც დღესაც „წყაროსუბანი“ ეწოდება. იქიდან თიხის მიღსადენით წყლით მარაგდებოდა ციტადელი. მოგვიანო მიღსაღენებისგან განსხვავებით ის არ იყო მოქცეული კირდულაბში.

ქალაქის IV ს-ის კულტურულ ფენტში გამოვლინდა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. მათ შორისაა: ქვევრები (ერთ-ერთ ქვევრს ამკობს პირზე შტამპით გამოყვანილი ტოლმკლავა ჯვარი), ამფორები (ტაბ. X<sub>8-9</sub>), დერგები, ქოთნები, დოქები, ხელადები, ჭრაქები (ტაბ. XI<sub>1-3</sub>). განათხარ მასალაში წარმოდგენილია წითელლაკიანი კერამიკა, როგორც იმპორტული ნაწარმი, ისე მათი ადგილობრივი მინაბაძები (ტაბ. XI<sub>4</sub>). კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა ერთი ნატეხი მწვანედ მოჭიქული პართული ჭურჭლისა. სამშენებლო მასალებიდან აღსანიშნავია: აგურები, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, წყალსადენის მიღები. მინის ნაწარმიდან გვხვდება სარკმლის მინის ფრაგმენტები, ხალიანი ჭურჭლი (ტაბ. XI<sub>5</sub>). მცირერიცხოვანი რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია თოხი და ურო-ჩაქუჩი (ტაბ. XI<sub>6</sub>).

იმ პერიოდის ქუთაისის სხვა ქუცნებთან საკაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მანიშნებელია წითელლაკიანი კერამიკის, ხალიანი მინის, ამფორების, მწვანედ მოჭიქული პართული ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები.

ქუთაისის აღმავლობა მოდის V-VI სს-ზე. მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა ქალაქის გამაგრებაში. შიდა ციხესა და შიდა ქალაქს დაემატა ქვედა ქალაქი, რომელიც მთის ფერდზე ეშვება, მდინარის პირამდე ჩადის და რიონის მარცხენა ნაპირზეც გადადის. ქალაქი სამაწილიანი გახდა (ტაბ. IX<sub>3</sub>). ქალაქის აღმავლობის ხანა დროებით შეფერხდა V ს-ის ბოლოს. იმ დროს ქუთაისში ბევრი ნაგებობა განადგურებულია. ეს მოვლენა ბიზანტიელთა დამსჯელ ექსპედიციებს უნდა უკავშირდებოდეს. ინგრევა სამეფო სასახლე, ზღუდე-გალავნის ნაწილი. მაგრამ მალევე იწყება აღმშენებლობის პროცესი. შეკეთდა ციტადელის დანგრეული კედლები. აშენდა ახალი კონტრფორსები, კოშკები, კარიბჭეები. იმ პერიოდის ერთ-ერთ

<sup>44</sup> ბავრატის ტაძრის გათხრებისას, მის ქვეშ გამოვლინდა 4 სამშენებლო ფენა. ფიქრობენ, რომ ქვემოდან II ფენა წარმოადგენს IV ს-ის დიდ ბაზილიკას. მისი სიგრძე ნართექსისა და აბსიდის გარეშე 30 მ-ია, ძირითადი ნაგებობის სიგანე 15 მ-ია, მინაშენებიანად 25 მ-მდე. გეგმის მიხედვით ის სამავარ ბაზილიკათა ჯგუფს განეკუთვნება. ნავების გამყოფად გამოყენებული ჩანს სწორკუთხა სვეტები. ტაძრის იატაკი ჰიდრავლიკური ხსნარითაა მოლესილი. ნაგებობის ადრეულობაზე მოუთითებს ისიც, რომ მას არ აქვს პილასტრები და პასტოფორიუმები. ამის დასტურია სანათლავის ცალკე არსებობაც. ნაგებობა დარიანი და ბრტყელი კრამიტებით ყოფილა დახურული.

თვალსაჩინო ნაგებობას წარმოადგენს დედაბურჯი, რომლის სიმაღლე დღეისათვის 12 მ-დეა შემორჩენილი.

გათხრებისას ციტადელში მდგარი XIII ს-ის დარბაზული ეკლესიის ქვეშ აღმოჩნდა V-VI სს-ის ეკლესიის ნაშთები. ესაა სამნავიანი ბაზილიკა ( $12,5 \times 8,1$  მ) ნახევარწრიული შვერილი აბსიდებით (ტაბ. IX<sub>6</sub>). ნავები გაყოფილია სვეტებით. ბაზილიკას არ გააჩნდა ცალკე სათავსები სამკეთლოსა და სადიაკვნესათვის. ისინი განახლება-აღდგენის შემდეგ მიუმატებიათ.

ახალი საკულტო ნაგებობებიდან ყურადღებას იქცევს შვერილაბსიდიანი ორნავიანი ბაზილიკა. თავდაპირველად ის ყოფილა ერთნავიანი ნაგებობა, მხრებით გამოყოფილი შვერილი აბსიდით. მასზე შემდგომ მეორე ნავი მიუშენებიათ (ტაბ. IX<sub>7</sub>). ეკლესია დახურული ყოფილა ლარიანი და ბრტყელი კრამიტებით. ეკლესია ფუნქციონირებდა VI-VII სს-ში.

აღნიშნული ეკლესიის გვერდით გაითხარა აბანო ( $12,4 \times 6,7$  მ), რომელიც ნაგებია კირქვის კვადრუბით (ტაბ. IX<sub>8</sub>). აბანო თარიღდება V-VI სს-ით.

V-VI სს-ის არქეოლოგიური მასალა ტიპოლოგიურად ფაქტობრივად იგივეა: ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, დოქები, წითელლაკიანი კერამიკა და მისი მინაბაძები (ტაბ. X<sub>8-10</sub>).<sup>45</sup> სამშენებლო კერამიკიდან აღსანიშნავია კალორიფელები, რომლებიც წარმოდგენილია კერამიკული სვეტებით. ისინი ორი განსხვავებული ფორმისაა, ორმუცლიანი ანუ წელშეზნებილი და ცილინდრული ფორმის, ოდნავ თანაბრად მუცელგამობერილი. მათი სიმაღლე 55-62 სმ-ია.

ნუმიზმატიკურ მასალაში გვხვდება 532-33 წლებში მოჭრილი ხოსრო I-ისა და ჰორმიზდ IV-ის მონეტები. ადრებიზანტიური ხანის 14 მონეტიდან ანასტას I-ის (491-518) მონეტა – 2 ცალია; იუსტინე I-ის (518-527) – 2 ცალი; იუსტინიანე I-ის (527-565) – 5 ცალი; იუსტინე II-ის (565-578) – 1 ცალი; ტიბერიუს II-ის (578-582) – 1 ცალი; მავრიკის (582-602) – 3 ცალი; ფოკასი (602-610) – 1 ცალი. ფიქრობენ, რომ ისინი უპირატესად ეგრისის ტერიტორიაზე მებრძოლი ბიზანტიელი ჯარისკაცების მონეტებია. თუმცა, მათი ნაწილი ეგრისსა და ბიზანტიას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზეც უნდა მიუთითებდეს.

VII-VIII სს-ში ქუთაისის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. VII ს-ის რავენელი ანონიმი „კოსმოგრაფიაში“ მოიხსენიებს Gotaisin-სს, როგორც მოქმედ სავაჭრო-სატრანზიტო და ეკონომიკურ პუნქტს. ამასვე უნდა ადასტურებდეს VII ს-ის სომხური გეოგრაფია, სადაც ქუთაისი მოხსენიებულია ეგრისის ხუთ დიდ ქალაქს შორის.

ბაგრატის ტაძრის გათხრებისას, ამავე ტაძრის ქვეშ არსებული IV ს-ის ეკლესიის თავზე გამოვლინდა კიდევ ერთი ეკლესია, რომელსაც წერილობით წყაროში მოხსენიებულ „ქუთაისის საყდართან“ აიგივებენ და VII ს-ით ათარიღებენ. წყაროს მიხედვით, არაბთაგან დევნილი ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი ეგრისში გარდაცვლილა. მის შვილებს არჩილსა

<sup>45</sup> აღსანიშნავია გათხრებისას გამოვლენილი საგანგებო დანიშნულების ჭურჭელი, რომლის მსგავსები აღმოჩნდილია შორაპანში, ვარდციხეში და ნოქალაქევში (ტაბ. III<sub>1</sub>; ტაბ. V<sub>5</sub>). საინტერესოა, რომ ქუთაისურ ნიმუშზე ამოკაწრულია ტოლმკლავა ჯგარი.

და მირს ის დაუკრძალავთ „ქუთაისის საყდარში“. VIII ს-ის 30-ან წლებში მურვან ყრუს შემოსევას ვერც ქუთაისი გადაურჩა. იმ დროს უნდა დანგრულიყო „ქუთაისის საყდარიც“. ესაა დიდი ნაგებობა, რომელიც მასშტაბებით მცირედით თუ ჩამოუვარდება ბაგრატის ტაძარს. ნაგებობას მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონია. სამხრეთი კარიდან შეიძლებოდა მინაშენში გასვლა (ტაბ. X<sub>1</sub>). ნაგებობის სიგრძე 30 მ-მდეა, სიგანე 15 მ. დასავლეთიდან ნაგებობას რამდენიმე სხვადასხვა მინაშენი ჰქონდა. მათი ფუნქციები გაურკვეველია. ტაძრის პერანგი ნაგებია უხეშად დამუშავებული კვადრებით. კედლების სისქე 1,4 მ-ია. იატაკი კირხსნარისა და სხვადასხვა ფერის ხრეშისაა, რაც ფერადი მოზაიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ძეგლის გამოხატვა აზრით, VIII ს-ის 30-ან წლებში არაბებისგან დანგრეული ეკლესია, ათიოდე წლის შემდეგ არჩილის მიერ უნდა იყოს განახლებული (ტაბ. X<sub>2</sub>).

VIII ს-ის 40-50-ან წლებში ეგრისში არაბთა მბლავრობას ბოლო მოეღო. ეგრისი მხოლოდ ბიზანტიის ვასალად რჩებოდა. იმ დროისთვის ეგრისს მართავდა არაბთა აგრესიის გამო ქართლიდან გადმოხვეწილი ერისმთავართა სახლი არჩილის მეთაურობით. წყაროს მიხედვით „წარმოვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნადმდე და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი“ [ქც 1955:2434-5]. VIII ს-ის შეა წლებიდან ფართოდ გაიშალა ბრძოლა ბიზანტიელთა ბატონობის წინააღმდეგ, რომელსაც აფხაზთა ერისმთავი ლეონი ედგა სათავეში. ის გახლდათ ეგრისში დამკვიდრებული ქართლის ერისმთავართა სიძე. როცა ერისმთავართა ოჯახის უკანასკნელი მამაკაცი გარდაიცვალა, ლეონმა VIII ს-ის ბოლოს დაიმკვიდრა მათი სამფლობელო და დაფუძნდა ქალაქ ქუთაისში. ასე ჩაეყარა საფუძველი აფხაზთა სამეფოს. ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, ლეონმა „აღმშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე“ [ქც 1973:79 622]. რა თქმა, უნდა ეს სიტყვები გულისხმობს ლეონის მიერ ქუთაისში წამოწყებულ აღმშენებლობის ახალ მბლავრ ტალღას. მართლაც, იმ დროისათვის საგანგებოდა გამაგრებული სასიმაგრო კედლები. განახლებული ჩანს სამეფო სასახლის კომპლექსი, რომელშიც შედიოდა: 1. აგურის სასახლე, 2. აბანო, 3. სასახლის კარის ეკლესია, 4. ახალი წყალგაყვანილობა.

სამეფო სასახლე სწორკუთხა ფორმისაა (21x18,5 მ). სამხრეთ ნაწილში ორი დიდი დარბაზია, რომელიც დანარჩენ ოთახებს ორი გრძივი კორიდორით უკავშირდებოდა (ტაბ. X<sub>3</sub>). სასახლეს ჰქონია კამარათაღიანი კარ-ფანჯრები. იატაკი აგურის ყოფილა.

აბანო აგებულია „ცოტა კარის“ მახლობლად. მან ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია (ტაბ. X<sub>4</sub>). ამ კომპლექსისთვის თეთრამიწიდან გამოუყვანიათ წყლის ახალი მაგისტრალი.

იმ პერიოდის არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია: ქვევრები, ღერგები, ამფორები, ქოთნები, დოქები. IX-X სს-ის მასალაში ჩნდება მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს საცეცხლური. ნუმიზმატიკურ მასალაში გვხვდება: ლეონ V-ის (813-820), თეოფილეს (829-842), ლეონ VI-ის (886-912), რომანოზ I-ის (919-921), იოანე ციმისხის (969-976), ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის (976-1025), მიხეილ IV პაფლაგონიელის (1034-1041), თეოდორას (1055-1071) სახელით მოჭრილი მონეტები.

X ს-ის დასასრულს, ქუთაისში ბაგრატ III-ის (978-1014) მიერ შენდება ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მისი იატაკი მოუგიათ 1003 წელს, რაზედაც გვმცნობს ტაძრის ერთ-ერთი წარწერა. ბაგრატის ტაძრის გათხრებმა ამ ადგილას გამოავლინა 5 ძირითადი სამშენებლო ფენა: I. ძვ. წ. VIII-VII სს-ის კულტურული ფენის ნაშთები; II. IV ს-ის დიდი ბაზილიკა; III. VII-VIII სს-ის „ქუთაისის საყდრის“ ნაშთები; IV. გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები; V. საკუთრივ ბაგრატის ტაძარი (ტაბ. X<sub>1-2</sub>).

ტაძრის გათხრებისას 100-მდე სამარხი გამოვლინდა. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი დიდია – V-XIX საუკუნეები. სხვა სამარხებთან ერთად იქ აღმოჩნდა ორი გაძარცვული აკლდამაც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს VIII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული №50 სამარხი. სამარხის კონსტრუქცია რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. ზედა ნაწილი წარმოადგენდა ქვის ფილებით შეკრულ აღმოსავლეთ-დასავლეთ საზზე დამსხრობილ ფუთს, რომლის ქვეშ არსებული ნალესობა თავზე ედო ღორლიანი მიწის შრეს. ამ შრის ქვეშ, ღულაბით შედგენილი მართკუთხა ფორმის კამერის კედლებია. კედლებს შიგნიდან კარგად ეტყობა ხის ფიცრების კვალი. ამგვარად მოწყობილ კამერაში მიცვალებული დაკრძალული იყო პირდაპირ მიწაზე, ხის ფიცრებით შემოწყობილ, ფეხებისკენ დავიწროებულ სივრცეში. მიცვალებულს ზემოდან მთელ ტანზე, სახის გარდა, გადალესილი ჰქონდა სილისა და კირხსნარის თხელი შრე. მიცვალებული ქრისტიანულადაა დასვენებული. მარჯვენა ხელი ედო მკერდზე, მარცხენა – მენჯზე. ფეხების განლაგებაში წარმართული ხანის დეტალები შეინიშნებოდა – ისინი დაკრძალულს მუხლს ქვემოთ გადაჯვარედინებული ჰქონდა. ფეხების ასეთი პოზა ხშირად დასტურდება სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე ახ. წ. I ათასწ. დასაწყისისა და შუა ხანების მიცვალებულთა შორის.

ანთროპოლოგთა აზრით, 25 წლამდე ასაკის გარდაცვლილი ქალი 1,5 მ სიმაღლის ყოფილა და მისი წონა 30-35 კგ უნდა ყოფილიყო. ის რაქიტით ყოფილა დაავადებული. თუმცა, ეს ავადმყოფობა არ უნდა ყოფილიყო მისი გარდაცვალების მიზეზი. ცნობილია, რომ აფხაზთა მეფის ლეონ II-ის დედა ხაზართა მეფის ასული იყო. სამეფო კარს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხაზარეთთან და არაა გამორიცხული, რომ გარდაცვლილი აფხაზთა სამეფო ოჯახის წევრი იყო, წარმოშობით ხაზარეთიდან. თითქოს ამაზე უნდა მიუთითებდეს დაკრძალვის ზოგიერთი დეტალი. მიცვალებულს თან ახლდა ოქროსა და ვერცხლის მდიდრული სამარხეული ინვენტარი (ტაბ. X<sub>6</sub>).

ტაძრის ინტერიერში გათხრილი სამარხებიდან აღსანიშნავია IX-X სს-ით დათარიღებული №24 ქვის სამარხი, რომელშიც ორი მიცვალებული ესვენა ქრისტიანული წესით. ქალს გადაფარებული ჰქონია წვრილი ძაფით ნაქსოვი ოქრომკერდი. ბავშვის თავთან კი აღმოჩნდა ოქროს მავთულისგან დამზადებული წყვილი საყურე (ტაბ. X<sub>5</sub>).

როგორც აღვნიშნეთ, VIII ს-ის ბოლოს, აფხაზთა მთავრის ლეონ II-ის ძალის ხმელეთი ქუთაისი ხდება აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი. ამიერიდან საფუძველი ეყრება თვისობრივად ახალი სახელმწიფოს – ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ბაგრატ III-ის ზეობისას დაგვირგვინდა.

\* \* \*

ადრეული შუასაუკუნეების ეგრისის ქალაქებიდან თითოეულ მათგანს გააჩნდა დამცავი ნაგებობა – ციხე (ციტადელი); საკუთრივ ქალაქს ჰქონდა თავისი სავაჭრო-სახელოსნო და საქმიანი უბნები; წყალმომარაგების სისტემები (წყალსადენის ტრასები) და წყალზე ჩასასვლელი გვირაბები; საკულტო ნაგებობები – ეკლესიები; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები – აბანოები და სხვ. ეგრისის ქალაქები და სიმაგრეები მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალებზე ან ამ მაგისტრალებთან უშუალოდ დაკავშირებულ გზებზე. ამ გზების საშუალებით ისინი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყვნენ ჩაბმული გარე სამყაროსთან, რასაც მოწმობს ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში მრავლად აღმოჩენილი იმპორტული ნაწარმი (ამფორები, წითელლაგიანი კერამიკა, მინის ჭურჭელი და სხვ.). ეგრისის ადრეული შუასაუკუნეების ქალაქების აღმოცენება და განვითარება ძირითადად ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრების გარდა, დროდადრო ისინი ძლიერი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტების როლსაც თამაშობდნენ.

### ძირითადი ლიტერატურა

აბრამიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000.

გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, პროკოპი კესარიელი, იუსტინიანე, იოანე ლიდე, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, ტფილისი, 1934.

ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხეგოვი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი (ხუროთმოძღვრება), თბილისი, 1991.

ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექცინაძე გ., გვინჩიძე გ. ციხე გოვი – ნოქალაქევი, თბილისი, 1984.

ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, ძველი ხელოვნება დღეს, №1, 2010, გვ. 4-13.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათისა და მოწამეთაში, ძიებანი, №20, 2011, გვ. 153-169.

ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს, თბილისი, 1977.

ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, იშ, ტ. IV, ნაკ. 1, 1958, გვ. 99-117.

ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, თბილისი, 1981.

ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბილისი, 1987.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.

ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.

ცქიტიშვილი გ. ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის, სიგპ, ტ. II, 1964, გვ. 71-106.

ცქიტიშვილი გ. იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთომერეთში, იშ, ტ. I, 1955, გვ. 303-312.


**ჯაფარიძე ვ.** ვარდციხის ნაქალაქარი, თბილისი, 1989.

**ჯაფარიძე ვ.** ეგრისის ახ. წ. I-VII სს მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი, 2006.

**Леквинадзе В. А.** О древнейших оборонительных сооружениях Археополиса-Нокалакеви, СА, №3, 1959, გვ. 144-158.

**Леквинадзе В. А.** Материалы по монументальному строительству в Лазике, სსმმ, გ. XXI-B, 1961, გვ. 148, 167.

**Мелитаури К. Н.** Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. I, Тбилиси, 1969.




1. ნოვგოროდის გენგეგმა




2. ციტადელის მთვარი კოშკი - „ჯიხა“




3. ორმოცმოწამეთა ეპლესია. დიუბუა დე მონპერეს მიხედვით




4. ნოვგოროდის მეფეთა პირველი  
სასახლე. აქსონომეტრია.




5. ნოვგოროდის მეორე სასახლის გეგმა




6. სამეფო აბანო




7. სამოქალაქო აბანო 3. ზაქარაიას მიხედვით




1. ნოქალაქევის  
ქვედა ტერასის დარბაზული ეკლესია






2. პირველ გალავანში ჩართული  
დარბაზული ეკლესია



3. სამნავიანი ეკლესიის გეგმა





4. ორმოცმოწამეთა. ეკლესიის გეგმა.




5. „მისარონის“ ეკლესია ნოქალაქევის ციტადელში

3. ზაქარაიას მიხედვით




IV-VI ۸۸.

### პ. ზაქარაიას მიხედვით




1. შორაპანი. სიტუაციური გეგმა. I. შუასაუკუნეების ციხე, II. ანტიკური ნაქალაქარი, III. ადრეანტიკური და მომდევნო ხანის ნასახლარი.

2. შორაპნის ციხის გეგმა




3. შორაპნის ციხის გედლის ფასადი




ପ୍ରକାଶନ କମିଶନର ଦେଖିଲୁଗାରେ ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିଚାଳନା କରିବାରେ ଯାଇଲୁଗା ହେଲା.

Հօթօն առ վերջունութիւն մասալա. աջ բարձր թշնամյաց կազմութեան համար առ վերջունութիւն մասալա. աջ բարձր թշնամյաց կազմութեան համար



შორაპნის ციხის აღქეოლოგიური მასალა. ადრეული შუასაუკუნეები.





1. ვარდციხის გეგმა

■ — IV-V სს-ის კედლები. ■■■ VI ს-ის კედლები.


▨ გვიანდელი შუასაუკუნეების კედლები.


——— არქეოლოგიური თხრილები.




2. აგურისსარტყლიანი კედლების ფასადი

3. ჯაფარიძის მიხედვით







1. ქუთაისი IV ს-ში







3. ქუთაისი V-VI სს-ში



2. შიდაციხის გეგმა. IV ს.


















4. ციხე-დარბაზი. IV ს.

5. გოდლედებიანი ზღუდის კედელი.  
V-VI სს-ის მიჯნა.7. V-VI სს-ის ორაბსიდიანი  
ეკლესია6. XIII ს-ის ეკლესიის ქვეშ  
გამოვლენილი სამნავიანი  
ბაზილიკის გეგმა. V ს-ის II ნახ.

8. V-VI სს-ის აბანო

ო. ლანჩავას მიხედვით





ქუთაისის ციტადელის არქეოლოგიური მასალა. IV-VI სს.

3. დოქები

6. ლითონის ნივთები

ო. ლანჩავას მიხედვით

## თავი V ცისესიმაგრები

საფორტიფიკაციო ნაგებობები — ციხეები, კოშკები, სასიმაგრო კედლები ჩვენში მრავლადაა შემორჩენილი. ქვეყნას, რომელსაც მტერი ულევი ჰყავდა და ძირითადად თავდაცვით ომებს აწარმოებდა, ბუნებრივია, სჭირდებოდა მტკიცე და შეუვალი ციხეები, რათა საომარი მოქმედების დროს სათანადოდ გაეკონტროლებინა სახელმწიფოს საზღვრები, გზები, უღელტეხილები. ციხეები კეტავდა ხეობებს, რომ მტერს არ მისცემოდა საშუალება შეჭრილიყო ქვეყნის სიღრმეში. ძნელებედობის უამს ციხის კედლებს აფარებდა თავს ახლომახლო მცხოვრები მოსახლეობა. საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ციხესიმაგრეთა მთელი სისტემები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ქმნიდნენ ერთიან თავდაცვით ჯაჭვს. ამ ერთიან სისტემაში თითოეულ ციხეს ჰქონდა თავისი კონკრეტული ფუნქცია და დანიშნულება. ციხეთა დიდი ნაწილი მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა. თუმცა, ფუნქციონირების ინტენსივობა ყოველთვის არ იყო ერთგვაროვანი. ქვეყნის სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების გადანაცვლება, მათი განადგურება თუ ახალი ცენტრების წარმოშობა, შესაბამისად იწვევდა ცალკეული, უკვე არსებული ციხეების მნიშვნელობის გაზრდას ან დამცრობას, მათ მიტოვებას ან ახალი ციხეების გაჩენას და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შუასაუკუნეების მრავალრიცხოვანი ციხეებიდან დღემდე მხოლოდ მათი ერთი ნაწილია არქეოლოგიურად შესწავლილი.

**§1. უჯარმა** მდებარეობს მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. უჯარმის მახლობლად. უჯარმის დაწინაურება დიდად იყო განპირობებული ივრის ხეობის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებით, მისი მდებარეობით კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების შესაყართან. უჯარმა კონტროლს უწევდა ივრის ხეობის ზემო წელის ბართან დამაკავშირებელ, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთიდან მცხეთა-თბილისისკენ მიმავალ გზას. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მც. წ. III ს-ში უჯარმა აუშენებია ფარნავაზის მემკვიდრე საურმაგს. ლეონტი მროველი კი უჯარმის აშენებას ახ. წ. III ს-ში ასფაგურს მიაწერდა. წმინდა ნინოს სამი ჯვრიდან ერთ-ერთი უჯარმაში აღუმართავს. მირიან მეფეს უჯარმა საუფლისწულოდ მიუცია თავის მემკვიდრე რევისათვის. უჯარმის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვდა ვახტანგ გორგასალს. წყაროს ცნობით, „ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“ [ქც 1955:199\_17-18]. სპარსელებთან ბრძოლაში დაჭრილი ვახტანგი იქვე გარდაცვლილა. VIII ს-ის მეორე ნახევარში არჩილ მეფეს უჯარმის მახლობლად გადაუმაღავს სახელმწიფო საგანძურო.<sup>46</sup> 914 წელს უჯარმა, რომელშიც 300 მეციხოვნე მდგარა, ბრძოლით აუღია და დაუნგრევია არაბთა სარდალ აბულ-კასიმს [ქც 1955:263\_2-8].

ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები უჯარმის ციხეს მასში მდგარი ეკლესიის სახელის მიხედვით „ჯვარი პატიოსანს“ უწოდებს. 1950-52 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ.

<sup>46</sup> მონღოლთა ბატონობის პერიოდში უჯარმამ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა. XVIII ს-ში უჯარმა დაბად ქცეულა და მას კახეთის ძლიერი ფეოდალები — ჩოლოებულები ფლობდნენ.

ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის იორ-უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე) გათხრებს აწარმოებდა უჯარმის ციხის ტერიტორიაზე. ციხის გათხრებისას გამოვლინდა 3 სამშენებლო პერიოდი. ციხის ძირითადი შენობები V ს-შია აგებული. კედლების ერთი ნაწილი გადაუკეთებიათ განვითარებულ შუასაუკუნეებში. მესამე სამშენებლო პერიოდი გვიანდელ შუასაუკუნეებს განკუთვნება.

ციხე-ქალაქი შედგება ორი ნაწილისგან (ტაბ. I<sub>1</sub>). „ზედა ციხე“ ფერდის მაღალ, ბრტყელ თხემზეა განლაგებული და მის კონტურებს მისდევს. „ქვედა ციხე“ მასზე უშუალოდაა მიბმული. ის დამრეც კლდოვან ფერდობზეა გაშენებული და მდინარის ნაპირამდე ჩადის. ქვედა ციხის სიგრძეა 95-105 მ, სიგანე – 99 მ. მდინარისკენ მიმართულ ორივე გალავნის აქვს ოთხ-ოთხი კოშკი. ერთი კოშკი მოთავსებულია მდინარის გასწვრივ მდებარე გალავნის ცენტრში (ტაბ. I<sub>2</sub>). V ს-ის ყველა ნაგებობა ნაშენია ქვის წესიერი კვადრებით. ქვები დაწყობილია ზუსტ ჰორიზონტულ რიგებად კირხსნარის თხელ ფერაზე (ტაბ. I<sub>3-8</sub>). ქვები წყობაში გულდასმითაა გადაბმული. გალავნისა და კოშკების კედლების სისქეა 1,4-1,45 მ. კოშკები კვადრატული ფორმისაა. ყველა მათგანი სამსართულიანია. მათი გარე კედლები ყრუა. ეზოს მხარეს თაღოვანი კარ-სარკმლებია (ტაბ. I<sub>3-7</sub>). კოშკებს ჰქონიათ კრამიტით დახურული სახურავი და ქონგურები. სართულშუა გადახურვა ეყრდნობოდა ხის ძელებს. გალავნის კედელში კოშკებს შორის მონაკვეთებზე გვიანდელ შუასაუკუნეებში გაუჭრიათ სათოფურები.

„ზედა ციხე“ გაშენებულია მაღალი სერის შედარებით სწორ პლატოზე (სიგრძე 140 მ, სიგანე 17-31 მ) (ტაბ. I<sub>2</sub>). დასავლეთიდან შესასვლელია. „ზედა ციხის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ერთი შედარებით დიდი ზომის (10,3x11,8 მ) სამსართულიანი შენობაა. მის ქვედა და ზედა სართულებში თითო დიდი და ორ-ორი მომცრო ოთახია, რომლებიც ნათლებოდა ფართო და მაღალი სარკმლებით. ზედა სართულის კარი, როგორც ჩანს, დაკიდულ აივანზე გადიოდა. შენობის ქვეშ მოწყობილია სარდაფი, რომელშიც ქვის კიბით ჩადიოდნენ (ტაბ. I<sub>3</sub>). შენობა მიჩნეულია V ს-ის სასახლედ. ის განვითარებულ შუასაუკუნეებში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად გადაუკეთებიათ.

„ზედა ციხის“ სხვადასხვა ნაგებობებს შორის ყურადღებას იმსახურებს ორსართულიანი დარბაზული ეკლესია „ჯვარი პატიოსანი“ (ტაბ. I<sub>10-15</sub>). მისი პირველი სართული წარმოადგენს შენობის უძველეს ნაწილს (ტაბ. I<sub>14</sub>). ეკლესია აგებულია გალავნის კოშკის შემდგომ, შესაძლოა იმავე V ს-ში. IX-X სს-ში ეკლესიას მეორე ეკლესია დააშენეს (ტაბ. I<sub>15</sub>).<sup>47</sup>

„ზედა ციხის“ ნაგებობებს შორის აღსანიშნავია წყალსაცავი (16,1x6,6 მ). ნაგებობა გადახურულია კამარით, რომელიც ეყრდნობოდა 3 ნალისებური მოხაზულობის თაღს. თაღები ამოყვანილია შირიმის თლილი ქვებით. პირვანდელი შენობა გადაუკეთებიათ და მასში მოუწყვიათ ორი აუზი – ერთი დიდი (3,72x6,9 მ), მეორე მომცრო (3,72x4,27 მ). მათ შორის დატოვებულია 2 მ სისქის კედელი (ტაბ. I<sub>9</sub>). აუზის გვერდები 0,5 მ სისქისაა.

<sup>47</sup> გვიანდელ შუასაუკუნეებში მისთვის მიუშენებიათ სათავსი, რომელიც კარიბჭის როლსაც ასრულებდა. კარიბჭეს შეისრული თაღი აქვს. ამრიგად, ეკლესის მშენებლობაში სამი სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა.

ამოყვანილია აგურით და შელესილია პიდრავლიკური წსნარით. აგურის კედელში შეყვანილია კერამიკული წყალსადენის მილი.<sup>48</sup> უძველესი პერიოდის (V ს-ის მეორე ნახევარი და მომდევნო წლები) ნაგებობები აშენებულია თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა მოყვანილობის, წყობაში გულდასმით გადაბმული პვალრებით. დუღაბი ძუნწადა გამოყენებული. კედლების წყობა იმდენად თავისებურია, რომ მას პირობითად „უჯარმული წყობა“ ეწოდა (ტაბ. I<sub>8</sub>). ყველა ნაგებობის კედლის სისქე თანაბარია (140-145 სმ). ფართო კარ-სარკმლები ნალისებურთალიანია. შენობები გადახურული ყოფილა დიდი ზომის ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. უძველეს ნაგებობებს მიეკუთვნება „ზედა“ და „ქვედა“ ციხის გალავანი, ოთხკუთხა კოშკები, „ზედა ციხის“ სასახლე, წყალსაცავი და ეკლესია. ეს ორი უკანასკნელი აგებულია იმავე პერიოდში, მაგრამ რამდენადმე მოგვიანებით.<sup>49</sup>

უჯარმის განათხარი მასალა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, თუმცა ციხის მშენებლობის პირველი პერიოდის არტეფაქტები მხოლოდ რამდენიმე ნივთით შემოიფარგლება. ესაა საკინძი, შემკული ბროჭულის ყვავილის მოყვანილობის ლაუგარდის თავით, რომელიც V ს-ის მიწურულითა და VI ს-ის დასაწყისითა დათარიღებული და სასანური ვერცხლის მონეტა, მოჭრილი ფეროზ მეფის (458-499) სახელით.<sup>50</sup>

ექსპედიციის მიერ გათხრილი კომპლექსი – ესაა ვახტანგ გორგასალის მიერ აგებული ციხე, მაგრამ სად მდებარეობდა საკუთრივ ქალაქი უჯარმა, ამის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ფიქრობენ, რომ ქალაქი უჯარმა უნდა არსებულიყო დღევანდელი სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე, რომელიც ციხიდან დაშორებულია 5 კმ-ით (დ. მუსხელიშვილი). სხვა მოსაზრებით, ქალაქის ძირითად ნაწილად „ქვედა ციხე“ უნდა მივიჩნიოთ (კ. მელითაური). ის აზრიცაა გამოთქმული, რომ ქალაქი მდებარეობდა კაწარეთის სამების მიდამოებში, რომელსაც მოსახლეობა დღეს ნაქალაქარს უწოდებს (დ. მჭედლიშვილი). უჯარმის ნაქალაქარის ადგილმდებარეობის საკითხი დღემდე გაურკვეველია.

\* \* \*

**§2. უფლისციხე მდებარეობს ქ. გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხნა ნაპირზე (ტაბ. II<sub>1-2</sub>). ანტიკურ წანაში დიდად დაწინაურებული ქალაქი, შუასაუკუნეებში კარგავს ქალაქის სტატუსს და შეცვლილი**

<sup>48</sup> კიდევ ერთი წყალსაცავია აღნიშნული წყალსაცავის დასავლეთიდან მომიჯნავე კოშკის ქვედა სართულში. წყალსაცავი იქ განვითარებულ შუასაუკუნეებში მოუწყიათ. წყალსაცავის თავზე გვიანდელ შუასაუკუნეებში დაუშენებიათ ოთხკუთხა კოშკი.

<sup>49</sup> IX-XIII სს-ში „ზედა ციხეში“ ტარდება მნიშვნელოვანი სამუშაოები: აღუდგენიათ და ბურჯებით გაუმაგრებიათ მორღვეული ზღუდე-კოშკები; აუგიათ ახალი საცხოვრებელი და დამხმარე შენობები; განუახლებიათ წყალსაცავი; შეუქმნიათ ახალი აუზები; ძველ ეკლესიაზე დაუშენებიათ მეორე სართული. ჩნდება მარნები, თონეები. კედლები აგებულია სხვადასხვა ზომის ქვებით, კირხსნარის ჭარბი გამოყენებით. წყობაში პორიზინტალური რიგები აღარაა დაცული. აქა-იქ გამოუყენებიათ აგური.

გვიანდელ შუასაუკუნეებში გრძელდება მორღვეული ზღუდე-კოშკების შეკეთება. შენდება ახალი ოთხკუთხა კოშკი წყალსაცავის თავზე. გალავანში ეწყობა სათოფურები. ძველი შესასვლელები ამოქოლილია. გალავანში გვწვდება ქვისა და აგურის შერეული წყობა. მშენებლობისას ფართოდაა გამოყენებული აგური.

<sup>50</sup> მრავალრიცხოვანია განვითარებული და გვიანდელი შუასაუკუნეების არქოლოგიური მასალა: მოუჭიქვი და მოჭიქული კერამიკა, ფაიანსი, მინის, ლითონის, ძვლის, ქვის ნაწარმი, მონეტები [ლომთათიძე 1989].

სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პირობების გამო თანდათან ციხის მდგომარეობამდე ქვეთდება.

ქართული წერილობითი წყაროები უფლისციხეს მოიხსენიებენ ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში „ლაშქრობასთან“ დაკავშირებით. „მოქცევად ქართლისად“ ამ ეპიზოდის გადმოცემისას მას კასპის ციხედ მიიჩნევდა („უფლისციხეს კასპისა“) [მქ 1963:81]; ლეონტი მროველი მას დამოუკიდებელ ციხე-ქალაქად მოიხსენიებდა [ქც 1955:17<sub>20</sub>]. წყაროებიდან ვიგებთ, რომ ახ. წ. I ს-ში მეფე არსუქს (არშაკს) უფლისციხეში დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია [მქ 1963:82; ქც 1955:33<sub>10-11</sub>].

უფლისციხე იხსენიება მირიან მეფის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. მეფემ „განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო, და მოვლო სანახები მუხნარისა და განვიდა მთათა ზედა თხოთისათა მაღნართა, რათამცა მოხედნა ციხეთა მათ დიდთა ასპად და კასპად და უფლისციხედ“ [მქ 1963:135]. წყაროდან ჩანს, რომ უფლისციხე იმ დროს მნიშვნელოვანი პუნქტია – „დიდი ციხეა“.

1852 წელს უფლისციხეში პირველი გათხრები ჩაუტარებია დ. მეღვინეთუხუცესიშვილს, რომელსაც აუგეგმავს ნაგებობები, გაუთხრია ორსვეტიანი დარბაზი, სადაც აღმოჩენილა სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. გვერდით სათავსში კი მიუკვლევია ქვევრებისათვის. მისი აზრით, ორსვეტიანი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარმოადგენდა წარჩინებული პირის სასახლეს. ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ ტერასაზე დ. მეღვინეთუხუცესიშვილს აღმოუჩენია ძველი ნეკროპოლი. ამდენად, ქართული არქეოლოგიის ისტორია უფლისციხის გათხრებით იწყება.

ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის გათხრებს 1957 წლიდან აწარმოებდა საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. შ. ამირანაშვილი). უფლისციხის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დ. ხახუტაიშვილს, რომელიც 20 წლის განმავლობაში სწავლობდა ამ უნიკალურ ძეგლს. შედეგად, მთლიანადაა გათხრილი კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორია. იქ გამოვლენილი მასალებიდან ყველაზე ადრეული გვიანდელი ბრინჯაოს ხანით, ყველაზე გვიანი კი გვიანდელი შუასაუკუნეებით თარიღდება.

უფლისციხე წარმოადგენს დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივში ამოკაფულ-გაშენებულ კომპლექსს, რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კლდეში ნაკვეთი თხრილითა და თხრილის მიდევნებით აგებული კედლითაა გამაგრებული. დასავლეთი და სამხრეთი მხარე ბუნებრივადაა დაცული შვეული კლდოვანი კედლით. თხრილის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დასტურდება კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, რომლებიც ციხის ცენტრალური უბნის კომპლექსებისგან გამოირჩევა შედარებითი სიმცირითა და აღნაგობა-გაფორმების სიმარტივით. ციხეს ჰერინდა სამი შესასვლელი: სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ე. წ. „მცირე კლდეკარი“; სამხრეთიდან 3 მ დმ-ის მქონე გვირაბი, რომელიც მტკქრის პირას გადიოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მდებარეობდა მთავარი შესასვლელი, რომელიც ციხის ცენტრალურ ნაწილს უკავშირდებოდა. უფლისციხის ცენტრალური უბნის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების გეგმის ერთიანი პრინციპი, ერთი

არქიტექტურული თემა, დეკორისა და მონუმენტურ-სიბრტყობრივი სტილის ერთიანობა, კლდის ზედაპირის ერთგვაროვანი დამუშავება მიუთითებს უფლისციხის კლდის ნაგებობათა ერთდროული მშენებლობის შესახებ.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი მათ ძვ. წ. IV-III სს-ში გამოკვეთილად მიჩნევს. კესონური ჭერის მქონე დარბაზების ერთი რიგი II-III სს-ით თარიღდება. სხვა მოსაზრების მიხედვით, ელინისტური ხანის უფლისციხეში წამყვანი ადგილი ეკავა ალიზის ნაგებობებს, ხოლო ცენტრალური უბნის ძირითადი კომპლექსები ახ. წ. I ს-ის მიწურულსა და II ს-შია გამოკვეთილი. ზოგიერთი მოსაზრებით, რადგან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კლდეში ნაკვეთი კომპლექსი წარმართულ ტაძარს წარმოადგენს, წინაქრისტიანული ხანის უფლისციხე საკულტო ქალაქი უნდა ყოფილიყო.

უფლისციხის გათხრებმა გამოავლინა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების არაერთი კომპლექსი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა – ანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანდელი შუასაუკუნეების ჩათვლით. ანტიკურ ხანაში გამოკვეთილი კომპლექსები შუასაუკუნეებშიც ინტენსიურად გამოიყენებოდა. ადრეული ნაგებობები შუასაუკუნეებში მრავალჯერ გადაუკეთებიათ – გაუფართოებიათ, გაუტიხრავთ, მიუშენებიათ და სხვ. რითაც მნიშვნელოვნად დაუზიანებიათ ანტიკური პერიოდის კლდეში ნაკვეთი ბრწყინვალე დარბაზები. ციხის ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების გამო ნაგებობათა კლდის იატაკები სისტემატურად იწმინდებოდა. ამიტომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იქ თითქმის არ შემორჩენილა ადრეული და განვითარებული შუასაუკუნეების კულტურული ფენები. იმ პერიოდის არტეფაქტები არეულია უფრო ადრეულ ან მოვიანო ხანის მასალასთან და მათი ქრონოლოგიური გამიჯვნა ხშირად მეტ-ნაკლებად სამედოდ დათარიღებული ანალოგების მოშველიებით გვიხდება.

დღეისათვის თითქმის შეუძლებელია კლდეში ნაკვეთ კომპლექსში გამოიყოს ადრეული შუასაუკუნეების საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ვინაიდან მოსახლეობა საცხოვრებლად ძირითადად ანტიკური ხანის დარბაზებს იყენებდა. რაც შეეხება შუასაუკუნეების საკულტო ნაგებობებს, მათი დათარიღება გაცილებით ადვილია.

უფლისციხის ცენტრალურ უბანში მდებარეობს კლდეში გამოკვეთილი სამნავიანი ეკლესია (ფართობი 360 მ<sup>2</sup>) (ტაბ. II4). თავის დროზე იმ ადგილას წარმართული ტაძარი უნდა არსებულიყო. ეკლესიის ინტერიერს ქმნის კლდის დამუშავებული კედლები, რომლებსაც ფასადები არა აქვთ. ეკლესიის დასავლეთი მონაკვეთის ცენტრში 4 ბურჯის ბაზისებია გამოკვეთილი. დარბაზის ჩრდილოეთი კედელი ბაზისების შესატყვისად დანაწევრებულია არათანაბარი ზომის 3 დეკორატიული თაღით. ნაწილობრივ შემორჩენილია პილასტრისა და თაღების კლდეში ჩაჭრილი პროფილი. დარბაზს აღმოსავლეთით იატაკიდან ერთი საფეხურით ამაღლებული ღრმა ნალისებური აბსიდა აქვს. აბსიდის ორივე მხარეს მცირე სათავსებია. ეკლესიას შესასვლელი აქვს ქვათლილებით ნაგები სამხრეთი კედლიდან. ეკლესია VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ის მრავალჯერაა გადაკეთებული. საფიქრებელია, რომ ეკლესია დაინგრა არაბთა შემოსევებისას და ის, როგორც საკულტო ნაგებობა შემდგომში აღარ

განუახლებიათ. გვიანდელ შუასაუკუნეებში ეკლესიის ადგილას საცხოვრებელი შენობა გაუმართავთ, რაზედაც მეტყველებს იქ აღმოჩენილი 7 თონე და საკურთხევლის წინ ამოკვეთილი მოზრდილი ხარო (ტაბ. II4).

დანგრეული ეკლესიის სანაცვლოდ უფლისციხელებს IX-X სს-ში ახალი ეკლესია აუგიათ. ესაა „უფლისწულის“ ეკლესია, რომელიც მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე, ამაღლებული კლდის მასივზე. აგურით ნაგები სამეცნიერო ბაზილიკა ( $18,5 \times 13,8$  მ) აშენებულია წარმართული ტაძრის ადგილზე. აბსიდა ნალისებურია. გრძივი კედლები დანაწევრებულია სამ-სამი მაღალი თაღით. სამხრეთი კედლის სამივე თაღში, ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ თაღში და აბსიდაში სარკმელებია. ეკლესიას სამი მხრიდან ეკვრის დაბალი მინაშენი (ტაბ. II5). ჩრდილოეთ მინაშენში შემორჩენილ თხელ შელესილობაზე ატყვია მოხატულობის მკრთალი კვალი. გადახურულია ღარიანი კრამიტით. მათ შორის რამდენიმე მწვანედ და ფირუზისფრადაა მოჭიქული. ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული. სამხრეთი შესასვლელის თავზე XVIII ს-ში დაუშენებიათ მცირე გუმბათოვანი სამრეკლო. აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონში აგურით შეღრმავებული ჯვარია გამოსახული.

უფლისციხის განათხარ მასალაში ადრეული შუასაუკუნეების არტეფაქტები მცირეა და არც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამის მიზეზი, როგორც უკვე ითქვა, იყო კლდის სახლების სისტემური წმენდა. კერამიკულ მასალაში გამოიყოფა სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჰურჭელი. ჩაფები ხასიათდება გაშლილი პირით, მაღალი წიბოიანი ყელით. ოვალურგანიველეთიანი ყური მიერთებულია ყელის წიბოსა და მხარზე. ზოგიერთის ყური შემკულია კოპით. ჰურჭლის ნაწილი ყელის ძირთან ან მხარზე შემკულია ირიბი ნაჭდევებითა თუ ტალღოვანი ორნამენტით. ტანი დაფარული აქვთ მორგვისეული ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი – მკვრივი. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. II7). მსგავსი ფორმის კერამიკული ნაწარმი მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე (ურბნისი, მაგრანეთი და სხვ.). ჩაფები VI-VIII სს-ით თარიღდება.

სამზარეულო ჰურჭლის საინტერესო ჯგუფს შეადგენს სხვადასხვა ზომის ბადიები. მათთვის დამახასიათებელია: მასიური, ფართო პირი, დამრეცი კალთები და ბრტყელი ძირი. გამომწვარია წითლად ან მოჩალისფროდ. ზოგიერთი ბადია წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. ბადიების ერთი ნაწილის პირი შემკულია ამოღარული ტალღისებური ორნამენტითა და კალთის შიდა მხარეს გამოყვანილი ნახევარწრეულით ან ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. II8).

სამზარეულო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება დიდი ზომის პირგაშლილი, კალთადაქანებული, ღრმა ჯამები, რომლებიც გამომწვარია მოშავოდ ან მონაცრისფროდ. მათი თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი – სქელი. ზედაპირზე ეტყობათ მორგვისეული ხაზების კვალი. ერთ მათგანს პირის შიდა მხარეს შემოუყვება ამოღარული სარტყელი (ტაბ. II9). ამ სახის ჯამების თარიღი ძირითადად VI-VIII სს-ით უნდა განისაზღვროს.

სუფრის ჰურჭელს შორის გვხვდება ხელადები, რომლებშიც ორი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს. I ტიპის ხელადებისთვის დამახასიათებელია ოდნავ გაშლილი პირი და შუა ნაწილში შეკეცილი ჩაღარული ყელი. ტანი სფეროსებრი მოყვანილობისაა. ხელადები შეღებილია წერნაქით და გულდასმითაა ნაპრიალები (ტაბ. II10). I ტიპის ხელადების

ზედმიწევნით მსგავსი ჭურჭელი ცნობილია მოღინახეს სამაროვნიდან, სადაც ის IV ს-ით თარიღდება. უფლისციხის ხელადები IV-V სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

II ტიპის ხელადებისთვის დამახასიათებელია: ოდნავ გაშლილი წრიული პირი, შედარებით ფართო, ცილინდრული მოყვანილობის ფელი, რომელზეც თითო წიბო შემოუყვება. ზოგიერთი მათგანის ფური შემკულია ერთი ან ორი კოპითა და ვერტიკალური ღარით. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. II<sub>11</sub>). II ტიპის ხელადები თარიღდება VI-VIII სს-ით.

ადრეული შუასაუკუნეების უფლისციხეში გავრცელებული ჩანს ხელით ნაძერწი, ე.წ. „ფინჯნისებური“ მაღალტანიანი (7-9 სმ) წელში გამოყვანილი ჭრაქები. მათ აქვთ ბრტყელი ან ამოღარული ქუსლი. ტანის ზედა ნაწილი ბოლოვდება ტუჩიანი ფინჯნით. გვხვდება უტუჩი, წრიულპირიანი ჭრაქებიც (ტაბ. II<sub>12</sub>). ისინი შემკულია რელიეფური სარტყლებით ან მოგრძო ღრმა ნაჭდევებით. ჭრაქები VI-VIII სს-ით თარიღდება.

უფლისციხე კლდეში ნაკვეთი ძეგლია, ამიტომ ბუნებრივია, სამშენებლო კერამიკა – აგური, კრამიტი, იქ შედარებით ნაკლებადაა გამოყვანებული შუასაუკუნეების ნაგებობებში. აგურით ნაგებია მხოლოდ ზღუდის კედლის ერთი ფენა და IX-X სს-ის ბაზილიკა (ტაბ. II<sub>5</sub>). ამ უკანასკნელს ეტყობა შემდგომი მრავალგზის გადაკეთების კვალი, რის გამოც ნაგებობაში საკუთრივ IX-X სს-ის აგურის ზომების დადგენა საკმაოდ ძნელდება.

რაც შეეხება ზღუდის აგურის კედელს, რომელიც 914 წელს უნდა დაენგრიათ ქართველებს, აბულ-კასიმის ქართლში ლაშქრობასთან დაკავშირებით, მისი აგურები მკაცრად სტანდარტულია – 23x23x5 სმ.

ადრეული შუასაუკუნეების განათხარ მასალაში კრამიტი მცირერიცხოვანია. გვხვდება როგორც ბრტყელი, ისე ღარიანი კრამიტი. ეს უკანასკნელი შედარებით ცოტაა. ზოგი მათგანი წერნაქითაა შეღებილი. ყველა კრამიტი, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ, ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი და მათი ზომების დადგენა ძნელდება.

როგორც ვნახეთ, უფლისციხიდან ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ძალზე ცოტაა. ამიტომ, ციხესიმაგრის ამ პერიოდის ისტორიის შესახებ მსჯელობა უფრო წერილობითი წყაროების მიხედვით გვიხდება.

IX-X სს-ში უფლისციხე შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი ხდება. იმ დროისათვის უფლისციხის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ქართველ მეფე-მთავართა შორის ბრძოლას ქართლში გაბატონებისთვის „მატიანე ქართლისა“ უფლისციხისათვის წარმოებულ ბრძოლად მიიჩნევდა. IX-XI სს-ში უფლისციხე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საქართველოს გაერთიანების საქმეში. ის შიდა ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ციხე და სამეფო რეზიდენცია იყო.

\* \* \*

**§3. დარიალის ციხე** მდებარეობს დარიალის ხეობაში, დაბა სტეფანწმინდიდან ჩრდილოეთით, ათიოდე კმ-ის დამორჩებით, მდ. თერგის მარცხნა ნაპირის შემაღლებულ კლდეზე (ტაბ. III<sub>1</sub>). ხალხური გადმოცემით, მას თამარის ციხეს უწოდებენ.

1878 წელს ციხეზე დაზვერვითი სამუშაოები უწარმოებია ფ. ბაიერნს. 1934-35 წლებში 6. მარის სახ. მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ა. კრუგლოვი) ციხეზე ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები. 1962-63 წლებში ციხის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ლ. წითლანაძე) შეისწავლა ციხის სხვადასხვა უბანი. 1988-89 წლებში გაზსადენის ახალი ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით, განახლდა გათხრები დარიალის ციხის ტერიტორიაზე (ღ. მინდორაშვილი). გათხრები რამდენიმე უბანზე წარმოებდა.

ციხე აგებულია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სრულიად მიუდგომელი მაღალი კლდოვანი მთის ზედა ნაწილზე, მთის დასავლეთ ფერდობსა და უერდობის ძირზე. ზედა ციხეზე (ფართობი დახ. 1 ჰა) შემორჩენილია ზღუდის კედლები (ტაბ. III<sub>2</sub>), კოშკისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ციხის დასავლეთ ფერდობს ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან დაუყვება მძლავრი სასიმაგრო კედლები. ციხის ტერიტორიაზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიონი შემომავალი გზა, რომელიც ჩადიოდა მდ. თერგის პირას. მასუდის (X ს.) ცნობით, ციხე სასმელი წყლით მარაგდებოდა დასავლეთით მდებარე კლდოვანი ფერდობიდან.

ციხეზე რამდენიმე სამშენებლო ფენა დასტურდება. მათ შორის უძველესია ჩრდილოეთ კარიბჭესთან ადრეული შუასაუკუნეების ზღუდის კედლის ქვეშ აღმოჩენილი სასიმაგრო კედლი, რომელიც მშრალი წყლითაა ნაგები. კედლის სისქე 6 მ-ია. პერანგებად გამოყენებულია დიდრონი ლოდები. პერანგებს შორის სივრცე წვრილი ქვითაა ამოვსებული. კედლი სავარაუდოდ ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება. მეორე სამშენებლო პერიოდს მიეკუთვნება მასზე დაშენებული ზღუდის კედელი (კედლის სისქე 2,6 მ), ნაგები ქვიშაქვის მოგრძო, სწორკუთხა ქვათლილებით, რომლებიც დაწყობილია ზუსტ პორიზონტულ რიგებად, კირხსნარის თხელ ფენაზე. ანალოგიურად ნაგები კედლები ზედა ციხეზეცაა შემორჩენილი. აღნიშნული კედლები თარიღდება V ს-ით. ზედა ციხეზე განვითარებული და გვიანდელი შუასაუკუნეების ნაგებობებიცაა შემორჩენილი.

ციხის განათხარი და შემთხვევით მოპოვებული მასალა სხვადასხვა პერიოდისაა. მათ შორის ყველაზე ადრეულია ციხის დასავლეთ ფერდობზე გაზსადენისათვის გაყვანილ თხრილში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს სამწახნაგა მასრიანი ისრისპირი, რომელსაც ერთი წახნაგი დაგრძელებული აქვს. ისრისპირი ძვ. წ. I ათასწ. შუა ხანებით თარიღდება. ძვ. წ. IV ს-ის მიწურულითაა დათარიღებული შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძი. ადრეული იერისაა აგრეთვე აქატის სწორკუთხა მძივი.

ადრეული შუასაუკუნეების მასალა ძირითადად კერამიკაა. მათ შორის აღსანიშნავია წითელპრიალა და მოჩალისფროდ გამომწვარი ხელადების ნატეხები. სამზარეულო კერამიკიდან გვხვდება ჩაფები, ქოთნები, დერგები (ტაბ. III<sub>3</sub>).

დარიალის ციხის მასალაში ცალკე გამოიყოფა მოზრდილი ჯვეუფი შუასაუკუნეების კერამიკისა (დერგები, ქოთნები, ქილები, ჯამები და სხვ.), რომელთაც აქვთ შავი ან მონაცრისფრო კეცი. ნაწილი კერამიკისა ზედაპირნაპრიალებია. ჭურჭლის უმრავლესობა შემკულია ირიბი ნაჭდევებით. ისინი ჩრდილოკავკასიური ნაწარმია (ტაბ. III<sub>4</sub>).

ციხის სამართვანზე სამარხთა ერთადერთი ტიპია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ქვის სამარხები. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დასვენებულია ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. რამდენიმე მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე. მთელ რიგ სამარხებში ძვლების ცუდად დაცულობის გამო მიცვალებულთა დაკრძალვის პოზის დადგენა ჭირს. ინვენტარი მხოლოდ 1963 წელს გათხრილ ერთ სამარხში აღმოჩნდა. ესენია: ბრინჯაოს მავთულისგან დამზადებული თავგახსნილი სამაჯური და 2 ბეჭედი, რომელთაგან ერთი თვალბუდიანია, მეორე დამზადებულია ბრინჯაოს ორი ერთმანეთში გადახლართული მავთულისგან. სამარხი თარიღდება ადრეული შუასაუკუნეებით.

ციხეს უმნიშვნელოვანები სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ის იცავდა აღმოსავლეთ საქართველოსა და საერთოდ მთელ სამხრეთ კავკასიას ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ტომების შემოსევებისგან. ციხის ტერიტორიაზე გადიოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი. ლეონტი მროველის ცნობით, ხეობის ვიწრო გასასვლელში ძვ. წ. II ს-ში ციხე (კარი) აუშენებია ქართლის მეფე მირვანს [ქც 1973:358<sub>13-15</sub>]. ახ. წ. I ს-ში ხეობა ჩაკეტილი ყოფილა მტკიცე კედლით. პლინიუსთან (ახ. წ. I ს.) მოხსენიებულ სიმაგრე კუმანის მკვლევარები დარიალის ციხესთან აიგივებენ. ახ. წ. I ს-ის 70-ან წლებში ქართველთა ლაშქარმა ჯავახეთში სძლია სომეხთა უფლისწულ ზარენს. ტყევდ ჩავარდნილი უფლისწული დარიალის ციხეში გამოუმწყვდევიათ [ქც 1955:49<sub>8</sub>]. ვახტანგ გორგასალს დარიალის ხეობაში მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობა წამოუწყია. ზოგი არსებული სიმაგრე, მათ შორის დარიალის ციხე საიმედოდ გაუმაგრებია, რაზეც მიუთითებს ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილი V ს-ის ზღუდის კედლები. VI ს-ის 30-ანი წლებიდან დარიალის ციხეზე ირანელებმა დააწესეს კონტროლი [ზქ 1964:94<sub>32-39</sub>, 95<sub>1-4</sub>]. VII-VIII სს-ში არაბ-ხაზართა ბრძოლების დროს ორივე მხარე ხშირად იყენებდა დარიალის გასასვლელს. ამასთან დაკავშირებით არაბი ისტორიკოსები დარიალის ციხეს არაერთგზის მოიხსენიებენ.<sup>51</sup>

\* \* \*

**§4. წებელდის მტკიცე და მიუღებომელი ციხე მდებარეობს კოდორის ულამაზეს ხეობაში.** ციხის გეგმარებას განაპირობებდა რელიეფის სირთულე, რომელიც კლდოვანია და ძნელად მისადგომი. თავდაცვის ხაზი ნახევარწრიულად ზღუდავს ციტადელს, რომელიც შიგნიდან რამდენიმე ნაწილად იყოფა. კედლებისა და კოშკების წყობა ძირითადად ორგვარია: იზოდომური და დიდგვადროვანი (ტაბ. IV<sub>1-2</sub>). კედლების სისქე 2,5 მ-ია, ზოგან – 3,5 მ.

<sup>51</sup> არაბული წყაროების ცნობები დარიალის ციხის შესახებ ხშირად მცდარია. იბნ ალ-ფახიდი დარიალის მშენებლობას ხოსრო ანუშირვანს (531-579) მიაწერდა. ზოგი არაბული წყარო დარიალის სიმაგრეს ალანთა ციხედ მიიჩნევდა. მათ შეცდომისებრ უბიძგებდა ხეობის გვიანდელი სახელწოდება დარი-ალანი (ალანთა კარი) და ალანთა წინააღმდეგ მიართული ციხე ალანებს მიაკუთვნეს. ალანური კულტურის ზოგიერთი მკვლევარი უკრიტიკოდ იყენებდა რა არაბულ წყაროებს, დარიალის ციხეს ალანურ სიმაგრედ მიიჩნევდა (ვ. კუზნეცოვი). ციხე ფუნქციონირებდა გვიანდელ შუასაუკუნეებშიც, რაზედაც მეტყველებს იქ შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა. 1733 წელს რუსული რუკის აპლიკაციის მიხედვით დარიალის ციხე უკვე მიტოვებულია [დაწვრილებით იხ. მინდორაშვილი 2005].

სიმაგრის სიმტკიცისათვის გამოყენებულია ე. წ. პროტოხეიზმა — ორმაგი კედლებით გამაგრება. ყურადღებას იპყრობს ორმაგი კარიბჭე, სადაც გარე და შიდა შესასვლელები ერთმანეთთან კორიდორითაა დაკავშირებული. ციტადელში აღმოჩნდა: აბანო ჰიპოკაუსტის სისტემით; VI ს-ის სატაძრო კომპლექსი; ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა; მარანი; წყლის ორი რეზერვუარი, რომელსაც კვებავდა ნახევარკილომეტრიანი წყალსადენის მაგისტრალი.

წებელდის სასიმაგრო სისტემა უნდა აღმოცენებულიყო IV ს-ის ბოლოს ან V ს-ის დასაწყისში. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ციხესიმაგრეს პარალელები მრავლად მოეპოვება ნოქალაქევის, ქუთაისის, შორაპნის, სკანდეს სახით.

ციხესიმაგრის გათხრებისას აღმოჩნდილია მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მიუთითებს ამ პუნქტის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების მაღალ დონეზე. მრავალრიცხოვნია კერამიკული ნაწარმი: ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, თეფშები, ჯამები, სასმისები (ტაბ. V<sub>1</sub>). დიდი რაოდენობითაა აღმოჩნდილი რკინისა და მინის ნაწარმი (ტაბ. V<sub>2</sub>). მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრება IV-VII სს-ით. არქეოლოგიური მასალებით (მინა, წითელლაკიანი კერამიკა, მონეტები) ჩანს, რომ ეს მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული და ჰქონდა აქტიური კავშირები კოლხეთის ცენტრალურ რაიონებთან, აგრეთვე რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიურია V-VI სს-ში. წებელდაზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც სებასტოპოლისს ქლუხორის უღელტეხილით აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან. მეტიც, V-VI სს-ში კოდორის ხეობაზე გამავალი გზით ბიზანტია დაკავშირებული იყო შუა აზიასთან კასპიის ზღვის გვერდის ავლით.

პოლიტიკური თვალსაზრისით, წებელდასა და კოდორის ხეობის სხვა სიმაგრეებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდათ. ისინი იცავდნენ კავკასიელი ტომების შემოჭრისაგან ეგრისსა და რომი-ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს. წყაროების მიხედვით, წებელდა აფსილების სიმაგრეა. აფსილები კი პროკოპი კესარიელის ცნობით, „ლაზების ქვევრდომნი არიან და ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ“ [გეორგიკა 1934:98]. ზოგიერთი მოსაზრებით, აფსილები ლაზურ(მეგრულ)ენოვნი ეთნოსი იყო. აფსილეთის გეოგრაფიული მდებარეობა — დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზები ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით, აიძულებდა ეგრისის მესვეურებს აქტიური ღონისძიებები გაეტარებინათ აფსილებთან ურთიერთობისას. თუმცა, შესაძლოა აფსილებს შენარჩუნებული ჰქონდათ ერთგვარი ავტონომია.

\* \* \*

**§5. ანაკოფიის ციხე-ქალაქი მდებარეობს ახალი ათონის ტერიტორიაზე. გაშენებულია ივერიის მთაზე და მის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის სანაპიროდან 1,5-2 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 250-350 მ სიმაღლეზე (ტაბ. VI<sub>1</sub>). VII-VIII სს-ში ის აბაზგთა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ანაკოფია ქართულ წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით VIII ს-ის 30-ან წლებში, როცა არაბთაგან ანაკოფიის აღების ცდა მარცხით დამთავრდა [ქც 1955:235<sub>6</sub>, 236<sub>2</sub>]. ამით**

ანაკოფიის ციხემ ფაქტობრივად აღკვეთა არაბთა შეჭრა დასავლეთ კავკასიიდან აღმოსავლეთ ევროპაში. VIII ს-ის ბოლოდან ანაკოფია ახლად შექმნილი აფხაზეთის სამეფოს მთავარ სიმაგრედ იქცა. ქუთაისის დედაქალაქად გამოცხადების შემდეგაც მას არ დაუკარგავს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დროს ის იყო „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ [ქც 1955:317<sub>16</sub>].<sup>52</sup> ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე... ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვს კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია... იყო ქალაქი კეთილი, შუენიერი, ზღუასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული... არამედ აწ ოხერ არს“ [ქც 1973:781<sub>16-24</sub>].

1925 წელს ციხის ტერიტორიაზე გათხრები აწარმოა ა. ბაშკიროვმა. 1957-58 წლებში ანაკოფიის ტერიტორიაზე ჩატარდა გათხრები მ. თრაფშის ხელმძღვანელობით. ციხე-ქალაქს ეკავა 7 ჰა ფართობი. ციხე გარშემორტყმული იყო შვიდკოშიანი გალავნით (ტაბ. VI<sub>1</sub>). გალავანში კოშკები მხოლოდ სამხრეთ ნაწილშია ანუ იმ მხარეს, საიდანაც ციხე შედარებით ადვილი მისადგომია. კოშკებს შორის მანძილი ერთნაირი არაა. ციხის დაბალ ნაწილში მანძილი კოშკებს შორის უფრო მცირდება, ხოლო კოშკების მოცულობა და შესაბამისად მათი სიმტკიცე იზრდება. ციხის ზედა, შედარებით მიუვალ ნაწილში კოშკები სწორკუთხაა. ქვედა ნაწილში კი, სადაც შეიძლებოდა ადვილად მიეტანა მტერს კედლის სანგრევი მანქანები, კოშკები ოვალური და მრგვალია. საყურადღებო ფაქტია, რადგან ცნობილია, რომ კედლის სანგრევი მანქანებისათვის უფრო მნელი იყო ოვალური, ვიდრე კუთხოვანი კოშკების დანგრევა.

საინტერესოა ციხის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარე ყველაზე დიდი და ძლიერი მრგვალი, სამსართულიანი კოშკი (ტაბ. VI<sub>4</sub>). კოშკი გარდა იმისა, რომ იცავდა ციხის ყველაზე დაბალ ადგილს, ასევე იცავდა ციხეში შესასვლელ ერთადერთ კარსაც. ციხეში შესვლა მნელდებოდა იმითაც, რომ კარის შიგნით იყო კედლებით გარშემორტყმული პატარა ეზო და კარი, რომელიც მტერს დამატებით სინელეს უქმნიდა. დიდი კოშკის კედლებზე შეიმჩნევა მშენებლობის ორი ეტაპი. მშენებლობის პირველ პერიოდს ეკუთვნიდა კოშკის 5 საბრძოლო ბაქანი, გამართული საგანგებო ნიშებში, რომელთაც რა თქმა უნდა გააჩნდათ სარკმლები. მეორე სამშენებლო პერიოდისაა კოშკის ცენტრში აღმართული მრგვალი სვეტი, რომელზეც დაყრდნობილი იყო გადახურვის ხის ძელები (ტაბ. VI<sub>4</sub>). ასევე მეორე სამშენებლო პერიოდს უნდა ეკუთვნიდეს კოშკის შესასვლელის მოპირდაპირედ გამართული ბუხარი. როგორც ფიქრობენ (ვ. ლექვინაძე), პირველი სამშენებლო პერიოდი უნდა განისაზღვროს VII ს-ით. VIII ს-ის 30-ან წლებში იქ არაბებს უგვე მალიან ძლიერი ციხე ხვდებათ და მის აღებას ვერ ახერხებენ. ახლებური გააზრებით, ციხე VI ს-ში ჩანს აგებული. რაც შეეხება მეორე სამშენებლო პერიოდს, არაა გამორიცხული, რომ მას შემდეგ, რაც XI ს-ის 30-ან

<sup>52</sup> 1032 წელს ტახტის მაძიებელმა ბაგრატ IV-ის ნახევარმმამ დიმიტრიმ, მას შემდეგ, რაც ვერ მოახერხა ტახტის მიტაცება, ანაკოფიის ციხე ბიზანტიელებს გადასცა. 1046 წელს ბაგრატ IV-მ უშედეგოდ სცადა ანაკოფიის დაბრუნება. მხოლოდ გიორგი II-მ (1072-1089) მოახერხა მისი ბიზანტიელებისთვის წარმევა.

წლებში ციხე ბიზანტიულებმა დაიკავეს, მათ იქ დამატებითი სამუშაოები ჩაატარეს და ციხე უფრო გაამაგრეს. თუმცა, ასეთივე წარმატებით შეიძლება ვიუიქროთ, რომ ციხე ქართველებმა გაარემონტეს მას შემდეგ, რაც ის ბიზანტიულებს წაართვეს.

კოშკები და კედლები ნაგები იყო შედარებით პატარა, უხეშად გათლილი საპერანგე ქვებით. შუა ნაწილი ამოგსებულია წვრილი ქვებითა და კირხსნარით. ორ ყველაზე დიდ კოშკში დასტურდება აგურების თითო სარტყელი. კოშკები თითო ან ორსართულიანია. სართულშუა გადახურვა ეყრდნობოდა ხის ძელებს. როგორც შემორჩენილი ფრაგმენტიდან ჩანს, კოშკებს ჰქონიათ ქონგურები (ტაბ. VI<sub>2-3</sub>).

შიდაციხე განლაგებულია ბორცვის წვერზე (ტაბ. VI<sub>1</sub>). ის გალავნით შემორტყმული წაგრძელებული ტერიტორიაა (37x83 მ), სადაც მდგარა ორი კოშკი, ბაზილიკური ეკლესია, ქვითგირით ნაგები წყლის რეზერვუარი და ა. შ. ციტადელის კედლებს არ გააჩნიათ რამე შვერილი კოშკები ან კონტრფორსები. კედლები ნაგებია შესანიშნავად გათლილი ქვებით კირხსნარზე. ციტადელი აგებულია V-VI სს-ში და მთელ კომპლექსში ყველაზე აღრეული ნაგებობაა. გალავნის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლეა 4-5 მ, კედლის სისქე – 1,2 მ. დედაციხის სამხრეთ კედელთან მიწის დონიდან 2 მ-ით მაღლა მდებარე კარიბჭეა. ციტადელში დასავლეთიდან არსებული შესასვლელი მოწყობილია კედლიდან სათითაოდ გამოწეული ქვებით. ბაზილიკური ეკლესია აგებული უნდა იყოს VIII ს-ში, ხოლო XI-XII სს-ში ის გადაუკეთებიათ (ტაბ. VI<sub>1,3</sub>).

ციტადელში ორი კოშკია. ისინი არაა კედლებზე მიშენებული და უფრო სათვალთვალოა, ვიდრე საბრძოლო. თავდაპირველად აუგიათ დასავლეთის კოშკი (ტაბ. VI<sub>1,2</sub>), საგარაუდოდ, VII ს-ში. მისი დანგრევის შემდეგ აუგიათ მეორე, აღმოსავლეთის კოშკი, რომლისგან 4 სართულია შემორჩენილი (ტაბ. VI<sub>1,1</sub>).

ქვედა ციხის ტერიტორიაზე ერთნავიანი ეკლესიაა (9,2x4,5 მ), ნახევარწრიული შვერილი აბსიდით. ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა კანკელის ფრაგმენტები (ტაბ. VI<sub>5</sub>). აგრეთვე ღარიანი და ბრტყელი კრამიტების ნატეხები. იქვეა აღმოჩნილი თიხის სხვადასხვა სახის ნაწარმი – დერგები, ქოთხები, დოქები და სხვ. მათ შორის რამდენიმე ნატეხი მოჭიქულია. გათხრებისას მიკვლეულია X-XI სს-ის სპილენძის 4 ბიზანტიური მონეტა. ეკლესიაში და მის გარშემო გამოვლინდა სამარხები. არქეოლოგიური მასალით ეკლესია თარიღდება X-XI სს-ით.

საინტერესოა ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საკირე (ტაბ. VI<sub>1,14</sub>), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ციხის კედლების მშენებლობისთვის თუ გადაკეთება-შეკეთებისთვის საჭირო კირი ადგილზევე იწვებოდა, რაც მნიშვნელოვნად აიოლებდა მშენებლობის პროცესს.

ციხესიმაგრის ტერიტორიაზე ნაპოვნია მინისა და თიხის ჭურჭელი, თიხის კვირისტავები, რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ჯვრები და სხვ. (ტაბ. VI<sub>6</sub>). მონეტები ყველა X-XI სს-საა. მათ შორის გვხვდება როგორც ბიზანტიური (მაგ.

კონსტანტინე IX მონომაზის 1042-1055), ისე ქართული (გიორგი II-ის 1072-1089) (ტაბ. VI6ა-ე).<sup>53</sup>

### ძირითადი ლიტერატურა

აბრაშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000.

ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხესიმაგრები, თბილისი, 1988.

ლომთათიძე გ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება აღგეთისა და ივრის ხეობებში, თბილისი, 1989.

მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბილისი, 2005.

მინდორაშვილი დ. უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბილისი, 2008.

მოქცევად ქართლისათვის, ძქალდ, წ. I, (V-X სს), ილ. აბულაძის საერთო რედაქციით, 1963, თბილისი, გვ. 81-163.

მუსხლიშვილი დ. ციხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი, 1966.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.

ყიფიანი გ. უფლისციხე, თბილისი, 2000.

ციციშვილი ი. უჯარმა, თბილისი, 1982.

ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1970.

სახუტაშვილი დ. უფლისციხე I, 1957-1963 წწ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 1964.

სახუტაშვილი დ. კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბილისი, 1965.

სახუტაშვილი დ. იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966.

სახუტაშვილი დ. უფლისციხე II, 1963-1969 წწ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 1970.

სახუტაშვილი დ. უფლისციხე – ქალაქი კლდეში, თბილისი, 1989.

ხიმშიაშვილი კ. უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ერთი ჯგუფის დათარიღებისათვის, ბმ, №3, 1986, გვ. 59-63.

**Башкиров А.С.** Археологическое изыскания в Абхазии летом 1925 г., Известия Абхазского научного общества, вып. 4, Сухум, 1926, გვ. 53-55.

**Воронов Ю. Н., Бгажба О. Х.** Материалы по археологии Цебельды, Тбилиси, 1985.

**Леквинадзе В.** По поводу Анакопийской крепости, სსმ, ტ. XXV-B, 1968, გვ. 89-104.

**Мелитаури К. Н.** Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. I, Тбилиси, 1969.

**Мелитаури К. Н.** Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. II, Тбилиси, 1972.


<sup>53</sup> XIV ს-დან ანაკოფიის მნიშვნელობა ქნინდება. XIV-XV სს-ში გენელებმა ანაკოფიაში, ოღონდ ციხიდან ცოტა მოშორებით, ზღვის პირას, მდ. ფსირცხის შესართავთან, ციხე ააგეს და ფაქტორია დააარსეს. XVII ს-ში სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ანაკოფიას ზღუდე შემოავლო. XVIII ს-ში ციხე და ზღუდე უქმად იყო. 1875 წელს ანაკოფიის ნანგრევებთან დაარსდა ახალი ათონის მონასტერი, რომლის სახელი ეწოდა მთელ ადგილს.

**Трапиш М.М.** Археологические раскопки в Анакопии в 1957-1958 гг. Византийский временник, т. 19, 1961, № 3. 260-282.





**Трапиш М.М.** Труды, т. 4, Сухуми, 1975.

**Чубинашвили Н. Г.** Уплисцихе, Тбилиси, 1961.


I







1. უჯარმა

2. ციხის  
გეგმა3. „ზედა ციხე“. სასახლის  
გეგმა და ჭრილი.




10



11






4. „ქვედა ციხე“.  
კოშკი №1.6. „ქვედა ციხე“.  
კოშკი №8.

13

5. „ქვედა ციხე“.  
კოშკი №3.7. კოშკი №5  
(წყლის კოშკი)

12

10-13. უჯარმის ეკლესიის ფასადები და ჭრილები

8. V ს-ის  
გედლების წყობა

9. წყალსაცავი




14. ეკლესიის ქავედა  
სართულის გეგმა15. ეკლესიის გვიანდელი  
მინაშენის გეგმა

16. ციციშვილის მიხედვით



1. უფლისციხე. ხედი სამხრეთიდან.



2. უფლისციხე. გეგმა.









3. ანტიკური ხანის დარბაზში გამართული შუასაუკუნეების მარანი

4. კლდეში ნაკვეთი სამნავიანი ბაზილიკა. VI ს.

5. „უფლისწულის“ ეკლესია. IX-X სს.



6. ანტიკური ხანის დარბაზში გამართული შუასაუკუნეების მარანი






12



11

7-12. უფლისციხის ადრეული შუასაუკუნეების კერამიკული ნაწარმი

### III







ციხის არქეოლოგიური მასალა






Օ. Ցածրացած քանակություն  
Վճարաբառ և գործառնություններ

2


















1

Օ. Ցածրացած քանակություն  
Վճարաբառ և գործառնություններ




0. გამოცემის ბოლო  
ადრესი ვარდიშვილი გიგანტი




0. გამოცემის ბოლო  
ადრესი ვარდიშვილი გიგანტი

2


1




1. ივერიის მთა და ანაკოფიის ციხე.  
პერსპექტიული გეგმა.  
მ. თრაფშის მიხედვით




2. ოვალური კოშკი



3. პვალრატული კოშკი



5. ქვედა ციხის ეკლესია.  
IX-X სს.



VII-X სს.



0 10

სალესავი  
ქვები

სელსაფქავი  
ქვები



VII-IX სს.



VIII-IX სს.

0 5 10



XI-XII სს.

0 10

რკინის ნივთები



დურსმნები



ა-დ. ბიზანტიური მონეტები

ე. გიორგი II-ეს მონეტა

4. მთავარი კოშკი

გ. ლექვინაძის მიხედვით

## თავი VI ეკლესია-მონასტრები

§1. ადრეული შუასაუკუნეების საკულტო არქიტექტურის ძეგლების მიზანმიმართულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საინტერესო აღმოჩენებით გაამდიდრა და დიდად წასწია წინ ეკლესია-მონასტრების შესწავლის საქმე. გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა არაერთი ახალი, ზოგჯერ სრულიად უნიკალური ეკლესია. ხოლო არქიტექტურულად თითქოს უკვე ამომწურავად შესწავლილი ეკლესიების გათხრებისას, ხშირად ჩნდებოდა მანამდე უცნობი მასალები, რომელთაც ზოგჯერ მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდათ კონკრეტული ეკლესიების ქრონოლოგიისა თუ საერთოდ, ქართული ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის განვითარების ძირითადი მიმართულებების კვლევის საქმეში.

ადრეული შუასაუკუნეების განათხარ ტაძრებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბოლნისის სიონი, რომელიც მდებარეობს ქვემო ქართლში, დღევანდელი ბოლნის-ხაჩინის ტერიტორიაზე, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე.

ლეონტი მროველის მიხედვით, ბოლნისში ეკლესია დაუარსებია მეფე ფარსმანს, ვარაზ-ბაქარის ძეს, სვიმონის ეპისკოპოსობის დროს [ქც 1955:1383]. „მოქცევად ქართლისათ“ მოვათხოვანის, რომ ბოლნისს ეკლესია აღაშენა მთავარეპისკოპოსმა ელიამ, მეფე ბაკურის დროს, V ს-ის დამდეგს [მქ 1963:92]. ბოლნისში დაუსვია ვახტანგ გორგასალს ერთ-ერთი ეპისკოპოსი [ქც 1955:19816].

პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია ბოლნისში მოეწყო 1936 წელს ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით (ხელმძღ. ლ. მუსხელიშვილი). ბოლნისის სიონი თითქმის ნახევრამდე მიწით იყო დაფარული. ტაძარი გაიწმინდა მიწისგან. გარდა ამისა, სადაზვერვო თხრილები გაკეთდა გალავნის შიგნით, სადაც აღმოჩნდა ქვა სამშენებლო წარწერით. გალავნის ეზოშივე აღმოჩნდა გვიანდელი სამარხები და სხვ.

ბოლნისის სიონი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას (სიგრძე 27,8 მ, სიგანე 24,5 მ, სიმაღლე შიგნიდან 11 მ). სამივე ნავი გადახურულია ორფერდა საერთო სახურავით. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული შვერილი აბსიდით. სამხრეთით და ჩრდილოეთით კარებია. ეკლესიას არა აქვს სადაცაკვნე და სამკვეთლო. სანათლავი ცალკეა გამოყოფილი. თაღებსა და კამარებს ნალისებრი მოყვანილობა აქვთ. ნავები გაყოფილია ჯვრისებრი გეგმის სვეტების ხუთი რიგით (ტაბ. I<sub>1</sub>). ეკლესია აგებულია ადგილობრივი ბოლნური ფირუზისფერი-მომწვანო ტუფით. ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით არის შემკული ჩრდილოეთის გაღერება. შუა ნავში შემკულია მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე სვეტისთავები. იქ გამოსახულია ქრისტიანული სიმბოლიკის ამსახველი ცხოველებისა და ფრინველების რელიეფური ფიგურები და სცენები. ბოლნისის სიონზე შემოჩენილია სამი დიდი წარწერა. მათგან სამშენებლო ხასიათის ასომთავრული წარწერა, გათხრების შედეგად მიკვლეულ იქნა ლ. მუსხელიშვილის მიერ და ეს წარწერა უნდა ჩაითვალოს ამ ექსპედიციის უმნიშვნელოვანეს აღმოჩნდად – „[შეწევნითა წ(მიდ) ისა

სამებისავთა, ოც წლისა პერო[ზ მ]ეფე[თა მეფისასა დახიდ]ვა საძირკველი წ(მიღ)ისა] ამის ეკლესიავსად და ათხუთმეტ წლისა [შემდგომად მეფობასა] [კავატისასა, განხეშორა. ვინ აქა შინა თავყანისხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ. და ვინ ამ[ის მაშენებელსა დ(ავი)თ ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწყა[ლ]ენ; [ამცნ]“ (ტაბ. I<sub>2</sub>). აკად. აკ. შანიძის აზრით, წარწერაში ნათქვამია, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ სპარსთა მეფის პეროზის (458-484) გამეფებიდან 20 წლის შემდეგ და დაუსრულებიათ 15 წლის შემდეგ. ე. ი. 493-94 წლებში. მკვლევართა ნაწილი გამორიცხავს წარწერაში ირანის შაპის მოხსენიებას. მათი აზრით, სინამდვილეში ტაძრის წარწერაში მოხსენიებული პეროზი (ფეროზი) მირიან მეფის სიძე – პეროზია. რ. პატარიძე და ბ. მჭედლიშვილი წარწერას ამგვარად კითხულობენ: „შეწევნითა წმიდისა სამებისავთა უფალთ-უფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა, ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიავსად და ათხუთმეტ წლისა უამეულსა აღხეშვნა. ჯუარსა ქრისტისსა ვინ აქა შინა თავყანისხცეს ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამისა ეკლესიავსა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. ამცნ“. წარწერის შინაარსი ასეთია: წმინდა სამების შემწეობით უფალთ-უფლისა და მეფეთა ნათესავის პეროზის გამგეობის დროს დაწყო ეკლესის მშენებლობა და თხუთმეტ წელიწადში დასრულდა. წყაროებიდან ცნობილია, რომ პეროზმა 338 წელს ბაკურ მეფისგან (მირიანის შვილისგან) მიიღო მიწები სამშვილდიდან ვიდრე აბოცამდე. ამასთან ერთად გაქრისტიანდა. მას ტაძრის მშენებლობა 338 წლის შემდგომ უნდა დაეწყო და 356/57 წლებში უნდა დაემთავრებინა (რ. პატარიძე). ამრიგად, ბოლნისის სიონის წარწერის ახლებური წაკითხვით, ტაძარი IV ს-ის 60-ან წლებში ჩანს აგებული.<sup>54</sup>

თუ წარწერის მიხედვით ტაძრის მშენებელი მირიანის სიძე პეროზია, წერილობითი წყაროების თანახმად, ბოლნისის სიონის მაშენებლად გვევლინებიან IV ს-ის დამლევისა და V ს-ის დამდეგის მოღვაწე მეფეები: თრდატი, ფარსმანი, ბაკური და მთავარეპისკოპოსი ელია. ამის გამო, მკვლევართა ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაგაბაძე, ა. ბოგვერაძე) ტაძრის მშენებლობის თარიღს IV ს-ის დასასრულითა და V ს-ის დასაწყისით განსაზღვრავდა. ასეთ ვითარებაში გარევეული ქრონლოგიური შეუსაბამობა იქმნება ტაძრის წარწერისა და წერილობითი წყაროების მონაცემებს შორის. ვ. გოილაძის აზრით, პეროზის მიერ აგებული ტაძარი როგორც ჩანს, მაღვევე დანგრეულა ქართლში უცხოელთა ლაშქრობისას (შესაძლოა ქართლში 368 წელს შაბურ II-ის ლაშქრობისას, რომლის დროსაც ქართლიდან განდევნეს რომაული ორიენტაციის მქონე საურმაგი და, როგორც ამიანე მარცელინუსი გვამცნობს

<sup>54</sup> ტაძარი საფუძვლიანად შეუკეთებიათ მეფე როსტომის (1632-1658) მეუღლის, მარიამის თაოსნობით. 1678-88 წლებში აუგიათ სამრეკლო, რომლის წარწერაში მოხსენიებულია ნიკოლოზ ბოლნელის სამშენებლო მოღვაწეობა. გალავანი აგებულია XVIII ს-ის პირველ ნახევარში. XVI ს-ში ეკლესიის ჩრდილოეთი სტოა და ეზო სასაფლაოდ იყო ქცეული. იქ გაითხარა გვიანდელი შუასაუკუნეების ქვის სამარხები. ქვის სამარხების გარდა ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ახლოს აღმოჩნდა ქვის სარკოფაგი (2,33x0,75x0,75 მ). მისი ზედა ნაწილი ნამტვრევებად იყო ქცეული. ქვედა ნაწილს ფსკერზე პქონდა ხვრელი. სარკოფაგში აღმოჩნდა სამი ჩონჩხი. მდარცველებისგან ძვლები არეული იყო. სარკოფაგში ნივთები არ აღმოჩნდილა.

ტახტზე დაჯდა სპარსული ორიენტაციის მომხრე ასფაგური). ხოლო IV ს-ის დასასრულს ქართლის ეპისკოპოს ელიას, მეფების: თრდატის, ფარსმანისა და ბაკურის მიერ უნდა მომხდარიყო ტაძრის აღდგენა-განახლება. ასე, რომ ბოლნისის სიონის გათხრებისას აღმოჩნდილი წარწერა გვაუწყებს ტაძრის მშენებლობას პეროზის მიერ. ხოლო წერილობითი წყაროები მოგვითხრობს ტაძრის აღდგენა-განახლების შესახებ. სადღეისოდ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი, შეჯერებული აზრი ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერისა და აქედან გამომდინარე ტაძრის აშენების თარიღის შესახებ.<sup>55</sup> მხოლოდ ერთია უდავო – ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა უძველესია ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის.

\* \* \*

**§2.** ბოლნისის სიონიდან 800 მ-ის დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთით აღმართულ მთაზე, რომელსაც **ლამაზ გორას** ეძახიან, შემორჩენილია ძველი ციხის ნანგრევები. მთის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, გათხრების შედეგად (ჯ. ამირანაშვილი) გამოვლინდა ადრეული შუასაუკუნეების სამონასტრო კომპლექსი. არქიტექტურული ანსამბლი აგებულია ზღუდის შიგნით (40x25 მ) (ტაბ. II<sub>1</sub>). ეკლესია თავდაპირველად წარმოადგენდა ერთნავიან შენობას, რომელსაც შემდგომში ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები გაუკეთეს. ცენტრალური ნაგებობა (4,3x3 მ) IV-V სს-ის მიჯნაზეა აგებული. სამხრეთი მინაშენი (4,9x2,4 მ) VII-VIII სს-ით თარიღდება, ჩრდილოეთი მინაშენი (4,6x1,7 მ) – IX-X სს-ით.

სამხრეთ მინაშენში აღმოჩნდა ოთხი სამარხი, ხოლო მინაშენის აბსიდაში – ორი. ჩრდილოეთ მინაშენში ორი სამარხი გამოვლინდა. ეკლესიის გარეთ მაკელიეს შვიდ სამარხს. სამარხები ამოჭრილი იყო კლდეში. გვერდებზე თხელი ფილები ჰქონდა ჩადგმული და ასეთივე ფილებით იყო გადახურული. უინვენტარო სამარხებში თითო ან რამდენიმე ქრისტიანულად დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. ეკლესიის სამხრეთი მინაშენის კედლები სამარხებზე იდგა, რაც იმას მიანიშნებს, რომ სამარხები იქ გაუმართავთ ეკლესიის აშენების შემდეგ, სამხრეთი მინაშენის აგებამდე. აღსანიშნავია, რომ სამხრეთი მინაშენის კედლის გარეთ, სამარხის თავზე აღმოჩნდა შვეულად ჩასობილი ქვის მემორიალური სტელა, რომელზეც ამოკვეთილია ე.წ. „ბოლნური“ ჯვარი, მის ზედა კიდეზე წარწერაა – „კვირიკე“ (ტაბ. II<sub>3</sub>).

სამონასტრო კომპლექსი შეიცავდა 13 შენობას – სენაკებს, დარბაზებს, მარანს, „სამჭედლოს“ და სხვ. სამურნეო დანიშნულების ნაგებობებს. მონასტრის ტერიტორიაზე გაითხარა ქვით ამოშენებული და კირით მოლესილი 4 სამურნეო ხარო. შენობებიდან დარჩენილია წყობის რამდენიმე რიგი. ეკლესიის კედლები ნატეხი და თლილი ქვის წყობით

<sup>55</sup> დაწვრილებით იხ. კაკაბაძე С.С. Строительная надпись Болниссского Сиона, №3, 1984, გვ. 90-99; მჭედლიშვილი ბ. ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის, იმავე კრებულში, გვ. 100-114; ლომოური ნ., ანდლულაძე ნ., თუმანიშვილი დ., საყვარელიძე თ. ბოლნისის სიონის საკითხისათვის, იმავე კრებულში გვ. 115-141; პატარიძე რ. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერები, „მნათობი“, №1, 1984, გვ. 145-159; მაჭავარიანი ელ. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბილისი, 1985; სილოგავა ვ. ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბილისი, 1994.

კირხსნარზეა ამოყვანილი, ხოლო სენაკების კედლები ნატეხი ქვითა და თიხით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის დაციტის ქვები.

გათხრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს მრავალრიცხოვანი ქვის სტელები და ქვაჯვარები (ტაბ. II<sub>2-3</sub>). რამდენიმე სტელაზე შემორჩენილია წარწერების ფრაგმენტები. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ბარნაბას წარწერა: „ესე ჯოვარი ბარნაბასი რნ (რომელმან) აღმოი... თხოს... ლოცვა ჰ(ე)?ავ(თ?) (ჰ) (ჭსენებად?)“ (ტაბ. II<sub>3</sub>). დანარჩენი წარწერები ძალზე ფრაგმენტულია და მხოლოდ ცალკეული ასოები იკითხება. საფიქრებელია, რომ წარწერიანი ქვების ნაწილი აღმართული იყო სამარხებზე და წარმოადგენდნენ ეპიტაფიებს, როგორც მაგ. ქვა, წარწერით – „კვირიკე“, რომელიც ექსპედიციამ საფლავის თავზე აღმართული აღმოაჩინა (ტაბ. II<sub>3</sub>). ზოგიერთი ქვა წარმოადგენდა „სიონის“ ანუ მაცხოვრის საფლავის სიმბოლურ გამოსახულებას (ტაბ. II<sub>3</sub>). ქვის ჯვრებიდან გვხვდება „აყვავებული“ ჯვრის რამდენიმე გამოსახულება (ტაბ. II<sub>2</sub>).

გათხრებისას აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური მასალა იყოფა აღრეული და განვითარებული შუასაუკუნეების ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად. კერამიკული ნაწარმიდან გვხვდება: ქვევრები, ქოთნები, ქოთნის სახურავები, ღოქები, ბადიები, ჯამები, ჭრაქები, კრამიტები. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია ჭურჭელი და სამაჯურები. რკინის იარაღიდან გვხვდება: დანები, სატეხები, ისრის პირი, ცული, ლურსმნები, ნალები და სხვ. (ტაბ. II<sub>4</sub>). გათხრებისას აღმოჩენდა 2 არაბული ფელსი. ერთი ცუდადაა შემორჩენილი და მასზე წარწერის წაკითხვა შეუძლებელია. მეორე მონეტა VIII ს-ის შუა ხანებისაა და ეკუთვნის სომხეთის არაბ მმართველს ისპაკ იბნ მუსლიმს.

ლამაზი გორის კომპლექსი საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთ უძველეს მონასტრად შეიძლება ჩაითვალოს. იქ არ აღმოჩენილა XIII ს-ის შემდგომი პერიოდის არქეოლოგიური მასალა. ჩანს, მონასტერი განადგურდა XIII ს-ში, მონღლოთა, უფრო კი ჯალალ-ედ-დინის შემოსევის შედეგად.

\* \* \*

**§3. „ნაგზაურის“** ნამონასტრალი მდებარეობს დმანისის რ-ში, სოფ. განთიადსა და ტნუსს შორის გაშლილ მინდორზე. კომპლექსი თბილისი-დმანისის სამანქანო გზის პირასაა განლაგებული.<sup>56</sup> ძეგლი ითხრებოდა 1988, 2001-2004 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციის მიერ პ. კახიანის ხელმძღვანელობით.

კომპლექსი შემოსაზღვრულია კვადრატს მიახლოებული ოთხკუთხა (25x27 მ) ზღუდით. ზღუდის აღმოსავლეთ კედელთან თითქმის ერთ ხაზზეა განლაგებული 4 შვერილაბსიდანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. შვერილი აბსიდები ზღუდის კედლის გარეთაა მოქცეული (ტაბ. III<sub>1</sub>).

პირველი ეკლესია მოგვიანო სამხრეთი მინაშენით, აღმოჩენდა კომპლექსის ჩრდილო-აღმოსალეთით, კუთხეში. ის ყველაზე დიდი ზომისაა და დანარჩენებზე ადრეულია.

<sup>56</sup> იმის გამო, რომ ტრასის ზემოთ გადიოდა ძველი გზა, მოსახლეობა ამ ადგილს ნაგზაურს უწოდებს.

მომდევნო ორი ეკლესიის ნანგრევები გაითხარა იქვე, სამხრეთით 4 მ-ის დაშორებით. ერთი მათგანი, რომელსაც პირობითად მეორე ეკლესია ეწოდა, მესამეზე აღრუულია, რადგან მეორე ეკლესიის დანგრევის შემდეგ, მესამე სწორედ მის საფუძველზეა აგებული. მეოთხე ეკლესია გამოვლინდა ასევე სამხრეთით 5 მ-ის დაშორებით. ის მესამე ეკლესიის თანადროული უნდა იყოს. ბოლო ორი ეკლესიის აგების შემდეგ მთელ კომპლექსს შემოავლეს ზღუდე, რომლის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე მიღვმულია ორი სენაკი (ტაბ. III<sub>1</sub>).

პირველი ეკლესია ( $10,6 \times 6,3$  მ) ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ნაგებია დამუშავებული ქვიშაქვის ქვებით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. იატაკი მიწატკეპნილია. შვერილი ნახევარწრიული აბსიდა შიდა მხრიდან ოდნავ ნალისებურია. საკურთხევლი ერთი საფეხურითაა აწეული. საკურთხევლის ცენტრში, კედელთან ქვით ნაშენი ნახევარწრიული ტრაპეზია. საკურთხეველი გამიჯნული ყოფილა დაბალი კანკელით. ეკლესიის სამხრეთით მთელ სიგრძეზე დაფიქსირდა გვიანდელი მინაშენი (ტაბ. III<sub>1</sub>).

მეორე ეკლესია შვერილაბსიდიანი დარბაზული ნაგებობაა ( $7,65 \times 4,6$  მ). ეკლესია მკვიდრად ყოფილა ნაშენი ბაზალტის ქვებით. კედლების სისქე 0,8 მ-ია. იატაკი თიხატკეპნილია (ტაბ. III<sub>1</sub>).

მეორე ეკლესიის დანგრევის შემდეგ მისი კედლები მოუსწორებიათ და ზედ მესამე მცირე ზომის ( $5,8 \times 4$  მ) ეკლესია დაუშენებიათ. ისიც შვერილაბსიდიანი დარბაზული ნაგებობაა. ნაშენია უხეშად დამუშავებული ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. კედლების სისქე 0,8 მ-ია. იატაკი თიხატკეპნილია. შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტები. შესასვლელი უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთიდან, რაც იშვიათი შემთხვევაა და მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ამას ნაგებობის ადგილმდებარეობა მოითხოვს (ტაბ. III<sub>1</sub>). ამ შემთხვევაში ჩრდილოეთი შესასვლელით ეკლესია მოხერხებულად უკავშირდებოდა პირველი ეკლესიის სამხრეთ კარიბჭეს.

მეოთხე ეკლესიაც შვერილაბსიდიანი დარბაზული ნაგებობაა ( $6,2 \times 4,3$  მ). კედლები განიერია – 0,9-1 მ. კედლები აქაც თიხის ხსნარზეა ნაგები. ფასადებზე პირმოსწორებული ფლეთილი ქვებია, ხოლო კუთხებში – მოზრდილი მართკუთხა ქვათლილები. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. დარბაზის თიხატკეპნილ იატაკთან შედარებით, საკურთხეველი რამდენადმე ამაღლებულია. საკურთხეველი დარბაზიდან გამოყოფილია ქვის დაბალი კანკელით (ტაბ. III<sub>1</sub>). მეოთხე ეკლესია მესამის მსგავსია და მისი თანადროული ჩანს.

კომპლექსის ეზო შემოფარგლულია ზღუდით, რომელიც ნაგებია თიხითა და სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვებით. კედლების სიგანე 0,7-1 მ-ია. ეზოში შესასვლელი უნდა ყოფილიყო ზღუდის დასავლეთ კედელში (ტაბ. III<sub>1</sub>).

ზღუდის დასავლეთ კედელთან გამოვლინდა 2 სათავსი ( $3,4 \times 2,4$  მ;  $1,9 \times 3,6$  მ), სავარაუდოდ სენაკები, რომლებიც ნაგებია ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. იატაკი მიწატკეპნილია (ტაბ. III<sub>1</sub>). ეკლესიების გათხრებისას აღმოჩნდა: ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი წერნაქითა შეღებილი; შვერილიანი თიხის ფილები; ბრინჯაოს საკინძი ოქროს ვარდულით. კერამიკა მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ისინი სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულებისაა. გვხვდება აგრეთვე

ჭრაქები. გათხრებისას აღმოჩენილია რკინის ლურსმნები და ქვის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. III<sub>3-7</sub>).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკლესიებში და მათ ირგვლივ გამოვლენილი სხვადასხვა ფერის ტუფის ქვებისგან გამოთლილი ორნამენტირებული კაპიტელები და ქვაჯვარები; საერო და რელიგიური ხასიათის (ღვთისმშობელი ყრმით, ნათლისდება და სხვ.) სხვადასხვა სიუჟეტითა და ქრისტიანული სიმბოლოებით (ფარშევანგი, ლომი) შემკული რელიეფების ფრაგმენტები. მათგან ზოგიერთზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები (ტაბ. III<sub>8-11</sub>).

სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე შესწავლილი სამარხებიდან გვხვდება ორმოსამარხები (5) და ქვის სამარხები (9). ზოგიერთი ორმოსამარხი ქვის ფილებით იყო გადახურული. სამარხების უმრავლესობაში მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანულად. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური დაკრძალვა. №6 სამარხში მიცვალებული დაუკრძალათ ე.წ. ვედრების პოზაში. მას მარცხენა ხელი მუცელზე პქნდა დადებული, მარჯვენა მოხრილი და სახესთან მიტანილი. №2, 8 სამარხებში მიცვალებულები დასვენებული იყო წარმართული წესით – მარჯვენა გვერდზე, მოხრილი ქვედა და ზედა კიდურებით (ტაბ. III<sub>2</sub>). საფიქრებელია, რომ წარმართული წესით დაკრძალულები მოუნათლავები იყვნენ. სამარხებში გამოვლინდა როგორც ქალების და მამაკაცების, ისე ბავშვების ჩონჩხები. მხოლოდ რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა მცირე რაოდენობის ინვენტარი: რკინის სამაჯური, ბეჭედი, აბზინდა; ვერცხლის 2 ბეჭედი (მათ შორის ერთი სვასტიკის გამოსახულებით); ბრინჯაოს ბეჭედი და საკინძი; მინის ბეჭედი (ტაბ. III<sub>7</sub>).

პირველი და მეორე ეკლესიის აგების თარიღი V-VI სს-ის დასაწყისით უნდა შემოიფარგლოს. შესაძლოა მეორე ეკლესია პირველის ცალკე მდგომი სანათლავიც იყოს, როგორც ეს მაგ. ნეკრესშია დადასტურებული. შესაძლოა ისინი დაინგრა 627-28 წლებში პერაკლე კეისრის ლაშქრობისას არსებული კონფესიური დაპირისპირებისას. მათი დანგრევის შემდეგ, დაახ. ერთდროულად ჩანს აგებული მესამე და მეოთხე ეკლესიები. ამ ეკლესიების და მთელი კომპლექსის ნგრევის ზედა ზღვარი VIII-IX სს უნდა იყოს. არაა გამორიცხული, რომ კომპლექსი განადგურდა 730-ან წლებში მურვან ყრუს ან 853 წელს ბულა თურქის შემოსევის დროს. ამის შემდეგ მონასტერი აღარ განახლებულა.

\* \* \*

**§4. ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია მდებარეობს დმანისის რ-ში, სოფ. ვარდისუბნის მახლობლად, მდ. მაშავერასა და ფინეზაურის ხერთვისის თავზე, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე. გაითხარა 1989-92 წლებში დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (გ. ბოლქვაძე). ეკლესია გეგმით შვერილაბსიდიანი წრიული ნაგებობაა, აღმოსავლეთისკენ მიმართული სამი ნალისებური აბსიდით. ნაგებია ადგილობრივი ჯიშის ბაზალტის ქვათლილებით კირხსნარზე. წყობაში დაცულია მკაცრი პორიზონტულობა. კედლების სისქეა 1-1,10 მ. შემორჩენილი სიმაღლე საშუალოდ 1 მ-ია. ეკლესიის გეგმის წრიულობა შექმნილია ერთმანეთში ჩამკდარი კონცენტრული წრეების მეშვეობით. დიდი ზომის წრეში (დმ 17,60 მ),**

რომელიც ქმნის ნაგებობის აბრისს, ჩასმულია შედარებით მომცრო (დმ 8,40 მ) წრე, რომლის რკალში მოქცეული ფართობი წარმოადგენს ტაძრის ნაოსს. ნაგებობის გარშემოხაზულობა, აბრისი არაა შეკრული წრე. აღმოსავლეთიდან ის განიერი მხრებით შემოისაზღვრება. მხრებს შორისაა მოქცეული ეკლესიის ძირითადი აბსიდა, რითაც შექმნილია ტაძრის შვერილაბსიდიანობა. ნაოსის წრიულობა აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია ძირითადი აბსიდის ნალისებური რკალით, ხოლო დანარჩენი მხრიდან – ბაზალტის ქვის ტრაპეციის ფორმის ბურჯებით, რომელთა შორის დატოვებულია გასასვლელები ჩრდილოეთ და სამხრეთ სადგომებში. ბურჯები ექვსია და მათ შორის შვიდი ღია გასასვლელია, რომელთაგან ერთი კარის ღიობს წარმოადგენს. წრიული დერეფანი ნაოსს ბურჯებს შორის არსებული ღიობებით უკავშირდებოდა (ტაბ. I<sub>3</sub>). ნაგებობის ჩრდილოეთი ფასადის დიდი ნაწილი მოგვიანო ხანის გადაკეთებებს უმსხვერპლია. ნაგებობის იატაკი მოგებული ყოფილა წითელი ტუფის ქვით.

ეკლესიის გათხრებისას მრავლად აღმოჩნდა ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, რომელთა შორის გვხვდება წერნაქით შეღებილი ნიმუშებიც. იქვეა გამოვლენილი ორნამენტებით შემკული ქვის ფრაგმენტები. ერთ მათგანზე შემორჩენილია 5 ასომთავრული ნიშანი. აღსანიშნავია აგრეთვე ტუფის ქვის ჯვრის ორი მკლავის ფრაგმენტი, შემკული ვარდულით, სტილიზებული ფოთლოვანი და წიწვოვნი მოტივებით. ეკლესიის სიახლოეს, ჩრდილოეთით გაითხარა რამდენიმე უზივენტარო სამარხი.

ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია – როტონდა წრიული გეგმარებით, წრიულ სივრცეზე დაფუძნებული გუმბათითა და ინტერიერში თავისუფლად აღმართული გუმბათის საბჯენი ბურჯებით, გენეტიკურად რომაულ-ელინისტური ტრადიციებით ნაგებ როტონდებს უკავშირდება. შესაბამისად, ის არაა ადგილობრივ ფესვებზე აღმოცენებული და მისი გეგმარება სხვა ხუროთმოძღვრული და კულტურული ტრადიციების მქონე სამყაროდანაა მოტანილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართულ საისტორიო მწერლობაში (ლეონტი მროველი) შემორჩენილი ცნობა, მირიან მეფის თხოვნით იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილი ბერძენი ხუროების ქართლში მოღვაწეობის შესახებ. შესაძლოა ისინი აღმშენებლობით საქმიანობას ქვემო ქართლშიც აწარმოებდნენ, რაც უნდა ასახულიყო კიდეც ვარდისუბნის ეკლესიის არქიტექტურაში. ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია საქართველოში გუმბათიანი ნაგებობების ერთი პირველი ნიმუშთაგანია. ეს ხუროთმოძღვრული ტიპი ჩვენში შემდგომ აღარ განვითარებულა. ეკლესია თარიღდება IV ს-ის მეორე ნახევრით ან V ს-ის დასაწყისით. მას არსებობა უნდა შეეწყვიტა VII ს-ის მიწურულისათვის (გ. ბოლქვაძე). განსხვავებული მოსაზრებით ვარდისუბნის ეკლესია V-VI სს-ის ძეგლია (ც. ჩაჩხუნაშვილი).

\* \* \*

§5. ქრისტიანობის უძველესი ძეგლები – სტელები გვხვდება ქვემო და შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, იშვიათად კახეთში. მრავლადაა თავმოყრილი სტელები, განსაკუთრებით მათი უძველესი ნიმუშები ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (დამბლუტისწყლის ხეობა, აბულმუგი, ბალიჭი, სათხე, ბუჩქაშენი, ნაქალაქარ დმანისის ტერიტორია და მისი

შემოგარენი და სხვ.). სტელების ნაწილი მიწის ზემოთ ახლაცაა შემორჩენილი. ნაწილი კი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი (ტაბ. I<sub>4</sub>). სტელა-ჯვრების გამოვლენა-შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით მკვლევრებს: გ. ჩუბინაშვილს, ლ. მუსხელიშვილს, ალ. ჯავახიშვილს (მასვე ეპუთგნის 1949 წელს სტელებზე დაცული პირველი საკრძიდატო დისერტაცია), ნ. ჩუბინაშვილს, ვ. ჯაფარიძეს, კ. მაჩაბელს, ჯ. ამირანაშვილს, მ. სინაურიძეს, გ. ჯავახიშვილს და სხვ.

ადრეული შუასაუკუნეების ეს ძეგლები ყურადღებას იპყრობენ უძველესი წარწერებით, ჩუქურთმების მრავალფეროვნებით, ქვაზე კვეთის მაღალმხატვრული ღირსებებით. ზოგიერთი სტელის სიმაღლე 5-6 მ-ს აღწევს და ერთი ქვისგანაა ნაკეთები. იმდროინდელ პირობებში ეს ტექნიკურად არცთუ აღვილად მოსახურხებელი იყო. ამიტომ აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ჩვენში ქვაზე ჭრის მაღალ ტექნიკასა და დახვეწილ ოსტატობას.

სტელების დიდი ნაწილი გამოვლენილია მოგვიანო ხანის ეკლესიებთან ან ამ ეკლესიების კედლების წყობაშია ჩართული. ჩვენში გავრცელებული ყოფილა ორი ტიპის სტელა – ოთხწახნაგოვანი და ბრტყელი სვეტები. სტელები სხვადასხვა ზომისაა – 5 მ-ის და მეტი სიმაღლისა (მაგ. ბრდაძორის სტელა. ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში). უფრო გავრცელებულია 2-3 მ სიმაღლის სტელები. გვხვდება ძალზე პატარა, ნახევარ მეტრზე ნაკლები სიმაღლის ნიმუშებიც და მინიატურული ქვის ჯვრებიც. სტელები უპირატესად სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება: 1. კუბური ფორმის ქვის ბაზა, რომელშიც ამოკვეთილი იყო სვეტის ჩასადგმელი ფოსო; 2. საკუთრივ სვეტი და 3. სვეტის დამაგვირგვინებელი ჯვარი.

საინტერესოა სტელებისა და ჯვრების ორნამენტული მოტივები. მათზე ვხვდებით წრეში ჩახაზულ ტოლმკლავა ე. წ. ბოლნურ ჯვრებს. ზოგჯერ ჯვრის მედალიონის გვერდებზე ნახევარპალმეტების ნაცვლად ვხვდებით მაზდეანობის სიმბოლოს, წმინდა თავსაკრავის ბოლოებს. სტელებზე გამოსახულია ფარშევანგები, რომელთაც ნისკარტებით ყურძნის მტევნები უკავიათ. ფარშევანგები უკვდავებისა და გაზაფხულის სიმბოლოა, ხოლო მტევნები მიიჩნევა ქრისტესა და მარტვილთა სისხლის სიმბოლოდ. გავრცელებულია სამფურცლა ყვავილებისა და ვაზის რტოს მოტივები. ცხოველებიდან გვხვდება ვერძის, ირმის, ჯიშვის გამოსახულებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერო პირთა და წმინდანთა გამოსახულებები და წარწერები. უნდა ვიფიქროთ, რომ სტელებზე გამოსახულია ის პირები ან მათი ოჯახის წევრები, ვინც ეს სტელები აღმართეს. რაც შეეხება ჯვრებს, მათზე ძირითადად მცენარეული მოტივებია წარმოდგენილი. სტელების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია იმის გამო, რომ ზოგიერთზე წარმოდგენილია უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც V-VI სს-ით თარიღდება (მაგ. სოფ. უკანგორი, დამბლუტისწყლის მცირე ეკლესია)

სტელების დანიშნულების შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგიერთი მათ საფლავის ქვებად მიიჩნევდა. თუმცა, ეს უნდა გამოირიცხოს, ვინათან არც ერთი სტელის ქვეშ სამარხი არ აღმოჩენილა. სხვა შეხედულებით, ისინი საკულტო-მემორიალური ძეგლებია. ის აზრიც არსებობს, რომ სტელები შესაძლოა თავდაპირველად სალოცავებს წარმოადგენდნენ,

ხოლო შემდგომ ეკლესიისათვის შესაწირ საგნებად იქცნენ. მოგვიანებით, ფეოდალიზმის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, სტელები სამამულო მფლობელობის სიმბოლოებად გვევლინებიან (წყისის სტელა VII ს, არეშის სტელა X ს.). უძველესი სტელები საკულტო ძეგლებს რომ წარმოადგენდნენ, ამას ადასტურებს სტელების წარწერები, რომელთა შინაარსი ზოგადად ასეთია: ღვთის სახელით ვინმე აღმართავს „ჯვარს „სალოცველად ჩვენდა“ ან „სალოცველად და მოსახსენიებლად ჩვენდა“, ან „სალოცველად ჩვენთა და ჩვენთა შვილთა“, ან „ყოვლისა სახლისა მცველად“. მაშასადამე, სტელა-ჯვრებს აღმართავდნენ ცოცხლების სალოცველად, რომელიმე კონკრეტული პირის, აგრეთვე მისი ცოლისა და შვილების სალოცველად, „სახლისა მცველად“ და სხვ.

ის გარემოება, რომ უძველესი სტელები თავმოყრილია სწორედ უძველესი ეკლესიების მახლობლად, აგრეთვე მათი წარწერები იმის დასტურია, რომ სტელები საკულტო-მემორიალური ძეგლებია. სტელები სალოცავი ფუნქციის გარდა შეიძლება აღმართათ ოჯახისა თუ ქვეწისათვის დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით – ნათლობა, მტერზე გამარჯვება და სხვ.

დროთა ვითარებაში, ეკლესიების ახლომახლო აღმართული ადრეული სტელები (V-VII სს.) თანდათან კარგავენ მნიშვნელობას ან მწყობრიდან გამოდიან, ხოლო ახლომდებარე ტაძრები ინგრევიან ან ანგრევენ. ახალი ტაძრების მშენებლობაში უკვე ფართოდ იყენებენ ძველ სტელებს, როგორც მზამზარეულ კარგად გათლილ და მოჩუქურთმებულ სამშენებლო მასალას.

\* \* \*

**§6. ნასტაკისის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1981 წელს ნასტაკისის ექსპედიციამ (ა. ბოხოჩაძე) შეისწავლა ადრეული შუასაუკუნეების ეკლესია, რომელზეც შემორჩენილი იყო ერთმანეთისგან ხასიათით, მასალებით, სამშენებლო ტექნიკითა და დაგეგმარებით მკვეთრად განსხვავებული სამი სამშენებლო პერიოდის კვალი. პირველი სამშენებლო პერიოდის ცენტრალური ნაგებობა გეგმით სწორკუთხა, სამნავიანი ეკლესია (16,7x10 მ) (ტაბ. I5). ეკლესის საძირკველი ქვიშაქვისაა. მისი სიმაღლე 1 მ-ია. ქვიშაქვის კედელზე დაშენებული ყოფილა აღიზის აგურები. მისი ცენტრალური ნავი ფართოა, ჩრდილო და სამხრეთი ნავები საკმაოდ ვიწრო. ნავები ერთმანეთისგან გამოყოფილია 3 წყვილი სვეტით. აბსიდა ოდნავ წაგრძელებული ნალისებური მოყვანილობისაა. აბსიდასა და დასავლეთ კედელში პილასტრებია. ჩრდილოეთი ნავის აბსიდაში მიკვლეულია საკურთხეველი-ტრაპეზი, რომელიც აღიზის აგურებისგანაა შედგენილი და გარედან კარგადაა შელესილი თიხით. სამნავიანი ეკლესია ფუნქციონირებდა V-VI სს-ში.**

პირველ სამშენებლო ფენაში გამოიყოფა ერთი სამშენებლო ჰორიზონტი, რომელიც VI ს-ით უნდა დათარიღდეს. იმ დროს ეკლესიისთვის ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან მიუშენებით დამატებითი ნავები (ტაბ. I5). ეკლესია დანგრეული ჩანს VI ს-ში.

მეორე სამშენებლო პერიოდში, რომელიც საფიქრებელია იმავე VI ს-დან იწყება, სამნავიანი ეკლესიის ნანგრევებზე აუგიათ სამეკლესიანი ბაზილიკა. ის წინამორბედ ეკლესიასთან შედარებით ზომებში უფრო შემცირებულია. კედლები ამჯერად ნაგებია რიყის

ქვით, ქვიშაქვით, კრამიტის ნამტვრევებით. აქა-იქ ალიზის აგურებიცაა გამოყენებული. ნავების გამყოფ სკეტებს შორის აიგო კედლები და სამნავიანი ბაზილიკა სამეკლესიან ბაზილიკად იქცა (ტაბ. I<sub>6</sub>). ეკლესიას გარშემოსავლელი გაუკეთდა ჩრდ. სამხ. და დას. მხარეს. ახალი ეკლესის ზომების შემცირების გამო, ძველი ეკლესის აბსიდები ახალი ეკლესის აღმოსავლეთი კედლის გარეთ დარჩა. სამეკლესიანი ბაზილიკის საკურთხეველი იატაკიდან 40 სმ-ით მაღლაა. ჩრდილოეთი და სამხრეთი ეკლესიების აბსიდები სწორკუთხაა, იატაკიდან რამდენადმე ამაღლებული. ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდანაა.

მესამე სამშენებლო პერიოდის დროს, სავარაუდოდ VIII ს-ში ეკლესიისთვის დასავლეთიდან მიუშენებიათ კრამიტით გადახურული ნაგებობები, როგორც ჩანს, სენაკები. ეტყობა იმ დროს ხდება ეკლესიის გაფართოება და მისი მონასტრად ჩამოყალიბება, რაც თავისთავად ეკლესიის გარშემო დამატებითი ნაგებობების გამართვასაც გულისხმობდა. ეკლესია დანგრეული ჩანს VIII ს-ში, საფიქრებელია, არაბთა შემოსევის დროს. ეკლესიის დანგრევიდან განსაზღვრული დროის შემდეგ მის ნანგრევებზე გაუმართავთ სამარხები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეკლესიის ფუნქციონირებისას (V-VIII სს.) მის გარშემო სამარხები არ არსებობდა. ეკლესიის თანადროული სამაროვანი მიკვლეულია მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ადგილზე. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ადრეული შუასაუკუნეების პირველ ეტაპზე ეკლესიების გარშემო მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიცია ჯერ კიდევ არ არსებობდა.

\* \* \*

**§7. ატენის სიონი VII ს-ის ჯვრის ტიპის ტაძარია, რომელიც დგას ქვებით ამოშენებულ ხელოვნურ ბაქანზე – სუბსტრუქციაზე (ტაბ. IV<sub>1-2</sub>). ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ტაძრის 853 წლით დათარიღდებული წარწერის შესწავლისას, რომელიც ბუდა თურქის მიერ თბილისის დანგრევასა და გადაწვას შეეხება, ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ ჯვრის გეგმის ეკლესიების გარდა, საქართველოში გავრცელებული ყოფილა ეკლესიების „სიონად“ აშენება. სიტყვა სიონიც ეკლესიის გეგმის განსაკუთრებული სახის დამახასიათებელი სახელია. ყველა „სიონი“ ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა. ამ მხრივ საინტერესოა ბერძნული თხზულების „უწყება და თხრობა აღშენებისათვის... აია სოფიის ტაძრისა“, სადაც ქართულ წინადადებას „აღაშენა სიონად“, უდრის ბერძნული დედანის „დრომიკე“, რაც ბაზილიკას ნიშავს. ამ წყაროზე დაყრდნობით მკვლევარმა იმ დროისათვის ძალზე კატეგორიული დასკვნა გააკეთა – სიონი ჰქონია ატენის ტაძარსაც, მაგრამ ახლანდელი ატენის სიონი გეგმით ბაზილიკა არაა. უკველია, რომ ატენის სიონი ჯვრის გეგმაზე შემდგომ გადაუკეთებათ. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება არ გაიზიარეს სამეცნიერო წრეებში.**

1969 წელს ტაძრის სამხრეთი ფასადის გასწვრივ მთელ სიგრძეზე გაკეთდა თხრილი, სადაც გამოვლინდა კედლის ფრაგმენტები, რომელიც 70 სმ-ით იყო დაშორებული დღევანდელი ტაძრის სამხრეთ კედელს და ის სუბსტრუქციის კიდემდე გრძელდებოდა (ტაბ. IV<sub>1</sub>). ახლად აღმოჩენილი კედელი არავითარი ნიშნით არ უკავშირდებოდა ჯვრის ტიპის ტაძარს. გაირკვა, რომ ძველი კედლის ნაშთები სიგრძეში 3 მ-ით აღემატებოდა VII ს-ის ტაძრის სამხრეთ კედელს. ძველი კედლის აღმოსავლეთი მხარე VII ს-ის ტაძრის

აღმოსავლეთი კედლის ქვეშ იკარგებოდა. შედარებით უკეთ დაფიქსირდა ძველი კედლის დასავლეთი ნაწილის ფრაგმენტები (ტაბ. IV<sub>1</sub>). გათხრების შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა ატენის VII ს-ის ტაძრის ქვეშ მდებარე უფრო ძველი ტაძრის გეგმა. ესაა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი საკმაოდ ვიწრო, მაგრამ გრძელი ბაზილიკა – „დრომიკე“ (ტაბ. IV<sub>1</sub>). ის თავის დროზე აღმართული ყოფილა იმ მონუმენტურ ბაქანზე (ტაბ. IV<sub>2</sub>), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ატენის VII ს-ის ტაძრის თანადროულად იყო მიჩნეული. გაირკვა, რომ ბაქანიცა და მასზე აღმართული ბაზილიკაც ერთი დროისა და ერთი არქიტექტურული ამოცანით გააზრებული ნაგებობაა, რომელიც VII ს-ში ხელმეორედ გამოუყენებით სიონისათვის (გ. აბრამიშვილი).

ტაძრის სამხრეთი ნაწილის გათხრებმა კიდევ ერთი მოულოდნელი სურათი გამოავლინა. ბაზილიკის კედლის წინ აღმოჩნდა რიყის ქვით შექმნილი ქვაფენილის ზოლი, რომელიც ჰიდრავლიკური ხსნარით იყო შელესილი. ხსნარის ეს დანალექი კი 5 მ სიგრძეზე წითელი და თეთრი საღებავით ისე იყო მოხატული, რომ ნახატი წითელი მარმარილოსა და მასში ჩართული თეთრი ძარღვების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბაქნის ამ ზოლზე გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, ამ ადგილას ყოფილიყო მაღალი წრის საერო თუ საეკლესიო პირის აკლდამა. იქ მართლაც აღმოჩნდა სამარხი. წითლად შეღებილი შელესილობის ერთი მონაკვეთი სამარხისთვის ჩაეჭრათ. მასში ჩასვენებული იყო მიცვალებული. სამარხი სპილენძის ჭვირული ღილების მიხედვით (ტაბ. IV<sub>3</sub>) XIII-XIV სს-ით დათარიღდა. სამარხის თარიღი დააკონკრეტა სამარხის მიწაში მრავლად აღმოჩნდილმა ატენის სიონის მოხატულობის ფრაგმენტებმა. როგორ უნდა მოხვედრილიყო სამარხში ფრესკების ფრაგმენტები, რომელიც შესრულებული უნდა იყოს დავით აღმაშენებლის ზეობის ადრეულ ხანაში – XI ს-ში? ბუნებრივია, ფრესკის დაზიანებულ-ჩამოშლილი ფრაგმენტები გარეთ უნდა გამოეხვეტათ და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოჩნდებოდა ეს ფრაგმენტები სამარხში. თავის დროზე ატენის სიონში ფრესკების დაზიანება და მისი გაცხოველება-შეკეთება რომ მოხდა, ამაზე მიუთითებს 1955-56 წლებში ატენის სიონის ფრესკების გაწმენდისას მიკვლეული ერთი წარწერა, რომლის ცნობითაც ტაძრის დასავლეთი კედლი გაუცხოველებია ლიპარიტ თორელის ძეს გრიგოლს. ლიპარიტ თორელი ცნობილი ფეოდალია, რომელსაც 1259 წელს ქუთაისში გადაუყვანია დავით რუსუდანის ძე. მისი შვილი გრიგოლი, ჩანს, XIII-XIV სს-ის მიჯნაზე მოღვაწეობდა და სწორედ მან მოახატვინა ახლიდან ტაძრის დასავლეთი კედელი. ეს გარემოება კარგად მიესადაგება სამარხის თარიღსაც.

როგორც ჩანს, XIV ს-ის პირველ ნახევარში წითელი მარმარილოს მიბაძვით მოხატულ მონაკვეთში მესაფლავებს გაუხსნიათ ძველი სამარხი მის ხელმეორედ გამოსაყენებლად. იქ კი დახვედრიათ თიხის სარკოფაგი (ტაბ. IV<sub>4</sub>), რომელიც გასტეხიათ და მისი ნატეხები გვერდზე მიუხვეტავთ. ხოლო სარკოფაგის ნაადგილარში ახალი სამარხი ჩაუშვიათ. ამ ტიპის თიხის სარკოფაგები ჩვენში IV-V სს-შია გავრცელებული. სარკოფაგის თარიღს აზუსტებს ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდილი მარმარილოს მცირე ფორმის არქიტექტურული დეტალები – ცილინდრული და ოთხკუთხა სვეტები, სვეტის ბაზები, კაპიტელები, მათში ჩასართავი მარმარილოს დაფების ნაშთები, მარმარილოს კაპიტელის

კუთვნილი არწივის ქანდაკება, რომლებიც ვერანაირად ვერ უკავშირდებიან VII ს-ის ტაძარს და ცხადია, ისინი ძველი ბაზილიკის კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ. ყველა ნიშნის მიხედვით, ბაზილიკა V ს-ში უნდა აეგოთ. მაგრამ, სად უნდა წასულიყო ძველი ბაზილიკის სამშენებლო მასალა და შემგულობის დეტალები? რატომ არ გამოიყენეს ისინი VII ს-ის ტაძრის მშენებლებმა?

ამ მხრივ საინტერესოა ტაძრის კედლებში ჩასმული რელიეფები, რომელთაც აშკარად უფრო ადრეული იერი აქვთ და VII ს-ზე ადრინდელი ნიმუშები უნდა იყოს. ესაა ბაზილიკის კუთვნილი და VII ს-ში ხელმეორედ გამოყენებული ჩრდილოეთი კარის ტიმპანზე გამოსახული წყალს დაწაფებული ირმები (ტაბ. IV<sub>8</sub>). ეს სიუჟეტი მხოლოდ IV-VI სს-ის ეპლესიებზე გვხვდება. ასევე ადრეული ჩანს სენმურვის ქანდაკება დასავლეთ ფასადზე (ტაბ. IV<sub>9</sub>). სენმურვი ფანტასტიკური ურჩხულია და ნაყოფიერების კულტს უკავშირდება. ის ირანული წარმომავლობის მითოლოგიური ფრინველია ძაღლის თავით, ფრინველის ტანითა და ფარშევანგის კუდით. ეს გამოსახულება ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ირანულ, ისე ადრეული შუასაუკუნეების ქრისტიანული სამყაროს სახვით ხელოვნებაში. V ს-ს განეკუთვნება აგრეთვე ტაძრის ჩრდილოეთი კარის პორტალის კაპიტელები, ცენტრში გამოსახული მამაკაცისა და ქალის სახეებით.

V ს-ის ბაზილიკასთან დაკავშირებით ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა – რა გახდა მიზეზი მისი ასე მაღალ დანგრევისა და იმავე ადგილას ახალი ტაძრის მშენებლობისა? ამ მხრივ საყურადღებო პასუხს იძლევა VI ს-ის ერთი სირიული ეპისტოლე, რომელიც ბეით მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამდლოლ თომას ეკუთვნის, და რომელიც გვამცნობს, რომ ამ მონასტრის ეპისკოპოსი სვიმეონი VI ს-ის 40-50-ან წლებში სირიიდან ჩასულა ტანას ანუ ატენის მონასტერში. ეპისტოლეს ავტორის ხაზგასმული მითითებით, ეს მონასტერი საქართველოშია. იქ არსებული კონფესიური დარღვევების გამო ტანას მონასტერში შეკრებილ ეპისკოპოსებს სვიმეონი ანათემაზე გადაცემით დამუქრებია. ჩანს, VI ს-ში ატენში უკვე არსებულა დიდი ტაძარი, სადაც ქართლის რეგიონის ეპისკოპოსები მიიწვიეს. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდა იქ კონფესიური სიტუაციები სვიმეონის სირიიდან ატენში ჩასვლისა და ანათემაზე მუქარით კრების მოწვევის შემდეგ, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ძირვესვიანად დანგრეული V ს-ის ბაზილიკის ნაშთები შესაძლოა მკაცრი საეკლესიო განჩინების შედეგი იყოს.

ამრიგად, ატენის სიონის გათხრებმა ცხადყო ივ. ჯავახიშვილის ვარაუდის სისწორე, რომ ამ ადგილას თავის დროზე უძველესი „დრომიკე“ არსებულა და მხოლოდ შემდგომ აუგიათ მის ნანგრევზე ჯვრის ტიპის ტაძარი. VII ს-ის ტაძარს სახელი „სიონი“ ძველი ბაზილიკის სახელიდან – „დრომიკედან“ გადმოჰყოლია. ტაძრის გრანდიოზული სუბსტრუქცია თავდაპირველად სწორედ V ს-ის ბაზილიკისათვის აუგიათ და არა VII ს-ის გუმბათიანი ტაძრისათვის. ბაზილიკის არქიტექტურული დეტალები შემდგომში გუმბათიანი ტაძრის კედლებში ჩაურთავთ. სირიული წერილობითი წყაროს ცნობით V ს-ის ბაზილიკის დანგრევის მიზეზი შესაძლოა კონფესიური კონფლიქტი იყო (გ. აბრამიშვილი).

\* \* \*

**§8.** ივრის სიონის ბაზილიკა მდებარეობდა თიანეთის რ-ში, ახლანდელი სიონის წყალსაცავის ტერიტორიაზე. ამჟამად გადმოტანილია თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში. სიონის ბაზილიკა ირ. ციციშვილის მიერ გასული საუკუნის 50-ან წლებში V-VI სს-ით დათარიღდა. შემდგომში გ. ჩუბინაშვილმა ის VIII-IX სს-ის ძეგლად მიიჩნია და ასე იყო დიდხანს, ამ ძეგლის გათხრამდე. 1962 წელს ბაზილიკის გათხრების შემდეგ მოპოვებულია რიგი მასალები, რომლებმაც ძეგლი მნიშვნელოვნად დააძველა. სიონის ტაძარი გეგმით წარმოადგენს ოთხკუთხედს, რომელიც მრგვალი მონოლითური სვეტების ორი წყვილით გაყოფილია სამ ნავად. ცენტრალური განიერი ნავი აღმოსავლეთ ბოლოში მთავრდება ნალისებური ღრმა აბსიდით, რომელიც შიდა სივრციდან კანკელითაა გამოყოფილი. საყურადღებოა, რომ აბსიდა გარედან ხუთწახნაგაა და ფასადის ხაზს გარეთაა გამოშვერილი, ანუ ეკლესია შევერილაბსიდიანია. ეკლესის ნავები ურთიერთდაკავშირებული ყოფილან კარგად გამოსახული ნალისებური თაღებით, რომლებიც პილონებზე და ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულ ქვის სვეტებზეა დაყრდნობილი (ტაბ. IV<sub>10</sub>). ეკლესია ნაგებია შირიმის არცთუ კარგად გათლილი ქვებით. ქვების რიგების პორიზონტულობა მეტწილად დაცული არაა. გათხრებისას ტაძრის აბსიდში ჩნდებოდა მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. რადგან შირიმის ქვა ორნამენტისთვის ფაქტობრივად გამოუყენებელია, ყველა სახის ჩუქურთმისათვის ტაძრის რბილი ქვიშაქვაა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ თუ ტაძრის ინტერიერში ჩუქურთმები უხვად გვხვდება (ტაბ. IV<sub>11</sub>), ამას ვერ ვიტყვით ტაძრის ფასადზე, რომელიც მოკლებულია შემკულობას და ხასიათდება მძიმე და უხეში ფორმებით. მოგვიანებით ტაძრისათვის სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები გაუკეთებიათ, ხოლო ჩრდილოეთი მინაშენის ქვეშ კრიატა მოუწყვიათ (ტაბ. IV<sub>10</sub>).

ტაძრის ადრეულობაზე მიუთითებს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: 1. ნალისებური მოყვანილობის შვერილი აბსიდა; 2. ინტერიერის უხვად შემკობა ჩუქურთმებით, რაც ძალზე დამახასიათებელია ადრეული ტაძრებისათვის (ტაბ. IV<sub>11</sub>); 3. ჩუქურთმები თავისი თემატიკითა და მანერით ახლოს დგანან ბოლონისის სიონის ჩუქურთმებთან. სიონის სამნავიანი ბაზილიკა თარიღდება V ს-ის მეორე ნახევრით (რ. რამიშვილი).

\* \* \*

**§9. სოფ. დავათი** მდებარეობს დუშეთის რ-ში, მდ. არაგვის ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის სათავეებში, რომელსაც ამჟამად აბანოსხევი ეწოდება, თუმცა მისი ისტორიული სახელწოდებაა ნოკორნისხევი. 1980 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის ექსპედიციის (ხელმძ. რ. რამიშვილი) მზვერავმა რაზმმა (ივ. წიკლაური, კ. წერეთელი) სოფლის მახლობლად მდებარე ეკლესიაში მიაკვლიეს კედელში ჩაშენებულ უფრო ადრეული სტელების წარწერიან ფრაგმენტებს, რომლებიც ქართული ეპიგრაფიკისა და საერთოდ, ქართული ადრექრისტიანული ხანის კულტურის ძალზე საინტერესო ძეგლები გამოდგა.

დავათში 1984-88 წლებში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც გაირკვა ეკლესიასთან და სტელებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. დავათის

ხუროთმოძღვრულ კომპლექსში ყველაზე ძველი შენობაა ღვთისმშობლის ორნავიანი ბაზილიკა ( $8,4 \times 6,6$  მ, სამხრეთი მინაშენის გარეშე), რომლისთვისაც მოგვიანებით სამხრეთიდან კიდევ ერთი ნავი მიუშენებიათ და ნაგებობისათვის სამეკლესიანი ბაზილიკის იერსახე მიუციათ (ტაბ. V<sub>1</sub>). სამხრეთი მინაშენი XII ს-ზე ადრე გერ აშენდებოდა. დაახ. XIV ს-თვის ბაზილიკის დასავლეთ კედელზე მიუშენებიათ დარბაზული ეკლესია (ტაბ. V<sub>1</sub>). რაც შეეხება კოშკს, ის უფრო მოგვიანოა და ასახავს ძნელბედობის ჟამს – XV ს-ს. ასევე მოგვიანოა შედარებით ადრეულ კრიპტაზე აგებული კედლებიც (ტაბ. V<sub>1</sub>).

ღვთისმშობლის ეკლესიის ნავი გადახურული ყოფილა წყვილი პილასტრით დანაწევრებული მაღალი თაღით. თითქმის ნალისებური მოხაზულობის აბსიდას აქვს სარკმელი. აბსიდა იატაკიდან შემაღლებულია სამი საფეხურით. საკურთხეველი ნავისაგან გამოყოფილია შირიმის კანკელით. კანკელზე მიღებული ყოფილა შირიმის ოთხკუთხა ბაზა, სათანადო ღრმულით, რომელშიც მაგრდებოდა საკურთხევლის წინ აღსამართი ჯვარი. მთავარი და ჩრდილოეთი ნავის კედლებს გაუყვება საფეხურები (ჩამოსაჯდომი ტახტები). ეკლესიის იატაკი და კიბეები მოლესილი ყოფილა კირხსნარით. იატაკი ბევრგან ჩაჭრილია გვიანდელი სამარხებით.

ძირითადი ნავი ჩრდილოეთ ნავს უკავშირდება ორი თაღით, რომლებიც შუაში საყრდენ ბოძება დაფუძნებული. ჩრდილოეთი ნავი ორადაა გაყოფილი. აქ სამკვეთლოში შევყავართ თაღიან კარს. სამხრეთი მინაშენსა და მთავარ ნავს შორის მთლიანი კედელია, რომელშიც დასავლეთ მხარეს მოწყობილია მთავარ ნავში გასასვლელი. სრულიად ყრუა ეკლესიის დასავლეთი კედელი (ტაბ. V<sub>1</sub>).

ალბათ მონღოლების შემდგომ, საყოველთაო შიშიანობის დროს, სამხრეთი მინაშენის კარი, საიდანაც ხდებოდა ეკლესიაში შესვლა, საფუძლიანად გადააკეთეს და მის წინ ააშენეს სწორკუთხა გეგმის კოშკი (ტაბ. V<sub>1</sub>). პირველ სართულზე ( $4,5 \times 4,25$  მ) აღმოსავლეთიდან დატანებული აქვს კარის ღიობი. ამიერიდან, ეკლესიის სამხრეთ ნავში შეღწევა მხოლოდ კოშკის გავლით შეიძლებოდა. შემორჩენილია კოშკის ორი სართული. სართულშუა გადახურვა თაღოვანი ყოფილა. ჩანს, მას მესამე სართულიც ჰქონდა. მეორე სართულზე ასვლა ხდებოდა კედელში დატანებული ხევული კიბით.

ეკლესიის კედლები სრულიად სადაა და ნაგებია ნოკორნის ხევიდან ამოზიდული რიყის ქვით, ღუღაბზე. ერთადერთი სამკაული – ესაა შირიმის ქვის სარკმელთა წარბები. ნაგებობა გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. გამორიცხული არაა, რომ დავათი დაანგრიეს XIV-XV სს-ის მიჯნაზე თემურ-ლენგის ურდოებმა.

მთავარი ეკლესიისათვის შემდგომში დასავლეთიდან მიუშენებიათ პატარა დარბაზული ტიპის ეკლესია ( $5,5 \times 5$  მ). მისი იატაკი თიხატკეპნილია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ჰქონია თაღური გადახურვა. დაფარული ყოფილა კრამიტით. ეკლესია გვიანდელი შუასაუკუნეების უნდა იყოს (ტაბ. V<sub>1</sub>).

კრიპტა და აკლდამა გამართულია მთავარი ეკლესიის დასავლეთ კედელსა და პატარა ეკლესიის სამხრეთ კედელს შორის (ტაბ. V<sub>1</sub>). შესაძლოა, აკლდამა უკვე არსებობდა, როცა

მთავარი ეკლესიის სამხრეთი მინაშენი ააგეს. მოგვიანებით, კოშკის მშენებლობის დროს აკლდამას შემოავლეს კედელი, რომელიც მას ხელყოფისგან იცავდა.

დავათის კომპლექსის შესწავლისას გაითხარა ეკლესიაში და მის გარშემო არსებული უინგენტარო ქვის სამარხები. გათხრებისას გამოვლინდა შუასაუკუნეების სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც დავათის კომპლექსმა მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, ესაა საყრდენ სვეტში ჩაშენებული სტელას ფრაგმენტები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა სტელა №1. მასზე წარმოდგენილია ამაღლების სცენა, მაგრამ ამაღლება არა ქრისტესი, არამედ ქართული ანბანის. სტელაზე გამოსახულია მთავარანგელოზები – მიქელი და გაბრიელი. ისინი დგანან ერთიმეორის პირისპირ, წინგადადგმული ნაბიჯით. თავები მიბრუნებული აქვთ მაყურებლისაკენ. თითო ხელი ზეაწეული აქვთ. ამ ორ გამოსახულებას შორის არსებულ სიბრტყეზე ამოკაწრულია ქართული ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანი (ტაბ. V<sub>2</sub>).

მკვლევრები არ კამათობენ დავათის სტელების, განსაკუთრებით კი ანბანის ამაღლების გამოსახულებიანი სტელის უდიდეს მნიშვნელობაზე, მაგრამ მათ შორის აზრთა რადიკალური განსხვავებაა ეკლესიისა თუ სტელების თარიღების შესახებ. მკვლევართა ნაწილი, მათ შორის ძეგლის გამთხრელი რ. რამიშვილი მიიჩნევდა, რომ ეკლესია აგებული უნდა იყოს VI ს-ის მეორე ნახევარში. მშენებელმა გამოიყენა სასანური ირანის ექსპანსიის დროს დამსხვრეული ქვაჯვარების ნატეხები და ისინი ბაზილიკის საყრდენ სვეტში ჩაშენა. მისი აზრით, სტელები IV ს-ის მეორე ნახევარში შექმნილი ძეგლებია. მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, დავათის ორნავიანი ბაზილიკა უნდა დათარიღდეს VIII-IX სს-ით (პ. წერეთელი, ი. ელიზბარაშვილი), ხოლო ქართულანბანიანი სტელა მიჩნეულია VI ს-ის ძეგლად (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე). სტელებისა და ეკლესიის თარიღების შესახებ განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სტელა ანბანის ამაღლების სცენით XX ს-ის ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა.

\* \* \*

**§10. ნატკორას ტაძარი მდებარეობს თელავის რ-ნის სოფ. ვარდისუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორიოდე ქმ-ის დამორებით, ალაზნის ველზე. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩრდილოეთი მხრიდან, შეინიშნება ნაგებობათა კვალი. სავარაუდოდ აქ თავის დროზე სამონასტრო კომპლექსი ფუნქციონირებდა. ლეონტი მროველის გადმოცემით, ტაძრის მაშენებელი ყოფილა ქართლის მეფე, არაბთაგან წამებული წმინდა არჩილი, რომელიც მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ იქვე დაუკრძალავთ – „დამარხეს ნოტკორას, მის მიერ აშენებულსა ეკლესიასა“ [ქც 1955:2487-8].<sup>57</sup>**

<sup>57</sup> 1950 წელს ტაძარი შეისწავლა აკად. გ. ჩუბინაშვილმა და ის VI ს-ით დაათარიღდა [ყუბინაშვილი 1959: 65-67]. მკვლევარი ტაძრის ისტორიაში აღდგნა-გადაკეთების ორ ეტაპს გამოყოფდა: X-XII და XIV სს. ძეგლის არქეოლოგიურმა შესწავლამ ეს მოსაზრებები ძირითადად დაადასტურა და თავის მხრივ დააზუსტა ძეგლის ისტორიის ცალკეული ეტაპების ქრონოლოგია.

ტაძართან სოფ. ვარდისუბნისა და გულგულის მოსახლეობა, აღდგომის მეორე დღეს დღესასწაულობს „ნატკორობას“, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის, რომელი წმინდანის სახელზეა აგებული ტაძარი. ზოგი მას წმ. გორგის, ზოგი კი ღვთისმშობლის სახელობისად მიჩნევს.

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობდა 2002, 2005 წლებში (გ. რჩეულიშვილი). ტაძარი გეგმაში სამი წყვილი ჯვრული კვეთის სვეტით სამ ნაგად დაყოფილი ნაგებობაა. ცენტრალური ნავი ორნახევარჯვერ უფრო განიერია გვერდითებზე. იგი აღმოსავლეთით სრულდება ნალისებრი აბსიდით. გვერდითი ვიწრო ნავები აღმოსავლეთით აბსიდური მომრგვალების გარეშეა დასრულებული. მთავარ ტაძარს სამი კარიბჭე ჰქონია – დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის. სამკვეთლო და სადიაკვნე გამოყოფილია ქვითკირის ტიხრებით. ტაძარს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიშენებული აქვს თითო დამატებითი ნავი აბსიდებით. ამათგან ჩრდილოეთი ნავის აბსიდი ნალისებურია და კედლის წყობაც (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში) წააგავს მირითადი ტაძრისას. იგივე არ ითქმის სამხრეთ მინაშენზე, რომლის აბსიდაც არასწორი ნახევარრკალია და კედლის წყობაც გაცილებით მდარე ხარისხისაა. ამ თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი რამდენადმე მოგვიანო ჩანს ჩრდილოეთ მინაშენთან შედარებით (ტაბ. IV<sub>12</sub>). ტაძრის კედლები ძირითადად რიყის ქვით, ე. წ. „უჯარმული“ წყობითაა ნაგები. კარიბჭეთა წირთხლები, სვეტები, კამარები, სატრიუმფო თაღი შირიმის ქვათლილებით ყოფილა ნაგები. სამხრეთი მინაშენის საკურთხეველში აბსიდის გასწვრივ, ტრაპეზის ორივე მხარეს, ჩაწყობილი და კირხსნარით გადალესილი იყო ქვისგან ნაკვეთი სტელების ფრაგმენტები ტოლმკლავა („ბოლნური“) ჯვრებითა და მცენარეული ორნამენტებით. სტელები ნატკორას მთავარი ტაძრის თანადროული (VI ს.) ჩანს.

მთავარი ტაძრის საკურთხევლის სულ ქვედა ფენებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ემსგავსება ადრეული შუასაუკუნეების ადრეული ეტაპის კერამიკას. იგივე ითქმის ტაძრის სხვადასხვა ნაწილის ქვედა ფენებში დადასტურებულ წითლად შეღებილ კრამიტებზე, რომლითაც უნდა ყოფილიყო დაბურული თავდაპირველი ტაძარი. აღნიშნული არტეფაქტები უკავშირდება ტაძრის მშენებლობის პერიოდს. შესაძლებელია ეს პერიოდი განისაზღვროს VI ს-ით (გ. ჩუბინაშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღი). თუმცა, არქეოლოგიური მასალის არქაული ხასიათი თითქოს იძლევა საფუძველს ამ თარიღის რამდენადმე დავკელებისა (V ს?). ნაგებობა შემდგომში რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. მნიშვნელოვნად სახეცვლილი ტაძარი მოქმედებდა XVII ს-ის მეორე ნახევრის ჩათვლით.

\* \* \*

**§11. ფონორაულების ნასოფლარი მდებარეობს თელავის მახლობლად, სოფ. კურდღლაურთან. ნასოფლარი დასახლებული ყოფილა ადრეულ და განვითარებულ შუასაუკუნეებში, რაზედაც მიგვანიშნებს ოთხი ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევი, რომლებიც მოსახლეობაში ცნობილია: „დიდი ეკლესიის“, „პატარა ეკლესიის“, „ყვავიჭამიასა“ და „ლვთის ეკლესიის“ სახელით. კახეთის არქეოლგიურმა ექსპედიციამ (ც. ჩიკოიძე) გათხარა „პატარა ეკლესია“, რომელიც აშენებულია თითქმის თანაბარი ზომის რიყის ქვისაგან. ეკლესიას აქვს სხვადასხვა ზომის რამდენადმე დაგრძელებული სამი დარბაზი. თითოეულ დარბაზს აქვს ნალისებური აბსიდა და გადახურულია სფერული თაღით. ამგვარად, ეკლესია შედგება**

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამი ნავისაგან – ეკლესიისაგან, რომლებიც ერთმანეთთან თითო კარითაა დაკავშირებული (ტაბ. V<sub>3</sub>). შუა ნავი უფრო ფართო და მაღალია. აქვს მკვეთრად გამოყოფილი ნალისებური აბსიდა, შუაში დატანებული გრძელი სარკმლით. საკურთხეველი იატაკიდან ამაღლებულია 20 სმ-ით. იატაკი მოგებულია კირხსნარით. გვერდითი ნავები უფრო დაბალია. აქვთ ნალისებური აბსიდები, რომლებშიც ასევე თითო მოგრძო სარკმლია დატანებული. დასავლეთ კედელში ჰქონია ორი კარი, რომელიც მაღვე ამოუქოლავთ. ეკლესიაში შესასვლელი ჩრდილოეთის და სამხრეთის კარი, აგრეთვე გვერდითი და ცენტრალური ნავების დამაკავშირებელი კარი ერთმანეთისადმი სიმეტრიულადაა განლაგებული. ეკლესიის დასავლეთ კედელს მთელ სიგრძეზე გარედან შემორჩენილი აქვს კონსოლები (შვერილები). ჩანს, აპირებდნენ ეკლესიისათვის ამ მხრიდან მინაშენის გაკეთებას და კარიც იმიტომ დაუტანებიათ, მაგრამ შემდგომ გადაუფიქრებიათ მინაშენის გაკეთება და კარიც ამოუქოლავთ. ეკლესია დახურულია კრამიტით, რომელიც გვიანდელი შუასაუკუნეების ნიმუშებითაა შემორჩენილი. როგორც ვნახეთ, ეკლესია წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას, რომელსაც აკად. გ. ჩუბინაშვილი ბაზილიკური ტიპის ეკლესიების ქართულ ვარიაციად მიიჩნევდა. ღვთაების ეკლესია V-VI სს-ის მიჯნით თარიღდება.

კახეთში სამშენებლო მასალად ძირითადად გამოყენებულია რიყისა და შირიმის ქვა. მათგან არც ერთი არ გამოდგება მაღალმხატვრული ორნამენტისთვის. ამიტომ, შენობათა შესამკობად კახელი ოსტატები შემკულობის ორიგინალურ ხერხებს იყენებდნენ. ფოხორაულების ეკლესიაში არქიტექტურულ-დეკორატიულ დეტალებად გამოყენებულია ყალიბში მოჭრილი თიხის ორნამენტული კარნიზები. მათზე გამოყვანილია ჯვრები და მცენარეული ორნამენტი. მეორე ჯვრების კარნიზებზე დაქარაგმებული ასომთავრული წარწერაა – „ქრისტე შეიწყალე ეკოლ“. მესამე სიტყვის ქარაგმის გახსნა ვერ ხერხდება, მაგრამ ეს პიროვნება ეკლესიის მშენებლობასთან თუ რესტავრაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეკლესია დიდხანს მოქმედებდა. მისი კირდეულაბიანი იატაკი გვიანდელი შუასაუკუნეებისაა.

\* \* \*

**§12. არტოზანის ნასოფლარი მდებარეობს მდ. თურდოს მარცხნა ნაპირზე. ის თავისი სახელის (არტოზანი-არტაშანი) მიხედვითაც უკვე დიდ ინტერესს იწვევს. ცნობილია, რომ ერთ-ერთი სირიელი მამა შიო, მღვიმეში დასახლებამდე არტოზანში მოღვაწეობდა. იქვე მოღვაწეობდა მარტყოფში დამკვიდრებამდე ანტონ მარტყოფელიც. საინტერესოა თვით ტოპონიმი არტოზანი – არტაშანი, რაც ცეცხლთაყვანისმცემლობას, მაზდეანობას ნიშნავს. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ სპარსელებმა ქართლის სამეფოს დაპყრობისა და აქ მეფობის გაუქმების შემდეგ, იწყეს ჩვენში მაზდეანობის დამკვიდრება. მაზდეიზმის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო ნეკრესში, რაც დასტურდება წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (ცეცხლის ტაძარი). ამიტომ გასაკვირი არაა აღნიშნულ რეგიონში სირიელ მამათა აქტოური მოღვაწეობა და ამ პატარა აღგილზე ეკლესიების განსაკუთრებული სიმრავლე.**

არტოზანში შესწავლილია (ც. ჩიკოიძე) „ყველაწმინდის ეკლესია“. ის სამეკლესიანი ბაზილიკაა სამი აბსიდით. ეკლესიას დასავლეთიდან აქვს დახურული, უკარო გარსშემოსავლელი. ჩრდილოეთ ნავში გამოყოფილია მართკუთხა ფორმის პასტოფორიუმი. ეკლესია აშენებულია რიყის ქვით კირდუღაბზე. კუთხებში და პილასტრებად გამოყენებულია გათლილი შირიმის ქვა. მთავარი ეკლესია მაღალია და ფართო. აბსიდა გეგმაში ნალისებურია. შუაში დატანებული აქვს ფართო სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეზე ორი ნიშაა. საკურთხეველი გამოყოფილია გვიან აშენებული კანკელით. ცენტრალური ნავიდან გაჭრილია ოთხი გასასვლელი, რომლითაც ის უკავშირდება სამხრეთ და ჩრდილოეთ ნავებს, აგრეთვე გარსშემოსავლელს (ტაბ. V4).

სამხრეთის ეკლესიას (ნავს) აქვს ნალისებური აბსიდა, რომელშიც სარკმელია დატანებული. ეკლესიას (ნავს) სამხრეთიდან აქვს სამი კარი. ჩრდილოეთი ეკლესიას (ნავის) აღმოსავლეთ ნაწილში გამოყოფილია მართკუთხა ფორმის სენაკი-სამსხვერპლო, სარკმლითა და ნიშით. ის კარით უკავშირდება საკურთხეველს. სამსხვერპლოში დგას შირიმის ქვებით ნაგები ოთხკუთხა კვარცხლბეკი. დასავლეთის გარსშემოსავლელი წარმოადგენს ერთ მოგრძო დერეფანს, რომელიც სამივე ნავს აკავშირებდა ერთმანეთთან. საკურთხეველში შეიმჩნეოდა უძველესი მოხატულობის ქვალი. უფრო მოგვიანო მოხატულობა შემორჩენილია დერეფანში. ეკლესია თარიღდება VII-VIII სს-ით.

\* \* \*

**§13. „ამიდასტურის“** სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფ. ვაჩნაძიანში (გურჯაანის რ-ნი). 2007-09 წლებში შესწავლილ იქნა (გ. რჩეულიშვილი, გ. ლალიაშვილი) წმ. გორგის სამეკლესიანი ბაზილიკის (VI-VII სს-ის მიჯნა) სამხრეთი ეკლესია და სვეტიცხოვლის რვაწახნაგა სივრცეში ჩაწერილ გუმბათიანი ეკლესიის (ოქტოგონის) (VII ს-ის პირველი ნახ.) ნანგრევები (ტაბ. V6-7). მონასტრის ტერიტორიაზე გამოვლინდა განვითარებული შუასაუკუნეების 71 სამარხი, რომელთაგან გაითხარა 66 (მათ შორის 3 კამაროვანი აკლდამა და კრიპტა).

სამეკლესიანი ბაზილიკა დაფუძნებულია ორსაფეხურიან ცოკოლზე. გვერდითი ეკლესიების ფასადები გახსნილია მრგვალ სვეტებზე გადაყვანილი თაღნარით. აღმოსავლეთ ბოლოებში ნალისებური ფორმის აბსიდებია განთავსებული. გვერდითი ეკლესიები ცენტრალურს ნალისებური თაღით დაბოლოებული, არქიტრავიანი გასასვლელებით უკავშირდებან.

ცენტრალურ ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს. აბსიდა ნალისებურია. გადახურვის კამარა ეყრდნობა კონსოლებზე დამყარებულ სამ თაღს. გვერდითი ეკლესიების აღმოსავლეთით განლაგებულია პასტოფორიუმები. გვერდით და ცენტრალურ ეკლესიებს დასავლეთიდან ერტყმის ეზოს მხრიდან დახურული გალერეა, რომელიც ცენტრალურ ეკლესიას დასავლეთის კარით უკავშირდება, ხოლო გვერდითი ეკლესიების მხარეს მთლიანად გახსნილია. ტაძარი ნაგებია საგულდაგულოდ შერჩეული, პორიზონტულ რიგებად დალაგებული რიყის ქვით დუღაბზე. შირიმი მცირე რაოდენობითაა გამოყენებული (ტაბ. V6).

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ბაზილიკა დაზიანებულა XIII ს-ში, მონღოლთა შემოსევების დროს. განადგურებულა მისი დასავლეთი გარსშემოსავლელი და სამხრეთი ეკლესია. თუმცა, ტაძარმა ფუნქციონირება განაგრძო XVII ს-ის დამდეგამდე. ნგრევის მიზეზი, საგარაუდოდ, შაპ-აბას I-ის გამანადგურებელი ლაშქრობები უნდა გამხდარიყო. სამხრეთი ეკლესის გაწმენდისას არსებული ერთი სვეტის გარდა, რომელიც თავის დროზე დაფიქსირებული ჰქონდა გ. ჩუბინაშვილს, აღმოჩნდა მეორე სვეტიც (ტაბ. V<sub>6</sub>).

სამეცნიერო ბაზილიკის სამხრეთით, 12,5 მ-ის დაშორებით გაითხარა ჯვრული გეგმარების რვაწახნაგა აბრისში ჩაწერილი სვეტიცხოვლის მინიატურული (6x6 მ) გუმბათიანი ეკლესია და მის ქვეშ არსებული კრიპტა. აბსიდა ნახევარწრიულია. დანარჩენი სამი მკლავი სწორი კედლით ბოლოვდება. ნაგებია ჰორიზონტულ რიგებად დაწყობილი, საგულდაგულოდ შერჩეული რიყის ქვით დუღაბზე. წიბოები გამოყვანილია შირიმის თლილი ბლოკებით. ფასადებს გარს შემოუყვება ერთსაფეხურიანი ცოკოლი. ჩრდილოეთიდან კარის ღიობია. კედლები შემორჩენილია იატაკიდან 1,5-1,7 მ. სიმაღლეზე. იატაკი რიყის ქვითაა მოგებული კირხსნარზე. საკურთხევლის არდაბაგი შემაღლებულია 0,25-0,30 მ-ით. საკურთხეველში გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები, კედელზე მიღებული ტრაპეზი (ტაბ. V<sub>7</sub>). წმ. გიორგის ბაზილიკის მსგავსად სვეტიცხოველსაც ნგრევა განუცდია XIII ს-ში, თუმცა მოგვიანებით აღუდგენიათ და მას XIX ს-მდე უარსებია.

სვეტიცხოვლის ქვეშ გამოვლენილი კრიპტა (ტაბ. V<sub>8-9</sub>), საშუალებას იძლევა დადგეს საკითხი ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ზოგიერთ სამონასტრო კომპლექსში ბაზილიკებისა და მცირე ტაძრების ფუნქციური სხვაობის შესახებ. ბაზილიკის გვერდით მდებარე სვეტიცხოვლის მინიატურული ეკლესია, რომელიც კრიპტაზეა აღმართული, არ წარმოადგენდა ყოველდღიური წირვა-ლოცვისათვის განკუთვნილ სამრევლო ტაძარს. მას მემორიალური დანიშნულება უნდა ჰქონოდა, სადაც იკრძალებოდნენ ღვთისმსახურები და საგარაუდოდ მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდები იმართებოდა (გ. ლალიაშვილი).

\* \* \*

**§14. ნოვიზევის ტეტრაკონქი მდებარეობს ნოქალაქევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კმ-ის დაშორებით. სოფელი განლაგებულია მდ. აბაშის მარცხნა მხარეს, ვაკეზე. ამიტომ მის მიდამოებში ადვილი შესამჩნევა არქეოლოგიური ძეგლებით წარმოქმნილი მცირე შემაღლებები. ნოვიზევმა ფურადღება მიიპყრო 1977 წელს მაშინ, როცა ტრაქტორმა ერთ-ერთი პატარა ბორცვის გადახვნისას ამოყარა თიხის მილები და კედლის ფრაგმენტები. ბორცვის გათხრებისას (პ. ზაქარაია) გაირკვა, რომ იქ მდგარა პატარა აბანო, რომელიც შედგებოდა საქვაბის, თბილი და შესაძლოა, ცივი განყოფილებებისგან. აბანო პატარაა და ის აშკარად ერთი შეძლებული და დაწინაურებული ოჯახის კუთვნილი უნდა ყოფილიყო.**

აბანოდან 20-ოდე მ-ის დაშორებით, მეორე ბორცვმაც მიიპყრო არქეოლოგების ფურადღება. მისი გაწმენდის შედეგ იქ აღმოჩნდა ეკლესიის ნაშთი. ცხადი გახდა, რომ ამ მიდამოებში ცხოვრობდა ვიღაც აზნაური, რომელსაც ჰქონია თავისი ეკლესია, აბანო და ბუნებრივია, უნდა ჰქონოდა სასახლეც. თუმცა, ნამოსახლარის ნაშთი ამ მიდამოებში აღარ

შემორჩენილა. ეს ადგილი დიდ ხნის განმავლობაში სახნავ-სათესად გამოიყენებოდა და შესაძლოა საცხოვრებელი კომპლექსი ამის გამო განადგურდა.

გამოვლენილი ეკლესია ოთხაბსიდიანია – ტეტრაკონქია (ტაბ. V<sub>5</sub>). აღმოსავლეთ საქართველოში ამ ტიპის ეკლესიები VI ს-ის შუა ხანებიდანაა ცნობილი (გავაზი – კახეთში, სუხბერი – ტაოში). ნოვიხევის ეკლესია ამ ძეგლებიდან ყველაზე პატარა და მარტივი ფორმისაა. ერთმანეთზე პირით მიღებული თანატოლი ოთხი ასიდა შუაში კვადრატს ქმნის. ამ კვადრატზე გუმბათი იყო აღმართული (ტაბ. V<sub>5</sub>). კედლები ნაგებია თლილი ქვითა და შირიმით. ის იმდენად დანგრეული იყო, რომ არა თუ გუმბათის, სარკმლების მოყვანილობაც ვერ დგინდება. საფიქრებელია, რომ ეკლესია აიგო V ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისში. C<sup>14</sup> მეთოდის მოშველიებით დადგინდა ამ ეკლესიის გადაწყისა და დანგრევის თარიღი – VIII საუკუნე. ნოვიხევის ტეტრაკონქი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ თუ ადრე ტეტრაკონქები მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან იყო ცნობილი, ამიერიდან მათი გავრცელების არეალი გაფართოვდა და გაირკვა, რომ ტეტრაკონქები დასავლეთ საქართველოსთვისაც ყოფილა დამახასიათებელი.

\* \* \*

**§15. კაცხის სვეტი,** რომელზეც პატარა სამონასტრო კომპლექსია აგებული, გამორჩეულია თავისი უნიკალურობით. ის მდებარეობს ჭიათურა-ზესტაფონის ავტომაგისტრალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით (ტაბ. VI<sub>1</sub>). ვახუშტი ბაგრატიონი კაცხის შესახებ გადმოგვცემს: კაცხის ციხის „აღმოსავლით არს კლდე, ჭრამსა შინა აყვანილი, ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვეღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსლვისა“ [ქც 1973:759 5-13]. მოსახლეობა კაცხის სვეტს – „ძელი ცხოველს“, „სვეტი ცხოველს“, ხოლო სვეტის თავზე მდებარე კომპლექსს, წმ. სვიმეონ მესვეტის სახელს უკავშირებს. თუმცა, კაცხის სვეტის სვიმეონ მესვეტესთან დაკავშირება ზედაპირული ჩანს. სვეტის კომპლექსი უნდა იყოს დიდი მონასტრიდან გამოყოფილი მარტოდსამყოფელი, სადაც ორი-სამი ბერი ცხოვრობდა და მათი მოღვაწეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სირიელი მესვეტეების უაღრესად ასკეტური ცხოვრებისგან.

კაცხის სვეტზე, რომელიც 40-45 მ-ზეა აღმართული, პირველი ასვლა განხორციელდა 1944 წელს მთამსვლელ ალ. ჯაფარიძის, ხელოვნებათმცოდნე ვ. ცინცაძის, მწერლების – ლ. გოთუასა და აკ. ბელიაშვილის მიერ. ამ ასვლას უფრო ძეგლის აღწერა-ფიქსაციის მიზანი ჰქონდა. ანგარიში ამ ასვლის შესახებ 1946 წელს ვ. ცინცაძემ გამოაქვეყნა. სვეტზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2006 წელს (გ. მახარაძე, დ. ბერიკაშვილი). პარალელურად, მიმდინარეობდა სვეტზე შემორჩენილი ეკლესიის რესტავრაცია (თ. გაბუნია) და კომპლექსის ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლა (გ. გაგოშიძე). 1946 წლის ანგარიშის მიხედვით, სვეტზე სავარაუდოდ ორი ეკლესია იდგა. ამასთან, ერთ-ერთს, შირიმის ქვით ნაგებ ეკლესიას, ვ. ცინცაძე თრსართულიანს უწოდებდა, ხოლო მისი იატაკის ქვეშ გამართულ კრიპტას საცხოვრებლად მიიჩნევდა.

2006 წლის გათხრებმა გაარკვია, რომ სვეტის თხემზე, რომლის ფართობი 80 მ<sup>2</sup> აღწევს, არსებობდა არა ორი, არამედ ერთი ეკლესია, ხოლო მეორე ეკლესიად წოდებული ნაგებობა სენაკი იყო. შირიმის ქვით ნაგებ ეკლესიას (2,5x3,5 მ) შესასვლელი ჰქონია ჩრდილოეთიდან. საკურთხევლის დიდი ნაწილი ჩაშლილი იყო (ტაბ. VI<sub>2</sub>). ეკლესის კედლის მაქსიმალური სიმაღლე 2,7 მ-მდე იყო შემორჩენილი. სავარაუდოდ, ეკლესია გადახურული უნდა ყოფილიყო ბრტყელი და ლარიანი კრამიტით. ეკლესის იატაკის ქვეშ აკლდამაა შემორჩენილი. 1944 წელს აკლდამაში უპოვაათ თავის ქალა და ჩონჩხის ნაშთები. აკლდამას დასავლეთიდან აქვს თაღოვანი შესასვლელი (ტაბ. VI<sub>3</sub>). თავის დროზე სვეტი მთლიანად გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომელიც აღარ შემორჩენილა (ტაბ. VI<sub>2</sub>). გალავანს აღმოსავლეთ მხარეს 20-25 სმ დმ-ის ღრმულები აქვს დატანებული. სავარაუდოდ ამ მხარეს ყოფილა მოწყობილი ჯალამბარი. სვეტის დასავლეთ ნაწილში 1946 წლის ანგარიშის მიხედვით მარანია. 2006 წელს ამ ადგილას გაიწმინდა 4 ქვევრი. თავიდან იქ კიდევ 2 ქვევრი ყოფილა, რომლებიც აღარ შემორჩენილა (ტაბ. VI<sub>2-4</sub>). ქვევრების დანიშნულება არ იყო ღვინის შენახვა. ამ სიმაღლეზე განდევილი ორიოდე ბერისთვის რა თქმა უნდა, სრულიად ზედმეტი იყო ამდენი ღვინო. უეჭველია, ქვევრები, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი წყლისათვის იყო განკუთვნილი.

2006 წელს გაიწმინდა ნაგებობა, რომელიც ადრე ეკლესიად იყო მიჩნეული. ცხადი გახდა, რომ ეს იყო ბერის საცხოვრებელი სენაკი (დაახ. 5x3 მ), რომელიც აეგოთ სვეტის თხემზევე მოტეხილი ქვებით, კირხსნარზე (ტაბ. VI<sub>2</sub>). აქა-იქ წყობაში ჩართული იყო აგური. სენაკის აღმოსავლეთ კედელი კლდეში იყო გამოკვეთილი ნახევარწრიულად, ამიტომაც ის ვ. ცინცაძემ ეკლესიად აღიქვა. ამ ნაგებობის გაგრძელებაზე ვ. ცინცაძემ ნახა „ღრმული“, რომელსაც მოსახლეობა „გვირაბს“ ეძახის. თუმცა ეს იყო სენაკის მეორე ოთახი (ტაბ. VI<sub>2</sub>). სენაკს შესასვლელის გარდა ჰქონდა სარკმელი და თახჩა. სენაკს ჰქონია ცეცხლის დასანთები ადგილიც, რომელიც კლდეში გამოეკვეთათ.

სვეტის გათხრებისას მოპოვებული კერამიკიდან გვხვდება ქვევრების, დერგების, ქოთხების, ჯამებისა და თეფშების ნატეხები. ქვის ნივთებიდან აღმოჩენილია საცემელი და როდინი, აგრეთვე ხელწისქვილის ქვა. სვეტის თავზე გამოვლინდა მოოქრული ვერცხლის მცირე ფირფიტა წნული ორნამენტით, რომელიც ხატის ან ჯვრის შესამკბი უნდა იყოს (ტაბ. VI<sub>8</sub>). ქვევრები და სხვა კერამიკული ნაწარმი ძირითადად გვიანდელი შუასაუკუნეებისაა (XV-XVI სს). ჩანს, კომპლექსი იმ პერიოდშიც ფუნქციონირებდა.

მნიშვნელოვანია ნაგებობათა ნანგრევებში 2007 წელს აღმოჩენილი ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ქ(რისტ)ე ღ(მერთ)ო, მ(ეო)ხ(ე)ბითა მშ(ო)ბლისა შ(ე)ნ(ი)ს(ა)ითა, ძ(ა)ლითა ჯ(უ)არის(ა)ვთა, წ(მიდა)თა ზ(ე)ცისა ძ(ა)ლთავთა და ყ(ოვე)ლთა წ(მიდა)თა შ(ე)-ნთავთა, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ფ(რია)დ ც(ო)დვილისა გ(იორგ)ისი, რ(ომელმა)ნ აღაშენა სამნი ესე სახლნი საძილებ(ე)ლად, შ(ე)წ(ევნა)დ დაყ(უ)დ(ებუ)ლთა შ(ე)ნთა წ(მიდ)ისა ძ(ე)ლი-სა ცხ(ო)რ(ე)ბისადა გ(ა)ნსას(უ)ნ(ე)ბ(ე)ლად მს(ა)ხ(უ)რთა მისთა“ (ტაბ. VI<sub>7</sub>). წარწერის თარიღი პალეოგრაფიული ნიშნებით XIII ს-ის მეორე ნახევრით განისაზღვრა (გ. გაგოშიძე). წარწერა საყურადღებო ცნობებს შეიცავს მონასტრის ისტორიის სხვადასხვა საკითხების გა-

სარკვევად. ცხადი გახდა, რომ კომპლექსს შუასაუკუნეებშიც „ძელი ცხოველი“ ეწოდებოდა, რაც ხალხურმა მეხსიერებამაც შემოგვინახა. წარწერაში არაა მოხსენიებული წმ. სვიმეონ მესვეტე. ამდენად, კაცხის სვეტის სვიმეონ მესვეტესთან დაკავშირება გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. წარწერის მიხედვით, ვინმე გიორგის „ძელი ცხორებაზე“ დაყუდებული ბერებისთვის აუგია სამი სახლი.<sup>58</sup> ჩანს, XIII ს-ის მეორე ნახევარში სვეტზე მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩატარებულა.

კაცხის სვეტის გათხრებმა საყურადღებო მასალები გამოავლინა კომპლექსის შემდგომი შესწავლისთვის. ახალი აღმოჩენების მიხედვით მონასტრის დაარსების თარიღად მიჩნეულია IX-X, უფრო კი X ს (გ. გაგოშიძე). მონასტერი გვიანდელ შუასაუკუნეებშიც ფუნქციონირებდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIII ს-ის პირველ ნახევარში სვეტზე უკვე არავინ ცხოვრობდა.

\* \* \*

**§16.** უცხოეთში არსებული ქართული მონასტრები წარმოადგენდნენ სასულიერო-სამწიგნობრო და ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანეს კერებს. ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლიში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად, იერუსალიმში, სინას მთაზე და არაერთ სხვა ადგილას, დიდი წნის განმავლობაში არსებობდა ქართული სავანეები, რომელთა მეშვეობით საქართველო ეცნობოდა იმ დროის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზებული ქვეყნების სასულიერო მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების სხვადასხვა მიმართულებას. მონასტრებში მიმდინარე სამწიგნობრო საქმიანობის შედეგად, ქართველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა სხვა ქვეყნებში შექმნილი მაღალი სულიერი და ზნეობრივი ღირებულების მქონე ლიტერატურა. ამასთან, უცხო ენაზე ითარგმნებოდა ორიგინალური ქართული თხზულებები, რითაც შუასაუკუნეების საქართველოს თავისი წვლილი შეჰქონდა იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

უცხოეთში არსებული აღრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიურად შესწავლილი ქართული მონასტრებიდან აღსანიშნავია ბეთლემის ჩრდილოეთით, ხირბეთ სიიარ ელ-ღანამის ჩრდილო-დასავლეთით, ბირ-ელ-კატში, ფართო ტაფობის ფერდობზე მდებარე წმ. თევდორეს მონასტერი, დაარსებული ცნობილი სასულიერო მოღვაწის პეტრე იბერიელის მიერ V ს-ის შუა ხანებში.

პეტრე იბერიელი, ანუ პეტრე ქართველი, რომლის სახელი ერისკაცობაში მურვანია (სირიული წყაროებით ნაბარნუგი), იყო ქართლის მეფის ბუზმირის შვილი. დაიბადა 411 წელს. მის მასწავლებლად მოიწვიეს დიდად განსწავლული მითრიდატე ლაზეთიდან, სადაც იმ დროს კოლხეთის ცნობილი აკადემია არსებობდა. V ს-ის ქართლში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ურთიერთობა გამწვავდა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. ბუზმირი იძულებული იყო ერთგულება დაქმტკიცებინა ერთ-ერთი მათვანისათვის. მეფემ ბიზანტიი

<sup>58</sup> წარწერაში მოხსენიებული „სამი სახლიდან“ სვეტზე მხოლოდ ორი „სახლია“ – სენაკი და ეკლესია თავისი კრიპტით.

საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ამჯობინა და 423 წელს მურვანი თავისი ამაღით კონსტანტინეპოლში გაისტუმრა, როგორც გარანტი ბიზანტიის საიმპერატორო კარის ერთგულებისა. კეისარმა თეოდოს II-მ და მისმა მეუღლემ ევდოკიამ მურვანი თავის კარზე მიიღეს და მის აღზრდა-განათლებაზეც სათანადო იზრუნეს. მას ყურადღებას არ აკლებდა იმპერატორის და პულქერია (შემდგომში იმპერატორ მარკიანეს მეუღლე). ნიჭირმა მურვანმა მაღა შეითვისა „ყოველივე სწავლულება საეკლესიო და საფილოსოფოსო“ და იმპერატორის კავალერიის უფროსად დაინიშნა. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, მურვანს ნაკლებად იზიდავდა საერო ცხოვრება. ის მითრიდატე ლაზთან და ზაქარია ქართველთან ერთად პალესტინაში გაიპარა. თეოდოსი დიდხანს ეცადა, მაგრამ მათი სასახლეში დაბრუნება ვერ მოახერხა. იერუსალიმში მურვანი და მითრიდატე ბერებად აღიკვეცნენ და სახელები გამოიცვალეს. პირველმა დაირქეა პეტრე, მეორემ – იოანე. 445 წელს ორივე მღვდლებად აკურთხეს. მათ თავის თანამოაზრებითან ერთად შემოიარეს ახლო აღმოსავლეთი და ბოლოს მაუშმი (ისრაელში, ქ. ლაზის მახლობლად) დამკვიდრდნენ. შემდგომში პეტრე იძერი ქ. ლაზის ეპისკოპოსი გახდა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სამონასტრო მშენებლობის საქმეშიც. პეტრე იძერიელი გარდაიცვალა 491 წლის 1 დეკემბერს.<sup>59</sup>

1952 წელს იტალიელი მეცნიერის ვირჯილიო კორბოს მიერ შესწავლილ იქნა პეტრე იძერიელის მიერ დაარსებული მონასტრის ნანგრევები – წმ. თევდორეს მონასტრი. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ მონასტრერი წარმოადგენს კვადრატული გეგმის ნაგებობათა კომპლექსს, რომელიც მოიცავდა: ეკლესიას, სატრაპეზოს, შიდა ეზოს, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს, კრიპტას და სხვ. (ტაბ. VII). კომპლექსის ჩრდილოეთით ერთნავიანი ეკლესია, ნახევარწრიული კამარით. ნაშენია კლდის ქვებით. ქვების გარკვეული ნაწილი კი უფრო ძველი ნაგებობიდანაა მოტანილი და მეორადად გამოყენებული. თუმცა, ქვების მეორად გამოყენებას ძეგლის გამოხატვით არც თუ სავსებით დარწმუნებით ვარაუდობს. გეგმით ეკლესია სიგანესთან შედარებით საკმოდ მოგრძოა (ტაბ. VII<sub>1</sub>). საკურთხეველი და იატაკი ძალზე დაზიანებული იყო. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ეკლესის იატაკი

<sup>59</sup> შუასაუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ცნობილი იყო ე. წ. არეოპაგიტული თხზულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო შუასაუკუნეების ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების განვითარებას. არეოპაგიტული მოძღვრების ავტორად მიიჩნევდნენ დიონისე არეოპაგელს, ახ. წ. I ს-ის მოვაწეს, რომელიც ქრისტიანობაზე მოაქცია პავლე მოციქულმა. დიონისე გახლდათ ათენის არეოპაგის – უმაღლესი სასამართლოს წევრი (აქედან სახელწოდება „არეოპაგი“) და ამავე ქალაქის პირველი ეპისკოპოსი. არეოპაგიტულ თხზულებას ბევრი კომეტატორი ჰყავდა – რენესანსის ეპოქის იტალიელი მეცნიერი ლორენცო ვალა (1415-1465), გამოჩენილი ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი (1466-1536) და სხვ. მათ ეჭვი გამოოქვეს არეოპაგიტული მოძღვრების I ს-ში შექმნის შესახებ. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დადგა თხზულების დიონისე არეოპაგელისადმი მიგუთნების საკითხი. XIX ს-ში მკვლევარები ერთხმად აღიარებინენ, რომ თხზულება შექმნილი უნდა იყოს არა I ს-ში, არამედ V ს-ში, თუმცა საკითხი ავტორის შესახებ კვლავ ბურუსით იყო მოცული. 1942 წელს აკად. შ. ნუცუბიძემ (1888-1969) ნაშრომში „ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ გამოთქვა აზრი, რომ არეოპაგიტული ტრაქტატების ავტორი იყო V ს-ის ქართველი მოღვაწე პეტრე იძერიელი. ამ აღმოჩენიდან 10 წლის შემდეგ ბელგიელი მკვლევარი ერნესტ პონიგმანი (1892-1954) ქართველი მეცნიერისგან დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არეოპაგიტული თხზულების ავტორი პეტრე იძერიელია. დასკვნა არეოპაგიტული მოძღვრების პეტრე იძერიელისადმი კუთხით გადასაცავართა ნაწილმა გაიზიარა. ნაწილი კი უარყოფიდად ეკიდება ამ საკითხს.

მონაცემით უნდა ყოფილიყო დაფარული. ეკლესია მონასტერთან დაკავშირებული იყო ორი კრიზი.

სათავსი №2 მიცვალებულთა წესის ასაგები უნდა იყოს (ტაბ. VII<sub>2</sub>). №3 სათავსი უკავშირდება ეკლესიასა და შიდა ეზოს (ტაბ. VII<sub>3</sub>). №4 სათავსი სატრაპეზოა (ტაბ. VII<sub>4</sub>). ოთახის მთელი ფართობი ეკავა მოზაიკას. ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ჩარჩოში ჩასმულ გეომეტრიული მოტივების მშენებელს, შესრულებულს თეთრი, მოწითალო, შავი, ცისფერი, მწვანე კენჭებით. სატრაპეზოშია აღმოჩენილი ჩარჩოში ჩასმული დიდი მოზაიკური ქართული წარწერა. №5 სათავსი სამზარეულოა და ის უკავშირდება სატრაპეზოს, აგრეთვე საწნახლიან სათავსს. №6, 7 სათავსებში მოწყობილია საწნახელი და ზეთსახდელი (ტაბ. VII<sub>6-7</sub>). საწნახელი შედგებოდა ორი განყოფილებისგან (ტაბ. VIII<sub>1</sub>). მისი იატაკი თეთრი მოზაიკითაა მოგებული. ყურძნის დაწურვის შემდეგ წვენი გროვდებოდა საწნახლის დაბლა მოთავსებულ აუზში, რომელშიც ის მიედინებოდა პატარა დარის საშუალებით. №8 სათავსი ბოსელია (ტაბ. VII<sub>8</sub>). მასში შევდივართ ზეთსახდელიდან. სათავსის კედელზე მიშენებულია ბაგა. კედელზე შემორჩენილი იყო პირუტყვის დასაბმელი ხვრელები. ბოსელშივე დადასტურდა აუზი, რომელიც განკუთვნილი იყო ცხოველებისათვის წყლის დასალევად. სრულიად განადგურებულია №10-12 სათავსები.

მონასტრის ცენტრში ეზოა (ტაბ. VII<sub>13</sub>), რომელსაც შემოუყვება კოლონადა. ეზოს იატაკი მოზაიკითაა შემკული. ეზოში ნაპოვნია 3 მოზაიკური წარწერის ფრაგმენტები. ეზოს იატაკის ქვეშ კამაროვანი წყალსატევია (ტაბ. VIII<sub>4</sub>). კამარა ამოყვანილია ქვათლილებით. კედლები და ფსკერი მოლესილია დანაყილი კერამიკის მაგარი ბათქაშით. №14, 15 სათავსები მონასტრის მეკარის სადგომი შეიძლება ყოფილიყო.

მონასტერს ჰქონდა დიდი აკლდამა. მისი ნაწილი ეკლესიის ქვეშ იყო მოქცეული, უფრო დიდი ნაწილი კი მისგან სამხრეთით მდებარე №16, 17, 18 სადგომების ქვეშ. ეკლესიის ქვეშ მოთავსებული აკლდამის ნაწილი უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ სასულიერო პირთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. აკლდამა კლდის კედლით ორად იყო გაყოფილი. აკლდამის პირველ ნაწილში გაითხარა 3 სამარხი (ტაბ. VIII<sub>2</sub> №3-4-5). მათგან მხოლოდ ერთში იყო დაკრძალული მიცვალებული. 2 ცარიელი აღმოჩნდა. №3 საფლავში ძვლებს შორის გამოვლინდა ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი. აკლდამის მეორე განყოფილებაში ერთი ცარიელი სამარხი აღმოჩნდა (ტაბ. VIII<sub>2</sub> №7).

ნეკროპოლის დიდი ნაწილი მოქცეულია ეკლესიის სამხრეთით, №16-18 სათავსების ქვეშ. ის კლდეშია გამოკვეთილი. მათში მონასტრის ძმათა საფლავებია მიკვლეული (ტაბ. VIII<sub>3</sub>). №18 სათავსი მდგიმე-საცხედრეა (ტაბ. VIII<sub>5</sub>). სამსაფეხურიანი კიბით ჩავდივართ საცხედრეში, რომლის ერთი ნაწილი უჭირავს გრძელ სამარხს (ტაბ. VIII<sub>5</sub> №3). დანარჩენი სივრცე გაყოფილია სამად. მდგიმეში არაფერი აღმოჩენილა.

მონასტრის გარეთ ნაპოვნია ქვის ფილებით გადახურული პატარა ჭა. მასში აღმოჩნდა ბიზანტიური მონეტა, ლარნაკები, მინის ჭურჭლის ნატეხები, ბატქის უამრავი ძვლები, როგორც ჩანს, სამზარეულოდან გადანაყარი.

გათხრებისას ღვინისა და ზეთის პროდუქტების საწარმოებელი მოწყობილობების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ მონასტერს სრულყოფილი სამეურნეო ცხოვრება ჰქონია. მინდვრების დასამუშავებლად მონასტერს ჰყოლია პირუტყვი და ჰქონია კარგად გამართული ბოსელი. ვირჯილიო კორბოს აზრით, ამ მხრივ განსხვავებულად გამოიყურება იქ მოღვაწე ბერების საქმიანობა მთელი ამ რეგიონის სხვა მონასტრებთან შედარებით. მონასტრის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ერთი ცნობა ლეონტი მროველის თხზულებაში ჩართული პეტრე იბერის ცხოვრებიდან, სადაც მითითებულია, რომ პეტრემ „მოვლნა ყოველნი უდაბნონი ეგპტისა და სკიტისანი, და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა. კუალად მონასტერსა და ქსენონსა თვისა მოიქცა, და სიყმილსა შინა საფქვილე, საცერცე, საზეთე და საღვნე – ყოველნივე ჭურჭელნი ლოცვითა თვისითა აღავსნა“ [ქც 1955:134 31-33]. წერილობით წყაროში გადმოცემულ ამბებს უცილობლად ადასტურებს მონასტრის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამეურნეო ნაგებობები – საწნახელი, ზეთსახდელი, საქონლის ბაგა და სხვ.

მონასტრის ტერიტორიის გათხრებისას სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმის (ტაბ. VIII<sub>6</sub>) გარდა, აღმოჩნდა: ვალენტინიანოს II-ის (375-392), ანასტასიოს I-ის (491-518), კონსტანს II-ის (641-668) მონეტები. მონასტრის გათხრების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს მოზაიკური ქართული წარწერები, რომლებიც ქართული წარწერების უძველეს ნიმუშებს მიეკუთვნებან.

პირველი წარწერა აღმოჩნდა სატრაპეზოში (ტაბ. VII<sub>4</sub>). ის ჩასმულია ჩარჩოში და კარგადაა შემონახული. წარწერა ფერადია. შედეგა ხუთი პწყარისაგან. ქარაგმების გახსნის შედეგ წარწერა ასე იკითხება: „შეწევნითა ქრისტისითა და მეოხებითა წმიდისა თევდორედისითა შეიწყალენ ანტონი აბად და იოსია, მომსხმელი ამის სეფისად და მამა-დედად იოსიავსი. ამენ“ (ტაბ. IX<sub>1</sub>). წარწერა გვამცნობს: 1. მონასტერი წმ. თევდორეს სახელზე ყოფილა აგებული. წმ. თევდორე ტიროელი IV ს-ის წამებულია და ფრიად პატივცემული იერუსალიმის ეკლესიისათვის; 2. ეკლესიის იატაკი სეფით ანუ ფერადი კენჭებით (მოზაიკით) მოუპირკეთებია ვინმე იოსიას; 3. იმ დროს მონასტრის წინამდღვრად (ამბად) ყოფილა ანტონი.<sup>60</sup> ანტონი აბად ცნობილი პიროვნებაა სვიმეონ მესვეტის (გარდაიცვალა 592 წელს) დედის მართას ცხოვრებიდან. წარმოშობით ქართველი ანტონი შედგომში სვიმეონ მესვეტემ სელევკის ეპისკოპოსად აკურთხა. სწორედ ანტონის თაოსნობით მოუსხია სეფი იოსიას. წარწერა მასში მოხსენიებული პირის (ანტონის) მიხედვით თარიღდება VI ს-ით.<sup>61</sup>

მეორე წარწერა შედგება ოთხი პწყარისაგან, რომელთაგან მესამე და მეოთხე დაზიანებულია. წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „წმიდაო თევდორე მაროვან და ბო(კ)რზენ ... ენ ამი [ს?] ე ...“ (ტაბ. IX<sub>2</sub>). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აქ მოხსენიებულია

<sup>60</sup> მიქაელ თარხნიშვილის ვარაუდით, სახელი „აბად“ შესაძლოა მონასტრის წინამდგარს კი არა, საკუთარ სახელს აღნიშნავდეს.

<sup>61</sup> გამოთქმულია მოსახრება, რომ ქვედა სამი პწყარი VI ს-შია გადაკეთებული. ხოლო ზედა ორი, უფრო ადრეულია – IV ს-ის და ბაკურ მეფის დროინდელი.

სახელი, რომლებსაც ატარებდა პეტრე იბერიელი ერისკაცობაში – მაროვან (მურვან); მამამისის სახელი – ბო(ვ)რზენ (ბუზმირ). წარწერა V ს-ის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. ამრიგად, წარწერაში გვაქვს სახელები: 1. მარუან – პეტრე იბერიელის ერისკაცობის სახელი; 2. ბუზმირ – პეტრე იბერიელის (მარუანის) მამის სახელი.

განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მესამე წარწერა, რომელიც ყველაზე ძველი უნდა იყოს. წარწერა ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „და ძოკძოკლი მათნი ბაკოვრ და გრი-ორმიზდ და ნაშობნი მათნი ქრისტე ... შეიწყალენ ამენ“ (ტაბ. IX<sub>3</sub>). ამ წარწერაში მოხსენიებულია IV ს-ის მეფე ბაკური – პეტრე იბერიელის პაპა დედის მხრივ. წარწერა იწყება ასე – „და ძუძულნი“. ნაკლულ დასაწყისში მოხსენიებული უნდა ყოფილიყო ბაკურის დედა, რომლის „ძუძულად“ ე. ი. პირმშოდ ითვლებოდა ბაკური. რაც შეეხება სახელ „გრი-ორმიზდ“-ს, მ. თარხნიშვილის აზრით „გრი“ გრიგოლია, რომელსაც ქარაგმის ნიშანი აკლდა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ „გრი“-სა და „ორმიზდ“-ს შორის, როგორც წესი უნდა იყოს კავშირი – და. გ. წერეთლის მოსაზრებით, „გრი“ ნაწილაკის ხმარება იდენტურია ირანულ ძეგლებში დადასტურებული შემთხვევებისა. მაგ. გრი ფანაჟი (ავრომანის ეტრატი), გრი არდაშირი (ქალ-ი ჯანგალის წარწერა). ასე, რომ წარწერაში მოხსენიებული გრი-ორმიზდ უნდა წავიკითხოთ არა როგორც გრიგოლი-ორმიზდი, არამედ ჩვეულებრივად – გრი-ორმიზდი. ვინ უნდა იყოს გრი-ორმიზდი, წარწერიდან არ ჩანს. არც სხვა წყაროებში მოგვეპოვება ცნობები მის შესახებ. საფიქრებელია, რომ ის ნათესაურ კავშირში იყო ბაკურთან.

როგორც ჩანს, მეორე და მესამე წარწერა პირველ წარწერაზე სულ ცოტა ერთი საუკუნით ადრეულია. რაც შეეხება მეოთხე წარწერას, ის დაზიანებულია და არ იკითხება. პირველი სტრიქონი სრულიად განადგურებულია. მეორე სტრიქონში გადარჩენილია ქართული „ზ“, ხოლო მესამე სტრიქონში შემორჩენილი ასო თითქოს „ი“-ს ჰგავს. მეოთხე სტრიქონში იკითხება ლათინური CO(?), მეხუთეში – MCO(?) (ტაბ. IX<sub>4</sub>). ჩანს, აქ ქართულ წარწერას ქვემოთ ლათინური ტექსტი მისდევდა.

მონასტრის ქართულ წარწერებში მოხსენიებული პეტრე იბერიელის სახელი ერისკაცობაში (მარუან), მისი მამისა და პაპის სახელები (ბუზმირ და ბაკურ) ცხადყოფენ, რომ ეს მონასტერი სწორედ პეტრე იბერიელის მიერაა აშენებული, რაც სავსებით ეთანხმება მის ბიოგრაფიულ ცნობებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პეტრე იბერიელს მონასტერი უნდა აეშენებინა V ს-ის 30-ან წლებში. მიწისძვრის ან სხვა მიზეზისაგან ნაწილობრივ დანგრეული მონასტერი VI ს-ში (532-552 წლებს შორის) განუახლებია ანტონს (შემდგომში სელევკის ეპისკოპოსის). ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მონასტერის კედლებში გამოიყენეს სხვა, უფრო ძველი ეკლესიიდან მოტანილი ქვები (გ. წერეთელი).

აკად. შ. ნუცუბიძეს მიაჩნდა, რომ პეტრე იბერიელმა და იოანე ლაზმა V ს-ის შუა ხანებში განაახლეს უფრო ადრე, ბაკურ მეფის დროს, IV ს-ში აგებული მონასტერი. ხოლო ანტონს მონასტერი კიდევ ერთხელ განუახლებია VI ს-ში, რაზედაც მიუთითებს პირველი წარწერის შინაარსი. ქართველთა მონასტერი განადგურებული ჩანს VII ს-ის პირველი ნახევრის ბოლოს მუსულმანთა შემოსევების შედეგად.

\* \* \*

§17. იერუსალიმის მახლობლად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. უმლეიზუნში მდებარეობს ქართული მონასტერი, რომელიც 1996 წელს მიაკვლია და შეისწავლა კ. ზელიგმანმა. 2004 წელს მონასტრის გათხრებს აწარმოებდა ისრაელისა და საქართველოს ერთობლივი ექსპედიცია, რომელშიც საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ: თ. მგალობლიშვილი, ი. გაგოშიძე და გ. გაგოშიძე. მონასტერი ჰატარაა. გათხრების შედეგად იქ გამოვლინდა სამლოცველოს მოზაიკური იატაკი და რამდენიმე ოთახი. მონასტრის ზედა სართული კიბით უკავშირდება ქვედა სართულს, სადაც კიბის ორივე მხარეს კამაროვანი გადახურვის მქონე თითო აკლდამა (ტაბ. X<sub>2</sub>). საინტერესო გამოდგა ჩრდილოეთი აკლდამა (სიმაღლე 2,3 მ). 2002 წელს აკლდამის დასავლეთ ნაწილში გაითხარა ქვის ფილებით შედგენილ სამარხი (1,8x0,75x0,50 მ), რომელშიც დაკრძალული იყო 60 წელს გადაცილებული მამაკაცი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სამარხის სახურავის ქვაზე აღმოჩნდა ქართული ასომთავრულით შესრულებული ხუთსტრიქონიანი ჩაკვეთილი წარწერა, რომელიც შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე გ. გაგოშიძემ – „ესე სამარხოდ იოპანე ფურტაველ ეპისკოპოსისად ქართველისად“ (ტაბ. X<sub>1</sub>). წარწერის ამომკვეთ ოსტატს ეპიტაფიისათვის ქვის ფილის ვრცელი სიბრტყის (სახურავის ზომები 205x83 სმ) მხოლოდ ცენტრალური ნაწილი გამოყენებით. წარწერაში არაა დარღვეული მართლწერის ნორმები. სიტყვის გადატანისას გათვალისწინებულია დამარცვლის წესი. ყველა სიტყვა სრულადაა დაწერილი და ერთმანეთისაგან არაა გამოყოფილი, ანუ ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არა გამოყენებული, რაც წარწერის სიძელეზე მეტყველებს. წარწერა პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად დათარიღდა V ს-ის დასასრულით ან VI ს-ის პირველი ნახევრით.

უმლეიზუნის მონასტერი, რა თქმა უნდა, ქართული მონასტერია. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა რატომ ამოკვეთეს მონასტრის საძვალეში არსებული სამარხის სახურავზე ეპისკოპოსი იოპანე ფურტაველის ეპიტაფია ქართულად, თუ ამ წარწერას წამკითხველი არ ყყოლებოდა. ეპისკოპოსი იოპანე დაკრძალულია სხვებისაგან განმარტოებულ აკლდამაში, რაც მიუთითებს მის გამორჩეულ როლზე მონასტრის ცხოვრებაში. წარწერაში აღნიშნული ეთნონიმი „ქართველი“ (ძველ ბერძნულად „იბერიელი“) აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრს უნდა ნიშნავდეს. განსხვავებით დასავლეთ საქართველოს წიალიდან გამოსული მოღვაწეებისა, რომელთაც ლაზებს უწოდებდნენ (შდრ. იოანე ლაზი). არც ისაა გამორიცხული, რომ „ქართველი“ ამ შემთხვევაში იოპანე ეპისკოპოსის კუთხურ წარმოშობას – „ქართლელობას“ ნიშნავდეს (შდრ. კოსტანტი კახი, პროხორე შავშელი, ნიკოლოზ დვალი და სხვ.). უმლეიზუნის წარწერის სახით ეთნონიმ „ქართველის“ ჯერჯერობით უძეველეს დადასტურებასთან გვაქვს საქმე.

IV-VIII სს-ის ქართულ და უცხოურ წყაროებში უცნობია პალესტინაში მოღვაწე იოპანე ფურტაველი ეპისკოპოსის სახელი. თ. მგალობლიშვილის აზრით, წარწერაში „ფურტაველ“-ის მოხსენიება, აჩენს ცდუნებას იოპანე ცურტავის ეპისკოპოსად მივიჩნიოთ, მაგრამ მისივე განმარტებით, ეს ნაკლებ სარწმუნოა. „ფურტა“ შესაძლოა აღგილობრივი ტოპონიმი იყოს. არაა გამორიცხული, ადგილის სახელწოდების მიხედვით თვით მონასტერს

ერქვა „ფურტა“ (აქედან „ფურტაველი“), რომლის ეპისკოპოსი იყო იოპანე ქართველი. თუმცა, საკითხის საბოლოო გარკვევამდე „ფურტაველის“ ადგილობრივ ტოპონიმთან დაკავშირება მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება.

ბეთლემისა და იერუსალიმის მახლობლად გათხრილი ქართული მონასტრები და იქ აღმოჩნილი წარწერები მრავალმხრივაა საყურადღებო. წარწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ძველი ქართული ენისა თუ ქართული დამწერლობის შესწავლისათვის; წარწერები წარმოადგენენ ადრეული შეუსაუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის ძვირფას წყაროთმცოდნეობით მასალას, ვინაიდან მათში მოხსენიებულია ისტორიული პირები. მონასტრები და მათი წარწერები შეიცავს მნიშვნელოვან მასალას წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესწავლისათვის და ნათლად მიუთითებენ (წერილობით წყაროებში მოხსენიებულ სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად) იმ დიდ ავტორიტეტსა და გავლენაზე, რომელიც ქართულ ეკლესიას ჰქონდა წმინდა მიწაზე.

### ძირითადი ლიტერატურა

აბრამიშვილი გ. ატენის უძველესი „დრომიკე“, არქეოლოგიური ჟურნალი, ტ. II, 2002, გვ. 150-161.  
აბრამიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000.

ამირანაშვილი ჯ. ადრევეოდალური ზანი ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბილისი, 1968.

ბერიკაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები კაცხის „სვეტზე“, სამეცნიერო სესია მიძღვნილი უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 50-ე წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2007, გვ. 35-42.

ბერიკაშვილი დ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოები კაცხის სამონასტრო კომპლექსში, ნავარძეთის ბორცვსა და სოფელ პერევისაში, არქეოლოგიური ჟურნალი, ტ. V, 2010, გვ. 78-90.

ბოლქვაძე გ. ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია, ძეგლთა დაცვის სამმართველოს „წელიწდეული“, ტ. II, 1996, გვ. 48-51.

ბოხოჩაძე ალ. ნასტაკისის ველზე გათხრილი ადრექრისტიანული ზანის ეკლესია, მმ, №63, 1983, გვ. 42-48.

გაგოშიძე გ. უმლეიზუნის ქართული წარწერა, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. XXI, 2005, გვ. 351-355.

გაგოშიძე გ. კაცხის სვეტი, უკრ. აკადემია, №1, 2010, გვ. 55-68.

გოილაძე ვ. ბოლნისის სიონის აშენების საკითხი ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ადრეული ქრისტიანობა და საქართველო, ადრექრისტიანული არქეოლოგიის II კონფერენცია მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი, თბილისი, 1996, გვ. 5-6.

ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ. ციხე გოჯი-ნოქალაქევი, თბილისი, 1984.

ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხეგოვა-არქეოპლისი-ნოქალაქევი (ხუროთმოძღვრება), თბილისი, 1991.

კახიანი კ., ჭანიშვილი გ., კოპალიანი ჯ., მაჩაბელი კ., ალექსიძე ზ., ლლილვაშვილი ე., პატარიძე ნ. ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან, თბილისი, 2012.

ლალიაშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები „ამიდასტურის“ წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან, თბილისი, 2011.

**მოქცევად ქართლისად, ძებული, წ. I, (V-X სს), ილ. აბულაძის საერთო რედაქციით, 1963, თბილისი, გვ. 81-163.**

**მგალობლიშვილი თ. უცნობი ქართული მონასტერი წმ. მიწაზე, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. XXI, 2005, გვ. 341-350.**

**მუსხელიშვილი ლ. ბოლნისი, ენიმკის მომბე, ტ. III, თბილისი, 1938, გვ. 311-382.**

**რამიშვილი რ. სიცი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I, თბილისი, 1970.**

**რამიშვილი რ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავათში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. V, თბილისი, 2008.**

**რამიშვილი რ. ერთხელ კიდევ ივრის სიცის კათედრალური ტაძრის თარიღის შესახებ, ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, თბილისი, 2000, გვ. 70-74.**

**რჩეულიშვილი გ. ზედაშნის მონასტრის არქეოლოგიური შესწავლის უმთავრესი შედეგები, თელავის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასტავლებელთა კონფერენციის მასალები I, 2010, გვ. 15-25.**

**რჩეულიშვილი გ. ნატკორის ტაძრის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, თელავის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული II, 2007, გვ. 61-70.**

**ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.**

**ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980.**

**ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბილისი, 2000.**

**ცინცაძე ვ. კაცხის სვეტი, სმამ, ტ. VII, №8, 1946, გვ. 557-564.**

**ციციშვილი ირ. ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955.**

**ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს, თბილისი, 1977.**

**ჩაჩანიძე ვ. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974.**

**ჩაჩუნაშვილი ც. ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია, ქმ, №1, 1992, გვ. 69-74.**

**ჩიკოიძე ც. ქალაქი თელავი, თბილისი, 1979.**

**წერთული გ. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960.**

**ჯავახიშვილი გ. ადრეული დალური ხანის ქართული სტელები, თბილისი, 1998.**

**ჯავახიშვილი გ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული სტელების გენეზისისათვის, სემმ, ტ. III, 2012, გვ. 276-282.**


**ჯაფარიძე ვ. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბილისი, 1982.**

**ჯაფარიძე ვ., კოპალიანი ჯ., ბოლქვაძე გ., ნიორაძე მ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბილისი, 2004, გვ. 112-118.**


**Seligman J. Excavations at the Georgian Monastery from the Byzantine period in Umm Leisun, Jerusalem, ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, თბილისი, 2004, გვ. 238-252.**

**Seligman J. & Abu-Raya R. A Byzantine „Monastery” at Khirbet Umm Leisun, Jerusalem, Atigot XLIII, 2002, გვ. 127-140.**


**Бохочадзе А. В., Мирианашвили Н. Г. Итоги работ Настакисской экспедиции, ПАИ в 1981 году, Тбилиси, 1984, გვ. 53-59.**



1. ბოლნისის სიონი. გეგმა.




3. ვარდისუბნის ეკლესია  
გ. ბოლქვაძის მიხედვით



4. სტელის ფრაგმენტები ბუჩურაშენის  
ეკლესიიდან. მ სინაურიძის მიხედვით




2. ლ. მუსხელიშვილის მიერ 1936 წ. აღმოჩენილი ბოლნისის სიონის წარწერა




5. ნასტაკისის ველი. V-VI სს-ის ეკლესიის  
თავდაპირველი გეგმა. I სამშენებლო პერიოდი.

აღ. ბოხოჩაძის მიხედვით




6. ეკლესიის მშენებლობის II-III  
პერიოდები. VI-VIII სს.






2. სამარხები

1. „ნაგზაურის“ სამონასტრო კომპლექსი






3. კრამიტები





4. შვერილიანი ფილები

5. ლურსმნები

6. თიხის ქოთანი და  
საკინძი თქროს ვარდულით

10. ქასვეტები




8. წარწერების ფრაგმენტები


9. კახიანის მიხედვით

9. ლომის  
გამოსახულება

11. ქვის ჯვრები



1. ატენის სიონი. გუმბათიანი ტაძრისა  
და ბაზილიკის გეგმები.



2. სუბსტრუქცია, რომელზეც  
აგებულია ორივე ტაძარი.






11. სიონის ბაზილიკის არქიტექტურული დეტალები  
რ. რამიშვილის მიხედვით





3. სპილენძის  
დილები


4. თიხის სარკოფაგი




5-7. გათხრებისას აღმოჩენილი V ს-ის  
ბაზილიკის არქიტექტურული დეტალები




8-9. VII ს-ის ტაძარში ჩართული V ს-ის  
ბაზილიკის დეტალები  
გ. აბრამიშვილის მიხედვით



10. ივრის სიონი




12. ნატერას ბაზილიკა  
გ. რჩეულიშვილის მიხედვით





1. დავათი. ეკლესიის გეგმა.




## 2. დავათის სტელა




### 3. ფონორაულები. V-VI სს.




#### 4. არტოზანი. VII-VIII სს.




7. „ამიდასტური“. სვეტიცხოვლის  
ეკლესია. VII ს-ის I ნახ.



6. „ამიდასტური“. წმ. გოორგის  
სახ. ბაზილიკა. VI-VII სს-ის მიჯნა.






## 8. სვეტიცხოვლის კრიპტის გეგმა




## 9. სვეტიცხოვლისა და აკლდამების ჭრილი



1. ქაცხის სვეტი



3. „სვეტის“ ეკლესიის საძვალე  
(ვ. ცინცაძე, 1944წ.)

6. სენაკის სამხრეთი ფასადი




5

7. მონასტერში აღმოჩენილი წარწერა




8. არქეოლოგიური მასალა

თ. გაბუნიას, გ. გაგოშიძის, დ. ბერიკაშვილის მიხედვით




წმინდა თევდორეს სახელი  
ქართული მონასტრის გეგმა  
გირჯილით კორპოს მიხედვით



5. ნეპროპოლი (გეგმაზე №17-18)

6. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა


ვირჯილიო კორპოს მიხედვით



1. სატრაპეზოს ქართული წარწერა



2. ქართული წარწერა ეზოს დასავლეთ ნაწილში




ს  
ტ  
ც  
მცე

4. ლათინური წარწერის ფრაგმენტი



ქ  
ჩ  
კარ

3. ქართული წარწერა  
კოლონადის ქვეშ




5. მონასტრის მოზაიკის ცალკეული დეტალები  
ვირჯილიო კორბოს მიხედვით

# ԿՐԵՇԵՔԵՔԱԾ ԴՈՇԵԽԱԳՈՎՈՎՄ ԷՇՈՂԻՄՍԿԵԱՆԱ ՇՐԵԺԵՎԵՔԱԴՐԻ ԴԵՇԵԼ+†

1. ասոմთացրցոց ֆարմից պահանջվող մոնական սամարեան վաճյ

Ճ. Ճաջո՞մուսօն մոխեցոտ



2. պահանջվող մոնական յրութիւն զեցմա

Ճ. Կըլուգման մոխեցոտ

## თავი VII ნასოფლარები

§1. ნასოფლარების კვლევას საგანგებო ფურადღება მიექცა XX ს-ის 50-ან წლებში. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომლის თაოსნობით 1948-52 წლებში განხორციელდა ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციაში მომუშავე მკვლევარებმა აღნუსხეს შუასაუკუნეების 100-მდე ნასოფლარი. ქვემო ქართლის ნასოფლარების კვლევა კიდევ უფრო გაღრმავდა 1953-65 წლებში. იმ დროს ჭივჭავას ხეობაში, ბედენის პლატოზე და ბოლნისის რ-ში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რამდენიმე ექსპედიცია (გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი, ჯ. ამირანაშვილი). 70-80-ან წლებში მათ რიცხვს შეემატა ისტორიის ინსტიტუტის აღგეთის ხეობისა (ნ. თუშიშვილი) და დმანისის (ვ. ჯაფარიძე) არქეოლოგიური ექსპედიციები. ეს უკანასკნელი ნაქალაქარის გათხრებთან ერთად აქტიურად ეწეოდა დმანისის გარშემო არსებული ნასოფლარების კვლევას.

იმავე პერიოდში კაზრეთსა და მის მიდამოებში დაიწყო საქმიანობა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (გ. სინაურიძე). ჩამოთვლილი ექსპედიციების კვლევა-ძიების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ათეული ნასოფლარი, ხოლო ზოგი მათგანი არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი.

1950-52 წლებში იორ-უჯარმის ექსპედიციამ (გ. ლომთათიძე) უჯარმის ციხის გათხრებისას ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები მთელს ივრის ხეობაში და აღნუსხა რამდენიმე ათეული ნასოფლარი. მოგვიანებით, 1962 წელს სიონის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით აღმოჩნდა რამდენიმე ნასოფლარი. ეს სამუშაოები გაგრძელდა 1968-69 წლებში, რის შედეგადაც ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ათეულობით ნასოფლარი დაფიქსირდა (რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე).

განსაკუთრებით საყურადღებოა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობა შუასაუკუნეების ნასოფლართა აღრიცხვისა და შესწავლის საქმეში. ამ ექსპედიციამ (რ. რამიშვილი) მთიულეთში, ხევში, ფშავში და ხევსურეთში, გუდამაყრის ხეობაში გამოავლინა რამდენიმე ასეული ნასოფლარი, რომელთაგან ზოგიერთი გაითხარა კიდეც.

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის თუშეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (რ. დოლაბერიძე) დიდი სამუშაოები ჩაატარა ამ კუთხეში ნასოფლართა გამოვლენის მიზნით. ამავე მუზეუმის ექსპედიცია ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით ძირითადად კახეთის ქალაქებს სწავლობდა, მაგრამ ნასოფლართა გამოვლენა-შესწავლასაც საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდა.

ასზე მეტი ნასოფლარი აღირიცხა გასული საუკუნის 60-ან წლებში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (რ. რამიშვილი, ც. ჩიკოძე, ნ. მამაიაშვილი) მიერ ალაზნის ზემო და შუა წელზე. მათგან რამდენიმე გაითხარა კიდეც.

დიდი შრომა აქვს გაწეული სამცხე-ჯავახეთის ნასოფლარების აღნუსხვაში ჯავახეთის ახალქალაქის ექსპედიციას (ე. ჯანდიერი). იქ აღირიცხა 250-ზე მეტი ნასოფლარი.

გასული საუკუნის 70-80-ან წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ბორჯომის ხეობაში ნასოფლართა გამოვლენისა და გათხრების მიზნით (გ. ნაიძე).

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართველი სპელეოლოგების (პ. ჯავრიშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ნ. ბახტაძე) მიერ ჩატარებული სამუშაოები ქვაბ-საცხოვრისებისა და სახიზრების შესწავლისათვის. 50-60-ანი წლებიდან მოყოლებული შეისწავლებოდა ქვემო ქართლის კლდის ძეგლები (ხრამის იგივე ქციის ხეობა), რომლებიც, როგორც გამოირკვა, მარტო სახიზრებად არ ყოფილა გამოყენებული და იქ თურმე დიდი ხნის განმავლობაშიც ცხოვრობდნენ ადამიანები. ამგვარი კლდის სოფლები წარმატებით იქნა შესწავლილი სამცხე-ჯავახეთშიც (ანანაური, ფია). ჩამოთვლილი ექსპედიციების მიერ გამოვლენილი ნასოფლარები ქრონოლოგიურად საგმაოდ ფართო დიაპაზონს მოიცავს – აღრეული შუასაუკუნეებიდან გვიანდელი შუასაუკუნეების ჩათვლით.

ნასოფლარების არქეოლოგიურ კვლევაში უფრო მოკრძალებული შედეგები გაგვაჩნია დასავლეთ საქართველოში. დასახლებათა „კოლხური ტიპი“, რაც შუასაუკუნეებში მაინც, გულისხმობს საცხოვრებელ ნაგებობათა ერთმანეთისაგან შორიშორ გამართვას და სოფლის დიდ ტერიტორიაზე განვითარებას, პრაქტიკულად ძალზე აძნელებს არქეოლოგისთვის ძეგლის მთლიანობაში ან თუნდაც მისი განსაზღვრული ნაწილისა თუ უბნის შესწავლას. განსხვავებული ვითარებაა აღმოსავლეთ საქართველოს ნასოფლარებზე, სადაც ცალკეული ოჯახების ნაგებობები ერთმანეთთან მჭიდროდაა განლაგებული. ამიტომ, დასავლეთ საქართველოს ნასოფლარებზე მსჯელობა უპირატესად გვიხდება მათი ცალკეული ელემენტების – სამაროვნების, ეკლესიებისა თუ ცალკეული სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების მიხედვით.

დასავლეთ საქართველოს ნასოფლართა შესწავლის საქმეში უკეთესი მდგომარეობაა მთაში და მთისწინა ზოლში, სადაც ხის მასალასთან ერთად სახლები და სამეურნეო ნაგებობები შენდებოდა ქვითა და ქვითკირით. ამასთან, მოსახლეობაც უფრო კომპაქტურად იყო განლაგებული.

დასავლეთ საქართველოს ნასოფლართა აღნუსხვაში დიდ წვლილი შეიტანა ბიჭვინთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ა. აფაქიძე), რომელმაც სადაზვერვო სამუშაოები ჩატარა გაგრის მიდამოებში (გ. გრიგოლია, ზ. აგრბა). ბიჭვინთის შემოგარენში, ინკიტის ტბასთან გაითხარა აღრეული შუასაუკუნეების სამოსახლოს ნაშთი. აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე აღრეული შუასაუკუნეების ნასოფლარებზე, განსაკუთრებით კოდორის ხეობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა არაერთი სამაროვანი, ეკლესია თუ სასიმაგრო ნაგებობა, რომელიც ეკუთვნოდა ცალკეულ სოფლებს (ქ. ბერძნიშვილი, ი. გძელიშვილი, მ. თრაფში). შუასაუკუნეების არაერთი ნასოფლარი აქვს აღრიცხული და კარტოგრაფირებული ენგურის (გ. გრიგოლია), ვარდციხის (ვ. ჯაფარიძე), ქუთაისის (ო. ლანჩავა), ვანის (ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე), აფხაზეთის (მ. ბარამიძე), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (დ. ხახუჭათშვილი), სვანეთის (შ. ჩართოლანი), გურიის (ვ. სადრაძე) ექსპედიციებს.

აღსანიშნავია, ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის მიერ აჭარისწყლის ხეობაში ჩატარებული დაზერვები და გათხრები (შ. მამულაძე), რომლის დროსაც გამოვლენილი და შესწავლილი იქნა არაერთი ნასოფლარი, ეკლესია, სამაროვანი, მარანი და სხვ.

\* \* \*

**§2. ლოჭინის ნასოფლარი** მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 20-ოდე კმ-ის დაშორებით. 1952 წელს მიწის სამუშაოების დროს, ლოჭინის ხევის მარცხნა ნაპირზე, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა შენობის ნანგრევები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ნასოფლარი განლაგებული ყოფილა ბორცვზე, რომელსაც დასავლეთიდან ხევი ჩამოუდის. დანარჩენი მხრიდან დაახ. 2 მ სიღრმის ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ნასოფლარზე გაითხარა ერთი ნაგებობის 1 ოთახი, მეორე ნაგებობის 3 ოთახი და ნაგებობებს შორის არსებული გასასვლელი (ოთახების ზომები: I ნაგებობის ოთახის 7x4 მ, II ნაგებობის I ოთახის 4x2 მ, II ოთახის 4x4 მ, III ოთახის 4x2 მ). ოთახები გეგმაში სწორკუთხაა. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით თიხის ხსნარზე. კედლები თიხითა შელესილი. თიხის იატაკი ზოგჯერ მოგებულია ქვიშაქვის ფილებით. ნაგებობები კრამიტით ყოფილა გადახურული. სამეურნეო დანიშნულების ერთ-ერთ სათავსში აღმოჩნდა მარცვლეულის შესანახი ორი ხარო. გათხრებისას გამოვლინდა რამდენიმე მოზრდილი ქვევრიც.

არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკაა. ქვევრები ხასიათდება დიდი ზომებით. აქვთ დაბრტყელებული პირი, დაბალი ყელი. კონუსური მოყვანილობის ქვედა ნაწილი ბოლოვდება ბრტყელი ძირით. გამომწვარია ღია მოწითალოდ. ჩაფები მოზრდილია. ყელის წიბოზე მიერთებული აქვთ ერთი ან ორი ყური. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. კედი მკვრივია (ტაბ. I<sub>1</sub>). მოწითალოდ გამომწვარი ზედაპირნაპრიალები თიხის ჭურჭლიდან საინტერესოა მცირე ზომის ხელადა, რომელსაც ყელზე ამოკაწრული აქვს დაქარაგმებული ასომთავრული ორი ასო – „ძე“. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელია ამოკაწრული ტალღოვანი კონცენტრული ხაზებით შემკობა. დოქის ყელ-გვერდის ერთ-ერთ ნატეხზე ამოკაწრულია ე. წ. „ბოლნური“ ჯვარი და ქართული ასომთავრული წარწერა, რომლისგანაც მხოლოდ „ძ“ და „ო“ ასო იკითხება (ტაბ. I<sub>2-4</sub>). ჭრაქები ორი ტიპისაა: ვერტიკალურშვერილიანი და ლამბაქისებურპირიანი. ისინი მაღალტანიანია, წელში გამოყვანილი (ტაბ. I<sub>5</sub>). კრამიტები ბრტყელია. მათი სიგრძე 42 სმ-მდე აღწევს. იქვეა აღმოჩენილი სალესი ქვები. გათხრებისას მრავლად გამოვლინდა წვრილფეხა საქონლის ძვლები. ნასოფლარი ერთფენიანია. თარიღდება IV-VI სს-ით. სოფელი განადგურებულა უეცარი კატასტროფის შედეგად, რაზედაც მიუთითებს ცეცხლის კვალი.

ლოჭინის ხევი ადრეულ შუასაუკუნეებში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ხევის მიდამოებში აღმოჩნდა სამაროვანი და ორი ნასოფლარი. ერთი გათხრილი ნასოფლარის პირდაპირ, ხევის მარჯვენა ნაპირზე, მეორე – ნასოფლარიდან სამხრეთით სამიოდე კმ-ის დაშორებით, ლოჭინის ხევის მარცხნა ნაპირზე.

\* \* \*

**§3.** „თავკვერის“ აღრეული შუასაუკუნების ნასოფლარი მდებარეობს გლდანის საცხოვრებელი მასივის III-IV მიკრორაიონების საზღვარზე. ეს სახელწოდება პირობითია, ვინაიდან მოსახლეობა ასე მოიხსენიებდა ამ მიდამოებს. ნასოფლარზე გამოვლინდა სხვადანიშნულების ნაგებობები და სამი ეკლესია. ნაგებობები სწორკუთხა გეგმის მქონე რამდენიმე ოთახს ( $6x4$  მ;  $4,5x4,9$  მ;  $3x4,5$  მ;  $3,7x6$  მ) მოიცავდა. ნაშენია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით, თიხის ხსნარზე. იატაკი თიხატკეპნილია ან ქვის ფილებითა მოგებული (ტაბ. II<sub>3-4</sub>). ერთ-ერთ ნაგებობაში გამართულ მარანში აღმოჩნდა 3 მოზრდილი ქვევრის ნატეხი.

ნაგებობის გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლით. ქვევრები მომაღლოულიანია, რელიეფური სარტყლებით დაფარული ტანით. გვხვდება სადა, უორნამენტო ქვევრებიც. ისინი ბრტყელი მირიანია. სხვა კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია: მოზრდილი დურგები, სადღვებლები, ქოთნები, ტუჩიანი ბადიები, რელიეფური ორნამენტით შემკული დოქები და ხელადები; ფართოპირიანი ხელადები და სხვ. (ტაბ. II<sub>5</sub>). არქეოლოგიური მასალა თარიღდება IV-VII სს-ით.

ნასოფლარის ჩრდილოეთით, შემაღლებულ ადგილას გაითხარა დარბაზული ტიპის ეკლესია, ორი სამშენებლო ფენით. ეკლესის პირველი, ქვედა ფენა, ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე ( $4x4$  მ). კედლების სისქე  $0,8$  მ-ია. ნალისებური აბსიდა ნაგებია ტუფის გათლილი კვადრუბით. ეკლესის მეორე სამშენებლო ფენა ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. ზედა ფენის ეკლესია შედარებით დიდია ( $6,3x5,5$  მ). შესასვლელი ჰქონია დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ქვედა ეკლესის აბსიდა გადაკეთებულია და ზედა ფენის ეკლესის აბსიდადა გამოყენებული. აბსიდა ნალისებურია, გარედან ოთხკუთხა. ამაღლებული საკურთხეველი ზუთსაფეხურიანია, რომელიც შედგენილია ქვათლილებისაგან. საკურთხევლის წინ მდგარა ქვის ემბაზი. მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრეთიდან მიუშენებით პატარა სათავსი (ტაბ. II<sub>1</sub>). მინაშენში გამოვლინდა ტუფის ქვის ორი ებბაზი. ზედა ფენის ეკლესის საკურთხეველთან აღმოჩნდა ხოსრო II-ის (591-628) ვერცხლის მონეტა.

ეკლესის სამხრეთ-აღმოსავლეთით 9 მ-ის დაშორებით მდგარა კიდევ ერთი ნალისებურაბსიდიანი ეკლესია ( $5x4$  მ) (ტაბ. II<sub>2</sub>). საკურთხეველი ნაგებია ტუფის ქვათლილებით. კედლები ნაშენია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით, თიხის ხსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან ჰქონია. ეკლესიები ბრტყელი კრამიტით გადაუხურავთ.

\* \* \*

**§4.** აღგეთის ხეობაში შესწავლილია IV-VI სს-ის ხოპისის ნასოფლარი. ნასოფლარის განათხარ ნაგებობებს შორის აღსანიშნავია №2, 7 ოთხკუთხა შენობები ნაშენი რიყის ქვითა და ბაზალტით. კედლების კუთხეებში გამოყენებულია შედარებით დამუშავებული ქვები. კედლების სისქე  $0,7-0,8$  მ-ს აღწევს. შემაკავშირებულ მასალად გამოყენებულია თიხამიწა

(ტაბ. I<sub>6-7</sub>). იატაკი ბაზალტის ქვებითაა მოკირწყლული ან მიწატკეპნილია. ნაგებობები დახურული ყოფილა კრამიტით. გათხრებისას გამოიკვეთა სახლის ერთიანი კომპლექსი საცხოვრებელი შენობითა და სამეურნეო ეზოთი, რომელიც შემოსაზღვრული იყო ქვის ღობით. გათხრებისას იქ აღმოჩნდა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის სხვადასხვაგარი ჭურჭელი. მათ შორის გვხვდება: ლუთერიები, ორყურა ჩაფები, დერგები. სამზარეულო ჭურჭელი ხასიათდება მოთეთრო-მოყვითალო ფერით. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია ე. წ. ფაცეტებიანი ჭურჭელი. იქვეა გამოვლენილი რკინის ფიბულები, ქვის ხელსაფქვავები და სხვ. (ტაბ. I<sub>8</sub>). კომპლექსის დათარიღებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პერიოდის (457-484) ვერცხლის დრაქმას.

ხოპისის ნასოფლარი ისეა გაშენებული, რომ გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: I. სოლარიზაციის პრინციპი – ზამთარში მოსახლეობა იღებდა მეტ სითბოსა და განათებას, ხოლო ზაფხულში ნაკლებად უნდა ყოფილიყვნენ განათებულნი; II. ნასოფლართან მიდიოდა გზა; III. სოფელი ისეთ ადგილას იყო გაშენებული, რომ ის არ ეხებოდა სამეურნეო სავარგულებს, რომელთაც სოფლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ; IV. სამაროვანად გამოიყენებოდა სოფლის შემაღლებული ადგილი, რომელიც ოდითგანვე საკულტო-რელიგიური მნიშვნელობის იყო და ამასთან ამ ტერიტორიას არ ჰქონდა შეხება სამეურნეო სავარგულებთან.

\* \* \*

მიუხედავად ნასოფლართა შესწავლაში მიღწეული წარმატებისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი რამ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება. ნასოფლარების შესწავლისას ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო მათ აღრიცხვაზე და კარტოგრაფირებაზე, ნასოფლარების შემადგენელი კომპონენტების (ნაეკლესიარი, სამაროვანი, ცალკეული ნაგებობა) შესწავლაზე. გარდა ამისა, დღემდე გამოუქვეყნებელია ნასოფლარების გათხრებიდან მომდინარე მნიშვნელოვანი მასალები, რაც საკმაოდ აფერხებს მათი შესწავლის საქმეს. საჭიროა პრობლემის უფრო ღრმად გაანალიზება, რისთვისაც აუცილებელია მთელი რიგი საკითხების სკრუპულოზური დამუშავება. ეს საკითხებია: 1. ნასოფლართა ტოპოგრაფია, სამოსახლოთა ადგილის შერჩევის პრინციპი, სოფლური დასახლებების ძირითადი ტიპები შუასაუკუნეებში; 2. ნამოსახლართა გეგმარების თავისებურება; 3. სამშენებლო მასალები (ალიზი, ქვა, ხე, სარ-ლასტი, კირი და სხვ.) მშენებლობის წესები და ტექნიკა; 4. ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო თავისებურებების როლი საცხოვრებლის მშენებლობაში. მთისა და ბარის სამოსახლოთა შედარებითი ანალიზი; 5. ნასოფლარებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძვლიანი კვლევა; 6. სოფლების დამოკიდებულება ქალაქთან და ფეოდალის რეზიდენციასთან. ქალაქური კულტურის გავლენის ხარისხი სოფლის მოსახლეობაზე; 7. ცალკეული მეკომურისა და საერთოდ, სოფლის ეკონომიკური შესაძლებლობის განსაზღვრა. ეკონომიკური კავშირები ქალაქსა და სოფელს შორის. სოფლების კავშირი მთავარ და მეორეხარისხოვან გზებთან; 8. სოფლის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე. სოფლის ჭარბი მოსახლეობის მიგრაციის მიმართულებები. მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთმიმართება მშვიდობიან პირობებში და საომარი

მოქმედების დროს; 9. ეკლესია და ქართული სოფელი. სოფლის ეპლესიების ხუროთმოძღვრება. მათი განლაგება. სამაროვნისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება შუასაუკუნეებში; 10. სოფლების თავდაცვითი სისტემა. მათი თავისებურებები მთასა და ბარში; 11. სოფლების სამაროვნების ტოპოგრაფია შუასაუკუნეებში. სამაროვნების სოციალური ბუნება. სამარხთა აღნაგობა და ძირითადი ტიპები. სამარხეული მასალის ანალიზი; 12. ხელოსნობა და შინამრეწველობა ქართულ სოფლებში. გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, ნასოფლართა კვლევისას გასათვალისწინებელია ის თავისებურებები, რაც ახასიათებს საქართველოს ყველა კუთხესა და რეგიონს (რ. რამიშვილი).

გარდა ჩვეულებრივი სოფლებისა, ჩვენში არსებობდა დასახლებათა განსაკუთრებული ტიპები, რომელთა წარმოშობა განპირობებული იყო მუდმივი შიშიანობითა და გაუთავებელი ომებით. ესაა კლდეში ნაკვეთი სახიზარ-საცხოვრებლები. ხოლო იმ ადგილებში, სადაც ტყის მასივები არ არსებობდა (წალკა, ჯავახეთის პლატო), მოსახლეობა აკეთებდა მიწისქვეშა სოფლებს – დარნებს. ეს იყო მიწის ქვეშ მოწყობილი მთელი სისტემა, როგორც თვითგადარჩენის ერთ-ერთი საშუალება.

სოფლები ყოველთვის წარმოადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის უმთავრეს საფუძველს, ადამიანთა რესურსების მიმწოდებელ ძირითად წყაროს, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ძლიერებასა და თავდაცვითუნარიანობას. ამიტომ, ბუნებრივია, ნასოფლართა შემდგომი კვლევა-ძიება უთუოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას.

საინტერესოა ნასოფლარების თავდაცვითი სისტემა ადრეულ შუასაუკუნეებში. ცნობილია, რომ სოფლებს საკუთარი მასშტაბური თავდაცვითი სისტემა არ გააჩნიათ, გარდა იმ ციხე-კოშკებისა, რომლებიც გვიანდელ შუასაუკუნეებში მომრავლდა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში, ძირითადად ლეკიანობასთან დაკავშირებით. შეუძლებელი იყო ყველა სოფლისათვის მტკიცე გალავნის შემორტყმა. ამიტომ, სამეფო კარისა და თვით სოფლის მოსახლეობის წინაშე ყოველთვის მწვავედ იდგა სოფლის თავდაცვის პრობლემის მოგვარება. ფიქრობენ, რომ ეს პრობლემა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად წყდებოდა. ადრეულ შუასაუკუნეებში ხეობების გაყოლებით გზის პირას მდებარე სოფლების უმეტესობას იცავდა ამ ხეობების ჩამკეტი ციხეები, რომლებიც, როგორც წესი, ხეობების თავსა და ბოლოში იყო აშენებული. მაგ. თუ ივრის ხეობის მონაცემებით ვიმსჯელებთ, ერწო-თიანეთისა და უალეთის სოფლებს იცავდა ამ „ქვეყნების“ თითქმის მთელ პერიმეტრზე განლაგებული ისეთი ციხეები, როგორიცაა: უჯარმა, ბოჭორმა – სამხრეთიდან, ჭერემი – აღმოსავლეთიდან, ყვარას და გომეწრის ციხეები – ჩრდილოეთიდან, კვეტერა – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მცხეთა-წიწამური – სამხრეთ-დასავლეთიდან, ხიდარის ციხე – დასავლეთიდან. ჩანს, ეს სისტემა ისე კარგად ფუნქციონირებდა, რომ როცა X ს-ში კახთა მეფე კვირიკემ თაანეთის მახლობლად ბოდოჯის სამეფო სასახლე ააგო, მას გალავნი არ შემოარტყა. მეტიც, სასახლესთან ერთი თავდაცვითი კოშკიც კი არ აუშენებია.

ივრის ხეობის ნასოფლართა მიხედვით, სოფლების უმეტესობა ადრეულ შუასაუკუნეებში გზის პირასაა განლაგებული. ცოტა მოგვიანებით სოფელთა ტოპოგრაფია რამდენადმე შეიცვალა. მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს ხეობის დამცავი ციხეების უმეტესობა და

შესაბამისად მოიშალა დასახლებათა დაცვის სისტემაც, დასახლებათა უმეტესობამ გადაინაცვლა უფრო ზემოთ, ტყისპირა ზოლში, სადაც ტყეს შეფარებული მოსახლეობა უკეთ დაიცავდა თავს. რა თქმა უნდა, გზისპირა სოფლების ტყისპირა სოფლებად გადაქცევა არ ყოფილა საყოველთაო მოვლენა და ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გზისპირიდან მთელი მოსახლეობა აიყარა და ტყისპირას გადასახლდა. მითუმეტეს, ამის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა უტყეო ზონაში. უბრალოდ არქეოლოგიური მასალების მიხედვით თითქოს ისე ჩანს, რომ ასეთი ტენდენცია არსებობდა.

### ძირითადი ლიტერატურა

აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, სსმმ, ტ. XXIII-B, 1962, გვ. 197-206.

შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, I კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2001.

შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2003.


ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს, თბილისი, 1977.

Артилаква В., Иремашвили Ш., Годзиашвили Н., Гочалеишвили М. Отчёт о полевой работе гладанской археологической экспедиции, ПАИ в 1976 году, Тбилиси, 1979, გვ. 197-204.

Тушишвили Н. Результаты работ археологической экспедиции Алгетского ущелья, ПАИ в 1978 году, Тбилиси, 1981, გვ. 89-101.


Тушишвили Н.Н., Амиранашвили Дж. Ш. Результаты полевых работ археологической экспедиции Алгетского ущелья, ПАИ в 1979 году, Тбилиси, 1982, გვ. 47-57.

Тушишвили Н.Н., Амиранашвили Дж. Ш. Результаты полевых исследований экспедиции Алгетского ущелья, ПАИ в 1982 году, Тбилиси, 1985, გვ. 21-28.







ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური მასალა. IV-VI სს.

რ. აბრამიშვილისა და  
ლ. ჭილაშვილის მიხედვით



ხობისის ნასოფლარი. 6-7. ნაგებობა №2, 7. 8. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური  
მასალა. IV-VI სს.

ჯ. ამირანაშვილის მიხედვით



პირველი ეკლესია

გეორგ ეკვეთია

## თავი VIII

### სამარხეთა ტიპები და დაკრძალვის ნიუბი

ადრეული შუასაუკუნების ისტორიის მთელი რიგი პრობლემების გასაშუქებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამაროვნებს, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ იმდროინდელი ყოფის, კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ. სამაროვნები, როგორც წესი, ნაქალაქარებთან და ნასოფლარებთან ახლოსაა განლაგებული. მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა ერთი ძირითადი პრინციპის დაცვას – სამაროვნებისთვის უმეტესად ისეთი ადგილები შეერჩიათ, რომელიც სახნავ-სათესად ნაკლებად გამოდგებოდა. ამგვარი სურათი განსაკუთრებით ნათლად ჩანს მთის რეგიონების მაგალითზე. დაახ. IX ს-დან სამაროვნები უკვე ეპლესიების გარშემო იმართებოდა.

IV ს-ის 30-ანი წლებიდან მოყოლებული, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად, ჩვენში დაკრძალვის ქრისტიანული წესიც თანდათან მკვიდრდება – ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, ტანის გასწვრივ, გულზე, მუცელზე ან ბოქვენზე დალაგებული ხელებით. მოუხედავად ამისა, IV ს-ის სამარხებში (არმაზისხევი, რუსთავი, მოდინახე და სხვ.) ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული დაკრძალვის ქრისტიანული წესი. ხშირ შემთხვევაში, სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობა, ასევე, მიცვალებულთა პოზა ნებისმიერია. ეკონომიკურად შეძლებულ ინდივიდთა სამარხეულ ინვენტარში ჯერ კიდევ გვხვდება ფუფუნების საგნები – ოქროს სამკაულები (საყურეები, ბეჭდები, საკიდები და სხვ.). V-VI სს-ში სამარხებიდან ძვირფასი საგნები ქრება და სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია ბრინჯაოს, რკინის და უფრო იშვიათად, ვერცხლის ნაკეთობებით. ისინი ძირითადად სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. უკვე იშვიათად გვხვდება სამარხებში კერამიკული ნაწარმის ჩატანების ფაქტებიც. სამარხებში საკმაოდ ხშირდება მინის სანელსაცხებლების აღმოჩენის ფაქტები, რაც დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული.

დაკრძალვის ქრისტიანული წესის თანდათანობით დამკვიდრების მიუხედავად, V და მომდევნო საუკუნების სამარხებშიც ყველგან (განსაკუთრებით მთინ რეგიონებში) არ ფიქსირდება დაკრძალვის ქრისტიანული წესი. არაერთია V-VI სს-ის სამარხები, სადაც მიცვალებულები ისევ წარმართულადაა დაკრძალული. მიზეზი მარტივია – ისინი არ იყვნენ ნაზიარები ახალ რელიგიას.

ცნობილია, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ ეტაპზე წმინდა ნინომ და მირიანმა მონათლეს სამეფო დომენი, რომელიც დასავლეთით თხოთის მთას აღწევდა. მოიქცა ქართლის მთიელთა ნაწილი და კახეთი. მაგრამ წმინდანის მოღვაწეობა არ შეხებია მაგ. შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს, რომელსაც ხელისუფლება, როგორც ჩანს, პოლიტიკურად საიმედო მხარედ თვლიდა და ქართლის ეს კუთხე კიდევ კარგა ზანს წარმართობაში დარჩა. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ IV-VI სს-ში შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, ბარშიც კი უპირატესად წარმართები ცხოვრობდნენ. ამაზე მიუთითებს აქ IV-V სს-ის ეპლესიებისა და ქვაჯვარების არარსებობა. მხოლოდ V ს-ის ბოლო მეოთხედში, როდესაც

ქართლში სასანური ზოროასტრიზმის მოძალებამ ქვეყნისათვის საშიში მასშტაბები მიიღო, ვახტანგ გორგასალმა განაახლა ზრუნვა ქრისტიანობის განსამტკიცებლად. ამ კუთხის საბოლოო გაქრისტიანება ცამეტი სირიელი მამის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული (ი. გაგოშიძე). ასეთ გითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე V-VI სა-ის და ზოგჯერ ცოტა მოგვიანო პერიოდის სამარხებშიც კი მიცვალებულთა წარმართული წესით დაკრძალვის ფაქტები უჩვეულოდ აღარ გამოიყურება.

დაკრძალვის წესის ცვალებადობასთან ერთად ჩნდება ახალი ტიპის სამარხები. თუმცა, სამარხთა ზოგიერთი ძველი ტიპი, მაგ. ორმოსამარხები, კვლავ განაგრძობს არსებობას. განსაკუთრებით მატულობს საოჯახო-საგვარეულო სამარხები ანუ ისეთი სამარხები, რომელთა გამოყენება მრავალჯერადად შეიძლებოდა. ასეთებია: ქვის სამარხები, აკლდამები, სარკოფაგები.<sup>62</sup>

არაგვის აუზის სამაროვნების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ბარის კვალდაკვალ, უპვე IV ს-ის მეორე ნახევრიდან დაკრძალვის ქრისტიანული წესი თანდათან მკვიდრდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც – მთიულეთისა და ფშავის არაგვის ხეობის მოსახლეობაში. ინდივიდუალურ ორმოსამარხებს ცვლის საოჯახო-საგვარეულო ქვის სამარხები. ქართლის ბარის რაიონების სამაროვნებთან შედარებით, არაგვისა და თერგის აუზების მთისწინეთისა და მთის სამაროვნებზე კვლავ დიდხანსაა შენარჩუნებული მიცვალებულისთვის საიქიო ნივთების ჩატანების წესი, რასაც ქრისტიანობა კრძალავდა.

ადრეული შუასაუკუნეების სამარხებში არცთუ იშვიათად, ერთსა და იმავე სამარხში მიცვალებულები დაკრძალულია როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული წესით. ამგარი ფაქტები დასტურდება არა მარტო მთის სამაროვნებზე, სადაც ქრისტიანობა მაინც რთულად იკაფავდა გზას, იქ არსებული ძლიერი წარმართული ტრადიციების გამო, არამედ ბარის სამაროვნებზეც. ამ ფაქტის ახსნა არაა რთული თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთსა და იმავე ოჯახში, შესაძლოა, ქმარი მონათლული ყოფილიყო, ცოლი – არა. ქალები, როგორც წესი, ამ მხრივ უფრო კონსერვატორები იყვნენ და ნაკლებად ღებულობდნენ სიახლეს, მით უმეტეს ისეთს, რაც რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული. რუსთავის ჯვრიან სარკოფაგში წარმართული წესით დაკრძალული მიცვალებულის მაგალითზე (იხ. ქვემოთ) ის აზრიცაა გამოთქმული, რომ ადრეულ შუასაუკუნეებში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა ქრისტიანისათვის დაკრძალვის პოზას. იმ დროისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიცვალებულის დამხრობას აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ამიტომ მოხრილ მდგომარეობაში დაკრძალვა ყოველთვის არ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ გარდაცვლილი წარმართი იყო.

**ორმოსამარხები** სამარხთა უძველესი ტიპია. ისინი მოგრძო სწორკუთხა ორმოებია, ზოგჯერ მომრგვალებული კუთხეებით (ტაბ. I<sub>1-2</sub>). ქრისტიანული ხანის ორმოსამარხები, როგორც წესი, დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე მეტ-ნაკლები გადახრებით. ეს გადახრები დამოკიდებული იყო წელიწადის სხვადასხვა დროს მზის ამოსვლის ხაზის

<sup>62</sup> ცალკე შევეხეთ სამარხთა მრავალფეროვან და განსხვავებულ ტიპებს ბიჭვინთის სამაროვნიდან. იხ. თავი III – გვარების გვარი და ადრეული შუასაუკუნეების ზღვისპირა ციხესიმაგრები.

გადახრასთან. ასე, რომ სამარხთა გადახრების მიხედვით იმის დადგენაც შეიძლება, წელიწადის რომელ დროს დაუკრძალავთ მიცვალებული. სამარხთა დამხრობის გარკვეული გადახრები აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძიდან შეიმჩნევა თითქმის ყველა სამაროვანზე და სამარხის ყველა ტიპზე.

ორმოსამარხი, მასში მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ, მიწით ივსებოდა. ზოგიერთს უკეთდებოდა პატარა მიწაყრილი, ქვაყრილი ან ქვამიწაყრილი. ზოგიერთს შემოუწყობდნენ ქვებს ან დაადგამდნენ სანიშნე ქვას. ორმოსამარხებში, როგორც წესი, იკრძალებოდა ერთი მიცვალებული, რადგან სამარხის ეს ტიპი მოუხერხებელი იყო კოლექტიური დაკრძალვისათვის. თუმცა, იშვიათად გვხვდება ორმოსამარხები, რომლებშიც ორი ან მეტი მიცვალებულია დაკრძალული. ეს ის შემთხვევები უნდა იყოს, როცა მოსახლეობაში ჩნდება ეპიდემია ან საქმე გვაქვს მტრის შემოსევასთან თუ რაიმე უბედურ შემთხვევასთან, რომელსაც ერთდროულად შეეძლო შეეწირა მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი და ოჯახის წევრებისათვის ერთი ორმოსამარხი გაეთხარათ.

ადრეული შუასაუკუნეების ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით – ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. I<sub>1</sub>). თუმცა, იმ პერიოდის სამარხებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცვალებულები ზოგჯერ წარმართული წესითაცაა დაკრძალული – გვერდზე მწოლიარე, მოკეცილი ხელ-ფეხით (ტაბ. I<sub>2</sub>).

ორმოსამარხთა ტიპს მიეკუთვნება ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები (ტაბ. I<sub>3-4</sub>). ამგვარი სამარხები ცნობილია: სამთავროდან, დიღმის ხეობიდან, ნასტაკისიდან, კაჭრეთიდან, ჭერემიდან, მატნიდან, ივრის ხეობიდან, უინგალიდან, არაგვისპირიდან, აბანოსხევიდან და სხვ. სამარხთა აღნიშნული ტიპი მიჩნეულია ორმოსამარხიდან ქვის სამარხზე გარდამავალი ეტაპის სამარხებად (რ. რამიშვილი). ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ძირითადად მხოლოდ IV-V სს-ში რომ ყოფილიყო გავრცელებული, ისინი მართლაც ორმოსამარხებიდან ქვის სამარხებზე გარდამავალ ტიპად შეიძლება მიგვეჩნია. მაგრამ, როცა ისინი ქვის სამარხების გვერდით VII ს-შიც განაგრძობენ არსებობას, ბუნებრივია, ეჭვს იწვევს მათი გარდამავალ ტიპად მიჩნევის შესაძლებლობა (ნ. აფხაზავა). ამგვარ სამარხებში შერწყმულია ორმოსამარხებისა და ქვის სამარხების ელემენტები (დასაკრძალავი ორმო, ქვის ფილებით გადახურვა), რაც იწვევს ცდუნებას, ისინი ორმოსამარხებიდან ქვის სამარხებზე გარდამავალ ტიპად მივიჩნიოთ. სინამდვილეში, ისინი ჩვეულებრივი ორმოსამარხებია, რომლებიც ქვის ფილებითაა გადახურული. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში თითო მიცვალებულია დაკრძალული. ქვის ფილებით გადახურულმა ორმოსამარხებმა, ქვის სამარხების გვერდით დიდხანს იარსება. ამავე რიგის სამარხებს უნდა მივაკუთვნოთ ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხები.<sup>63</sup>

ქვის სამარხები კავკასიაში უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი, მაგრამ ამ ტიპის სამარხებმა ყველაზე ფართო გავრცელება ქრისტიანულ ხანაში ჰპოვა. ქვის სამარხებმა IV

<sup>63</sup> ადრეული შუასაუკუნეების სამარხთა ძალზე იშვიათ ტიპს წარმოადგენს ხის ძელებით შედგენილი სამარხები, რომლებიც აღმოჩნდილია რუსთავის სამაროვანზე.

ს-დან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, როგორც შედარებით მარტივად ასაგებმა და საოჯახო სამარხისათვის ყველაზე მოხერხებულმა ნაგებობამ. შუასაუკუნეების ქვის სამარხები ძირითადად საოჯახო-საგვარეულო სამარხებია (ტაბ. I<sub>5-8</sub>). თავდაპირველად, მიწაში ითხრებოდა სწორკუთხა მოყვანილობის ორმო, რომელშიც შემდგომ ქვის სამარხი იმართებოდა. სამარხებისთვის გამოყენებულია ისეთი ჯიშის ქვები, რომლებიც ადგილობრივად მოიპოვებოდა. სამარხის გრძივი და განივი კედლები იგებოდა ქვის ბრტყელი ფილებით. სამარხის ქვები, როგორც წესი, არ გამოირჩევა გულმოდგინე დამუშავებით. თუმცა, ზოგჯერ ქვები მეტ-ნაკლებად გათლილია. გრძივი კედლები ერთი, ორი ან რამდენიმე ქვისაგან შედგებოდა. განივი კედლები უმეტესად ერთი ფილით იგებოდა. გვხვდება სამარხის ორი და მეტი ფილით შედგენილი განივი კედლებიც. სამარხთა სახურავები უპირატესად ბრტყელია, იშვიათად – ორფერდა. ფილებს შორის დარჩენილი თავისუფალი ადგილები შევსებულია წვრილი ქვებით ან თიხამიწით. იშვიათად კი კირხსნარითაა ამოლესილი. გვერდით ფილებს სიმაგრისათვის ზოგჯერ ძირზე გარედან ჩასობილი აქვს მოგრძო ქვები. სამარხების იატაკი მიწატკებნილია ან ქვის ფილებითაა მოგებული. გეგმით სამარხები, როგორც წესი სწორკუთხაა. თუმცა, გამონაკლისის სახით გვხვდება ბიკონუსური გეგმის (შუაში შევიწროებული) სამარხებიც (დაღეთის სამაროვანი) (ტაბ. I<sub>7-8</sub>). ზოგჯერ სამარხებთან ფიქსირდება სანიშნე ქვები (ახალი არმაზი), რომლებზეც იშვიათად წარწერები – ეპიტაფიებია (მცხეთა, ვაშლაჯვარა, რუსთავი) (ტაბ. II<sub>6</sub>).

ქვის სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულთა რაოდენობა ერთი, ორი ან რამდენიმეა. ზოგიერთ სამარხში 15-16 მიცვალებულის ძვლებიცაა მიკვლეული. ასეთ შემთხვევაში დაკრძალვის წესის დადგენა ხერხდება ბოლო მიცვალებულის მიხედვით. დანარჩენი ძვლები, მიხვეტილია სამარხის კედლებთან ან კუთხებში. თუ სამარხი დაკრძალულთა რაოდენობას ვეღარ იტევდა, ხდებოდა ძვლების გადმოსვენება სამარხთან ახლოს გათხრილ ორმოში (დაღეთი, ბეთანია). ამის შემდეგ, კვლავ განაგრძობდნენ ქვის სამარხში მიცვალებულთა დაკრძალვას (ტაბ. I<sub>5</sub>). ადრეული შუასაუკუნეების ქვის სამარხებში მიცვალებულები ძირითადად დაკრძალულია ქრისტიანულად – ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. იმავე პერიოდის სამარხებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვხვდება მიცვალებულის მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დაკრძალვის ფაქტებიც. საკმაოდ ხშირად ერთ სამარხში ფიქსირდება მიცვალებულთა როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული წესით დაკრძალვა.

**ამოშენებულკედლებიანი სამარხები** ქვის სამარხების თავისებური სახეა. ის გეგმით მოგრძო სწორკუთხედია. მის ასაგებად მიწაში ამოიღებდნენ ორმოს. შემდგომ ორმოს კედლების გასწვრივ ფლეთილი ქვებით ოთხ-ხუთ რიგად შენდებოდა სამარხის კედლები. სამარხები იხურებოდა ბრტყელი ქვის ფილებით (ტაბ. I<sub>9</sub>). მასში იკრძალებოდა რამდენიმე მიცვალებული. ამდენად, სამარხის ეს ტიპი ქვის სამარხებივით, მრავალჯერადი გამოყენებისაა.

ადრეული შუასაუკუნეების ამოშენებულკედლებიანი სამარხები გვხვდება არმაზისხევში, მარტაზისხევში, სამთავროში, კართანას (ფშავის არაგვის ხეობა) სამაროვანზე და სხვ.<sup>64</sup>

**სარკოფაგი** წარმოადგენს მასიურ ქვაში ამოკვეთილ სწორკუთხა მოყვანილობის სამარხს, რომელსაც თაგზე მჭიდროდ ეფარებოდა ასევე ქვაში გამოკვეთილი ორფერდა ან ბრტყელი სახურავი. ამგვარი სამარხები ჩვენში ჯერ კიდევ გვიანანტიკურ ხანაში ჩნდება და ადრეულ შუასაუკუნეებშიცაა გავრცელებული. ჩვენთვის საინტერესო ხანის ქვის სარკოფაგები ცნობილია: ბოლნისიდან, ურბნისიდან, სვეტიცხოვლის ტაძრიდან, ანჩისხატიდან, ნიქოზიდან, სადგერიდან, დიღმიდან, კავთისხევიდან, შულავერიდან, ბალიჭიდან და სხვ. საქართველოში სამ ათეულზე მეტი ქვის სარკოფაგია აღმოჩენილი. იმის გამო, რომ სარკოფაგთა უმეტესობა შემთხვევითა აღმოჩენილი და თანაც მათი აბსოლუტური უმრავლესობა გაძარცულია, მნელდება ადრეული შუასაუკუნეების სარკოფაგების კონკრეტული თარიღების განსაზღვრა. ამ მხრივ გამონაკლისს ბალიჭის, რუსთავისა და იაფუბლოს სარკოფაგები წარმოადგენს.

**ბალიჭის** სარკოფაგი აღმოჩნდა 1971 წელს სარკოფაგი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასზე არის ქართული ასომთავრული წარწერა – „უძველესი ეპიტაფია – „იესეს სული, ქრისტე მოიქსენე“. სარკოფაგის სიგრძეა 2,15 მ. სახურავი ორფერდა, წითელი ტუფის. ქვედა ნაწილი კი მომწვანო ქვიშაქვისაა. მასში აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, გულ-ხელდაკრეფილი მიცვალებულის ჩონჩხი, თავით დასავლეთით. მიცვალებულს მარჯვენა ხელზე ეკეთა ცისფერი მინისთვლიანი ოქროს ბეჭედი, ხოლო გულმკერდის არეში პქნდა ოქროს საკინძისთავი, შემქული ცისფერი თვლით (ტაბ. I<sub>10</sub>). განსხვავებული მოსაზრებით, სარკოფაგში ორი მიცვალებულის ცუდად შემონახული ჩონჩხი დასტურდება. სარკოფაგი თარიღდება VI-VII სს-ით.

**რუსთავის** სარკოფაგები აღმოჩნდა 1986 წელს ნაქალაქარის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანზე, V-VI სს-ის ეკლესიის სიახლოვეს. ისინი გამოკვეთილია ქვიშაქვაში. შედგება ჩასასვენებლისა და ორფერდა სახურავისგან, რომელიც შიგნიდან კამარისებურადაა ამოკვეთილი. ორივე ნაწილი მასიური ერთიანი ქვებისგანაა დამზადებული. ჩასასვენებელი ბოლოში ვიწროვდება. სახურავის უკეთ მორგების მიზნით მათ პირზე ნარიბანდები აქვთ ამოჭრილი. ძირზე, ცენტრში ერთ ღერძზე განლაგებულია თანაბარი დიამეტრის 3 საწრეტი ნახვრეტი. ნახვრეტების პირზე, ოთხმხრივად, ჯვრისებურად სადინარი ღარებია ამოჭრილი. №1 სარკოფაგის სახურავზე ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი, მცირედ წაგრძელებული ფეხით (ტაბ. II<sub>1</sub>). №2 სარკოფაგს ტოლმკლავა ჯვარი ამოკაწრული აქვს ჩასასვენებლის კედელზე (ტაბ. II<sub>2</sub>). სარკოფაგების სიგრძეა 2,2-2,4 მ, სიმაღლე 80 სმ. რუსთავის სარკოფაგებში დაკრძალული იყვნენ ქალები. მიცვალებულები ესვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი. მიცვალებულებს ემოსათ შალის ქსოვილის გრძელი კაბა და გახვეულები იყვნენ სელის სუდარაში. მიუხედავად იმისა, რომ სარკოფაგები აშკარად ქრისტიანულია (მათზე ჯვრებია გამოსახული), მიცვალებულები ესვენა წარმართული წესით. პირველ სარკოფაგში მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით დასავლეთით,

<sup>64</sup> ფართო გავრცელება მიიღო ამოშენებულკედლებიანმა სამარხებმა განვითარებულ შუასაუკუნეებში, განსაკუთრებით არაგვისა (უინგოლის ნაქალაქარის სამაროვანი) და ივრის ხეობებში (სიონის სამაროვანი).

იდაყვებში მოხრილი ზელებითა და სახის წინ დაკრეფილი მტევნებით (ტაბ. II<sub>1</sub>); მეორე მიცვალებული ესვენა ე. წ. „გედრების“ პოზაში (ტაბ. II<sub>2</sub>). გარდაცვლილებს ინვენტარი არ ახლდათ. №2 სარკოფაგში შემორჩენილი იყო აბრეშუმის სამოსის გულისპირის დეტალი (ტაბ. II<sub>3</sub>). ადრექრისტიანული ხანის სამაროვნებზე ხშირად ვხვდებით წარმართული წესით დაკრძალულ მიცვალებულებს, მაგრამ მნელი დასაჯერებელია, რომ წარმართები დაეკრძალათ ჯვრიან სარკოფაგებში, თანაც ეკლესიის შემოგარენში. ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა იგულისხმება წარმართულ ტრადიციებში – აღმსარებლობა თუ მხოლოდ დაკრძალვის ფორმა? როგორც ჩანს, ადრეულ შუასაუკუნეებში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ქრისტიანული დაკრძალვის წესები მკაცრად კანონიზირებული და ქრისტიანთა ზოგჯერ წარმართული წესით დაკრძალვა ქრისტიანული რიტუალის დიდ დარღვევად არ ითვლებოდა. ფიქრობენ, რომ ქრისტიანულად დაკრძალვის წესების საბოლოო ჩამოყალიბებამდე, როგორც ჩანს, არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიცვალებულის დამზრობას აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, თავით დასავლეთით და არა პოზას. სავარაუდოდ, რუსთავის სარკოფაგებში დაკრძალული უნდა ყოფილიყვნენ ქალაქისა თუ საერისთავოს მმართველი წრის ოჯახის წევრები – ქართლის სამეფო გვარის რევიანი უფლისწულების შთამომავლები. რუსთავის სარკოფაგები თარიღდება VII-VIII სს-ით.

1981 წელს დმანისის რაიონული ცენტრიდან დასავლეთით 2 კმ-ში, სოფ. იაფუბლოში ერთ-ერთი მოსახლის ეზოში აღმოჩნდა ქვის სარკოფაგი (სიგრძე 2,05 მ, სიგანე 0,73 მ), რომელიც მიწით იყო ამოვსებული. გაწმენდამდე ცხადი გახდა, რომ ის გაძარცვული უნდა ყოფილიყო. სარკოფაგის სახურავი ფორმით ნახევარცილინდრულია, მაშინ, როცა სხვა ცნობილი სარკოფაგების სახურავები ბრტყელი ან ორფერდა. სახურავის ქვედა ნაწილი ბრტყელია და მასზე ამოკვეთილია მედალინები ჩასმული „ბოლნური ჯვარი“ ისე, რომ ჯვრის გამოსახულება ზემოდან დაჰყურებდა მიცვალებულის სახეს (ტაბ. I<sub>11</sub>). სარკოფაგის ორივე ნაწილი გულდასმითაა გათლილი და ისინი ერთმანეთში მჭიდროდაა ჩამჯდარი. სარკოფაგში აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ძვლები. მათგან ადრე დაკრძალულის ძვლები მეორე მიცვალებულის ფეხებთან იყო მიხვეტილი. მეორე მიცვალებული ქრისტიანულადაა დაკრძალული. თუმცა, მძარცველებს მისი ძვლებიც ერთმანეთში აურევიათ. სარკოფაგი თარიღდება V-VII სს-ით. აღსანიშნავია, რომ ვარდისფერი ტუფი, რომლითაც სარკოფაგია დამზადებული, მხოლოდ 40 კმ-ის დაშორებით მოიპოვება. ცხადია, ამ სარკოფაგში შეძლებული პირები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი.

**აფხაზეთში** აღმოჩნდია ქვის 4 სარკოფაგი. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოხუმისა და ბიჭვინთის სარკოფაგები, რომლებიც ე. წ. ანთროპომორფულ სარკოფაგთა სახეობას მიეკუთვნება. სოხუმის სარკოფაგის სახურავს გაუყვება გრძივი ქედი. სარკოფაგის ზომები: სიგრძე 2,1 მ, სიგანე თავში 0,68 მ, ბოლოში – 0,40 მ. (ტაბ. II<sub>4</sub>). ის აღმოჩნდა 1954 წელს მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, წითელ ხიდთან, ეკლესიის ნანგრევებთან.

ბიჭვინთის სარკოფაგის სახურავი ორფერდა. სარკოფაგის ზომები: შიდა სიგრძე 2 მ, სიგანე 0,40 მ, კედლის სიმაღლე 0,30 მ. (ტაბ. II<sub>5</sub>). აღმოჩნდა 1980 წელს ბიჭვინთის საკათედრო ტაძრიდან (IX ს.) 30 მ-ის დაშორებით მდებარე ადრექრისტიანული ხანის

ტაძარში გამოვლენილ უინგენტარო კრამიტსამარხებს შორის. სარკოფაგები თარიღდება VI ს-ით. საქართველოში სხვაგან ანთროპომორფული სარკოფაგები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

თიხის სარკოფაგები ადრეული შუასაუკუნეების ადრეულ ეტაპზე არცთუ იშვიათად გვხვდება. ყველაზე მეტად ის უფრო შიდა ქართლშია გავრცელებული, თუმცა გვხვდება სხვა რეგიონებშიც (მაგ. თელავთან, სოფ. შალაურის მახლობლად – ნასოფლარი მარკანი). ისინი წარმოადგენს მოგრძო ოვალს, რომელთაც ზემოდან ეფარა ბრტყელი სახურავები. სახურავების კიდეები გადაკეცილია და კარგად ერგება სარკოფაგს. მარკანის სარკოფაგს ორფერდა სახურავი ჰქონია. სარკოფაგების ფსკერზე დატანებულია 8-10 ნახვრეტი, რომელთა დანიშნულება სავსებით გასაგებია, მიცვალებულის გახრწნის პროცესში გამოყოფილი სითხე სწორედ ამ ნახვრეტებიდან უნდა გასულიყო გარეთ. სარკოფაგები მზადდებოდა მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ისინი არათანაბრადაა გამომწვარი (ტაბ. III<sub>1-4</sub>). სარკოფაგები იდგმებოდა მოგრძო ორმოში, რომელიც შემდგომ იფარებოდა ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ხის ძელებით. რუსთავის ერთ-ერთ სამაროვანზე სარკოფაგები ზოგჯერ ქვის სამარხში იყო მოქცეული (ტაბ. III<sub>3-4</sub>). ასეთივე ვითარება დასტურდება სამთავროსა და ზოგიერთ სხვა სამაროვანზე.

თიხის სარკოფაგებში გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და კოლექტიური დაკრძალვა. მაგ. რიყიანების ველის (სოფ. აღაიანთან) IV ს-ის ერთ-ერთ სარკოფაგში მამაკაცი დაკრძალული იყო გვერდზე მწოლიარე ანუ წარმართული წესით. მის გვერდზე აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული დედაკაცი. თიხის სარკოფაგები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები ძირითადად IV-VI სს-ში ექცევა, გამოვლენილია სხვადასხვა პუნქტებში: მცხეთაში, საგურამოში, ურბნისში, ბორჯომის ხეობაში, რუსთავში, ატენში, ქსოვრისში, ახალგორში და სხვ.

ადრეული შუასაუკუნეების სამარხთა ტიპებს შორის ცალკე უნდა გამოიყოს ჩვენში არცთუ ფართოდ გავრცელებული კატაკომბური ტიპის სამარხები. კატაკომბური სამარხები, აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, ცნობილია: იტალიიდან, ჩრდილოეთ აფრიკიდან, წინა აზიიდან, ბალკანეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან.

კატაკომბური სამარხები ორ ადგილასაა მიკვლეული – აღაიანში და უინგალში. აღაიანის სამარხებისთვის მიწაში იჭრებოდა დაახ. 1 მ სიღრმის ორმო. ორმოს ჩრდილოეთი ჭრილის ძირის გაყოლებაზე ითხრებოდა დამატებითი ორმო, რომელშიც მიცვალებულს ასვენებდნენ. ღიად დარჩენილ გვერდზე თავ-ბოლოშექცევით აფარებდნენ ბრტყელ კრამიტებს ან ქვებს – 3-6 ცალს (ტაბ. III<sub>5</sub>). შემდეგ ორმოს მიწით ავსებდნენ. სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ყველა მათგანი ინდივიდუალურია, დაკრძალვის პოზა კი სხვადასხვაა. სამარხები ძირითადად უინგენტარო ან მცირეინვენტარიანია. ერთ-ერთ ასეთ სამარხში მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, მოკეცილი ფეხებით. ერთი ხელი ედო გულმკერდის არეში, მეორე – ტანის გასწვრივ. სანელსაცხებლის მიხედვით, სამარხი IV ს-ით თარიღდება (ა. ბორჩაძე).

უინგალის სამაროვანზე გაითხარა 51 კატაკომბა (ვ. ჩიხლაძე). მათ გასამართად ამოდებულია წრიული ან იშვიათად, ოთხგუთხა თხრილი, რომლის დასავლეთ ჭრილში

გამოთხრილია დასაკრძალავი კამერა. კამერის შესასვლელზე მიფარებულია რამდენიმე ბრტყელი ქვა (ტაბ. III<sub>6</sub>). ყველა დასაკრძალავი კამერა მეტ-ნაკლებად ოვალური ფორმისაა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო წრიული. კამერის ზედა ნაწილი თაღოვნია. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა კატაკომბა წარმოადგენდა საოჯახო განსასვენებელს. მათში ორიდან ათამდე მიცვალებულია დაკრძალული. დაკრძალვის წესი უმტესად ქრისტიანულია. თუმცა, გვხვდება კიდურებმოკეცილი მიცვალებულებიც. ეს უკანასკნელი ყველა ქალი იყო. კატაკომბები თითქმის ყველა ინვენტარიანია. მათში აღმოჩნდა 300-ზე მეტი ნივთი: რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და მინის ბეჭდები; რკინის სამაჯურები; საფურულები; მძივები; რკინის დანა; ბრინჯაოს ნემსები; საკინძი; ავგაროზები (განვრეტილი კბილი, ბრინჯაოს საავგაროზე) (ტაბ. III<sub>7</sub>). აღსანიშნავია, რომ კატაკომბებში არ აღმოჩენილა ტანსაცმელთან დაკავშირებული არც ერთი ნივთი: აბზინდა, ბალთა, მშვილდსაკინძი, ღილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კატაკომბებში დაკრძალული მიცვალებულები ჩაუცმელადაა შესუდვრული. მხოლოდ ერთ კატაკომბაში გამოვლინდა საკინძები და როგორც ჩანს, ისინიც სუდარის შესაკინძად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

როგორც ფიქრობენ, კატაკომბებში მიკვლეული თავის ქალები ანთროპოლოგიურად არ განსხვავდება უინვალის თანადროულ ქვის სამარხებსა თუ ორმოსამარხებში აღმოჩენილი თავის ქალებისაგან. ამდენად, კატაკომბები თითქოს არ უნდა იყოს უცხო ტომის წარმომადგენელთა სამარხები. საქმე ისაა, რომ კატაკომბები ძალზე გავრცელებულია ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ალანურ კულტურაში. მაგრამ უინვალის კატაკომბები მათთან ნაკლებად ჩანს დაკავშირებული.

**აკლდამები** ადრეული შუასაუკუნეების სამარხთა ერთ-ერთ საინტერესო ტიპს წარმოადგენს. „აკლდამა“ (კომპოზიტია: „ჰაკელ“ - „ველი“, „დამ“ - „სისხლი“) ანუ „ველი სისხლისა“ ახ. წ. დასაწყისში არამეულ სამყაროში წარმოშობილი სიტყვაა და ქრისტეს სახელთან – ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სამარხი ნაგებობის გარკვეული ტიპის აღმნიშვნელი ტერმინი „აკლდამა“, სწორედ პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის შვილების რევისა და ბაქარის სახელებთან მიმართებაში ჩნდება: „მოკუდა რევ... და დაფლეს აკლდამასვე, რომელი თვთ მასვე რევს აღეშენა“ [ქც 1955:129 6-8]. იმავე აკლდამაში დაუკრძალავთ რევის მმა მეფე ბაქარი: „მოკუდა (ბაქარ) და დაფლა მმასავე თვსესა თანა“ [ქც 1955:131 10-11]. მაშასადამე, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პირველივე ზანებიდან სამარხის განსხვავებული ტიპი – აკლდამა, მკვიდრდება, როგორც მორწმუნე ქრისტიანების დასაკრძალავად განკუთვნილი სამარხი ნაგებობა. თუმცა, რა თქმა უნდა, მორწმუნები ჩვეულებრივ სხვა ტიპის სამარხებშიც იმარხებოდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი აკლდამების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. ისინი ჩნდება ადრეულ შუასაუკუნეებში<sup>65</sup> და გვიანდელ შუასაუკუნეებამდე

<sup>65</sup> უფრო ადრე ჩვენში მავზოლეუმის ტიპის აკლდამაც ჩნდება. მხედველობაში გვაქვს მცხეთის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილი ახ. წ. I ს-ის აკლდამა [ლომთათიძე გ., ციციშვილი ი. ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, სმეხ, ტ. XII, №10, 1951, გვ. 641-648].

განაგრძობენ არსებობას გარკვეული სახეცვლილებებით. თავისი არქიტექტურით გამორჩეულ ადრეულ აკლდამებს შორის უნდა დავასახელოთ: ხორნაბუჯის, სიონის, წილკნისა და ძალისას აკლდამები.

1. 1938-39 წლებში სტ. მენთეშაშვილის მიერ ხორნაბუჯის მახლობლად, ყოდოთოს ხევში მიკვლეულ იქნა რიყის ქვით ნაგები 10 აკლდამა. ისინი წარმოადგენენ 5-7 მ სიგრძის მიწისქვეშა ნაგებობებს საფეხურებიანი კიბით, კამაროვანი კარით, შესასვლელი დერეფნითა და თაღით გადახურული სამარხი კამერით (ტაბ. IV<sub>1</sub>). შიდა დეტალებით ისინი ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდებიან. ყველა მათგანი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. აკლდამები ადრევე გაუძარცვავთ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ბრინჯაოს სამაჯურმა, მშვილდსაკინძის ნატეხებმა, მძივებმა (ტაბ. IV<sub>2</sub>). ისინი VI-VIII სს-ით თარიღდება. დაკრძალვის წესის დადგენას აფერზებს აკლდამაში შემორჩენილი ძვლებისა და ინვენტარის ხელყოფა. ერთ-ერთ გაუძარცვავ აკლდამაში, ორი მიცვალებული დაკრძალულია თავით დასავლეთით, ოდნავ მოხრილ პოზაში, ერთმანეთის პირისპირ, საცხედრებზე. ერთი მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა გვერდზე. მათ ფერხთით ესვენა ბავშვის ჩონჩხი.

სტ. მენთეშაშვილმა იმავე ექსპედიციის დროს, ხორნაბუჯიდან ორიოდე კმ-ის დაშორებით, ძველი ანაგის მიღამოებში მოინახულა ჯერ კიდევ 1925 წელს შემთხვევით აღმოჩენილი აკლდამა, რომელიც ნაგები ყოფილა კარგად გათლილი ქვებით. აკლდამა გაძარცვული იყო. ნაძარცვი ნივთები კი მოსახლეობაში გამნეული. მიუხედავად სტ. მენთეშაშვილის და გ. გოზალიშვილის დიდი მცდელობისა, მოსახლეობას ნაძარცვი ნივთების მხოლოდ ნაწილი გადაუცია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. ეს ნივთებია: ოქროს ბალთები, ოქროს საკინძი, სარდიონის ბეჭედი და სხვ. (ტაბ. IV<sub>3-6</sub>). ერთ-ერთ ბალთაზე ოქროს მავთულით გამოყვანილია მამაკაცის პორტრეტი (ტაბ. IV<sub>5</sub>), დანარჩენებზე – მცენარეული მოტივი (ტაბ. IV<sub>6</sub>). ბალთები თარიღდება V-VII სს-ით. მათ ეტყობა ირანული ხელოვნების გავლენის პვალი. თუმცა, ჩანს, რომ ადგილობრივაა დამზადებული. ამ ნივთებიდან საინტერესოა ბრინჯაოს საკინძი შემკული ოქროს გარსაკრავით, ლურჯი და მწვანე თვლით (ტაბ. IV<sub>4</sub>). ამგვარი საკინძები თარიღდება VI-VII სს-ით. ძველი ანაგის აკლდამა თავისი მშენებლობის მაღალი დონითა და სამარხეული ინვენტარით, აშკარად გამოირჩევა ხორნაბუჯის აკლდამებისაგან და ის უთუოდ ეკუთვნოდა საზოგადოებაში დიდად დაწინაურებულ ოჯახს.

2. სიონის აკლდამა აღმოჩნდა 1962 წელს ივრის სიონის V ს-ის ეკლესიისა და მის გარშემო არსებული სამაროვნის გათხრებისას. აკლდამა მდებარეობდა ეკლესიის აღმოსავლეთით 4,5 მ-ის დაშორებით. აკლდამა მთლიანად აშენებული იყო ხელოვნურად ამოღებულ ქვაბულში. ნაგებია შირიმის ქვათლილებით.<sup>66</sup> აქვს დასაკრძალავი კამერა და აღმოსავლეთი მხრიდან შესასვლელი ტალანი (ტაბ. IV<sub>7</sub>). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. აკლდამის თაღოვანი გადახურვის მქონე კამერა გეგმით ოთხკუთხაა (3,7x3,45 მ). კამერის კედლები, გარდა აღმოსავლეთისა, საღა და ყრუა.

<sup>66</sup> ეკლესიაცა და აკლდამაც გაღმოტანილია თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში.

სამსაფეხურიან შირიმის კიბეს ჩავყავართ აკლდამის ტალანში. კარი, როგორც ჩანს, იკეტებოდა საგანგებოდ გათლილი შირიმისავე დიდი ქვით, რომელიც, სხვათა შორის, გათხრებისას თავის ადგილზე იდო, მიუხედავად აკლდამის არაერთი გაძარცვისა. ტალანს აქვს თაღიანი სახურავი. ტალანის კედლები ისევე, როგორც დასაკრძალავი კამერის კედლები, ნაგებია ქვების არაპორიზონტული რიგებით, ვიდრე იმ სიმაღლემდე, საიდანაც თაღის გადაყვანა იწყება. როგორც კი გვერდითი კედლები თაღში გადადის, ქვების რიგებიც პორიზონტულადაა დაწყობილი. ტალანის ბოლოს დასაკრძალავ კამერაში შესასვლელი ოთხკუთხა კარია, საიდანაც სამი კიბის მეშვეობით კამერაში ჩავდივართ. კამერის იატაკი შირიმის ფილებითაა მოგებული. კამერის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე მიშენებულია მიცვალებულთა დასასვენებლები – საცხედრები. ისინი შუა ნაწილში ჩასმული გრძელი ბორდიურით გაყოფილია ორ ნაწილად ისე, რომ საცხედრებზე სულ ცოტა 4 მიცვალებულის ერთდროულად დასვენება შეიძლებოდა. საცხედრებზე ესვენა აკლდამაში ყველაზე ბოლოს დაკრძალულ მიცვალებულთა ძვლები. დანარჩენი ძვლები მიხვეტილი იყო საცხედრებსა და აკლდამის დასაკლეთ კედელს შორის დარჩენილ სიცარიელეში, რომელიც საძვალის ფუნქციას ასრულებდა. თავის ქალების მიხედვით, აკლდამაში 40 მიცვალებულის ძვლები დაფიქსირდა. მათგან 4 ბავშვის იყო.

აკლდამაში ინვენტარის არცოუ დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შუასაუკუნეებში მიცვალებულებს ნაკლებად ატანდნენ ნივთებს. მეორეც, აკლდამა მრავალჯერ იყო გაძარცვული. აკლდამის ინვენტარიდან აღსანიშნავია, თიხის მოუჭიქვი ჯამი, ამოკაწრული სგასტიკის გამოსახულებით და ჯამები, რომელთა შიშველი ზედაპირი მოხატულია თეთრი ანგობით (ტაბ. IV<sub>8</sub>), აგრეთვე რამდენიმე ვერცხლის ბეჭედი, სამაჯური და ბრინჯაოს ღილები. იქვე აღმოჩნდა ქართლის მეფის, კონსტანტინე II-ის (1478-1505) ვერცხლის მონეტა. მთელი ეს ინვენტარი იმის მაუწყებელია, რომ აკლდამა დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა და გვიანდელ შუასაუკუნეებშიც ინტენსიურად ყოფილა გამოყენებული. იქ არაფერი აღმოჩნდა ადრეული შუასაუკუნეებისა, თუმცა საკუთრივ აკლდამის არქიტექტურა, მისი სიახლოეს ყოლოთოს ადრეული შუასაუკუნეების აკლდამებთან და სხვა მონაცემები, ძეგლის შემსწავლელს, რ. რამიშვილს აფიქრებინებდა, რომ აკლდამა ეპლესიის აგებიდან არცოუ დიდი ხნის შემდეგ უნდა აეგოთ, კერძოდ VI ს-ში მაინც. აკლდამა ეკუთვნოდა იმ სოციალურ ფენას, რომელიც სათავეში უდგა ქვეწის ფეოდალიზაციის პროცესს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აკლდამა „უალეთის“ ქვეწის დიდებული ოჯახის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

3. წილკნის აკლდამა აღმოჩნდა 1979 წელს წილკნის ცნობილი ტაძრიდან 1,5 კმ-ის დაშორებით. შედგება გეგმით ოთხკუთხა მოყვანილობის დასაკრძალავი სენაკისა და აღმოსავლეთიდან მიშენებული დრომოსისაგან (საერთო სიგრძე 10 მ). ნაგებია მოყვითალო ქვიშაქვის ქვათლილებით და ჩადგმულია საგანგებოდ ამოთხრილ ქვაბულში. დასაკრძალავი სენაკის ზომებია – 3,45x3,25x2,88 მ. აკლდამა გადაზურულია თაღით (ტაბ. V<sub>1</sub>). აღმოსავლეთიდან სენაკს აქვს 13 საფეხურიანი ჩასასვლელი კიბე. დასაკრძალავი კამერის

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე მიშენებული იყო მიცვალებულთა დასასვენებელი სარეცლები. აკლდამაში აღმოჩნდა 18-დან 65 წლამდე ასაკის 8 მიცვალებულის ჩონჩხი.

საყურადღებოა, რომ აკლდამის კედლებზე წითელი და შავი საღებავით შესრულებულია ბერძნული წარწერა: „მე ტიკასმა ეს აკლდამა თლილი ქვებისაგან ჩვენთვის. პაპრიუპასი (?), ისდიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ“. სახელები ირანული წარმოშობისა ჩანს და აშკარად გაბერძნულებული ფორმითაა გადმოცემული. პალეოგრაფიულად წარწერა IV-V სს-ით თარიღდება. თარიღს მხარს უჭერს აკლდამის აღნაგობა და მისი მსგავსება ძალისას, სიონის, ხორნაბუჯის აკლდამებთან. წილკნის აკლდამა თავისი არქიტექტურითა და სამშენებლო ხელოვნებით სრულყოფილი ნიმუშია და ლოგიკურად აგრძელებს წინა ეპოქებში ჩამოყალიბებულ მაღალგანვითარებული მშენებლობის ტრადიციებს. ბერძნული წარწერა და მათში მოხსენიებული პირები საშუალებას იძლევა გამოითქვას მოსაზრება, რომ დაკრძალულთა შორის იყვნენ ბერძენი ღვთისმსახურნი. გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ ქრისტეს სჯულზე მოქცეულმა მირიან მეფემ კონსტანტინე დიდისგან გამოითხოვა ეპლესის მშენებელნი და ღვთისმსახურნი.

**4. ძალისას აკლდამა ნაგებია ქვათლილებითა და კირხსნარით ხელოვნურად ამოჭრილ ხრეშიან ქვაბულში. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. გარე ზომები – 3,4x3,5 მ. აღმოსავლეთიდან აქვს დრომოსი. თაღი გადაყვანილია გათლილი ქვებით. დრომოსის კედლები აგებულია ქვათლილებით. მათზე ამოკვეთილია ოთხკუთხა გადასაბმელი ფოსოები. დრომოსი დახურულია ორი გათლილი ფილით. კარის ჩარჩოს ზედა ნაწილში გამოყვანილია ვარდული. დრომოსის იატაკის ერთი ნაწილი მოლესილი იყო კირხსნარით. ამის შემდეგ, დრომოსში ხუთსაფეხურიანი კიბე ფიქსირდება. მშენებლობაში მეორადი ქვებია გამოყენებული. იატაკი გათლილი ქვისაა. თაღი კედლისგან მომრგვალებული პროფილის კარნიზითაა გამოყოფილი. აკლდამას ჰქონია რკინით შეჭედილი ხის კარი. აკლდამის გრძივი კედლების გასწვრივ გამართულია ორი საცხედრე – სარეცელი (ტაბ. V<sub>2</sub>).**

აკლდამაში სამი მიცვალებული იყო დაკრძალული. სამხრეთის სარეცელზე დაუკრძალავთ ქალი (?), ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ეწყო ტანის გასწვრივ (ტაბ. V<sub>3</sub>). თავის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი საკინძი (ტაბ. V<sub>6</sub>). მეორე მიცვალებული, რომელიც მეორე სარეცელზე იწვა, ასევე ქრისტიანულადაა დაკრძალული (ტაბ. V<sub>4</sub>). მისთვის თიხის პატარა ჭრაქი ჩაუტანებიათ. მესამე მიცვალებული იატაკზე იწვა, ზურგზე გაშოტილი (ტაბ. V<sub>5</sub>). მისთვის ინვენტარი არ ჩაუყოლებიათ. მიცვალებულს ფეხებზე ეგდო აკლდამის კარი. აკლდამა თარიღდება IV-V სს-ით.

უკვე ნახსენები აკლდამების გარდა, ჩვენში განსაკუთრებით მთის რეგიონებში, ფართოდაა გავრცელებული ჩვეულებრივი სწორკუთხა აკლდამები, დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, მცირეოდენი გადახრებით. ისინი ნაგებია მეტ-ნაკლებად დამუშავებული ფიქალის, ქვიშაქვის ან ანდეზიტ-ბაზალტის ქვებით. წყობა მშრალია. ზოგჯერ წყობაში დუღაბიცაა გამოყენებული. სამარხები გადახურულია განივად გადებული ფიქალის ფილებით. სახურავის დასავლეთ ნაწილში მოწყობილია ოთხკუთხა ჩასასვლელი (ტაბ. V<sub>7</sub>). ცალკეული დეტალების მიხედვით, აკლდამები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგ.

გვხვდება: I. ვერტიკალური კედლების მქონე აკლდამები, რომელთაც ზოგჯერ დასავლეთ კედლელთან აქვთ საფეხურები, კედლიდან გამოშვერილი ფილების სახით; II. ვერტიკალურ კედლებიანი აკლდამები, რომელთა ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში ჩაშენებულია მიცვალებულის დასასვენებელი ფიქსლის თაროები. ამგვარი აკლდამები ფართოდაა გავრცელებული ფშავ-ზეგსურეთში, ხევში, მთიულეთში და ისინი ძირითადად VI-VIII სს-ით თარიღდება. ეს აკლდამებიც საოჯახო-საგვარეულო სამარხებია. მათში ძვლები უმეტეს შემთხვევაში ცუდადაა შემორჩენილი ან ერთმანეთშია არეულ-მიმოფანტული. სამარხებში დასტურდება 1-დან 15-მდე მიცვალებული. ისინი დაკრძალულია ქრისტიანული წესით – ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით.

ქრისტიანობის გავრცელებისა და ეპლესია-მონასტრების მშენებლობების კვალდაკვალ, ბერები თუ სხვა სასულიერო წოდების წარმომადგენლები იკრძალებოდნენ კრიპტებში, რომლებიც ეწყობოდა ეკლესიის სხვადასხვა ნაწილში, იატაკის ქვემოთ. გარდაცვლილის თავდაპირველი დაკრძალვა ხდებოდა კრიპტაში ცალკე არსებულ სამარხ ნაგებობაში. გარკვეული დროის შემდეგ მიცვალებულის ძვლებს გადაასვენებდნენ საერთო სამარხში – ძვალობრივი და ისიც მხოლოდ ტანსაცმლის ან სუდარის შესაკრავი აქსესუარი შეიძლება იყოს (საკინძი, აბზინდა, ღილი). ზოგჯერ სასულიერო პირებს ჩატანებული აქვთ სპილენძის ან ძვლის ჯვარი. კრიპტები მთელ ქრისტიანულ სამყაროშია ფართოდ გავრცელებული. ჩვენში ისინი გვხვდება: მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიაში, ძველ შუამთაში, იყალთოში, ჭერემში, სიონის ბაზილიკის მინაშენში, ნეკრესში, ოთხთა ეკლესიაში (ტაო-კლარჯეთი), მარტვილში, წუნდაში და მრავალ სხვა ადგილას. კრიპტებში დაკრძალვა მთელი შუასაუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

### ძირითადი ლიტერატურა

**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წ.წ. განათხარის მიხედვით, მცხეთა I, თბილისი, 1955.

**აფხაზავა 6.** ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი, 1979.

**აფხაზავა 6.** ადრეული შუა საუკუნეების სამარხები ცხვარიშვამიიდან, სსმმ, ტ. XXXVII-B, 1984, გვ. 159-166.

**აფხაზავა 6.** ქვემო აღევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბილისი, 1988.

**ბერძნიშვილი ი.** აფხაზეთის ანთროპომორფული სარკოფაგები, ძებანი, №17-18, 2006, გვ. 179-182.

**ბოხოჩაძე ა.** არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, თბილისი, 1981.

**ბოხოჩაძე ა., მირიანაშვილი 6.** ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია 1989-1990 წლებში, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, თბილისი, 2004, გვ. 104-109.

**გაგოშიძე ი.** ქრისტიანობა და წარმართობა IV-VI საუკუნეების შიდა ქართლში, ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი, საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2000, გვ. 27-28.

**კალანდაძე ალ.** ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმოშხილველი, ტ. I, თბილისი, 1949.


**კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ.** ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან, სსმმ, ტ. XXII-B, 1961, გვ. 97-121.

- კოპალიანი ჯ.** ქვის სარკოფაგი დმანისიდან, დმანისი III, თბილისი, 2001, გვ. 303-309.
- ლომთათიძე გ.** საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს, თბილისი, 1977.
- მამაიაშვილი ნ.** ქალაქი ჭერემი, თბილისი, 2004.
- მინდორაშვილი დ.** არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბილისი, 2005.
- მირიანაშვილი ნ.** თიხის სარკოფაგები აღაიანიდან, მაცნე №2, 1980, გვ. 74-86.
- მირიანაშვილი ნ.** მიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიდან, თბილისი, 1983.
- ნიკოლაიშვილი ვ.** ტუაქონორას სამაროვანი, მცხეთა II, თბილისი, 1978, გვ. 157-169.
- ნიკოლაიშვილი ვ.** ვაშლაჯვარას სამაროვანი, სას, ტ. II, თბილისი, 1978, გვ. 63-77.
- ნიკოლაიშვილი ვ.** დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, სას, ტ. III, თბილისი, 1985, გვ. 90-104.
- ნიკოლაიშვილი ვ.** წილქნის ადექტისტიანული ხანის აკლდამა, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბილისი, 2001, გვ. 79-81.
- პაჭიკაშვილი ნ.** რუსთავის სარკოფაგები, ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2000, გვ. 22-23.
- პაჭიკაშვილი ნ.** რუსთავში აღმოჩენილი ქვის სარკოფაგები, მმ, №2(109), 2000, გვ. 39-43.
- რამიშვილი რ.** სიონი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I, თბილისი, 1970.
- რამიშვილი რ.** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, თბილისი, 1983, გვ. 81-130.
- რჩეულიშვილი გ.** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1990.
- სინაურიძე მ.** აკლდამა ხორნაბუჯის მიდამოებიდან, მმ №9, 1967, გვ. 3-7.
- სინაურიძე მ.** ქიზიფის 1938-1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, სსმ, ტ. XXV-B, 1968, გვ. 47-86.
- სინაურიძე მ.** ბალიჭის ადრექტისტიანული ხანის სარკოფაგი, ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2000, გვ. 19-21.
- სინაურიძე მ.** კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1985.
- ტყეშელაშვილი ო.** ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან, სსმ, ტ. XIX-B, 1956, გვ. 255-280.
- ტყეშელაშვილი ო.** სამთავროს ახ. წ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, სსმ, ტ. XIX-A, და XXI-B, 1957, გვ. 149-163.
- ჩიხლაძე ვ.** სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე, ამ, თბილისი, 1977, გვ. 95-101.
- ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის კატაკომბები, პრეპრიონტი, თბილისი, 1990.
- წითლანაძე ლ., კახიძე ა., შატბერაშვილი ზ.** გიგასსათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა), ფსაძ, ტ. VI, 1998, გვ. 70-80.
- ჯაფარიძე ვ.** ბალიჭის სარკოფაგის ქართული ასომთავრული წარწერა, მაცნე, ისტორიის ... სერია, №2, 1972, გვ. 124-136.
- ჯორბენაძე ბ.** ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბილისი, 1982.
- ჯორბენაძე ბ.** არაგვის აუზის შუა საუკუნეთა ხანის სამაროვნები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისთავისადმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1996, გვ. 35-37.
- ჯორბენაძე ბ.** ადრეული შუა საუკუნეების სამარხი ნაგებობები და დაკრძალვის წესი აღმოსავლეთ საქართველოში, მიერანი, №3, 1999, გვ. 76-84.
- Бохочадзе А. В., Гозалишвили Г. С., Зантури А. Н.** Итоги работ настакисской экспедиции, ПАИ в 1987 году, Тбилиси, 1995, გვ. 110-113.

I




1-2. ორმოსამარხები, 3-4. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, 5-8. ქვის სამარხები (დაღეთი).



9. მარტაზისხევი.  
ამოშენებულკედლებიანი სამარხი.  
V-VII სს.

აფაქიძის მიხედვით




10. ბალიჭის სარკოფაგი და  
მასში აღმოჩენილი ნივთები




მ. სინაურიძის მიხედვით

11. დმანისი. სოფ. იაყუბლო.  
ქვის სარკოფაგი. V-VII სს.



კ. კოპალიანის მიხედვით



1





2



0 10 20 30 40 50

რუსთავის სარკოფაგები. VI-VII სს.

6. პაჭიკაშვილის მიხედვით




ქვის ანთროპომორფული სარკოფაგები

4. სოხუმი, 5. ბიჭვინთა. ი. ვორონოვის მიხედვით


6. საფლავის სტელები  
რუსთავის სხვადასხვა  
სამართვნიდან

6. პაჭიკაშვილის მიხედვით



თიხის სარკოფაგები. 1-2. საგურამო.  
ა. აფაქიძის მიხედვით


3-4. რუსთავი. მტკვრის მარჯვენა ნაპირი. IV-VI სს.  
ბ. პაჭიგაშვილის მიხედვით



7. ჟინვალის კატაკომბების არქეოლოგიური მასალა. IV-V სს.

8. ჩიხლაძის მიხედვით

IV



ეოდოთოს აკლდამები




ეოდოთოს ხევი. 1938-39 წწ.




ძველი ანაგა. 1925 წ.


ხტ. მენთეშაშვილის მიხედვით



გრძივი ჭრილი




გეგმა




განივი ჭრილები

სიონის აკლდამა



რ. რამიშვილის მიხედვით



## თავი IX სამართლები

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული შუასაუკუნეების არაერთი სამაროვანია გათხრილი. მათგან რამდენიმე მნიშვნელოვან სამაროვანზე უკვე ვისაუბრეთ შესაბამის ქალაქებთან ერთად (მცხეთა-სამთავრო, ურბნისისა და ჭერემის სამაროვნები). როგორც განხილული, ისე ქვემოთ წარმოდგენილი სამაროვნები, ინვენტარის მიხედვით, ძირითადად ერთგვაროვანი და ერთფეროვანია. თუმცა, ზოგჯერ დაკრძალვის რიტუალსა თუ სამარხეული ნივთების ხასიათში შეინიშნება განსხვავებული და საყურადღებო დეტალები. არტეფაქტების რაოდენობის მიხედვით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება მთისა და ბარის სამარხები. თუ ბარის სამარხებში ქრისტიანული სარწმუნოების ძლიერი გავლენის გამო ინვენტარი ნაკლებად გვხვდება და ისიც მხოლოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები და სამკაულებია, მთის სამაროვნები სამარხეული ინვენტარით გაცილებით უფრო „მდიდარია“. ამასთან, იქ კვლავ დიდხანსაა შემორჩენილი თიხის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია. ადრეული შუასაუკუნეების მრავალრიცხოვანი სამაროვნებიდან მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

\* \* \*

**§1. მცხეთისგორის სამაროვანი მდებარეობს მცხეთაში, მრევლიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩების ტერიტორიაზე. შესწავლილ იქნა 1979-80 წლებში მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიციის (ხელმძღ. ა. აფაქიძე) მიერ. ადრეული შუასაუკუნეების გახსნილი სამარხებიდან 32 ქვის სამარხია, 9 – ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. ზოგიერთი სამარხი შეუსწავლელი დარჩა, რადგან ისინი ნაგებობების ქვეშ იყო მოქცეული. სამარხების ნაწილი განლაგებული იყო ორ იარუსად. აღნაგობის მიხედვით ქვის სამარხებში გამოიჩინა:**

1. ბანურსახურავიანი;
2. ორფერდასახურავიანი;
3. ქვათლილებით ნაგები;
4. ამოშენებულკედლებიანი სამარხები.

ბანურსახურავიანი სამარხების ერთი ჯგუფი მკვიდრადაა ნაგები. გრძივი და განივი კედლები თითო ფილაქვისაგან შედგება. ქვები გულმოდგინედაა გათლილი. განივ ქვებზე ხშირად ნარიბანდებია ამოკვეთილი. იატაკი უმეტესად მიწატკეპნილია. ერთი სამარხის (№14) იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული. კედლების და სახურავის მჭიდროდ შეკავშირებისათვის ხშირად გამოყენებულია კირხსნარი და თიხა. სამარხების საშუალო შიდა ზომებია: 1,85x0,90x0,90 მ.

ორფერდასახურავიანი სამარხის (№6) მსგავსი საკრძალავები, ისევე, როგორც ბანურსახურავიანი სამარხები, მცხეთაში ჯერ კიდევ I-III სს-ში ჩნდება და არსებობას IV-V სს-შიც აგრძელებს. იშვიათ სახეობას წარმოადგენს ქვათლილებით ნაგები სამარხი (№11). ის მსგავსებას ამჟღავნებს სამთავროს სამაროვნის III-IV სს-ის კვადრებიან სამარხებთან (№416, 430, 485). მაგრამ მცხეთისგორის სამარხისაგან განსხვავებით სამთავროს კვადრებიანი სამარხები ნაგებია ელინისტური ხანის სამშენებლო მასალით ანუ იქ ქვიშაქვის კვადრების მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

IV ს-ის ბოლოს იწყებს გავრცელებას ამოშენებულკედლებიანი სამარხები. მცხეთისგორის სამარხს (№20) გრძივი და განივი კედლები ქვატეხილით ჰქონდათ ნაგები თიხაზე. ხოლო №53 სამარხში შემაკავშირებელ მასალად გამოყენებული იყო კირი. ყველა აღწერილი სამარხი ეკუთვნოდა ქვედა იარუსს.

ბანურსახურავიანი სამარხების მეორე ჯგუფი შედარებით ზერელედაა ნაგები. კედლები ხშირად გადაკერებულია, ხოლო ღია ადგილები წვრილი ქვითაა შევსებული. ქვები ცუდადაა გათლილი. სამარხების შიდა საშუალო ზომებია: 1,70x0,70x0,70 მ. სტრატიგრაფიულად ისინი ზედა იარუსს განეკუთვნებიან. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ფიქსირდება როგორც ქვედა, ისე ზედა იარუსის ქვის სამარხებთან ერთად.

ორივე იარუსის სამარხებში მიცვალებულები დაუსვენებიათ გულადმა გაშოტილი, თავით დასავლეთით, ხელების არაერთგვაროვანი განლაგებით. სამარხები ძირითადად საოჯახოა. მათში დაკრძალულია 1-6 მიცვალებული. 79 დაკრძალულიდან 30 მამაკაცია, 16 ქალი და 24 ბავშვი (დანარჩენ შემთხვევაში სქესის გარკვევა ვერ მოხერხდა).

სამარხების დიდი ნაწილი გაძარცვულია. ამის მიუხედავად სამარხებში მაინც შემორჩა საყურადღებო მასალა: ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები (ლილები, მშვილდსაკინძები); სამკაულები (საკინძები, ბეჭდები, საყურეები, მძივები); მინის სანელსაცხებლები და სხვ. (ტაბ. I<sub>1</sub>). ქვედა იარუსის სამარხები დათარიღებულია IV-V სს-ით, ზედა იარუსის – VI-VIII სს-ით.

\* \* \*

**§2. კარსნის ზევის სამაროვანი მდგბარეობს მცხეთიდან სამხრეთით 2,5 კმ-ის დაშორებით, თბილისისკენ მომავალ საავტომობილო გზასა და რკინიგზას შორის. 1925 წელს გზის ახალი ნაწილის გაყვანისას მშენებლებმა დაანგრიეს ქვის სამარხები, რომლებიც შეისწავლა გ. ნიორაძემ. მან იქ აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 20 ქვის სამარხი გათხარა (ტაბ. I<sub>2</sub>). სამარხები წარმოადგენდა საოჯახო დასაკრძალავებს. თუმცა, ზოგიერთში განსაკუთრებით ბავშვების სამარხებში, თითო მიცვალებული ესვენა. მიცვალებულები ქრისტიანულად იყვნენ დაკრძალული. უმეტესობას ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის კედლებთან იყო მიხვეტილი. ზოგჯერ სამარხებში ჩნდებოდა ქსოვილისა და ნახშირის კვალი.**

სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია რკინისა და ბრინჯაოს საკინძებით, რომელთა თავები შემცულია მარჯნის, სარდიონის, ალმანდინის მძივებით. ზოგიერთი მძივი ბროწეულის ყვავილის ფორმისაა. სამარხებში აგრეთვე აღმოჩნდა ბრინჯაოსა და ოქროს საყურეები; რკინის მშვილდსაკინძები; მაჯაზე ჩამოსაკიდებელი სარდიონის საბეჭდავი; ბრინჯაოს ბეჭდები და უუვნები; გიშრის, სარდიონის, ალმანდინის, მარჯნის, მინისა და სადაფის სხვადასხვა ფორმის მძივები. საინტერესოა №11 ქვის სამარხში აღმოჩნდილი რკინის სამფრთანი ისრისპირი (ტაბ. I<sub>2</sub>№11). მასალის მიხედვით გათხრილი სამარხები VI-VII სს-ით უნდა დათარიღდეს.

\* \* \*

**§3. ავჭალისკარის** სამაროვანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხნა ნაპირზე, ზაჰესის დასახლებაში, ბულაჩაურის წყალსადენის მახლობლად. 1983-84 წლებში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედმა ექსპლიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) ზემო ავჭალაში შეისწავლა 71 სამარხი, რომელთაგან 5 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია, 66 – ქვის ფილებით ნაგები სამარხი. სამარხებიდან 19 ნარიბანდიანი იყო. სამარხებში მიცვალებულთა რაოდენობა სხვადასხვაა – ერთიდან ექვსამდე. მიცვალებულები დაეკრძალათ ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, მცირეოდენი გადახრებით. ნივთები დადასტურდა 41 სამარხში. გამოიყო სამარხთა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი: 1. IV-V სს-ის ნარიბანდიანი სამარხები, სადაც აღმოჩნდა: ოქროსა და ვერცხლის გემიანი ბეჭდები, ქვის საბეჭდავები, მძივები, ოქროსა და ვერცხლის საყურები, სასაფეთქლე რგოლები; მძივებით შემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მინის სანელსაცხებლები და სხვ. 2. VI-VIII სს-ის სამარხებში გამოვლინდა: ბროწეულის ნაყოფის ფორმის მარჯნის მძივებით შემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მშვილდსაკინძები (მათ შორის ჭვინტიანი); ბრინჯაოსა და ვერცხლის საყურები, მძივები, აბზინდები, სამაჯურები; მინის სანელსაცხებლები, რკინის დანები, შუბისწვერები და სხვ. №67, 69 ქვის სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რაც უკვე იშვიათობა V-VI სს-ის სამარხეული ინვენტარისათვის (ტაბ. I<sub>3</sub>). უხვი ინვენტარით გამოირჩევა №2 ქვის სამარხი, რომელშიც გამოვლინდა: მოყვითალო მინის 5 სანელსაცხებლები; ბრინჯაოს საკინძი; ფიბულა; ოქროს საყურები; ოქროს ბეჭედი, რომლის გემა შემკულია სატირის გამოსახულებით; ნახევარსფეროსებრი საბეჭდავი არწივის გამოსახულებით.

\* \* \*

**§4. მუხათგვერდი I** მდებარეობს მცხეთის რ-ნში, მცხეთიდან 6 კმ-ის დაშორებით, სოფ. მუხათგვერდთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. სამაროვნის დიდი ნაწილი განადგურდა XIX ს-ის 70-ან წლებში ამიერკავკასიის რკინიგზისა და საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობისას. 1975-76 წლებში იქ გათხრებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის ექსპედიცია (ხელმძღ. ა. აფაქიძე). სამაროვანზე გამოვლინდა 74 სამარხი, რომელთაგან გაითხარა 33. მათგან 1 ორმოსამარხია, 2 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი, 30 ქვის სამარხი. ქვის სამარხები კონსტრუქციულად ერთგვაროვანია – ნაგებია ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული ფილებით და ასეთივე ფილებითაა გადახურული. სამარხებში ესვენა 1-4 მიცვალებული. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია – ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, მცირეოდენი გადახრებით. ქვის სამარხებში ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის კედლების გასწვრივ იყო მიხვეტილი. ორმოსამარხი ინდივიდუალურია. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებიდან ერთში 1, ხოლო მეორეში 2 მიცვალებული (მოზრდილი და ბავშვი) ესვენა, ორივე – გულალმა. ქვედა კიდურები მუხლებში ოდნავ მოხრილი ჰქონდათ. შესწავლილი 33 სამარხიდან 17 უინვენტაროა. დანარჩენ სამარხებში საკმაოდ მწირი ინვენტარი გამოვლინდა: რკინისა და ბრინჯაოს მთლიანადსხმული ან ძოწის, მარჯნის, ქარვის, გიშრის, მინისა თუ აღმანდინის თავებით შემკული საკინძები; ბრინჯაოს მახათი; სავარცხლისებური საკიდი; მინის, პასტის, სარდიონის,

ძოწის, გიშრის, ქარვისა თუ სხვ. მასალისაგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის მძივები; რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები; მშვილდსაკინძები; ბრინჯაოს უკვნები, აბზინდა, საყურები; ბრინჯაოს საბეჭდავი, რომლის პირზე გამოსახულია ფეხზე მდგომი ცხოველი; რკინის ჯაჭვი; დანები და სხვ. (ტაბ. I<sub>4</sub>). სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩნდა სარდიონის საბეჭდავი ფრინველის (მამლის?) გამოსახულებით. სამაროვანი თარიღდება VI-VIII სს-ით.

\* \* \*

**§5. დიღმის ხეობაში მიკვლეული ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებიდან მხოლოდ რამდენიმეა გათხრილი და ისიც ნაწილობრივ. ვაშლაჯვარას სამაროვანი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზასთან, დიღმისწყლის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ აღმართული ქედის ფერდზე და თხემზე. სამარხები ერთმანეთისაგან დაშორებულია 1-1,5 მ-ით. სულ გაითხარა 24 სამარხი (ვ. ნიკოლაიშვილი). სამაროვანზე გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ორი ტიპის სამარხები: ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები (6) და ქვის სამარხები (18). ცალკე უნდა აღინიშნოს №6 ქვის სამარხი, რომელზეც სტელა-ეპიტაფია (1,1x0,25x0,32 მ) ყოფილა აღმართული (ტაბ. I<sub>5</sub>). სტელაზე ასომთავრულით ამოკვეთილი იყო 5 ასო-ნიშანი ორ მწკრივად – „ის ქ ებ“. სტელა თარიღდება VI-VII სს-ით. ქვის სამარხები საოჯახო დასაკრძალავებია, მაგრამ გვხვდება ქვის სამარხები თითო მიცვალებულითაც. მიცვალებულები დაუკრძალავთ ქრისტიანულად. თუმცა, ოთხ შემთხვევაში დაფიქსირდა კიდურებმოკეცილი დაკრძალვაც. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანულად. ერთ შემთხვევაში (№19) მიცვალებული დაუკრძალავთ გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. სამარხეული ინვენტარი ძირითადად სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. სამარხებში გამოიყოფა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი – IV-V და VI-VII სს-ისა (ტაბ. I<sub>5</sub>). ქვის ფილებით გადახურული 6 ორმოსამარხიდან 4 უინვენტაროა. ეს ვითარება მარტო იმით არ უნდა იყოს გამოწვეული, რომ ქრისტიანული რელიგია კრძალავდა სამარხებში ნივთების ჩატანებას. ეს ფაქტი სოციალური ფაქტორითაც უნდა აიხსნას. ქვის სამარხების გამართვა მოითხოვდა გარკვეულ სახსრებს, რასაც ვერ ვიტყვით ორმოსამარხებზე. ჩანს, ორმოსამარხებს ძირითადად მაინც მოსახლეობის უქონელი ფენა აკეთებდა.**

თელოვანის სამაროვანი თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოების აღმოსავლეთ ფერდზე, სოფ. თელოვანის სამხრეთით მდებარეობს. მოსახლეობა ამ ადგილებს „ნატუსების სერს“ უწოდებს. სამაროვანს უკავია დაახ. 1 ჰა ფართობი. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია შესწავლილი. სამარხები ნაგებია ქვიშაქვის გათლილი ფილებით. ყველას აქვს ბანური გადახურვა. ქვის სამარხთა უმრავლესობაში რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული.

სამარხთა ერთი ნაწილი IV-V სს-ს მიეკუთვნება. მათში განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი №1 სამარხი, რომელშიც მიცვალებული ესვენა გულაღმა გაშოტილი. სამარხში აღმოჩნდა 2 ოქროს ბეჭედი, ოქროს საყურე, ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძები (ტაბ. I<sub>6</sub>). იმავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს თელოვანის სამარხების ერთი ჯგუფი (სამ. №5, 9, 10, 11), რომლებშიც აღმოჩნდილია: ვერცხლის

სასაფეთქლე რგოლები, ბროწეულის ყვავილის ფორმის ქვებით შემკული ბრინჯაოს საკინძები, ბრინჯაოს საყურეები, მძივები და სხვ. (ტაბ. I<sub>6</sub>).

თელოვანის სამაროვანზე რამდენიმე სამარხი თარიღდება VI-VII სს-ით. იმ პერიოდის ძეგლებიდან აღსანიშნავია სამარხი №6, სადაც გამოვლინდა: ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს საკინძი, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები (ტაბ. I<sub>6</sub>). ამ სამარხის ინვენტარიდან გამოირჩევა ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი, შემკული მოვარდისფრო აღმანდინის გემა-ინტალიოთი. მასზე გამოსახულია პროფილში მწოლიარე ლომი. გემა ირანული წარმოშობის უნდა იყოს (ტაბ. I<sub>6</sub>).

თელოვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ბაჭყალას სამაროვანი. იქ ორი ტიპის სამარხებია დადასტურებული: ქვის სამარხები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. სამარხთა დიდი ნაწილი გაძარცვული იყო. ბაჭყალას სამაროვანიდან აღსანიშნავია №1 სამარხი, რომელიც წარმოადგენდა ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხს. მასში ესვენა ერთი მიცვალებული ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 4 საკინძი, შემკული მინისა და მარჯნის მძივებით. ბარჭყალას სამაროვანი თარიღდება IV-V სს-ით.

ადრეული შუასაუკუნეების დიღმის ხეობაში ძირითადად გავრცელებული ჩანს ქვის სამარხები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დაკრძალვის წესი ყველგან ქრისტიანულია. რამდენიმე მიცვალებული სუდარაში ყოფილა გახვეული. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ „შუშანიკის წამება“, სადაც მოთხრობილია, რომ მიცვალებულს (შუშანიკს) დაკრძალვის წინ სუდარაში აქვევნ. სამაროვანი გვხვდება წარმართული წესით დაკრძალვაც – ხელფეხმოკეცილი, გვერდზე მწოლიარე. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ყველა ინდივიდუალურია. ქვის სამარხები ძირითადად საოჯახო სამარხებს წარმოადგენდნენ.

შუასაუკუნეებში დიღმის ხეობის მეურნეობის წამყვანი დარგები იყო მიწათმოქმედება (მევენახეობა, მებაღეობა) და მესაქონლეობა. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა დიღმის ხეობაში მესაქონლეობის განვითარებისათვის. ხეობას ჰქონდა საკუთარი საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. ხეობაზე გადიოდა თრიალეთისკენ მიმავალი ე.წ. ცხვრის გზა, რომელსაც ბოლო დრომდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ გზით მიემართებოდა მთაში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის საქონელი. ასეთი ხელსაყრელი მდებარეობის გამო დიღმის ხეობა საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა დასახლებული სხვადასხვა პერიოდში, მათ შორის ადრეულ შუასაუკუნეებშიც. ანტიკურ ხანაში ის დიდი მცხეთის, თბილისის გადედაქალაქების შემდეგ კი ამ უკანასკნელის მკვებავ ეკონომიკურ რეგიონს წარმოადგენდა.

\* \* \*

§6. „რიყიანის“ სამაროვანი მდებარეობს სოფ. გლდანთან. 1964 წელს სოფელში, ადგილ „რიყიანში“, სახლების მშენებლობის დროს დანგრეულა ქვის სამარხები. სამარხეული ინვენტარიდან შემორჩა: ბრინჯაოს 2 საყურე; საკინძის მარჯნის თავები ბროწეულის

ყვავილის მოყვანილობისა; ბრინჯაოს საკინძის ღერო და რკინის სამაჯურის ნატეხი. ნივთები თარიღდება VI-VIII სს-ით.

2012 წელს გლდანში, II-IV მიკრორაიონების გასაყარზე რომელიც ადგილ „რიყიანის“ ნაწილია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლოროჟიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. მინდორაშვილი) გათხარა ქვის 7 სამარხი (ტაბ. II<sub>1</sub>). ქვის სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, მეტ-ნაკლები გადახრით. მკვეთრადაა გადახრილი №3, 7 სამარხები. სამარხებში დასვენებული იყო 1-4 მიცვალებული. ყველა დაეკრძალათ ქრისტიანულად – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. მიცვალებულებს ხელები ელაგათ ტანის გასწრივ ან მუცელზე (ტაბ. II<sub>2</sub>). ადრე დაკრძალულთა ძვლები უკლებლივ ყველა, სამარხების ჩრდილოეთ კედელთანაა მიხვეტილი. №3, 4 სამარხებში მიცვალებული დაეკრძალათ სამარხის გვერდითი კედლის ახლოს. ისე, რომ მომდევნო მიცვალებულისთვის სამარხის ერთი ნაწილი თავისუფალი ყოფილიყო. მსგავსი ფაქტი დასტურდება ვაშლაჯვარას სამაროვანზეც. საინტერესო №4 სამარხი, სადაც მიცვალებულს მარჯვენა ფეხი გაჭიმული ჰქონდა, მარცხენა – მუხლში მოხრილი (ტაბ. II<sub>2</sub>). ამგვარად დაკრძალულები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების ზოგიერთ სამაროვანზე (მატანი, დაღეთი). №7 სამარხში ზურგზე დასვენებულ მიცვალებულს ფეხები მოხრილი ჰქონდა (ტაბ. II<sub>2</sub>). მოხრილი ფეხების მიხედვით აქ წარმართული წესით დაკრძალვის ელემენტებთან უნდა გვქონდეს საქმე. ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების არაერთი სამაროვნის მასალებით (სამთავრო, ვაშლაჯვარა, ბაჭყალა, იალსარი, ქვემო ალევი და სხვ.), „რიყიანის“ სამაროვნის მასალებითაც ჩანს, რომ საზოგადოებაში ქრისტიანული წეს-ჩვეულებების გვერდით წარმართული რწმენაწარმოდგენები და მასთან დაკავშირებული ტრადიციები ქვეყნის დიდხანს იყო შემორჩენილი.

მცირერიცხოვანი ინვენტარიდან 1 რკინის ცალპირლესული დანაა. დანარჩენი სამკაულია. რკინისა და ბრინჯაოს საკინძები მთლიანადსხმულია ან მმივებით შემკული. გვხვდება მთლიანადსხმული, ხელის გამოსახულებით შემკული საკინძიც. ბრინჯაოს ბეჭდის წრიული ფორმის ბუდეზე გამოსახულია რელიეფური წერტილებით შედგენილი ვარდული. მეორე ბეჭედი ვერცხლისაა. თვალბუდეში ჩასმულ გემაზე ამოკაწრულია სქემატურად გამოსახული ცხოველი. გამოსახულება თავისი სტილითა და შესრულების მანერით სასანურია (ტაბ. II<sub>3</sub>). სამაროვანი თარიღდება VI-VII სს-ით.

\* \* \*

**§7. ბეთანიის სამაროვანი** მდებარეობს სამადლო-ბეთანიის გზის მარცხენა მხარეს, ტერიტორიაზე, რომელსაც დასავლეთით სამადლოს, ჩრდილოეთით კი ვერეს ხევი ჩამოუდის. 1957 წელს იქ შემთხვევით აღმოჩნდა ნახევრად დანგრეული სამარხები, რომლებიც შეისწავლეს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა ი. კიკვიძემ და ლ. ჭილაშვილმა. სამაროვანზე გაიწმინდა უხეშად გათლილი ქვებით ნაგები, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 11 ქვის სამარხი. ზოგიერთი დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მათში ესვენა ერთი ან რამდენიმე

მიცვალებული, ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. ზელები ელაგათ მკერდზე ან ბარძაყის ძვლების გასწვრივ. ერთ შემთხვევაში მიცვალებული მეორე მიცვალებულზე იყო დასვენებული. ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის კედლებთან იყო მიხვეტილი. სამარხებში აღმოჩნდა: რკინისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები; სარდიონის, მარჯნის, მინის მძივებით თავშემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მრგვალგანივეგეთიანი, თავებგამსხვილებული რკინის სამაჯურები; ოვალურფარაკიანი რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდების ფრაგმენტები (ტაბ. II<sub>4</sub>). სამაროვანი თარიღდება VI-VIII სს-ით.

2011 წელს დაახ. იმავე მიღამოებში, ერთ-ერთი აგარაკის მშენებლობისას, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი) შეისწავლა 2 ქვის სამარხი და 1 სამარხი ორმო, რომელშიც გადმოსვენებული იყო ქვის სამარხებში მოჭარბებულად დაგროვილი მიცვალებულთა ძვლები.

აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამზრობილი სამარხების სახურავის ქვებად გამოყენებული იყო ქვიშაქვის კვადრატული მოყვანილობის ორ-ორი გათლივლი ფილა. გრძივი და განივი კედლები თითო ფილით იყო შედგენილი. სამარხებში ესვენა რამდენიმე მიცვალებული (ტაბ. II<sub>5</sub>). ძვლების ცუდად დაცულობის გამო მათი რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებთან მიეხვეტათ. ბოლო მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ღარიბული სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; ბრინჯაოსა და ვერცხლის ბეჭდები; მინის თვალი; ვერცხლის სასაფეთქლე; ნიჟარები (ტაბ. II<sub>6</sub>). სამარხები დათარიღდა VI-VII სს-ით.

საინტერესოა სამარხების მახლობლად გამოვლენილი ქვის 3 ფილით გადახურული კვადრატული მოყვანილობის ორმო (60x50x55 სმ), რომლის მხოლოდ სამი გვერდი იყო ფილებით შედგენილი, მეოთხე გვერდს მიწის მასივი წარმოადგენდა (ტაბ. II<sub>5</sub>). ორმოში აღმოჩნდა მიცვალებულების უსისტემოდ ჩაყრილი ძვლები. მიცვალებულთა რაოდენობის დადგენა აქაც ვერ მოხერხდა. ორმო განკუთვნილი იყო ახლომდებარე ქვის სამარხიდან გადმოსვენებული ძვლების დასაკრძალავად. ასეთი რამ უცხო არაა ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებისთვის. მაგ. მსგავსი სურათია გამოვლენილი დაღეოთის სამაროვანზე. იქ №10 სამარხის კედლის გარეთ, ზედ კედელთანვე ჭირისუფლებს გაეკეთებინათ პატარა ორმო, სადაც გადმოულავებით სამარხში ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლები. ჩანდა, რომ სამარხის მოცულობა უპვე ველარ იტევდა ახალ მიცვალებულებს და ჭირისუფლებმა შექმნილი მდგომარეობიდან ამგვარი გამოსავალი ნახეს. ასეთივე ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ბეთანიის ძვლებით სავსე ორმოს შემთხვევაში.

№3 სამარხში აღმოჩნდა ნახშირის მცირე ნატეხები. სამარხებში ნახშირის კვალის გამოვლენა საფლავის ცეცხლით განწმენდის უძველეს ტრადიციასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული წესი ემყარებოდა უძველეს რწმენას, რომლის მიხედვითაც ცეცხლი ითვლებოდა ავი სულების საწინააღმდეგო და უწმინდურობის გამწმენდ ძალად. საინტერესოა №3 სამარხში აღმოჩნდილი ნიჟარები. ამგვარი სამკაული ფართოდაა გავრცელებული როგორც

აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე. თვლიან, რომ კავკასიაში ისინი ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდანაა გავრცელებული.

განათხარი სამარხებით ირკვევა, რომ ეს მიდამოები საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა და სახლებული ადრეულ შუასაუკუნეებში. ბეთანია თბილისის სანახებში შედიოდა და შესაძლოა დიღმის ხეობის მსგავსად ისიც თბილისის მკვებავ სასოფლო-სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა.

\* \* \*

**§8. რუსთავის IV-IX სს-ის სამაროვნები ზუთ ადგილასაა მიკვლეული.** სამი მდ. მტკვრის მარჯვენა, ორი – მარცხენა ნაპირზე. სამაროვნებზე გამოვლინდა: 1. ორმოსამარხები; 2. ხის ძელებით შედგენილი სამარხები; 3. ქვის სამარხები; 4. ქვის სამარხი თიხის სარკოფაგით; 5. ქვის სარკოფაგები. IV ს-ის სამარხებში (I სამაროვნი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რუსთავის ციხის ჩრდილო-დასავლეთით) დამხრობის კანონზომიერება არაა დაცული. უმეტესად გვხვდება სამხრეთ-დასავლეთით, უფრო ნაკლებად ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით დამხრობის შემთხვევები. რაც შეეხება უფრო მოგვიანო სამარხებს, ისინი ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი მეტ-ნაკლები გადახრებით. ორმოსამარხები და ხის ძელებით შედგენილი სამარხები ინდივიდუალურია. ქვის სამარხები და თიხის სარკოფაგები მრავალჯერაა გამოყენებული. მათში დაკრძალული ყოფილა 2-დან 20-მდე ინდივიდი. დაკრძალვის პოზა უმეტესად ყველგან ქრისტიანულია. ფეხები მიცვალებულებს ზოგჯერ ერთმანეთზე ჰქონდათ გადაჯვარედინებული. ამგვარად დაკრძალულები სამთავროს სამაროვანზეც გვხვდება. ხშირად მიცვალებულები ერთმანეთზეა დასვენებული. ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის გრძივი კედლების გასწვრივა მიხვეტილი, ზოგი – სამარხის კუთხეებში. ფართოდაა გავრცელებული მიცვალებულების სუდარაში გახვევა. ამგვარი ფაქტები დიღმის ხეობის სამაროვნებზეცაა დაფიქსირებული.

სამარხეულ მასალაში გვხვდება: თიხის ჭურჭელი (4 ც.) (I სამაროვანი, IV ს.), მინის სანელსაცხებლები, რომელთაგან IV ს-ის ნიმუშები ყველა სირიული ნაწარმას, ხოლო IV-V სს-ის სანელსაცხებლები ადგილობრივ ჩანს დამზადებული; ბრინჯაოს ჯვარი; ოქროს (2 ც.), რკინის, ბრინჯაოსა და მინის ბეჭდები; ბრინჯაოს, რკინისა და ოქროს ერთწილადი და ორწილადი საყურეები; ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, შემგული პასტის, მარჯნისა და გიშრის სხვადასხვა ფორმის თავებით; ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სასაფეთქლები; ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძები, სამაჯურები და სხვ. (ტაბ. III).

\* \* \*

**§9. იაღსარის სამაროვანი** მდებარეობს ახმეტის რ-ში, სოფ. მატნიდან დასავლეთით დაახ. 3,5 კმ-ის დაშორებით, იაღსარის გორის ძირას. მშენებლების მიერ დაზიანებული სამაროვანი გაითხარა 1966 წელს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ძეგლების შემსწავლელი რაზმის (რ. რამიშვილი) მიერ. გათხრილი იქნა 26 სამარხი (ტაბ. IV). იაღსარის სამაროვანზე გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ორი ტიპის სამარხები. I. ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში (16 ერთეული) დაკრძალული იყო თითო მიცვალებული, თავით დასავლეთით. 6 შემთხვევაში

ისინი ესვენა ზურგზე. ხელები ელაგათ ტანის გასწვრივ. 4 შემთხვევაში მიცვალებულები ესვენა მარჯვენა გვერდზე რამდენადმე მოხრილი კიდურებით (ტაბ. IV); II. ქვის სამარხები 10 ერთეულია (ტაბ. IV). გვერდითი კედლები შედგება 2 ან იშვიათად ერთი ფილისაგან. თავ-ბოლო კედლებიც თითო ქვისაა. გადახურულია 2-4 ფილით. სამარხთა იატაკი მიწატკებნილია. თუმცა, გვხვდება ქვის ფილებით მოგებული 2 სამარხი (№4, 6). დაკრძალვის წესის მიხედვით მათშიც ისეთივე სურათი მეორდება, როგორიც ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში. ყველა მიცვალებული ესვენა თავით დასავლეთით. უმეტესობა ზურგზე იყო გაშოტილი (№4, 6, 8, 14, 18). ხელები ელაგათ ტანის გასწვრივ. ზოგიერთ სამარხში (№5, 9, 24) ფიქსირდება მიცვალებულთა მოხრილ პოზაში დაკრძალვა (ტაბ. IV). აღსანიშნავია, რომ თუ სხვა სამაროვნებზე ძალზე ხშირად გვხვდება კოლექტიური დაკრძალვა, იაღსარის ქვის სამარხებში მაინცადამაინც არ ჩანს გავრცელებული კოლექტიური დაკრძალვის წესი. 10 სამარხიდან მხოლოდ ოთხში (№6, 9, 20, 21) აღმოჩნდა დაკრძალული ორ-ორი მიცვალებული. ერთში კი 4 მიცვალებული დაკრძალათ (№18). ამ უკანასკნელში ადრე დაკრძალულთა ძვლები სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში იყო გადატანილი.

შესწავლილი 26 სამარხიდან ნივთები აღმოჩნდა მხოლოდ შვიდში. ესენია: სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივებით შემკული საკინძები, ბეჭდები, რკინის საკინძების ღეროები, მძივის ოქროს გარსაკრავი (ტაბ. IV). სამარხეულ ინვენტარში წამყვანი საკინძებია. მათში რამდენიმე ტიპი გამოიყოფა: მრავალწახნაგა, სფერული, მოგრძო ცილინდრული, ბროწეულის ყვავილის ფორმის მძივებით შემკული საკინძები. ზოგიერთი საკინძი შემკულია წყვილი მძივით. სამაროვანი თარიღდება V-VI სს-ით.

\* \* \*

**§10. ქვემო აღნევის სამაროვანი მდებარეობს ახალგორის რ-ში, სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ალეურას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „გრძელებზე“. 1981-89 წლებში იქ გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აღვის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძ. ნ. აფხაზავა).**

სამაროვანზე გამოვლინდა ადრეული შუასაუკუნეების ქვის სამარხები, „ხისსარკოფაგიანი“ ორმოსამარხები. ამ უკანასკნელში მიცვალებულის ჩასენების შემდეგ, მიცვალებული და ორმო იფარებოდა ხის ლასტებით და მასზე მიწა იყრებოდა. ყველა სამარხი დამსრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე მეტნაკლები გადახრით. ქვის სამარხებიდან ზოგი ინდივიდუალურია. უმეტესობა წყვილი მიცვალებულისთვისაა განკუთვნილი. „ხისსარკოფაგიანი“ ორმოსამარხები ყველა ინდივიდუალურია.

მიცვალებულები დაკრძალათ ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ქალები უპირატესად დაკრძალულები იყვნენ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ორ შემთხვევაში ქალები მარცხნა გვერდზე დაკრძალათ. ერთ შემთხვევაში მიცვალებულს ფეხები გადაჯვარედინებული ჰქონდა კოჭებში. გვხვდება, როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული წესით დაკრძალვის ფაქტები, რაც დამახასიათებელია ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანთა დიდი ნაწილისათვის.

სამარხეული ინვენტარის ზოგიერთი ნივთი განგებ არის დაზიანებული და ისეა ჩატანებული სამარხში. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია ბუდეაბმული, ჭვინტიანი და ბუდემთლიანი მშვილდსაკინძები (ტაბ. V<sub>1</sub>). სამაროვანზე აღმოჩენილია თითქმის ყველა ტიპისა თუ სახეობის საკინძები, რაც კი მანამდე იყო ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს აღრეული შუასაუკუნეების განათხარი ძეგლებიდან. მათ შორის გვხვდება ძვლის საკინძებიც. სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ საკინძებში გამოიყოფა: მრგვალი და დაწახნაგებული მძივებით შემკულები; განტოტვილთავიანი საკინძები; მძივებით ჯვრისებურად შემკულები; ბროწეულის ყვავილისა და ნაყოფის ფორმის მძივებით შემკულები და სხვ. (ტაბ. V<sub>2</sub>). სამარხებში გვხვდება აგრეთვე აბზინდები და ბალთები; სხვადასხვა ფორმის საყურები (ტაბ. V<sub>4</sub>). მრავალფეროვანია სამაჯურები (ტაბ. V<sub>5</sub>). მათ შორის გვხვდება შტამპით დატანილი ცხოველის თავების გამოსახულებით შემკული ნიმუშები. სამარხებში აღმოჩნდა ფარაკიანი და თვალბუდიანი ბეჭდები (ტაბ. V<sub>3</sub>). ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი გემიანია. ბეჭდებიდან აღსანიშნავია შავი მინის, აგრეთვე, სარდიონის, აქატისა და სხვა მასალისაგან დამზადებული ბეჭდები (ტაბ. V<sub>3a-გ</sub>). სასანური წარმოშობის საბეჭდავები – „ცრუბეჭდები“ 3 ცალია. ისინი დამზადებული ქარვის, აქატისა და სარდიონისგან. მათზე გამოსახულია ადამიანის პორტრეტი, ლომი და მტაცებელი ფრინველი. საბეჭდავები პატარაა და განკუთვნილია მკერდზე ან მაჯაზე ჩამოსაკიდებლად (ტაბ. V<sub>3a-გ</sub>). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მონეტების სიმრავლე. ეს ფაქტი, „ქარონის ობოლის“ რიგისაა და „წარმართობის“ გარკვეულ გამოგლენადაა მიჩნეული. სამარხებში აღმოჩნდა 36 მონეტა: ფეროზის, კავადის, ვალარშარის და ხოსრო I-ის სასანური დრაქმები; ერთი ჰერაკლე კეისრის გერცხლის ჰექსაგრამა. სამაროვანი თარიღდება V-VII სს-ით.

\* \* \*

**§11. გველეთის სამაროვანი მდებარეობს დარიალის ხეობაში, გველეთის ციხის მახლობლად, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, თერგისა და დევდორაკის შესართავთან, მაღალი კლდის ძირას. სამაროვანი გაითხარა 1991 წელს (დ. მინდორაშვილი). შესწავლილ იქნა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 16 ქვის სამარხი. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე საოჯახო სამარხები. ყველა მიცვალებული დასენიტებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, თავით დასავლეთით. №1, 10, 11, 15, 16 სამარხებში მიცვალებულები ქრისტიანული წესით დაეკრძალათ (ტაბ. VI<sub>1</sub>). №4 სამარხში მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. ქვედა კიდურები გადაჯვარედინებული ჰქონდა მუხლის არეში. ამგვარადაა დაკრძალული მიცვალებული №13 სამარხშიც (ტაბ. VI<sub>1</sub>). მიცვალებულის ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვის წესი იშვიათად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს აღრეული შუასაუკუნეების სამარხებში. თანაც მათ ფეხები გადაჯვარედინებული აქვთ არა მუხლის, არამედ კოჭების არეში. მიცვალებულის ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე. გველეთის სამარხთა უმრავლესობაში ჩნდებოდა საკმაოდ ნაზი ქსოვილის (აბრეშუმის?) ნაშთები, რომლებიც სუდარის ფრაგმენტები უნდა იყოს. ზოგიერთ სამარხში გამოვლინდა რამდენადმე უხეშად ნაქსოვი სელის ფრაგმენტები.**

სამარხებში დაფიქსირდა ნახშირის ნაშთები, რაც სამარხების ცეცხლით განწმენდის რიტუალთანაა დაკავშირებული. რამდენიმე სამარხები შეინიშნება მიცვალებულისათვის შეგნებულად დაზიანებული ნივთების ჩატანება. №4, 9, 11 სამარხებში აღმოჩენილი დანები წინასწარ გატეხილია და მათი მხოლოდ ფრაგმენტებია მიკვლეული. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა ქვემო აღვეის სამაროვანზეც და ამგვარი შემთხვევები ქრისტიანულ სამაროვანზე „წარმართობის“ გამოვლენადაა მიჩნეული.

სამარხეული მასალის უდიდესი ნაწილი სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული არტეფაქტებია. გარდა ამისა, სამარხებში გვხვდება: საბრძოლო იარაღი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (დანები), კერამიკული ნაწარმი, ლითონის ჭურჭელი, მონეტა და სხვ. საბრძოლო იარაღი რკინის 3 შებისპირითაა წამოლგენილი. ორიდან მხოლოდ მასრებია შემორჩენილი. შედარებით უკეთესადაა დაცული ერთი ეგზემპლარი, რომელიც ხასიათდება მოკლე ფრთებით, დაბალი ქედითა და გრძელი მასრით (ტაბ. VI<sub>2</sub>). სამაროვანზე რკინის 12 დანა აღმოჩნდა (ტაბ. VI<sub>2</sub>). მიცვალებულისათვის დანის ჩატანების წესი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე. სამაროვანზე გამოვლინდა ერთი სასანური ვერცხლის მონეტა, მოჭრილი ხორასანში 529 წელს კავადის (488-531) სახელით (ტაბ. VI<sub>6a</sub>). მშვილდსაკინძები რკინის (13 ც.), ვერცხლისა (3 ც.) და ბრინჯაოსია (1 ც.) (ტაბ. VI<sub>6-7</sub>). სამარხებში ბრინჯაოსა (8 ც.) და რკინის (1 ც.) სხვადასხვა ფორმის აბზინდებია აღმოჩენილი. იქვეა გამოვლენილი ბრინჯაოს 2 ქამარი (ტაბ. VI<sub>5</sub>). ბეჭდებიდან 6 ბრინჯაოსია, 8 ვერცხლის, 1 მინის. მათგან 5 გემიანია. გემები სასანურია (ტაბ. VII<sub>1</sub>). მათგან აღსანიშნავია გემა ფალაური წარწერით – „სამართლიანობა“ (ტაბ. VII<sub>1a</sub>). სამაჯურებიდან 1 ბრინჯაოს გრეხილი მავთულისგანაა დამზადებული; 2 ქედშესქელებული სამაჯურია, რომელთა ბოლოები გველის თავის გამოსახულებით ბოლოვდება (ტაბ. VI<sub>5</sub>). 12 საკინძიდან 1 რკინის ღეროს ფრაგმენტითაა წარმოლგენილი. დანარჩენები ბრინჯაოსია (ტაბ. VI<sub>4</sub>). საყურები ტიპოლოგიურად იყოფა ერთწილად და ორწილად ნიმუშებად. ერთწილადი საყურები ვერცხლისაა, ორწილადი – ბრინჯაოსი (ტაბ. VI<sub>3</sub>). მრავლადაა ვერცხლის საკიდები. სამაროვნზე გამოვლენილ თავსამკაულ ნივთებს მიეკუთვნება ბრინჯაოს ნუშისებური და დისკოსებური მოყვანილობის ფირფიტებისაგან შედგენილი „დიადემები“ (ტაბ. VII<sub>2a-8</sub>). სამარხებში გახვდება ცხენისა და მხედრის გამოსახულებიანი ნივთები (ტაბ. VII<sub>1a-8</sub>). სხვადასხვა კატეგორიის ნივთებს მიეკუთვნება ბრინჯაოს წრიული სარკე და ბიკონუსური მოყვანილობის ღრუ ნივთი; სხვა არტეფაქტებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს ძეწკვის ფრაგმენტი; აგრეთვე, ეუვნები (3 ც.) და ზარაკები (2 ც.) (ტაბ. VII<sub>2</sub>). ლითონის ფიალა დამზადებულია ბრინჯაოს ერთიანი ფურცლისაგან (ტაბ. VII<sub>3g</sub>). სამაროვანზე გამოვლინდა 800-ზე მეტი მმივი: მინის (489 ც. მათ შორის მრავლადაა ინკრუსტირებული), სარდინის (196 ც.), ქარვის (97 ც.), მთის ბროლის (12 ც.), „კაური“ (5 ც.), გიშრის (4 ც.), ქალცედონის (1 ც.) (ტაბ. VII<sub>4</sub>). სამარხეული ინვენტარის ყველაზე საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს კერამიკა. თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონების თანადოროულ სამარხებში კერამიკული მასალა იშვიათობაა, მთაში მიცვალებულისათვის თიხის ჭურჭლის

ჩატანების უძველესი ტრადიცია მაინც დიდხანს შემორჩა. კერამიკის უმრავლესობა დოქებია. გვხვდება მოჩალისფროდ გამომწვარი მრგვალპირიანი და სამტუჩა დოქები (ტაბ. VII<sub>3a</sub>). სამტუჩა დოქებიდან აღსანიშნავია წითლად შეღებილ-ნაპრიალები ყელგოფრირებული ნიმუშები (ტაბ. VII<sub>3d</sub>). ხევი ღარიბია თიხნარი ნიადაგებით. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ნაწარმი, მათ შორის, აღნიშნული ნიმუშები შემოტანილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სამაროვნის კერამიკული მასალიდან ცალკეა აღსანიშნავი შავპრიალა ყურიანი სასმისი, შემკული კოპებითა და ამოღარული ორნამენტით (ტაბ. VII<sub>3d</sub>). ანალოგიური სასმისები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის მატერიალური კულტურისთვისაა დამახასიათებელი და ჩანს, ის დარიალის ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდანაა მოხვედრილი. სამაროვნის ფუნქციონირების თარიღი განისაზღვრა VI ს-ის მიწურულითა და VIII ს-ის დასაწყისით.

გარდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევისა, გველეთის სამაროვნის ინვენტარი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადრეული შუასუაუნების ხევის კავშირ-ურთიერთობის შესახებ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებთან, ისე გარე სამყაროსთან. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი მაგისტრალი საშუალებას აძლევდა ისტორიული ხევის მოსახლეობას ფართო კულტურულ-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, ქართლ-კახეთის მთისწინეთსა და ბართან, თვით სასანურ ირანთანაც. ზოგიერთ სამარხში ნათლად აისახა ეს მრავალმხრივი კავშირები. მაგ. №13 სამარხში ერთადაა თავმოყრილი როგორც ქართული, ისე ჩრდილოკავკასიური და ირანული წარმოშობის ნივთები.

\* \* \*

**§12. „გიგიას სათიბის“ სამაროვანი მდებარეობს დარიალის ხეობაში, დაბა ყაზბეგიდან 14 კმ-ის დაშორებით, დარიალის ციხესა და სოფ. ლარსს შორის, თერგის მარჯვენა ნაპირის ტერასაზე (ამჟამად მოქცეულია რუსეთის ტერიტორიაზე). სამაროვანი შედგება 2-3 იარუსად განლაგებულ აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ფიქალის ფილებით შედგენილი სამარხებისაგან. ზედა ფენის სამარხები უინგენტაროა. მასალა მხოლოდ ქვედა ფენის სამარხებში გამოვლინდა.**

1966 წელს შესწავლილი (ლ. წითლანაძე) 13 სამარხიდან ინვენტარიანი მხოლოდ 6 გამოდგა. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია: რკინის ყუნწიანი ორპირლესული ქედიანი დანები; ბრინჯაოს ორწილადი აბზინდა, რომლის ოვალურ ჩარჩოზე მიერთებულია მომრგვალებულბოლოიანი, დაკილულკიდებიანი ფარაკი; ბრინჯაოს გრეხილრკალიანი, ბოლომომრგვალებული სამაჯური; ბრინჯაოს ილარი. ვერცხლის 2 ბეჭდიდან ერთის ბუდე და რკალი ერთადაა ჩამოსხმული. მეორეს ბუდე ოთხკუთხაა. თვალი მაღალია და ზედ ამოკვეთილია არაბული წარწერა „ითხოვოს აღაპეა“.<sup>67</sup>

<sup>67</sup> არაბულწარწერიანი ბეჭდები შემთხვევით აღმოჩნდა აგრეთვე ხევის სოფ. სიონში. ამ ბეჭდების გემბზე არაბული წარწერები საკუთარ სახელებს გადმოსცემენ. ერთზე იკითხება – „ჰასან იბნ დაიაქ“, მეორეზე – „იბრაჰიმ იბნ ალ-ფალდ“.

№7 სამარხში გამოვლინდა ვერცხლის 2 არაბული მონეტა. ისინი გახვრეტილია, რაც მათ სამკაულებად გამოყენებაზე მიუთითებს. მონეტები ნახევარდირპეტებია. ერთი მონეტა (1,13 გრ) მოჭრილია ქ. სანააში 802 წელს ხალიფა რაშიდის (786-809) დროს. აღნიშნული მონეტა იშვიათობას წარმოადგენს. მეორე მონეტა (1,58 გრ) მოჭრილია ქ. მადინ ბაჯუნაისში 821/822 წლებში ხალიფა მამუნის (813-833) დროს.

სამარხებში აღმოჩნდა თიხის 4 ხელადა. ისინი გამომწვარია მოშავო-მონაცრისფროდ. ერთი მათგანი ხელითაა ნაძერწი (ტაბ. VIII). ფორმებით, კეცის ფაქტურითა და ორნამენტის მიხედვით კერამიკა ჩრდილო კავკასიური ნაწარმი ჩანს. სამარხებში მრავლადაა გამოვლენილი სხვადასხვა მასალის, ფორმისა და ფერის მძივები. უმეტესობა მინისაა. მათ შორის გვხვდება ინკრუსტირებულებიც (ტაბ. VIII). იქვეა მიკვლეული მინის ქილისებური მოყვანილობის ძირშედრეკილი ჭურჭელი და შავი მინის 20 ცალი ბეჭედი (ტაბ. VIII). ბეჭედების რკალი განივგეთში მრგვალია, ფარაკი — ოვალური. უფარაკო ბეჭედი ერთია. მინის ბეჭედები ერთობ გავრცელებულ სამკაულს წარმოადგენდა როგორც ამიერ, ისე იმიერ კავკასიაში. ნ. უგრელიძის აზრით, ჩრდილოეთ კავკასიას მინით ქართლის საწარმოო კერები ამარაგებდა. პარალელური მასალების გათვალისწინებით, „გიგიას სათიბის“ სამაროვნის განათხარი მასალა IX ს-ით დათარიღდა.

1972 წელს გათხრილი (გ. ღამბაშიძე) 38 ქვის სამარხი ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზეა დამხრობილი. მიცვალებულთა დიდი ნაწილი დასვენებულია თავით დასავლეთით, ნაწილი აღმოსავლეთით, ზურგზე გაშოტილი ან მოხრილი კიდურებით. სამარხებში შეიმჩნეოდა ნახშირის კვალი. ზოგიერთი სამარხი უზნენტარო. შედარებით უხვიწენტარიანი გამოდგა №11, 13 ქვის სამარხები. მათში აღმოჩნდა: რკინის დანა ხის ქარქაშით; ბრინჯაოს სამაჯურები; ვერცხლის სარკე; ბრინჯაოს ბეჭედები; ღილები; სარდიონის სხვადასხვა ფორმის მძივები; მინის ინკრუსტირებული მძივები; შავი მინის ბეჭედი; მინის სანელსაცხებლე; მინის ყურიანი ჭურჭელი და სხვ. (ტაბ. VIII). სხვა სამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია: ოქროს „მტევნისებური“ საყურე, ვერცხლის ღილები, თიხის ჭურჭელი, რკინის ცული და სხვ. სამარხეული ინვენტარი IX-X სს-ით თარიღდება.

სამარხებში აღვილობრივი (ქართული) წარმოშობის ნივთებთან ერთად გვხვდება ჩრდილო კავკასიური მასალაც, რაც საგსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხევი ჩრდილოეთ კავკასიას ესაზღვრება და დარიალის ხეობაზე გადიოდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი უძველესი გზა.

\* \* \*

**§13. დასავლეთ საქართველოს სამაროვნებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მოდინახეს ციხის (საჩხერე) ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი. იქ შესწავლილია 80 სამარხი. აღნაგობით სამარხები ორგვარია: მართკუთხა ფორმის ორმოები რიგ შემთხვევაში შემოზღუდულია მშრალად ნაგები ქვის ცალპირი კედლებით; უმეტესობა კი ჩვეულებრივი ორმოსამარხებია. მიცვალებულთა ნაწილი ესვენა მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით, ან ზურგზე გაშოტილი თავით დასავლეთით, მუცლის არეში**

ხელებდაწყობილი. ზოგიერთ სამარხში (№7) გვხვდება წყვილადი დაკრძალვა, სადაც ერთი მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, მეორე – მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. ზოგიერთი მიცვალებული დაეკრძალათ გულალმა, მოხრილი ფეხებით. აღსანიშნავია, რომ იმ სამარხში, რომელშიც აღმოჩნდა ლითონის თასი, ყველა მიცვალებულის თავის ქვეშ იყო ამოდებული. დაკრძალვის ამგვარი წესი აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზეც (ზღუდერი, უინგალი) დასტურდება. მიცვალებულებს პირში ედოთ მონეტები – ე. წ. „ქარონის ობოლი“.

სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია კერამიკა, რომელიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ღოქები ზედაპირნაპრიალებია, მოწითალო-ნარინჯისფერი. ფორმების მიხედვით მათში გვხვდება: სფერულმუცლიანები, მსხლისებურტანიანები, სამტუჩაპირიანები (ტაბ. IX<sub>15-24</sub>. ტაბ. X<sub>1-4</sub>). სამარხებში გვხვდება მოზრდილი ორყურა ჩაფისებური ჭურჭელიც (ტაბ. IX<sub>1-2</sub>).

სამარხეული ინვენტარი გამოიჩინება საბრძოლო იარაღის სიმრავლით. იქ გვხვდება: მასრაშეკრული შუბისპირები, მასრაზე სამხრეულით (ტაბ. IX<sub>4</sub>), რაც განკუთვნილი იყო შუბისპირის ხის ტარზე მჭიდროდ დასაკავშირებლად. სამარხებში აღმოჩნდილია სატევრები და სამფრთიანი ისრისპირები (ტაბ. IX<sub>3,5</sub>). აღსანიშნავია, რომ მოდინახეს თანადროული მცხოვრის სამარხები თითქმის არ შეიცავენ საბრძოლო იარაღს. ამ მხრივ მოდინახეს სამაროვნის მასალები ძალზე საინტერესოა იმდროინდელი მოსახლეობის შეიარაღებისა და სამარხში დაკრძალულთა სოციალური სტატუსის გასარკვევად.

სამარხებში აღმოჩნდილი სამკაულები ოქროსი და ვერცხლისაა. მათგან აღსანიშნავია: სხვადასხვა ფორმის საყურები (ტაბ. X<sub>7-14</sub>). ბეჭდები უპირატესად თვალბუდინია. გემებზე სხვადასხვა გამოსახულებებია წარმოდგენილი (ტაბ. X<sub>17,18,19</sub>). ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება: ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, თვლებით შემკული საკინძები (ტაბ. IX<sub>8-9,25-26</sub>). ვერცხლის ჭურჭლიდან აღსანიშნავია თასები (ტაბ. IX<sub>12-14</sub>. ტაბ. X<sub>5</sub>), შემკული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით და ერთი სურა (ტაბ. X<sub>6</sub>). როგორც აღვნიშნეთ, ყველა თასზე მიცვალებულის თავი ესვენა. გვიანანტიკური ტორევტიკული ნაწარმი ან რომაულია, ან რომაული ხელოვნების დიდ გავლენას განიცდის. სურა თავისი ფორმით ახლო დგას იმავე სამარხში აღმოჩნდილ თიხის დოქოან, ამიტომ არ გამორიცხავენ, რომ ის ადგილობრივი ნაწარმი იყოს.

სამაროვანზე გამოვლენილია ოქროს მონეტები (ტაბ. X<sub>21</sub>), რომელთაგან ერთი ჯგუფი ეკუთვნის კონსტანტინე დიდს (306-337), ხოლო მეორე – კონსტანციუს II-ს (337-361). სამაროვნის თარიღი განისაზღვრა IV ს-ის შუა ხანებით. თუმცა, იქ გვხვდება სამარხეული ინვენტარი, რომელიც ცოტა მოგვიანოა და უფრო V ს-ით უნდა დათარიღდეს. ამდენად, სამაროვნის თარიღი IV ს-ის შუა ხანები – V ს-ით შეიძლება განისაზღვროს.

ფიქრობენ, რომ სამარხთა ნაწილი, განსაკუთრებით ის სამარხები, სადაც გამოვლინდა მდიდრული მასალა და საბრძოლო იარაღები, უნდა ეკუთვნოდეს საშუალო ფენის არისტოკრატიას, რომელთა საქმიანობა ძირითადად მეფე-მთავართა სამსახურში დგომითა და

ლაშქრობებით განისაზღვრებოდა. აღსანიშნავია, რომ სამარხეული მასალა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული მეცნიერებიდან მომდინარე არტეფაქტებთან და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მოდინახეს სამაროვანი ისტორიული არგვეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. არგვეთი კი ანტიკურსა და ადრეული შუასაუკუნეების დასაწყისში ქართლის სამეფოს არა მარტო დიდ გავლენას განიცდიდა, არამედ როგორც ჩანს, პოლიტიკურადაც ქართლის სამეფოს საზღვრებში იყო მოქცეული.

\* \* \*

**§14. ე. წ. „წებელდური კულტურის“ უმთავრესი კომპონენტია სოფლის სამაროვნები მრავალფეროვანი დაკრძალვის წესითა და მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარით (ტაბ. XI-XII).<sup>68</sup> მიცვალებულთა დაკრძალვის წესი, განსაკუთრებით კი მათი პოზა მრავალგვარია. უმთავრესად გავრცელებულია ორმოსამარხებში დაკრძალვა. ორმოსამარხები წაგრძელებული სწორკუთხედია. მიცვალებულთა უმეტესობა დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი. ხელები ულაგათ მუცლის ან წელის არეში, ან გაჭიმული აქვთ. სამარხები უმთავრესად დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. არის ჩრდილოეთით დამხრობაც, რომელიც IV ს-ზე ადრეულია. მ. თრაფშის მიხედვით თავით დასავლეთისაკენ ორიენტაცია გავრცელებას იწყებს V ს-დან. ადრეულ ხანაში გვხვდება კრემაციული სამარხებიც. „წებელდური კულტურის“ გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ექცევა II ს-დან VII ს-ის შუა ხანებამდე. აფხაზი მკვლევარების მტკიცებით „წებელდის კულტურა“ ძირითადად კოდორის ხეობაშია გავრცელებული და ეს კულტურა აფსუების საკუთრებაა.**

„წებელდური კულტურის“ კომპლექსების უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეული იყო განსაზღვული ტიპის ნივთები. მათ შორის: ძაბრისებურპირიანი დოქები, რკინის ცულები, ჯვრისებური მშვილდსაკინძები, მასრაგახსნილი ქედიანი შუბისპირები და ორლესული მახვილები (ტაბ. XI-XII). ხშირი და მრავალრიცხოვანია სხვა ინვენტარიც (მინის ჭურჭელი, მძივები, აბზინდები, საყურებები და სხვ.), მაგრამ ისინი უპირატესად იმპორტული ან ასე ვთქვათ, „საერთაშორისო“ ტიპისაა (ტაბ. XI-XII). „აფხაზურ პოზიციაზე“ მყოფი მკვლევარების – მ. თრაფშის, ი. ვორონოვის და სხვათა მტკიცებით, ჩამოთვლილი ნივთები თითქოს დამახასიათებელია მხოლოდ აფსილ-აბაზგთა განსახლების სივრცისათვის და აფსილები, რა თქმა უნდა, აფსუები არიან. ბუნებრივია, მათ ამ თეორიას პოლიტიკური მიზნები აქვს – დაასაბუთონ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსუათა უძველესი დროიდან არსებობა.

წებელდური კულტურის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად გაიაზრება ძაბრისებურპირიანი დოქები. თუმცა, მსგავსი ჭურჭელი სხვაგანაცაა აღმოჩენილი: ბუკისციხეში, ურეკში, სოფ.

<sup>68</sup> ვერ კიდევ 1886 წელს პ. უგაროვა აღნიშნავდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მაჭარის ხეობაში აღმოჩენით სამარხები კრემაციის ნიშნით. გარევეული მასალა ამ რეგიონში 1915 წელს შეაგროვა ბოტანიკოსმა ი. ვორონოვმა. ეს მასალა, რომელიც შევიდა კავკასიის მუზეუმში, გამოაქვეყნა ბ. კუუტინმა. 1945 წელს ი. გძელიშვილმა წებელდაში (მაშინდელი ოლგინსკოე) გათხარა რამდენიმე სამარხი. 1960-63 წლებში აფხაზეთის კვლევითმა ინსტიტუტმა წებელდასთან, სოფ. მრამბაში გათხარა სამაროვანი. მ. თრაფშმა შეისწავლა ძეგლები: აბგიძრაპუ, ახაცარასუ, ალრასუ და სხვ. მან ისინი II-V სს-ით დაათარილა და აფსილებისა და აბაზგების კუთვნილებად მიიჩნია.

ლიას სამარხებში, ციხისძირში, ვარდციხეში. ბოლო ზანებში ისინი გამოვლინდა ქობულეთში, ფიჭვნარის აღრეული შუასაუკუნეების სამარხებში (ტაბ. XIII<sub>5,3,18</sub>). ჩრდილოეთით, ამგვარი დოქები სოჭის მიდამოებშიცაა აღმოჩენილი. როგორც ვხდავთ, ძაბრისებურპირიანი ხელადები დიდად სცილდება „წებელდური კულტურის“ გავრცელების არეალს და ისინი ვერ იქნებიან ვერც ამ კულტურისა და მით უმეტეს, მხოლოდ აფსილთა (აფშილთა) კუთვნილი ნივთები.

მეორე ნივთი – ცული, რომელსაც ასევე „წებელდური კულტურის“ დამახასიათებელ არტეფაქტად მიიჩნევდნენ, ასევე აღარ ჩანს მხოლოდ ამ კულტურის დამახასიათებელ ნიმუშად. მსგავსი ცულები ნაპოვნია: ჩხარში, ლეჩხუმში, ზუგდიდის ო-ის ტერიტორიაზე, აჯამეთში, ვანში, ვარდციხეში, ნოქალაქევში, ოჩხომურში (2 ც.), ჭუბერში, გეგუთში, სვირში, პატარა ჯიხაიშში, ხონში, ურეკში, ციხისძირში და ამ ბოლო დროს ფიჭვნარის აღრეული შუასაუკუნეების სამაროვანზე. ძაბრისებურპირიანი დოქების მსგავსად ამ ცულების გავრცელების არეალიც დიდად სცილდება „წებელდური კულტურის“ გავრცელების არეალს, რომელსაც „აფხაზურ პოზიციაზე“ მყოფი მკვლევარები ძირითადად კოდორის ხეობით შემოფარგლავენ. ამდენად, ამგვარი ცულები და ძაბრისებურპირიანი ხელადები კოლხური (ეგრისული) კულტურის დამახასიათებელი ნივთებია და არა ე. წ. „წებელდური კულტურის“ განშსაზღვრელი ელემენტები.

რაც შეეხბა ჯვრისებურ მშვილდსაკინძებს, ისინი გავრცელებულია მთელ საქართველოში და ბუნებრივია, უსაფუძვლოა მტკიცება, რომ ჯვრისებური მშვილდსაკინძები „წებელდური კულტურის“ დამახასიათებელი კომპონენტია.

იგივე უნდა ითქვას შუბისპირების შესახებაც. ანალოგიური შუბისპირები აღმოჩენილია: სვანეთში, ლენჯერის სამარხში, ბუკისციხის სამარხში, ოჩხომურში, ბანძაში, ქუთაისში, სოჩხეთში (ტყიბულის ონი), ჩხარში (თერჯოლის ონი), ისრითში (ვანის ონი).

როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილი არტეფაქტების მიხედვით, „წებელდური კულტურა“ არ შემოიფარგლება მაინცადამაინც კოდორის ხეობით – აფსილთა განსახლების არეალით. სხვათა შორის, ეს იგრძეს „აფსუური“ თეორიის მომხრეებმა (ი. ვორონოვი და სხვ.), განსაკუთრებით მაშინ, როცა „წებელდური კულტურის“ ძეგლები საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა მდ. კოდორის ზემო წელზე, მისიმიანთა ქვეყანაში. მათ გამოსავალი სწრაფად იპოვეს. მისიმიანები გამოაცხადეს აფხაზურ („აფსუურ“) ტომად. თუმცა, ამით სრული იგნორირება გაუკეთეს აგათია სქოლასტიკოსის ცნობას, რომ აფსილები მისიმიანებისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებენ. ამასობაში მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი რამ: თვით ძირეულ სვანეთში, მდ. ენგურის ხეობაში (ჭუბერის ხეობა – სოფ. ქვედა მარლი) თავი იჩინა სამარხეულმა კომპლექსებმა, რომლებიც თითქმის ყველა დეტალით იმეორებდა „წებელდური კულტურის“ ძეგლებს. ამჯერად, ე. წ. „წებელდური კულტურის“ არეალი უკვე ვერაფრით ვეღარ ეტეოდა აფსილების განსახლების არეალში. ფაქტობრივად, ყველა ის ნივთი, რომელსაც „წებელდური კულტურის“ დამახასიათებელ კომპონენტად მიიჩნევდნენ, მთელ კოლხეთშია (ეგრისშია) გავრცელებული. გამონაკლის ამ მხრივ ზემო იმერეთის ნაწილი – ისტორიული არგვეთი წარმოადგენს და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან არგვეთი ქართლის სამეფოს დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამრიგად, ე. წ. „წებელდური კულტურა“ სხვა არაფერია,

თუ არა ეგრისული (კოლხური) კულტურა, გარკვეული ლოკალური თავისებურებებით (ნ. აფხაზავა).

რამდენად რეალურია აფსილების (აფშილების) აფსუებთან გაიგივება, რასაც თავგამოდებით ცდილობენ აფხაზი მკვლევრები? აფსილეთის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, საინტერესოა პროკოპი კესარიელის ცნობა: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ“ [გეორგიკა 1934:131]. მკვლევართა საერთო აღიარებით, ეს უნდა იყოს დღევანდელი წებელდა კოდორის ხეობაში. ჩანს, აფსილეთის ერთ-ერთი ცენტრი მდებარეობდა მდ. კოდორის ხეობის შუა წელზე. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, აფსილები მათი მეზობელი მისიმიანებისაგან (სვანებისაგან) განსხვავებულ ენაზე საუბრობენ. ჯერ კიდევ პ. ონგოროვა მიუთითებდა, რომ აფსილების სამეტყველო ენა კოლხური – მეგრულ-ლაზური უნდა ყოფილიყო. ყველა მკვლევარი იმ აზრისაა, რომ ეთნონიმი აფსილები (აფშილები) ქართველური წარმოების, ქართველური ფორმისაა, ქართულისათვის დამახასიათებელი „ილ“ სუფიქსით. ამრიგად, ე. წ. „წებელდური კულტურა“ თავისი ფესვებით უკავშირდება კოლხურ კულტურას და მოიცავს არა მხოლოდ აფსილებით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს – ეგრისს. ეს თვალნათლივ ჩანს როგორც ლინგვისტური მონაცემებით, ისე წერილობითი წყაროებითა და, რაც მთავარია, იმ არტეფაქტებით, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, დამახასიათებელია არა მარტო „წებელდური კულტურისათვის“, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოსათვის – ეგრისისათვის (ნ. აფხაზავა).

თვალში საცემია, რომ წებელდის მკვიდრნი ძლიერი წარმართული გადმონაშობით ცხოვრობდნენ. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ მათი გარკვეული ნაწილი ქრისტიანობას იყო ნაზიარები. პროკოპი კესარიელის პირდაპირი მითითებით: „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ“ [გეორგიკა 1934:98]. რაც შეეხება სოციალურ კითარებას, აფხაზ მკვლევართა აზრით, წებელდის კულტურის მატარებელი საზოგადოება სოციალურად სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე იდგა. მათში არ არსებობდა ქონებრივი დიფერენციაცია. თუმცა, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს დიფერენციაცია აშკარაა.

\* \* \*

**§15.** წებელდის სამაროვანთან მიმართებაში საინტერესოა ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩნდილი IV ს-ით დათარიღებული სამარხები, რომლებიც გარკვეულწილად ეხმაურებიან წებელდის სამაროვნის არქეოლოგიურ მასალას. ფიჭვნარის ორმოსამარხები დამხრობილია დასავლეთისკენ (სიგრძე 2,2-2,6 მ, სიგანე 0,75-0,90 მ). იმის გამო, რომ სამარხები ქვიშნარ ნიადაგშია ჩაჭრილი, მათში ძვლები, როგორც წესი, აღარაა შემორჩენილი (ტაბ. XIII<sub>1</sub>). ჩანს, დაკრძალვიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ სამარხის თავზე, დასავლეთით, იქ სადაც მიცვალებულის თავი ესვენა, იდგმებოდა საიმქვეყნო მოსაკითხით სავსე თიხის ჭურჭელი. საკუთრივ სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია: თიხის ქოთნები, ძაბრისებურპირიანი დოქები (ტაბ. XIII<sub>3,5,18</sub>), რომლის მსგავსი ნიმუშები აღმოჩნდილია

ციხისძირსა და განსაკუთრებით – წებელდაში. იქვე გვხვდება წითელლაკიანი ლანგარი (ტაბ. XIII<sub>13</sub>). მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია სანელსაცხებლები და ჭიქები (ტაბ. XIII<sub>2,6,9,10,12</sub>). რკინის ნაწარმი წარმოდგენილია შებისპირების (ტაბ. XIII<sub>4,8,16</sub>), დანების (ტაბ. XIII<sub>17</sub>) და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ე. წ. „წებელდური ცულების“ სახით (ტაბ. XIII<sub>23</sub>). ყურადღებას იქცევს სამარხებში დამუშავებული კაჟის იარაღების ჩატანების ფაქტები (ტაბ. XIII<sub>22</sub>). ეს რიტუალი დამახასიათებელი ჩანს ციხისძირისა და წებელდური კულტურის სამარხებისთვისაც. სამკაულებიდან უნდა აღინიშნოს: ვერცხლის სამაჯური, გემიანი ბეჭდები, ბრინჯაოსა და რკინის აბზინდები, მშვილდსაკინბი (ტაბ. XIII<sub>11,20,21</sub>). სამარხეული ინვენტარი, როგორც ვთქვით, იმ მხრივაა საყურადღებო, რომ აფხაზი მკვლევარების მტკიცებით, ე. წ. „წებელდის კულტურა“ არ სცილდება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას და ის აფსილების (აფსუების) კუთვნილებაა. თუმცა, ირკვევა, რომ ამ კულტურის გავრცელების არეალი თითქმის ჭოროხის შესართავამდე (ფიჭვნარი, ციხისძირი) ვრცელდება. ამდენად, „წებელდური კულტურა“ ყველა ნიშნის მიხედვით, უსაა ეგრისული (კოლხური) კულტურა, თავისი განსაზღვრული ლოკალური თავისებურებებით.

### ძირითადი ლიტერატურა

**აბუთიძე ა., ბიბილური თ., მაისურაშვილი ნ.** ახალი არმაზის ადრექრისტიანული ხანის სამაროვანი, სმამ, ტ. 131, №3, 1988, გვ. 653-656.

**აფაქებიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ.** მცხეთა 1975, მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში, მცხეთა II, თბილისი, 1978, გვ. 8-80.

**აფაქებიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯვალაძე გ., სიხარულიძე ა., ზეცურიანი ლ., ჯდარგავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., გიუნაშვილი გ.** მცხეთა 1976, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბილისი, 1978, გვ. 81-156.

**აფხაზავა ნ.** ადრეული შეა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი, 1979.

**აფხაზავა ნ.** ქვემო აღევი ადრეულ შეა საუკუნეებში, თბილისი, 1988.

**აფხაზავა ნ.** გვიანანტიკურ და ადრეულ შეასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია, თბილისი, 2010.

**ბრაგვაძე ზ., ჩიგოვიძე ქ.** მოდინახეს სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი, №2, 2002, გვ. 91-141.

**გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები** საქართველოს შესახებ, პროკოპი კესარიელი, ოუსტინიანე, იოანე ლიდე, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, ტფილისი, 1934.

**კახიძე ა., ვიკერისი მ., მამულაძე შ.** ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ტ. I გვ. 70-89.

**კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ.** ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან, სსმმ, ტ. XXII-B, 1961, გვ. 97-121.

**ლომთათიძე გ.** რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, ტ. I, 1955, გვ. 171-210.


**ლომთათიძე გ.** ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, რუსთავი I, თბილისი, 1988, გვ. 6-61.


**ლომთათიძე გ.** საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს, თბილისი, 1977.

**ლომიტაშვილი ლ., ლორთქიფნიძე ბ.** ნოქალაქევში გამოვლენილი ე. წ. „წებელდური“ ცულებისა და დოქების რაობისათვის, მმ, №2, 1993, გვ. 31-32.

- მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ზევში, თბილისი, 2005.
- მინდორაშვილი დ. გლდანის „რიყიანის“ სამაროვანი, მიებანი, №21, 2013, გვ. 72-80.
- მინდორაშვილი დ. ადრეული შუასაუკუნეების სამარხები ბეთანიიდან, მიებანი, №21, 2013, გვ. 81-85.
- მინდორაშვილი დ. დაღეთის სამაროვანი (2004 წლის განათხარი მასალების მიხედვით), მიებანი, №21, 2013, გვ. 86-99.
- ნადირაძე ჯ. ყვირილის ზეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1975.
- ნიკოლაიშვილი ვ. ტუაქოჩორას სამაროვანი, მცხეთა, II, თბილისი, 1978, გვ. 157-169.
- ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლაჯვარას სამაროვანი (1972 წლის განათხარის მიხედვით), სას, II, თბილისი, 1979, გვ. 63-77.
- ნიკოლაიშვილი ვ. დიღმის ზეობა ადრეფეოდალურ ზანაში, სას, III, თბილისი, 1985, გვ. 90-104.
- ნიკოლაიშვილი ვ., გუნაშვილი გ., ღლონტი ნ. მცხეთისგორის სამაროვანი, მცხეთა VII, თბილისი, 1985, გვ. 132-150.
- ნიორაძე გ. კარსნისხევის სასაფლაო, საქართველოს მუზეუმის შრომები, ტ. IV, ტფილისი, 1926.
- პაჭიკაშვილი ნ. რუსთავის სარკოფაგები, ქრისტიანული არქეოლოგის IV კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2000, გვ. 22-23.
- პაჭიკაშვილი ნ. რუსთავში აღმოჩენილი ქვის სარკოფაგები, მმ, №2(109), 2000, გვ. 39-43.
- ტყეშელაშვილი ო. ადრეფეოდალური ზანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან, სსმმ, ტ. XIX-□ 1956, გვ. 255-280.
- ტყეშელაშვილი ო. სამთავროს ახ. წ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, სსმმ, ტ. XIX-A, და XXI-B, 1957, გვ. 149-163.
- ტყეშელაშვილი ო. სამთავროს სამაროვნის II-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები, სსმმ, ტ. XX-□ 1959, გვ. 305-337.
- წოლანაძე ლ., კაზიძე ა., შატბერაშვილი ზ. გიგიას სათიბის სამაროვანი (დარიალის ზეობა), ფსაძ, ტ. VI, 1998, გვ. 70-80.
- ზეცურიანი ლ. მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ზანის სამაროვანი, მცხეთა VII, თბილისი, 1985, გვ. 151-162
- ჯაფარიძე ვ. წებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, სას, II, 1978, გვ. 78-89.
- ჯორბერიძე ბ. არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან, ფსაძ, ტ. VI, 1998, გვ. 40-48.
- Апакидзе А. М., Николайшили В. В., Мелитаури К. Н., Манджгаладзе Г. Н., Хецуриани Д. Г., Абутидзе А. В., Дзнеладзе М. С., Давлианидзе Р. В., Гиунашвили Г. Д., Глонти Н. В., Молашвили Н. И. Мцхетская экспедиция, ПАИ в 1983 году, Тбилиси, 1986, გვ. 31-37.
- Апакидзе А. М., Николайшили В. В., Сихаруладзе А. Н., Мелитаури К. Н., Гагошидзе Ю. М., Хецуриани Д. Г., Гиунашвили Г. Д., Манджгаладзе Г. Н., Нариманишвили Г. Н., Давлианидзе Р. В., Садрадзе В. Г., Глонти Н. В., Иремашвили Ш. А. Археологические раскопки в Мцхете и её округе, ПАИ в 1984-1985 годах, Тбилиси, 1987, გვ. 47-51.
- Гунба М. М. Новые памятники цебельдинской культуры, Тбилиси, 1978.
- Иващенко М. М. Рустави (археологическая разведка), რუსთავი I, თბილისი, 1988, გვ. 62-70.
- Иващенко М. М. Руставский могильник, რუსთავი I, თბილისი, 1988, გვ. 71-77.
- Рамишвили Р. М. Исследование раннефеодального могильника `Иагсари~, ТКАЭ, т. I, 1969, გვ. 111-127.


Рамишвили Р., Джорбенадзе В., Цитланадзе Л., Церетели К., Джалагания И., Арчвадзе Т., Гвасалиа Д., Каландадзе З., Гамбашидзе Г., Джадтиев Р. Результаты работ Жинвальской археологической экспедиции, ПАИ в 1972 году, Тбилиси, 1973, 83. 67-77.






1. გლდანი. „რიყიანის სამაროვანი“.

3. სამარხეული  
მასალა



2. ქვის სამარხები. VI-VII სს.




4. ბეთანია. 1957 წ. გათხრილი ქვის სამარხების ინვენტარი.

ა. კიკვიძისა და ლ. ჭილაშვილის მიხედვით




5. ბეთანია. 2011 წ. გათხრილი ქვის სამარხები.



6. სამარხეული ინვენტარი. VI-VII სს.







რუსთავის IV-VIII სს-ის სამაროვნების არქეოლოგიური მასალა

მ. ივაშჩენკოს მიხედვით







1. გევოლიდება გინძები, 2. საგინძები, 3. ბეჭდები, 4. სკეულები, 5. საკულტოები, 6. საგირებები, მუჟლებები, კაურები.  
ნ. აფხაზების მიხედვით




3




4



5



7




გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა

VIII




„გიგიას სათიბის“ სამაროვანი. IX-X სს.

## IX




კ. ნადირაძეს სამართვაზე




მოდინახეს სამართვაზე



Խ. ճայութածի սամարտզան

Հայունական սամարտզան





Վեհական պատմությունների  
վեհական պատմությունների

ու գաղօն թուրքացու

Հայոց պատմությունների

14

15


16

17

18

19

XIII



ფიქვნარის სამაროვნის ადრეული შუასაუკუნეების სამარხები

ა. კახიძისა და შ. მამულაძის მიხედვით

## თავი X ქარამისა და მინის ნაწარმი

სხვადასხვა ხასიათის ძეგლების (ნაქალაქარების, ციხესიმაგრეების, ნასოფლარების, სამაროვნების) გათხრების შედეგად გამოვლენილი ადრეული შუასაუკუნეების კერამიკული ნაწარმი გამოირჩევა ფორმების, კეცისა თუ შემკულობის განსაზღვრული თავისებურებებით. ამ პერიოდის კერამიკული ნაწარმი თავისი მრავალრიცხოვნობითა და მრავალფეროვნებით პირველად ურბნისის ნაქალაქარზე გამოვლინდა. სწორედ ურბნისის სამეთუნეო ნაწარმის დამუშავებით დაედო საფუძველი ჩვენში ადრეული შუასაუკუნეების კერამიკის შესწავლას (მ. სინაურიძე). კერამიკული ნაწარმი, ფუნქციური თვალსაზრისით, იყოფა რამდენიმე დიდ ჯგუფად – სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სხვ. განვიხილავთ კერამიკული ნაწარმის მხოლოდ ძირითად სახეებს.

ადრეული შუასაუკუნეების სამეურნეო დანიშნულების მრავალრიცხოვან კერამიკას შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ქვევრები, რომლებიც ძირითადად ორი ტიპისაა: I. კვერცხისებური მოყვანილობის, სქელკედლიანი, გლუვზედაპირიანი და II. მაღალი ქვევრები, მომაღლო ყელით, ძლიერ გამობერილი მუცლით, ქვემოთ შევიწროებული ჭანითა და ბრტყელი ძირით. ქვევრები თხელკედლიანია. ტანი შემკული აქვთ რელიეფური სარტყლებით. კეცი გადანატეხში მუქია (იხ. თავი IV, ტაბ. X8). ქვევრების საშუალო ზომებია: სიმაღლე 1,5-2 მ, მუცლის უდიდესი დმ 1,5 მ, პირის დმ 0,45 მ, ყელის სიმაღლე 10-15 სმ, ბაკოს სიგანე 3,5 სმ, ძირის დმ 14 სმ. გამომწვარი არიან წითლად ან მოჩალისფროდ. ადრეული შუასაუკუნეების ქვევრებზე არ გვხვდება ჩაკირვის კვალი. ჩაკირული ქვევრები ჩვენში უფრო გვიან, განვითარებულ შუასაუკუნეებში ჩნდება.

ქვევრების ერთი ნაწილი ძირგახვრეტილია. ასეთი ქვევრები გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარცვლეულის შესანახად. ხვრელის საშუალებით ჭურჭელში ჰაერი მოძრაობდა და მარცვლეულს გაფუჭებისაგან იცავდა. ქვევრებს ყელზე ზოგჯერ ჯვარი აქვთ ამოკაწრული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამგვარ ქვევრებში საზედაშე ან საეკლესიო გადასახადისათვის გამიზნული ღვინო ესხა. იშვიათ შემთხვევაში ქვევრებზე გვხვდება ქართული ასო-ნიშნები. მაგ. ურბნისის ერთ-ერთ ქვევრზე ჯვართან ერთად ამოკაწრული იყო ასომთავრული „ჭე“ (იხ. თავი II, ტაბ. XII<sub>34</sub>). კეცისა და ფორმების მიხედვით ქვევრებს იმეორებს შედარებით მცირე ზომის ჭურჭელი – ქოცო. მათ შორის არსებითი განსხვავება მხოლოდ ზომებშია.

დერგები ეწოდება ჭურჭელს, რომელთა სიმაღლე 0,5 მ-მდე აღწევს. აქვთ ფართო პირი, დაბალი ყელი, მრგვალი და ფართო მუცლი, განიერი ძირი და ორი ან ოთხი ყური (ტაბ. I<sub>1-2</sub>). დერგები სქელკედლიანია. გამომწვარია მოწითალოდ ან მოჩალისფროდ. ზოგიერთს ყურების ნაცვლად აქვს ყურისებრი შევრილები. გვერდებზე შემოუყვებათ ერთი ან რამდენიმე „თოკისებრი“ სარტყელი.

ცალკეა აღსანიშნავი საზღვაო-სატრანზიტო ჭურჭლის ისეთი სახეობა, როგორიცაა ამფორები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გასაგები მიზეზის გამო დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი მის ზღვისპირა ზონაშია აღმოჩენილი. ადრეული

შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს მრავალრიცხოვანი ამფორებიდან ბევრი იმპორტულია, მაგრამ მკვლევართა დიდი ნაწილი იმ აზრს იზიარებს, რომ ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორები, რომლებიც უგრისის შიდა რაიონებშიც საკმაო რაოდენობით გვხვდება, ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული (იხ. თავი IV, ტაბ. III<sub>4</sub>, ტაბ. VIII<sub>4</sub>, ტაბ. X<sub>10</sub>).

სადღვებლები მესაქონლეობასთან დაკავშირებული ჭურჭელია. ჩვენში ისინი ჯერ კიდევ ენეოლითიდან ჩანან გავრცელებული და ფორმა თითქმის არ შეუცვლიათ. კულტურულ ფენებში სადღვებლები ძირითადად ნატეხების სახითაა შემორჩენილი, თუმცა მათი ფორმების სრულად წარმოდგენა ძნელი არაა. ესაა დერგისმაგვარი რამდენადმე ტანდაგრძელებული მოზრდილი ჭურჭელი, შედარებით ვიწრო ყელით, მხარზე გარდიგარდმოდ დაძერწილი მასიური ყურითა და მხარზევე არსებული ნახვრეტით.

სამზარეულო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება ბადიები. ისინი ხასიათდება ფართოდ გაშლილი პირით, რომელზეც ბრტყელი ბაკო შემოუყვებათ. სხვადასხვა ზომის ტუჩზე ხშირად აქეთ-იქიდან დაძერწილი აქვთ კოპები. ჭურჭლის ტანი მკვეთრადაა დაქანებული ბრტყელი ძირისაკენ. ჭურჭლის ნაწილი სადაა, ნაწილს კი ტანზე შემოუყვება რელიეფური სადა ან „თოკისებრი“ სარტყლები და ამოღარული ხაზები (ტაბ. I<sub>3-5</sub>).

ქოთნები განსაკუთრებულად მრავლადაა აღმოჩენილი ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე (ტაბ. I<sub>6-11</sub>). მათი თიხა მსხვილმარცვლოვანია, საგანგებოდ „გამჭლევებული“ კვარცის, სილისა და სხვა მინარევებით, რადგან ამგვარი შემადგენლობის თიხა კარგად უძლებს ცეცხლის ზემოქმედებას. ისინი წითლად ან ჩალისფრადაა გამომწვარი, თუმცა ცეცხლის ზემოქმედების გამო უმეტესობა შებოლილია. ქოთნებს ახასიათებს გაშლილი პირი. ზოგჯერ პირზე შემოუყვებათ დაკეპნილი ორნამენტი. ყელი ძალიან დაბალია, მუცელი – გამობერილი. აქვთ ერთი ან ორი ყური. გვხვდება უყურო ეგზემპლარებიც. ორნამენტით ისინი ნაკლებადაა შემკული. ძირითადად გვხვდება პირის შემკობა ირიბი ნაჭდევებით და მხარზე შემოვლებული სწორხაზოვანი ან ტალღოვანი ორნამენტი. ზოგჯერ ჭურჭლის ტანი მთლიანადაა დაფარული მორგვისეული კონცენტრული ხაზებით. ქოთნების სიმაღლე 15-30 სმ-ია.

სამზარეულო დანიშნულებისაა ჭურჭელი, რომელთაც პირსა და მუცელზე დაძერწილი აქვთ ზეაწეული ყურები. ტანი ფინჯნისებური მოყვანილობისაა. კეცი უხეშია. გამომწვარია წითლად, თუმცა ცეცხლის ზემოქმედების გამო მონაცრისფრო ან მოშავო ფერისაა. ტანი შემკულია სავარცხლისებური იარაღის სხვადასხვა მიმართულების ხაზებით (ტაბ. I<sub>12-19</sub>).

ჩაფები დაახ. 50 სმ სიმაღლის ორყურა ჭურჭელია. ხასიათდებიან გაშლილი პირით, მომაღლო წიბოიანი ყელით, მაღალი კვერცხისებური ტანითა და ფართო ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივეკეთიანი ყურები დაძერწილია ყელის წიბოსა და მხარზე. ყურებს ამკობს კოპები. გამომწვარია მოთეთრო-მოჩალისფროდ ან მოწითალოდ. ტანზე შემოუყვებათ მორგვისეული ხაზები. თიხა წმინდადა განლექილი. კეცი ძალზე მკვრივია (ტაბ. I<sub>20-21</sub>). ჩაფები ადრეული შუასაუკუნეების ქართული კერამიკის ძალზე დამახასიათებელი ფორმაა.

თიხის რაგვარობით, დამუშავების ტექნიკით, ორნამენტითა და თითქმის ფორმითაც ჩაფებთან ძალზე ახლოს დგას ცალყურა ჭურჭელი, რომელთაც პირობითად კოკები შეიძლება ვუწოდოთ. მათ აქვთ გაშლილი მრგვალი ან სამტუჩა პირი, ვიწრო და მომაღლო, წიბოთი შემკული ყელი. კობით შემკული ყური მიერთებულია ყელის წიბოსა და მხარზე. ტანზე შემოუყვებათ მორგვისეული ხაზები (ტაბ. I<sub>22-26</sub>).

მრავალფეროვნებით გამოირჩევიან ღვინისა და წყლისთვის განკუთვნილი დოქები. მათში რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში აღსანიშნავია მრგვალპირიანი, მსხლისებურტანიანი წითელპრიალა ან ნარინჯისფრად ნაპრიალები დოქები, რომელთა ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე (ტაბ. I<sub>27</sub>). ისინი გვხვდება როგორც სამარხეულ კომპლექსებში, ისე ნასოფლარებსა თუ ნაქალაქარებზე.

მრგვალპირიანი, მსხლისებურტანიანი დოქების გარდა გათხრებისას მრავლადაა აღმოჩნდებით მრგვალპირიანი წითელპრიალა დოქები, სფეროსებური მოყვანილობის ტანით. ჭურჭელი სადაა ან მხრები შემკული აქვთ მოკლე ირიბი ნაჭდევების სარტყლებით (ტაბ. I<sub>28</sub>).

წითელპრიალა, ირიბი ნაჭდევებით შემკულ დოქებში გამოიყოფა ცალკეული ნიმუშები, რომელთა პირი შუა ნაწილში აქეთ-იქიდან შეზნექილია და ზედხედში ჭურჭლის პირს რვიანის მოყვანილობა აქვს (ტაბ. I<sub>29</sub>).

ცალკე უნდა აღინიშნოს მოჩალისფროდ გამომწვარი სამტუჩა დოქები, მაღალი წიბოიანი ყელითა და დაბალი ტანით. დოქების ნაწილი გამოირჩევა მკვეთრად დაგრძელებული მაღალი ყელით. ყური მიერთებულია ყელის წიბოსა და მხარზე. ტანი დაფარულია მორგვისეული ხაზებითა და კონცენტრული ტალღოვანი ორნამენტით. კუცი მკვრივია. თიხა წმინდადაა განლექილი (ტაბ. I<sub>30</sub>).

მოჩალისფროდაა გამომწვარი დოქების ერთი ნაწილი, რომლებიც ხასიათდება მომრგვალებული პირით, მომაღლო, ცილინდრული ყელით, დაბალი მხრებითა და ფართო ძირით. ყური მიერთებულია ყელის ძირისა და მხარზე. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით (ტაბ. I<sub>31</sub>).

აღწერილი დოქების შემკულობის ძირითადი სახეებია: წითლად შეღებვა და გაპრიალება; ჭურჭლების წიბოებითა და კობებით, აგრეთვე მორგვისეული და ამოკაწრული ტალღოვანი კონცენტრული ხაზებით შემკობა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ჭურჭელზე ამოკაწრულია ჯვარი ან ჯვარი და დაქარაგმებული ასომთავრული ასო-ნიშნები და ცალკეული სიტყვები (ლოჭინი, რუსთავი).

ჯამები სხვადასხვა ფორმისაა. ისინი უმეტესად დაბლებია, ფართოდ გაშლილი პირით, მკვეთრად დაქანებული მხრებითა და განიერი ბრტყელი ძირით (ტაბ. I<sub>32,33</sub>). გვხვდება პირმოყრილი, მხრებმომრგვალებული ნიმუშებიც. ჭურჭელი გამომწვარია მოჩალისფროდ ან მოწითალოდ. ორნამენტულ სახეს წარმოადგენს ამოღარული სარტყლები და მორგვისეული ხაზები.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკას მიეკუთვნება ჭრაქები. საქართველოს ტერიტორიაზე ჭრაქების რამდენიმე ტიპია გავრცელებული. ადრეულ შუასაუკუნეებში ძირითადად გვხვდება „ფინჯნისებური“ ჭრაქები. ისინი ხელითაა ნაძერწი. გამომწვარია

მოწითალოდ ან მონაცრისფროდ. მათი ზედა ნაწილი წრიულია, „ფინჯნისებური“ მოყვანილობის. ერთ ადგილას აქვთ საპატრუქე ტუჩი. ტანი წელში გამოყვანილია. ძირი ბრტყელია ან შეღარული. ზოგჯერ შევიწროებულ წელზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი. იშვიათად სარტყლები ირიბი ნაჭდევებითაა დაკაჭნილი. ჭრაქების სიმაღლე 5-8 სმ-ია, პირისა და ქუსლის დიამეტრი თითქმის ერთნაირია და 8 სმ-ს აღწევს (ტაბ. I<sub>34-36</sub>). იმ პერიოდში გვხვდება ოთხსაპატრუქიანი ჭრაქებიც, რომლებიც დიდხანს ინარჩუნებენ ფორმათა მდგრადობას და განვითარებულ შუასაუკუნეებშიც განაგრძობენ არსებობას.

თუ ადრეული შუასაუკუნეების კერამიკას შემკულობის მიხედვით შევუდარებთ უფრო ადრეული ან მოგვიანო ხანის სამეთუნეო ნაწარმს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის კერამიკა არ გამოირჩევა შემკულობის მრავალუროვნებით. იმ პერიოდის კერამიკის მცირერიცხოვანი საუკეთესო ნიმუშების მაღალმხატვრულობა მიღწეულია ჭურჭლის ფორმებით, ზედაპირის სიპრიალითა და ფერით. მათზე გამოსახული ორნამენტი მარტივი და ერთფეროვანია.

ადრეული შუასაუკუნეების სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია აგურებითა და კრამიტებით. აგურები არაა ძირითადი სამშენებლო მასალა იმ პერიოდის ნაგებობებისთვის. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიურ ძეგლებზე მაინც ხშირად ჩნდება კვადრატული აგურების მთლიანი თუ ფრაგმენტული ნიმუშები. რაც შეეხება კრამიტებს, ისინი ორი სახისაა – ბრტყელი და ღარიანი. გარეგნულად ადრეული შუასაუკუნეების კრამიტები ნაკლებად განსხვავდებიან გვიანანტიკური ხანის კრამიტებისგან. ბრტყელი კრამიტების გამოსაჩენი ნაწილი წითლადაა შეღებილი. ღარიანი კრამიტების ნაწილიც წითლადაა შეღებილი. ღარიან კრამიტებს ზედა ნაწილში გააჩნიათ შვერილები, მათზე ზემოდან დადებული კრამიტის შესაკავებლად (იხ. თავი IV, ტაბ. X<sub>7</sub>).

სამშენებლო კერამიკის ჯგუფში ერთიანდება სწორკუთხა მოყვანილობის კერამიკული ფილები, რომელთაც აქვთ ორი ან სამი სამკუთხა მოყვანილობის შვერილი. ზოგჯერ შვერილები ამოღარული ან რელიეფური ორნამენტითაა შემკული (იხ. თავი VI, ტაბ. III<sub>4</sub>). ასეთი ფილები ლაგდებოდა სახურავის ბოლო რიგებში და პრაქტიკულთან ერთად, გარკვეული დეკორაციული დანიშნულებაც ჰქონდა.

ადრეული შუასაუკუნეების სამშენებლო კერამიკის საინტერესო ჯგუფს შეადგენს ანტეფიქსები, რომლებიც ძირითადად გამოიყენებოდა ეკლესიების, იშვიათად კი საერო ნაგებობების კრამიტიანი სახურავის დაბოლოებაზე. ანტეფიქსების უმრავლესობა შემკულია სხვადასხვა გამოსახულებებით – წმინდა ხე, ირემი, ჯვარი, წმინდა გიორგი, ცალკეული წარწერები და სხვ. (ტაბ. II).

აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების კერამიკისაგან განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სინქრონული კერამიკა ჯერჯერობით მონოგრაფიულად შესწავლილი არაა, მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული სხვაობის მიუხედავად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების კერამიკა ძირითადად ერთგვაროვანია. ერთიანობა ჩანს ფორმების, ორნამენტული მოტივებისა და სხვა არაერთი ნიშნის მიხედვით.

\* \* \*

ადრეული შუასაუკუნეების არტეფაქტების საინტერესო ჯგუფს შეაღენს მინის ნაწარმი. მინის ფიზიკური და ქიმიური თვისებები, კერძოდ ის, რომ არის გამჭვირვალე, ნაკლებად შედის რეაქციაში სხვა ნივთიერებებთან, კარგად ინახავს სითხეს და ა. შ. მას ფაქტობრივად შეუცვლელს ხდის. გარდა ამისა, ნივთიერებები, რომლითაც მინა მზადდება მრავლად მოიპოვება ბუნებაში და ამის გამო თვით მინაც საკმაოდ იაფია. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო მინის ფართო გავრცელებასა და მის მასობრივ წარმოებას.

IV-VIII სს-ში ქართლში მინის მასობრივი წარმოების სურათი განსაკუთრებით კარგად აისახა მცხეთაში – სამთავროს სამაროვანზე. ახალ რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით შეიცვალა დაკრძალვის წესი. ამიერიდან სამარხებიდან ქრება კერამიკა, ლითონის ჭურჭელი და იარაღები. სამარხებში ძირითადად გვხვდება მხოლოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები (ფიტულები, ლილები), სამკაული (საყურები, ბეჭდები, სამაჯურები) და მინის პატარა ჭურჭელი – სანელსაცხებლები, რომელთა 30-მდე ტიპია გამოვლენილი სამთავროს სამაროვანზე. IV-VIII სს-ის სამარხებში აღმოჩნდილი მინის ნივთები მხოლოდ ცალმხრივ წარმოდგენას გვიქმნის მინის იმდროინდელი წარმოების მასშტაბებზე, რადგან სამარხებში მხოლოდ ერთი დანიშნულების ჭურჭელია მიკვლეული. ესაა დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული სანელსაცხებლები. მიუხედავად ამისა, მათი ფორმათა მრავალფეროვნება და სამარხებში მათი დიდი რაოდენობით გამოვლენა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ადრეული შუასაუკუნეების ქართლში მინის წარმოება ერთობ მაღალ დონეზე იდგა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სამარხებში აღმოჩნდილი მინის ჭურჭელი, საკიდები, მძივები და თვლები გაძარცვულ სამარხებშიც კი ხელუხლებელია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მინის ნივთები განსაკუთრებით ფართო მოხმარების საგნები ჩანს და მინის ნაწარმი საკმაოდ მრავალრიცხოვანი, იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ VII ს-ის ერთ-ერთ სამარხში 39 სანელსაცხებლები აღმოჩნდილი. ეს სამარხი სიმდიდრით სხვებისგან არაფრით გამოირჩევა. მკვლევართა აზრით, შესაძლოა, სამარხი ეკუთვნოდა მინის მბერავს ან ნელსაცხებლების ოსტატს.

ადრეული შუასაუკუნეების მინის ჭურჭელში დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: 1. სანელსაცხებლები; 2. სუფრის ჭურჭელი – სასმისები; 3. ლამპარი და 4. ალამბიკი.

სანელსაცხებლები, რომლებიც თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, დამზადების ტექნიკის მიხედვით ორი სახისაა – ყალიბში ჩამოსხმული და ბერვით გაკეთებული. IV ს-ის სანელსაცხებლებში გამოირჩევა ტანზე ბურცობებით შემკული ნიმუშები (ტაბ. III<sub>1-2</sub>), რომლებიც სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული და ჩვენში ისინი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგადაა მოხვედრილი. ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისში აღმოჩნდილი ტანდაწახნაგებული სანელსაცხებლე (ტაბ. III<sub>19</sub>), რომლის თარიღი VII-IX სს-ითაა განსაზღვრული. მკვლევარებს ისინი ირანიდან ან ერაყიდან შემოტანილად მიაჩნიათ. თავისუფლად გამობერილი სანელსაცხებლები ჩვენში საკმაოდ მრავლადაა აღმოჩნდილი და ფორმების მიხედვითაც დიდ მრავალფეროვნებას ქმნიან (ტაბ. III<sub>3-5,8,9,11,13,14</sub>).

სუფრის ჭურჭელს შორის გვხვდება ფაცეტებიანი სასმისები (ტაბ. III<sub>15-17</sub>), რომლებიც აღმ. საქართველოს საქმაოდ ბევრ ძეგლზეა გამოვლენილი: თბილისი, რუსთავი, მცხეთა, კარსანი, ურბნისი, ლამაზი გორა, ხოპისი და სხვ. საქართველოს ფარგლებს გარეთ ისინი აღმოჩნდებია: სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ირანში, მესოპოტამიაში, ბიზანტიაში. აღსანიშნავია, რომ ჩვენში ეს ძალზე საინტერესო ჭურჭელი მხოლოდ ნამოსახლარებზეა აღმოჩნდილი, სამარხებში კი არ გვხვდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ფართოპირიანი ჭურჭელი სანელსაცხებლედ არ გამოიყენებოდა. საქართველოსაგან განსხვავებით, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში (ჩიმი, ბალთა) ისინი სამარხებშია აღმოჩნდები. სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით, ფაცეტებიანი ჭურჭელი თარიღდება VI-VIII სს-ით. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდილ ამგვარ ჭურჭელში გამოარჩევენ ადგილობრივ და შემოტანილ ნიმუშებს. მაგ. ბიჭვინთის ერთ-ერთი ფაცეტებიანი ჭურჭელი გამოირჩევა მოყვითალო ფერით, რაც ძალზე დამახასიათებელია ბიზანტიური მინისათვის და ის ბიზანტიიდან უნდა იყოს შემოტანილი. ირანულ ნაწარმად თვლიან ურბნისში, მცხეთაში და რუსთავში აღმოჩნდილ მოლურჯო და მომწვანო მინისაგან დამზადებულ ნიმუშებს. ფიქრობენ, რომ ფაცეტებიანი მინის ჭურჭლის დამზადების ცენტრები შესაძლოა ჩვენშიც არსებობდა (მცხეთა, ურბნისი, რუსთავი).

ადრეული შუასაუკუნეების სასმისებს შორის უნდა აღინიშნოს პირგადაშლილი ცილინდრულტანიანი ბრტყელძირა ჭურჭელი (ტაბ. III<sub>7</sub>), რომელიც IV ს-ით თარიღდება და როგორც ჩანს, იმპორტული ნაწარმი უნდა იყოს. IV-V სს-ით თარიღდება ლურჯხალებიანი სასმისები (ტაბ. III<sub>10</sub>). ამგვარი სასმისები რაოდენობრივად მეტია დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ხალებიანი ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში და შემდგომშიც განაგრძობენ არსებობას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოში ისინი ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან შემოჰკონდათ, იქიდან კი სასმისები აღმოსავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა.

ყალიბშია გამობერილი სასმისების ერთი სახეობა, რომელთაც ახასიათებს ცილინდრული მოყვანილობის, ირიბად დაღარული ტანი და შედრეკილი ძირი (ტაბ. III<sub>25</sub>). საქართველოს გარეთ რამდენიმე ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდილია ჩრდილოეთ კავკასიაში: თხაბა-ერდში, ბალთისა და ჩიმის კატაკომბებში. გვხვდება ისინი სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. მათი თარიღი განსაზღვრულია IX-X სს-ით. ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნდილი ამგვარი სასმისები იქ საქართველოდან უნდა იყოს გატანილი.

ადრეული შუასაუკუნეების მინის ნაწარმს შორის აღსანიშნავია ლამპრები. ისინი ორგარია: ყურიანი ანუ ჩამოსაკიდი ლამპრები (ტაბ. III<sub>26</sub>) და ფეხიანი ანუ ჩასადგმელი ლამპრები (ტაბ. III<sub>23-24,27-32</sub>). ლამპრები გამოიყენებოდა ბაზილიკების გასანათებლად და ჩვენში ფართოდ ვრცელდება ქრისტიანობის გავრცელებისა და ბაზილიკების მშენებლობის კვალდაკვალ. განსაკუთრებით მრავლადა აღმოჩნდილი ლამპრები ბიჭვინთაში. ლამპრები გვხვდება: დმანისში, რუსთავში, უჯარმაში, თბილისში, ლამაზ გორაზე, იყალთოში, ურბნისში, მცხეთაში. ზოგადად ისინი VI-X სს-ით თარიღდება.

ალამბიკი ალქიმიური ჭურჭელია. მათგან ორი აღმოჩენილია რუსთავის ნაციხარზე, ერთი – მცხეთაში (ტაბ. III<sub>33-35</sub>). ალამბიკები VI-VIII (მცხეთა) და X-XI სს-ით (რუსთავი) თარიღდება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვილი მინის ნაწარმის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა სარკმლის მინა. სადღესოდ მსოფლიოში უძველესი სარკმლის მინა აღმოჩენილია ახ. წ. I ს-ში ვულკანისგან განადგურებულ პომპეიში.

ადრეული შუასაუკუნეების სარკმლის მინა მრავლადაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში, როგორც ზღვისპირა, ისე შიდა რაიონებში (ტაბ. IV<sub>3-4</sub>). IV-VI სს-ის ყალიბში ჩამოსხმული სარკმლის მინის ფირფიტები სწორკუთხაა. მინა მომწვანო, მოცისფრო ან მოყვითალოა. ისინი მრავლად გვხვდება ბიჭვინთაში (ტაბ. IV<sub>1-2</sub>). განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სარკმლის მინა სამნავიანი ბაზილიკისა და აბანოს გათხრებისას.

იმ პერიოდის სარკმლის მინა მიკვლეულია ციხისძირის ახლოს, ბობოვგათის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაზე. ანალოგიური სარკმლის მინა აღმოჩენილია ვარდციხეში, გუდავაში და ნოქალაქევში.

VI-VIII სს-ის სარკმლის მინაც ყალიბშია ჩამოსხმული. ფირფიტები სწორკუთხაა. ხარისხით ჩამოუვარდება წინამორბედ სარკმლის მინას. ისინი გვხვდება ვაშნარში, ყულევში. იმ პერიოდის სარკმლის მინებში გვაქვს ბერვით დამზადებული ნიმუშებიც. უნდა აღინიშნოს, რომ VI ს-ის მეორე ნახევრიდან მინის სწორკუთხოვან ფირფიტებთან ერთად ჩნდება მრგვალი ფირფიტებიც. ხოლო სწორკუთხა ფირფიტები იცვლიან თავის გარეგნულ სახეს – სქელდებიან და მუქდებიან.

აღსანიშნავია, რომ VII ს-ის სარკმლის მინასთან ერთად შემორჩენილია მინის ჩარჩოს ნაწილიც. მხედველობაში გვაქვს წრომის გუმბათოვანი ტაძრის აღმოსავლეთ კედელთან ვარდულის ფორმის თაბაშირის ჩარჩოში ჩარჩნილი მწვანე მინის ნატეხი (ტაბ. IV<sub>5</sub>).

რამდენადმე მოგვიანო ხანით, კერძოდ VIII-IX სს-ით თარიღდება გუდაუთის რ-ის სოფ. ხუაფში აღმოჩენილი ლურჯი სარკმლის მინა. ის ეკლესიასთანაა დაკავშირებული. იმ პერიოდში სარკმლის მინა უმზადებიათ ორბეთის მინის საწარმოშიც (ტაბ. V<sub>6</sub>).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ადრეული შუასაუკუნეების სარკმლის მინები ძირითადად დაკავშირებულია საგანგებო დანიშნულების ნაგებობებთან – ეკლესიებთან და აბანოებთან.

მინის წამოებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია 1958 წელს თეთრიწყაროს რ-ის სოფ. ორბეთთან გამოვლენილი მინის სახელოსნოს ნაშთები (ნ. უგრელიძე). სამწუხაროდ საკუთრივ საწარმოდან ცოტა რამ შემორჩა – მინის სალლობი ქურა (თაკარა) ჩაქცეული იყო. სახელოსნოში აღმოჩენილი VIII ს-ის მონეტის მიხედვით ორბეთის მინის საწარმო VIII-IX სს-ით დათარიღდა. საინტერესო გამოდგა საწარმოს გადანაყარში გამოვლენილი მასალა, რომლის მიხედვით ჩანდა, რომ იქ ამზადებდნენ: მინის ჭურჭელს, სამაჯურებს, ბეჭდებს, სამოზაიკო კენჭებსა და სარკმლის მინას. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა მინის ჭურჭელი, რომელთაგან აღსანიშნავია მინანქრის საღებავით მოხატული ნიმუშები (ტაბ. V<sub>5</sub>). გვხვდება გრავირებული (ნაკაწრი ირნამენტით შემკული) ჭურჭლის ნატეხები. იქვეა აღმოჩენილი ობსიდიანის პატარა „დანა“, რომლის მეშვეობითაც ხელოსნებს მინის ჭურჭელზე

გამოპყავდათ სხვადასხვა სახის ორნამენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორბეთის მინის საწარმოში დამზადებული ნაკეთობების ფერები. იქ გვხვდება: წითელი, შავი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე, თეთრი, ყვითელი ფერების არტეფაქტები. გვხვდება ამ ფერების კომბინაციები. ორბეთის მინის საწარმოს გადანაყარში ყველაზე მრავლად (1000 ცალზე მეტი) ბეჭდებია გამოვლენილი (ტაბ. V<sub>1</sub>). მათი უმრავლესობა შავი მინისაა. თუმცა, გვხვდება სხვა ფერის ბეჭდებიც. სამაჯურებიდან აღმოჩენილია როგორც გრეხილი, ისე სადა ნიმუშები (ტაბ. V<sub>2</sub>). განსხვავებულია მათი ფერებიც. განსაკუთრებით საინტერესოა იქ გამოვლენილი სამოზაიკო კენჭები – შავი, მწვანე, ცისფერი, ოქროსფერი (ტაბ. V<sub>3</sub>). ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე სამოზაიკო კენჭების წარმოების პირველი ფაქტობრივი დადასტურება. უდავოა, ადრეული შუასაუკუნეების ქართლში მართლაც მაღალ დონეზე მდგარა მოზაიკის ხელოვნება. ამას ადასტურებს როგორც მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის (544-586), შორეთისა და წრომის მოზაიკები (VII ს.), ისე ორბეთის მინის საწარმოში დამზადებული მოზაიკის კენჭები. ორბეთის მინის საწარმოს ნაშთებმა მოგვცა კიდევ ერთი საინტერესო მასალა – მწვანე და ყვითელი ფერის სარკმლის მინა (ტაბ. V<sub>6</sub>). როგორც უკვე ითქვა, წრომის ტაძართან აღმოჩენილია სარკმლის მინის ჩარჩოს ნაწილი, რომელშიც შემორჩენილი იყო მწვანე მინის ნატეხი (ტაბ. IV<sub>5</sub>). ჩანს, ადრეულ შუასაუკუნეებში ჩვენში საეკლესიო და საერო ნაგებობებში არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა სარკმლის მინა და ამ მხრივ საქართველო არ ჩამორჩებოდა იმდროინდელ მოწინავე კულტურულ ქვეყნებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის გარდა, როგორც ჩანს, ორბეთის მინის საწარმოს პროდუქცია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაჰქონდათ. საქმე ისაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში აღანთა განსახლების ტერიტორიაზე ხშირადაა აღმოჩენილი ისეთი მინის ბეჭდები და სასმისები, რომლებიც ზედმიწვნით იმეორებენ ორბეთულ ნიმუშებს. ამიტომ, მკვლევრები სავსებით მართებულად ვარაუდობენ, რომ აღანთა სამოსახლოებსა და სამარხებში აღმოჩენილი მინის ამგვარი ნაწარმი საქართველოში უნდა იყოს დამზადებული და იქ მოხვედრილი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად. ამ მხრივაც, ორბეთის მინის საწარმოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრეული შუასაუკუნეების საქართველოში მინის წარმოების შესწავლის საქმეში.

### ძირითადი ლიტერატურა

**სინაურიძე მ.** აღმოსავლეთ საქართველოს ადრეულ ფეოდალური ხანის კერამიკა, მსმენი, ტ. I. თბილისი, 1966, გვ. 39-90.

**უგრელიძე ნ.** ადრეული შუა საუკუნეების ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბილისი, 1967.


**უგრელიძე ნ.** მინა ძველ საქართველოში თბილისი, 1961.

**ჩხატარაშვილი მ.** საქართველოში აღმოჩენილი სარკმლის მინა, ფსაძ, ტ. III, 1978, გვ. 69-97.

**ჩხატარაშვილი მ.** მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბილისი, 1978.

**ჭილაშვილი ლ.** ნაქარაქარი ურბისი, თბილისი, 1964.

**ჯლამაია ჯ.** სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბილისი, 1980.




ადრეული შეასაუგუნების კერამიკა

1,2. ქუთაისი (ო. ლანჩავას მიხედვით); 3-19,21-26,30,31,34,35.

უბნისი (მ. სინაურიძის მიხედვით); 20. ლოჭინი (რ. აბრამი-





შვილისა და ლ. ჭილაშვილის მიხედვით); 27,28. მოდინახე


(ჯ. ნადირაძის მიხედვით); 29,32. უფლისციხე; 33,36. სვენეთი.




1-6. წარწერიანი ანტეფიქსები  
7-12. ანტეფიქსები ნოქალაქევიდან  
13-14. ანტეფიქსები ნაჯახოვოს ეპლესიიდან  
კ. ჯდამაიას, ო. ლანჩავას, პ. ზაქარაიას მიხედვით

III






1. სარკმლის მინა. IV ს. ბიჭვინთა.



2. სარკმლის მინა. VI ს. ბიჭვინთა.



3. სარკმლის მინა. VI ს-ის II ნახ. - VIII ს-ის I ნახ. გაშნარი.



4. სარკმლის მინა. VI ს-ის II ნახ. - VIII ს-ის I ნახ. ეულევი.



5. ალებასტრის სარკმლის ჩარჩო. VII ს-ის 30-იანი წლები. წრომი.

გ. წხატარაშვილის მიხედვით



ორბეთის მინის საწარმოს (VIII-IX სს) გადანაყარში  
აღმოჩენილი 1. მინის ბეჭდები, 2. სამაჯურები,  
3. მოზაიკის კენჭები.



6. სარქმლის ფერადი მინის ნატეხები



4. ფერადი მინის ჭურჭლის  
ნატეხები



5. მინანქრის საღებავით მოხატული  
და ფერადი მინის ჭურჭლის ნატეხები



7. ფერადი მინის წვეთები  
6. უგრელიძის მიხედვით

## შემოკლებათა განმარტება

**აბ** – არქეოლოგიური ძიებანი  
**ენიმგის მოამბე** – აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე  
**თსუ შრომები** – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები  
**იიშ** – ისტორიის ინსტიტუტის შრომები  
**მსკა** – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის  
**მსმგი** – მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის  
**სას** – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები  
**სემმ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე  
**სიგპ** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული  
**სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე  
**სსმაჟ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები  
**სსმმ** – აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე  
**სშაბ** – საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები  
**ფსაბ** – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგური ძეგლები  
**ძმ** – ძეგლის მეგობარი  
**ძქალდ** – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები  
**წელიწდებული** – საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო შრომები

**ВДИ** - Вестник древней истории

**ИКОИМАО** - Известия Кавказского отделения императорского московского археологического общества

**КСИА** - Краткие сообщения института археологии

**МАК** - Материалы по археологии Кавказа

**МИА** - Материалы и исследования по археологии СССР

**ПАИ** - Полевые археологические исследования

**СА** - Советская археология

**ТКАЭ** - Труды кахетской археологической экспедиции

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა;

თავი I. საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია;

თავი II. ქართლის სამეფოს ქალაქები;

თავი III. გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ზღვისპირა ციხესიმაგრეები;

თავი IV. ეგრისის სამეფოს ქალაქები და ციხესიმაგრეები;

თავი V. ციხესიმაგრეები;

თავი VI. ექლესია-მონასტრები;

თავი VII. ნასოფლარები;

თავი VIII. სამართლად და დაკრძალვის წესი;

თავი IX. სამაროვნები;

თავი X. კერამიკა და მინის ნაწარმი;

შემოკლებათა განმარტება.